



644  
1966/4

0418  
0418  
0418



1966

10



୧୦.୩.୩୬



ନେତ୍ରମଥିରୁ

୧ ୯ ୬ ୬

ବିଦେଶୀ ଅଭିଭାବକ-

ମୋହନୀ ଏଣ୍ଡର୍ ଏବଂ

ବ୍ୟାକିଲାଙ୍ଗନୀ ଏବଂ

କାନ୍ଦିତିକ୍ଷଣି

ଶୁରଣ୍ଟାଳି

ବ୍ୟାକିଲାଙ୍ଗନୀ ଏବଂ କାନ୍ଦିତିକ୍ଷଣି  
ଏବଂ ଶୁରଣ୍ଟାଳି ଏବଂ କାନ୍ଦିତିକ୍ଷଣି

ମୋହନୀ



୫



## ମତୀପଦାରି ରେଧିଆର୍ଥିନରି ଶୈତା ପାହଶଳାକା

ସାରିଯାଏବେଳେ କମଳିପାଦା: ଆପାକି ଗାନ୍ଧାରୀ, ଶଶିରାମ ପାହିଛିବେଳୀ, ମାରୁଚି  
ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ,  
ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ,  
ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ, ପାହିଲେବେଳୀ,



# ეროვნული კონცერტი ბენი

## გივი ჯავახიშვილი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მთელმა შოთა რეზიდენტი შეიმით აღნიშნა ქართველი ხალხის გენის შოთა რეზიდენტის დაბადების 800 წლისთავი. უკვდავ პოემა „ვეფხისტყაოსანში“ მან ბრწყინვალედ გამოხატა თავისი ხალხის სიბრძნე და ვაჟკაცობა, სიკეთე და კეთილშობილება.

ქართველი ხალხი სათუთად ინახავდა მ ნაწარმოებს და ოროგორც საბრძოლო დროშა, ისე გამოატარა საუკუნეების ქარცეცხლში. ვერც მონღოლთა, სპარსთა და ოურქთა თავდასხმებმა, ვერც ქალაქებისა და სოფლების გადაბუგამ და ნერეგამ ვერ ამოშალა ხალხის მეხსიერებიდან შოთა რეზიდენტის უკვდავი ქმნილება. იგი თაობიდან თაობას თავისი ცხოველმყოფელობისა და ძლიერების დაუკარგავად გადაცემოდა. მას მიმართავდნენ და მიმართავენ ადამიანები ჭირშიაც და ლხიტშიაც, ისაა მათი შოთავონების წყარო და მასწავლებელი. ქართული მეტყველება სავსეა რეზიდენტის აფორიზმებითა და თქმებით.

გენიალურმა პოეტმა ორგანულად შეითვისა ხალხური შემოქმედების მრავალფეროვნება, ბრწყინვალება და სიბრძნე და „ვეფხისტყაოსანი“ გახდა მთელი გვიანდელი ზეპირსიტყვიერების მასაზრდობელი. საქართველოში „ვეფხისტყაოსანის“ ათობით ხალხური გარიანტი არსებობს. რეზიდენტი და მის პოემაზე შექმნილია ასობით თქმულება, ლეგენდა, სიმღერა და გამოვლევა.

რეზიდენტის პოემა ქართველი ხალხის მხოლოდ სულიერი ძლიერების მაღალი გამოხატულება, მისი სულის სარკე როდია, იგი უძლეველი საბრძოლო იარაღიცაა. ხალხის ცხოვრების უმძიმეს დღეებში, მოწოდების ზარებივით რეკლენ რეზიდენტი რეზიდენტის ბრძნული სიტყვები — „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ხალხი ინახავს მრავალ თქმულებას რეზიდენტზე. მაგრამ მისი ნამდვილი ბიოგრაფია უცნობია. პოემის შესავალი და დასკვნითი სტროფებიდან ვიცით მხოლოდ ის, რომ ავტორი — რეზიდენტი მესხი მელექშე — ცხოვრობდა და ქმნიდა თამარ მეფის ეპოქაში. თამარ მეფეს მიუძღვნა პოეტმა თავისი პოემა.

ეს იყო საქართველოს ისტორიის დიდმინიშვნელოვანი ეპოქა. მე-12 საუკუნეში დამთავრდა ქართველი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა არაბ, სპარს, სელჩუკ-მუსულმან დამპყრობელთა წინააღმდეგ. ცენტრალიზებული ხელისუფლების

განმტკიცებასთან ერთად ქვეყანა გაერთიანდა ერთ მთლიან და ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოლ.

პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებამ და ეკონომიურმა მომძლევულებამ, ხელოსნობისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებამ ხელი შეუწყის კულტურის, მეცნიერების, ხუროთმოძღვრების, ფერწერის, ლიტერატურის სწრაფ აღმავლობას. ამ ეპოქაში შეიქმნა მრავალი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეეძრება „ვეფხისტყაოსანს“ — ძველი ქართული კლასიკური პოეზიის სრულყოფილ ნიმუშს და მსოფლიო მხატვრული კულტურის შედევრს.

შუა საუკუნეების სხვა ძეგლთაგან განსხვავებით რუსთაველის ქმნილება თავისუფალია მისიტიკისა და საეკლესიო სქოლასტიკისაგან. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში მოგვევლინა ევროპული რენესანსის წინამორბედად, ჰუმანისტური იდეების აღამდარად, აღამიანის შთაგონებულ მოძღვრლად. მისი პოემა ამაღლებული აღამიანური გრძნობების, ეკოლშობილებისა და სიკეთის, სიმართლისა და სამართლიანობის, ნათელი სიყვარულის, უანგარო მეგობრობის, რაინდული ერთგულებისა და სიმამაცის აპოთეოზია.

ქართული პოეზიის ამ მარგალიტს საფუძვლად უდევს სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების იდეა.

— მჩე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,

ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია!

„ვეფხისტყაოსანი“, უპირველეს ყოვლისა, მზის დიდი ჰიმნია. რუსთაველის პოემაში პირველიდან ბოლო სტრიქონამდე არ ნელდება ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიკეთე — ეს თავისუფლებაა და სიმართლე, სამართლიანობა და ჰუმანიზმი, სიყვარულისა და შეგობრობის ერთგულება, პატრიოტიზმი და რაინდული გმირობა, ბრძოლა მაღალი აღამიანური იდეალებისათვის. ბოროტება — ეს ტირანია და ძალატანება, სიცრუე, თვალომაქცობა და ცბიერება, სიძვა, დალატი და სილაჩრე, უკანონობა და არააღმიანურობა.

რუსთაველმა შექმნა სამართლიანობისა და აღამიანების ბედნიერებისათვის მებრძოლთა შესანიშანავი მხატვრული სახეების მთელი გალერეა. ასეთებია: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი; ნესტან-დარეჯანი, თინათინი და ასმათი. ისინი თამამად ილაშექრებენ დესპოტიზმისა და ოვითნებობის ბრელი სამყაროს წინააღმდეგ. სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში საბოლოოდ ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს. მაგრამ სიკეთის დასამკიდრებლად საჭიროა თვალისწირული გმირობა. რუსთაველი კიცხავს ბედის წინაშე ქედის მოდრეებს და აღიდებს საყველთაო ბედნიერებისათვის შეუპოვარ მებრძოლთა საქმიანობას.

„ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულის საგალობელია, გამარჯვებული სიყვარულის სიმღერაა. პოეტის აზრით, ჰეშმარიტი სიყვარული არა მარტო ოჯახური ბედნიერების საფუძველია, იგი მაღალი აღამიანური თვისებებისა და რაინდული სიმამაცის წყაროა. მხოლოდ საზოგადოებრივი ვალდებულების უზადო შესრულებით შეიძლება სატრიფოს ნდობა დაიმსახურო. „სჭობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია“, — ეუბნება ნესტან-დარეჯანი ტარიელს.

რუსთაველი უარყოფს ქალთან დამოკიდებულების შუასაუკუნეობრივ თვალსაზრისს: ძალატანებას პიროვნების თავისუფლებაზე, მეუღლის არჩევანზე და ა. შ. ჯერ კიდევ იმ ეპოქაში ჰუმანისტმა პოეტმა ერთ-ერთმა პირველმა გამოცხადა ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. მას მიაჩნდა, რომ ქალს აქვს უფლება თავისი გრძნობის თავისუფლად გამოხატვისა, იგრეთვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ რუსთაველი თვითონ იყო მოშე საზოგადოებრივი და კულ-

ტურული ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობისა თავის სამშობლოში, დაც მეფობდა ქალი — ერთადერთი მემკვიდრე გიორგი III-სა — თამაზა. მეფე უკეთესელია, თამარმა შთავარნა პოეტს შეექმნა ბრწყინვალე პოეტური სახეები ბრძენი, მაღალზეობრივი და მოყვარული ნესტანისა და თინათინისა. თინათინის არაბეთის ტახტზე აყვანის ეპიზოდში განსახიერდა საქართველოს ისტორიის ცნობილი ფაქტი — თამარ მეფის გამეფება.

რუსთაველი ხალხთა მეგობრობის შთავარნებული მომღერალია. იგი არა მარტო დიადი ქართველი ეროვნული პოეტი იყო, არამედ გვნიაც, რომელიც ზოგადკაცობრიულ პრობლემებამდე ამაღლდა. მისი პოემის გმირები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან: ტარიელი ინდოელია, ავთანდილი — არაბი, ფრიდონი — მულლაზანზარელი. პოემაში სამი ძმობილი ხალხთა მეგობრობას განსახიერებს. რუსთაველმა გვიჩვენა, რომ ხალხთა მეგობრობა დიდი, უძლეველი ძალა, ყველა ციხე-სიმაგრეზე უფრო შეუვალი. ამ ძალას ვერ გაუძლო თითქოს მიუვალმა ქაჯეთის ციხემაც — ბოროტების, ტირანისა და სიბნელის სიმბოლომ. სწორედ სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა ერთობლივი მოქმედებით დაითრუგუნა ბოროტება.

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

„ვეფხისტყაოსანი“ მეგობრობის, სიკეთისა და სიყვარულის დიდებული ჰიმნია.

რუსთაველს განსაკუთრებული ადგილი უკავია არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც. „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნილია თითქმის ყველა ხალხის ენაზე. საბჭოთა კაშირში პოემა 80-ჯერ გამოიცა...

ჩვენი საუკუნის დასაწყისში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე გატაცებით მუშაობდა ცნობილი რუსი პოეტი კ. ბალმონტი. თავისი თარგმანის წინასატყვაობაში იგი წერდა: „ესაა შესანიშნავი პოემა სიყვარულზე, როგორიც ოდესმე შექმნილა ევროპაში. სიყვარულის ცისარტყელა, ცისა და მიწის დამაკავშირებელი ცეცხლოვანი ხიდი. როგორც პომეროსი არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, ისე რუსთაველი საქართველოა. ყოველი ეს უკვდავი ხახელი, არა მარტო მარადი დიდებით აზევებული პოეტის სახელია, არამედ სხივმოსლი განსახიერებაა სულისა, რომელმაც შეძლო თავის თავში განეხორციელებინა მთელი ხალხის სულიერი საუნჯე“.

საქართველოს საზღვრებს გარეთ რუსთაველის სახელს ძეელ დროშივე იცნობდნენ, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში მიაღწია მისმა შესწავლამ და პოპულარიზაციამ, მისმა დიდებამ და სახელმა იმ დონეს, რაზეც წინათ რუსთაველის თანამემამულეთ ოცნებაც კი არ შეეძლოთ.

გენიალური პოეტის იუბილე იქცა საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად.



ისაკები აგაშიძე

## პოეტის უკვდავება

ძვირფასო ამხანაგებო!.. ძვირფასო მეგობრებო!.. ორმად პატივცემულო სტუმრებო!

რა იქნებოდა ცივილიზაციის, კულტურის ისტორია, რომ ეს ისტორია უსასრულოდ სწორ, ზომიერად გაშლილ ტრამალს ჰავდეს და ამ სწორი უსასრულობის ზედაპირზე ქა-იქ ცადაზიდულნი, ცაში ავარდნილნი არ იყვნენ მწვერვალები, რომელიც ჩვენი დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩანან. ეს მწვერვალები მუდამ გვტაცებენ თვალსა და კონებას, განუშვებელივ გვიმობენ თავისკენ, როგორც თქვა კავკასიონის ქედების მიმართ ჩვენგან ამ რამდენიმე წლის წინ წასულმა მშვენიერმა ქართველმა პოეტმა, „მსღლებრივ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ ის მწვერვალები...“

მაგრამ ამ ცადაზიდულ, დიდებულ მწვერვალთაგან ზოგნი მარალიული თოვლით დაფარულნი, მეფური სიმშვიდით დგანან, გვაოცებენ და არ გვაშფოთებენ, თვალს გვჭრიან და ძილს არ გვიკრთობენ, ზოგნი კი უხსოვარი დროიდან აქამდე არ დამცხრალან, აქამდე არ დამშვიდებულიან და თავისი კულკანური მოუსვენრობით დღესაც შფოთავენ, დღე-

მოხსნება, ზაკითხული შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავ საზიონო ცხდომაზე.

საც არ გვასვენებენ, ძილს არ გვანებენ.

ჩემი ძვირფასო მეგობრებო! ჩვენო ძვირფასო სტუმრებო! თუ ჩვენ ოდესმე დედამიწის რომელსამე კუთხეში ამგვარი მწვერვალების ძირას ერთმანეთს შევხვედრივართ, იცოდეთ, საქართველომ დღეს თქვენ გისტუმრათ არა ცადაზიდული, მარად თოვლიანი, მეფურად მშვიდი მისი მყინვარის. უშბას ან თეთნულდას ძირას, საქართველომ თქვენ მოგიხმოთ ჯერაც დაუმცხრალ, ჯერაც ბობოქარ მწვერვალთან, მოგიხმოთ მე-12 საუკუნის მარად ცოცხალი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის იუბილეზე.

მან, სწორედ მან, პოეტმა შოთა რუსთაველმა, არ დააძინა ქართველი კაცი 700 წელიწადს.

მაღლობა ღმერთს!

მაგრამ საქართველომ თქვენ იმიტომ როდი მოგიხმოთ, რომ მხოლოდ ამ უძილობის ამბავს მოგიყვეთ.

მართალია, მას სურს კიდეც დაწვრილებით მოგითხროთ მისი დრამატიზმით აღსავსე წარსულის ამბავი, ის ამბავი, თუ როგორ გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას ეს პატარა ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში, ქვეყანა, რომელმაც პირველი რომანი მეხუთე საუ-

კუნეში შექმნა საკუთარ ალფაბეტზე და ამავე საუკუნეშივე თარგმნა ბიძლია.

არც მხოლოდ იმიტომ შევყრილვართ აქ, რომ ჩვენ, ქართველებმა, კანონიერი სიამაყის სიტყვები მოგასმენინოთ რუსთაველის გამო, იმის გამო, რომ შვიდასი წელიწადია, რაც ქართველი კაცი ამ დღეზე ოცნებობს, ოცნებობს მაღლობა უთხრას თავის დიდ წინაპარს შოთა რუსთაველს, საქვეყნოდ, მთელი დედამიწის გასაგონად, რაღაც ქართველ კაცს, ისტორიის მრავალ პარადოქსთაგან ერთ უდიდეს პარადოქსად მუდამ ის ამბავიც მიაჩნდა, რომ ამ შვიდასი წლის მანძილზე მსოფლიო მნათობთა თანავარსკვლავედში შოთა რუსთაველს მისი კუთვნილი ადგილი არ ჰქონდა მიჩნილი. ჩვენ კი მუდამ გვჯერდა: ქართველ ერს რომ სხვა მისია არც ჰქონდა ამ ქვეყნად, რუსთაველის წარმოშობით მოიხდიდა თავის ვალს კაცობრიობის წინაშე.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ საქართველომ თქვენ დღეს მოგიხმოთ და გისტუმრით ცოცხალ ფორმზე, ცოცხალ ზეიმზე, იმ პოეტის იუბილეზე, ვინც ჭერ კიდევ შუა საუკუნეების წყვდიალში ყველაზე მაღალ კვარცხლბეკზე დააყენა ადამიანი, დაიცვა და ადიდა ადამიანი, ვინც დიდებული ჰიმნი უძღვნა გონების განთავისუფლებას და მებრძოლი ჰუმანიზმის ქადაგებით შვიდასი წლის შემდეგაც ჩვენს გვერდით დადგა ჩვენს მრისხანე ეპოქაში.

და რა დიდი სიხარულის მომგვრელია იმის შეგნება, რომ ეს დღე, ჩვენგან ამდენი ხნის ნაოცნებარი და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში გათვენებული დღე, ქართველთა დიდი წინაპარით — შოთა რუსთაველით შთაგონებული დღე, გადაქცეულია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ზეიმად, მშეიდობისა და პროგრესის იდეების, ჰუმანიზმის მაღალი პრინციპების ზეიმად. აქ, ამ დარბაზში, დღეს შეკრილი ვართ დედამიწის თითქმის ყოველი კუთხის წარმომადგენელი, რომელთაც გვსურს გულაბდილად ვისაუბროთ დღევანდელი ჩვენი კაცობრიობის წინანდელი.

ბის ბედილბლის, მისი კულტურის ასუბ-ბითი საკითხების გამო, გავიზიაროთ, რას გვიქადის ხვალინდელი ჭულობის დალების ზეიმს, ვისთვისაც თანაბრად ძვირფასია ევგიპტის მიწაზე ნაპოვნი სამი ათასი წლის წინანდელი პაბირუსიც და ტეიარ დე-შარდენის ნააზრევიც; ინკების ტაძართა ნაშებიც და პიესოს ტილოებიც, — თუ იმ ძალების გამრავლებას, ვინც ახლა ბომბებს აყრის ვეტ-ნამის უძველეს მიწაზე მლოცველ ბუდისტებს, ვინც ოცნებობს ფაშიზმის ხელახლა აღორძინებაზე, ან კიდევ... ვისაც მშრომელი ხალხისთვის მაგნედ და უსარგებლოდ მიაჩნია წარსულის მიერ კაცთა მოდგმის სადიდებლად შექმნილი უძვირფასესი სულიერი ფასეულობანი, ვინც ველურად წიხლავს კულტურის მონაცოვრებს და დღეს, მეოცე საუკუნის სამოცაან წლებში, ჩვენდა სავალალოდ, ინკვიზიციის შემაძრწუნებელ დღეებს ვვახსენებს.

ჩემს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს პოლიტიკის სფეროში შეჭრა, მაგრამ როდესაც საქმე ეხება კაცობრიობის არსებობის უმაღლესი აზრის, ადამიანის აჩსებობის უმაღლესი აზრის — მისი სულისა და გონების, მისი კულტურის ხელყოფას, — მაშინ გაჩუმება უთუოდ დანაშაულია. მართალია, რუსთაველმა გვასწავლა, რომ მხოლოდ კეთილის არსებაა გრძელი, რომ ბოროტებას აჩსებობა არ გააჩნია და მას არ უწერია გამარჯვება, რომ „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“. მაგრამ რუსთაველმა, სწორედ რუსთაველმა გვასწავლა ისიც, რომ ვიდრე კაცი ეთქმის, ბოროტებას ქედი კი არ უნდა მოუღიროს, არამედ მთელი აჩსებით წინააღმდეგს მას და მის დამხობამდე ვერ მოისცენოს.

ამიტომ არის ჩვენთვის ძვირფასი და შეულეველი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი. პოეტი, რომელმაც უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანს, უკვდავი ჰიმნი უმღერა ადამიანის გონებასა და ვონიერებას.

ამიტომ არის ძვირფასი და შეულევე-

ლი რუსთაველის სახელი ჩვენს ეპოქაში, ჩვენს მრისხანე საუკუნეში, როცა ისტორიის ბედუულმართობით ქვეყნების სათავეში ზოგჯერ საბედისწეროდ აღზევებულთა ხელში ადამიანის ფასი ისე ჩშირად მერყეობს რიცხვებსა და ნულს შორის, როგორც აქციების კურსი ბირჟებზე.

გავხადოთ ადამიანის ფასი სტაბილური — ამ რუსთაველის იდეალი. ამ მთავარი ლოზუნგი, რაც უნდა ეწეროს ჩვენი ეპოქის პროგრესის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მეტობოლი ძალების მაღალ დროშაზე.

ადამიანი!

ადამიანისა და ადამიანობის უპირველეს ნიშნად კი რუსთაველს სიყვარული მიაჩნდა, მისი უკვდავი პოემა სიყვარულის ჰიმნია, ხოლო ამ ჰიმნის ლეიტორივი რუსთაველურად თქმული უკვდავი მარადიული ჭეშმარიტებაა: „სიყვარული ალვამაღლებსონ“.

მაშინ ჩავიხედოთ თვით „ვეფხისტყაოსანში“.

მაგრამ ჯერ ის გავარკვიოთ, თუ რა საფუძველზე, რა სულიერ სამყაროში აღმოცენდა ეს დიდებული პოემა.

რუსთაველის დროინდელი საქართველო იყო სახელმწიფო, რომელიც ჰუმანისტურ პრინციპებს ემყარებოდა და რომლის კულტურულ საფუძველსაც ჰუმანისტური სულისკვეთება შეაღენდა. ამას რომ ვამბობთ, აქვე გავიხსენოთ, რომ საქმე შეეხება ერთობ აღრეულ ხანას, მეოთორმეტე საუკუნეს, როდესაც დღევანდელ ეპრობაში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა და ამ სახელმწიფოთა კულტურა ძალიან შორს იდგა თავისი განვითარების მწვერვალისაგან.

ქართველთა ამ სახელმწიფოს შექმნას შეუჩერებელი აღმასვლის ხანგრძლივი ეპოქა უსწრებს წინ. და როდესაც ამ აღმასვლის ეპოქას თვალს გადავლებთ, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, რომ თითქოს ის ძალები, რომლებიც რუსთაველის წინა საუკუნეებში ქმნიდნენ ქართულ კულტურას, რაღაც

ნაირად ჩქარობდნენ ამ კულტურის ზეიადი შენობის კედლების ამოყვანას, რათა ბოლოს შოთა რუსთაველს მაშატალება მისცემოდა სწორედ მეცამეტე საუკუნეში მომხდარი საბედისწერო კატასტროფისთვის სულ რაღაც ორი-სამი თეული წლით დაესწრო და ეს შენობა დიდებულად მოეგუმბათებინა.

ცხადია, ეს „სიჩქარე“ თვით კულტურის შინაარსს როდი გულისხმობს. ლაპარაკია კულტურული აღმშენებლობის საოცარი ინტენსივობის ხარისხზე. ყოველ შემთხვევაში ის, რაც ქართველობამ მოასწრო ქრისტიანობის მიღების შემდეგ მე-4-12 საუკუნეთა მანძილზე მუდმივი თავდაცვითი ომების, მტერთაგან ჩამოვარდნებისა და ნერევა-განადგურების ვითარებაში, გაცილებით მეტ დროს საჭიროებს.

ინტენსიურმა კულტურულმა საქმიანობამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. ეს თანაბრად ითქმის როგორც საგანმანათლებლო საქმის, ისე ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგების შესახებ, აგრეთვე ფილოსოფიური და საისტორიო მწერლობის, განსაკუთრებით მხატვრული მწერლობის შესახებ.

უკვე პირველსავე აგიოგრაფიულ თხზულებებში, ხოლო შემდეგ სასულიერო პოეზიაშიც და საისტორიო თუ ფილოსოფიურ მწერლობაშიც აშეარა გამოკვეთილობით იჩინა თავი ისეთმა ასპექტებმა, რომლებიც გულისხმობდნენ სწორედ ადამიანს, ადამიანის განხილვას მის მთლიანობაში — როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღნაგობის თვალსაზრისით, ტებობას ადამიანის სიმშვერიერით, სიყვარულის მოტივებს, აგრეთვე ჭეშმარიტების დაურიდებელი ძიებისა და დაცვების მომენტებს.

აქ საქმარისი იქნება გავიხსენოთ, როგორი შეუფარავი აღტაცებით აგვიწერს მეთავე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მეტრულე გრიგოლ ხანძთელის — ბერისა და ასკეტის ფიზიკურ სრულყოფილობას:

„ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ-

სრულიად გვამითა მთელ და სულითა უბიშო”.

ხოლო ბუდას ცხოვრების ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული კერძია — ქართული „სიბრძნე ბალაგარისი“ წმიდანად შერაცხილ აბენეს მეფეს სიკვდილის წინ ამგარ გულისშემძღვრელ აღსარებას აღმოათქმევინებს:

„ბუნებით თანაც ყოველსა სულსა მწერარებაი განშორებისათვის ხორციასა და დატევებისათვის ჰაერისა და ნათლისა და წარსვლისათვის უცხოებად, სადა-იგი არა ვიცით, თუ ვთარსა იწროებასა მივალთ“.

არც კონცესიური წრეების მიერ ხშირად სატანის განსახიერებად მიჩნეული ქალის ქართველთა განმანათლებლად მოვლენა ყოფილა შემთხვევითი ქართული ქრისტიანული კულტურისათვის. არც ფსევდო-დიონისე აეროპაგელის, საერთოდ ნეკლატონიზმის იდეებით გატაცება, პლატონისა და არისტოტელეს დაუცადებელი შესწავლა, ბოლოს — იმავე სასულიერო მწერლობის წიაღიძან მაღალგანვითარებული საერთო მწერლობის ამოზრდა და ქართული ენის მესიანისტური სულისკვეთებით გამსჭვალული სადიდებლის შექმნა ყოფილა შემთხვევითი ქართული კულტურისათვის.

დავუმატოთ ყოველივე ამას, რომ საქართველოში მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და აქ მცხოვრები ხალხის ტემპერამენტისა და მსოფლშეგრძების მეოხებით იმთავითვე ხდებოდა უმაღლესი ხასიათის სინთეზი დასავლურ და ომოსაფლურ კულტურათა (ხახს ვუსვამ — სინთეზი და არა მექანიკური შერწყმა), მაშინ ჩევნ მიახლოებით მაინც პონიშენული გვექნება რუსთაველის წინასაუკუნების და თვით რუსთაველის ეპოქის ქართული კულტურის, მისი იდეალების კონტურები.

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ეს ყოველივე იყო ზეიადი შენობის მხოლოდ საძირკველი და კედლები, რომელიც მოუგუმბათებელი დარჩებოდა, სა-

ქართველოს შოთა რუსთაველი რომ მოვლენოდა.

რუსთაველმა დაასრულა, სპეციალური ჩამოყალიბი და გამოკვეთა აღამიანობის ის უმაღლესი იდეალი, რომელზეც კი საერთოდ შეეძლო ეოცნება შუა საუკუნეების მსოფლიოს, და ვაი რომ არა მარტო შუა საუკუნეებისას. მან მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ადამიანი. ამით მან დიდი ხნით წინ უსწრო ევროპის ჩენესანსს.

მაშ ასე! ყველაფერი გამზადებულია რთული ქიმიური რეაქციისათვის ახალი უძვირფასები და უკეთოლშობილესი ელემენტის მოსაპოვებლად, რეაქციაში შემთვალი ყველა ელემენტი მოცემულია, აქლია მხოლოდ ერთი რამ — ამ შემთხვევაში უმთავრესი — ელექტრული დენის ნაპერწყალი.

ეს ღვთაებრივი ნაპერწყალია რუსთაველის გენია. მხოლოდ და მხოლოდ ამ გენიალობის მეოხებით გახდა შესაძლო წირმოქმნილიყო ის უძვირფასები და უკეთოლშობილესი ელემენტი, რომელსაც ეწოდება „ვეფხისტყაოსანი“.

აქ დამსწრეთა უმრავლესობას ჩემზე უკეთ მოეხსენება რა იყო ის გორდისეული კვანძი, რომლის გახსნა ვერა და ვერ მოახერხა შუა საუკუნეთა აზროვნებამ — რელიგიურმა, ფილოსოფიურმა, რელიგიურ-ფილოსოფიურმა თუ მხატვრულმა. ეს გახლდათ ზემეცნებაში განხილი უფსკრული ღმერთსა და გამოვლენილ სამყაროს, შემოქმედსა და შექმნილს შორის. ამ უფსკრულის საიდუმლოს ამოსახსნელად ამაოდ დაშვრენ შუა საუკუნეების უკეთესი და უბრწყინვალესი გონიერი; შედეგი მუდამ ერთი იყო: შეშმარიტია მხოლოდ ღმერთი; ხოლო გამოვლენილი სამყარო, მატერიალური ქვეყანა ანუ სოფელი, როგორც ძველ საქართველოში უწოდებდნენ — მხოლოდ მოჩვენებაა, სიზმარია, არარსებულია, მაიაა, ბოროტების, სატანის საუფლოა.

დაპინძობებული, მოჯადოებული შესჩერებოდა კაცობრიობა ამ გათიშულ

სამყაროს, უფსკრულის ამ ორ ნაპირს და გამოსავალი ვერსად ეპოვნა, და თუ ფილისოფოსნი და ასკეტი წუგეშს მასში ჰპოვებდნენ; რომ აქეთა, გამოღმა ნაპირს საერთოდ ზურგს შეაქცევდნენ ხოლმე და მხოლოდ მიღმა მხარეს მიაპყრობდნენ მზერას, მწერალთა და ხელვათა ხედრი უფრო ძნელი იყო. ერთი მხრივ, ისინი მთელი არსებით აქ იყვნენ, ამ სამყაროში, გამოღმა ნაპირას, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასალა, რომლისგანაც მათ თავიანთი ქმნილებანი უნდა გამოეძრებათ, წმინდა ცნებებისაგან კი არ შედგებოდა, არაედ სწორედ ამ გამოღმა სამყაროს უკავშირდებოდა — მათვის ეს იყო კონკრეტული ჭეშმარიტება. მეორე მხრივ, რელიგია და ფილისოფია მათ ასწავლიდნენ, რომ ჭეშმარიტია მხოლოდ მიღმა ნაპირი, უფსკრულს გაღმა არსებობა, ხოლო გარემომცელი სინდდვილე დასაგმობია და ზურგშესაქცევი. და ასე მათ შეგნებაში გაჩენილი გამოუგალობის შინაგანი განცდა მძიმე დაღად აჩნდა მათსავე შემოქმედებას.

ასე გრძელდებოდა საუკუნეთა მანძილზე.

ასეთად გვესახა ჩვენ ვითარება იმ ეპოქისა, რომელშიაც ქვეყანას მოევლინა ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი.

აქ წინასწარ უნდა შევნიშნოთ: ერთი წუთით დაუუშვთა, რომ ჩვენ არაფერი ვიცით რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ. ამ თვალსაზრისით არ შეგვისწავლია „ვეფხისტყაოსანი“. ვინც ამ პოემას ერთხელ მაინც წაიკითხავს, მისთვის ისედაც ნათელი უნდა შეიქნეს, რომ ავტორი ამ პოემისა, როგორადაც იგი წარმოგვესახება „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებიდან, წმინდა ფსიქოლოგიური მხრივ არასეზით არ შეიძლება იყოს მიმდევარი რაიმე დუალისტური კონცეფციისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი-სათვის ისევე არ შეიძლება არსებობდეს გათიშული სამყარო, როგორც არ არსებობდენ მისთვის ბუნებაგათიშული გაორებული გმირები. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მონოლითური არიან.

ისინი თითქოს კლდის ვეება ნატეხები-საგან არიან გამოძრღვილნი. ტაოიელი არ არის გათიშული, გაორებულურობრივი როვნება, მიუხედავად იმისა, რომ ნესტანის პოვნის იმედი გადაიწურა და მანაც უდაბნოს შეაფარა თავი, ცხოვრებას განუდგა. შექმნილ სიტუაციაში მთლიანი პიროვნება სხვაგვარად ვერ მოიცეოდა. ეს სხვათა შორის კარგად დამტკიცეს ჩვენმა ფსიქოლოგებმა.

ზემოთქმულიდან თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ მონისტურ თვალსაზრისს ვეძებთ. მაგრამ რა ხასიათისა უნდა იყოს ეს მონიზმი? შეიძლება დავუშვათ, რომ თავისი ეპოქის დუალიზმი რუსთაველმა იმით დაძლია, უფსკრული იმით გადალახა, რომ საერთოდ მოხსნა გაღმა ნაპირის პრობლემა? ჩვენს მეცნიერებაში მდგარი აზრიც გამოითქვა — რუსთაველი მხოლოდ ამქვეყნიურობითაა დაინტერესებული, მისი ინტერესების სფერო ამქვეყნიურობის საზღვრებს პრინციპულად არ სცილდებათ. ჩემი აზრით, საკითხის მდგარიად დაყენება, საკითხის გამარტივებაა. მოდი ნუ უგულებელყოფთ ისტორიულ თვალსაზრისს და ნუ მივაწერთ რუსთაველს იმას, რაც სულ უკანასკნელ ხანს, აგრე სულ ერთი საუკუნის მანძილზე იქნა მოპოვებული: ნუ ავურევთ ერთმანეთში აზროვნების შეუზღუდველობასა და თავისუფლებას ერთი მხრივ და ათეზიმისა და მატერიალიზმის მიჯნებამდე მისვლას მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი მომენტი, რამდენადაც საქმე მე-12 საუკუნეს ეხება, საერთოდ გამორიცხულად უნდა მივიჩნიოთ, მოვლენები მათშივე მოცემული კანონებით უნდა ავხსნათ და არა ჩვენ მიერ მათთვის თავსმოხვეულით.

წინააღმდეგ გაცილებით უფრო ვეიანდელ ხანაში გამოთქმული თვალსაზრისისა, რუსთაველს არ მოჰსნია გაღმა ნაპირის პრობლემა, მაგრამ წინააღმდეგ მისივე ეპოქის გაბატონებული ტრადიციისა, ზურგი არ შეუქცევია გამოღმა ნაპირის სინამდვილისათვის თეორიულადაც კი. და მიუხედავად ამ ორი წი-

ნააღმდეგობისა, უფსკრული მაინც დაძლევულია.

უფსკრული იმით იძლია, რომ თვით იგი, ეს უფსკრული იქნა გამოცხადებული ბოროტებად და არა მოვლენათა სამყარო. ხოლო რუსთველის მიხედვით ბოროტება არაარსია, იგი მხოლოდ მოჩვენებაა, ილუზია—ღმერთსა და ქმნილებას შორის უფსკრულად გაწოლილი. ვისაც სურს ღმერთს ეზიაროს, მან ბოროტება უნდა დაამარცხოს, დარწმუნდეს გამოშველი უფსკრულის არაარსებობაში. ამ გზის გვალაა სწორედ სატანის დათრგუნვა და უზენაესთან მიახლოება.

ღმერთმა იმიტომ როდი შექმნა ქვეყანა, რომ ბოროტების საუფლოდ ეჭია იგი. ან როგორც რუსთაველი ამბობს, „ბოროტიმცა ვით შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!“ „ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს!“ უთვალავი ფერით გაშლილი ქვეყანა ღმერთის მიერ არის შექმნილი და შექმნილია სწორედ კაცთავის, ადამიანისთვის, რადგან ადამიანი ღმერთის წილია, უიმისოდ სამყაროს მთლიანობა კერ იარსებებს და ადამიანი ახორციელებს სწორედ გამოვლენილი სამყაროს კვლავ ღმერთთან დაბრუნების, მასთან შერთვის იღმავალ ხაზს.

საამისოდ ორი გზა არსებობს — სიყვარული და სიბრძნე.

რუსთაველის გაგებით სიყვარულს მიწიერ არსებაშივე შეუძლია გვაზიაროს უმაღლეს ჰარმონიას და ამგვარად მიგვააბლოოს უზენაესს. რაც შეეხება სიბრძნეს, იგი გონების გზით ხორციელდება, ხოლო გონების შესაძლებლობანი რუსთაველისათვის უსაზღვროა. ადამიანს გონება იმიტომ აქვს ბოძებული, რომ მისთვის შექმნილი ქვეყანა შეიმეცნოს, აქვე ამოკითხოს არსებობის უღრმესი საიდუმლოებანი და უზენაესი მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ეს ცოდნა: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით მოვვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“. ბრძნისათვის არ არსებობს გამთოშველი უფსკრული. მან იცის,

რომ ეს უფსკრული ილუზია და /ჩა/ ქვეყანა. ხოლო ილუზის, ბოროტების, არცოდნა ბადებს.

აյ არის პრინციპული სხვაობა რუსთაველისა და შეუსაუკნეთა ტრადიციულ აზროვნების შორის.

შეუსაუკნეთა მოაზროვნე იტყვის: ჰეშმარიტება ამ ქვეყნად არ იპოვნება, ეს ქვეყანა მხოლოდ ბოროტების საუფლოა, მოჩვენება, ილუზია. ეს ქვეყანა ისევე არა ჰგავს ღმერთს, როგორც წყვდიადი არა ჰგავს მზეს.

რუსთაველი იტყვის: ეს ქვეყანაც ღმერთის მიერ არის შექმნილი, და შექმნილია კაცთავის, ხოლო კაცი ღმერთის წილია; მაშასადამე, ამ ქვეყნად კაცის მოქმედება კაცის პირდაპირი დანიშნულებაა და არა ბოროტების ტყვეობაში ყოფნა. მხოლოდ კაცის აქტიური მოქმედებით დაითრგუნება ბოროტება და გამოაშეარავდება მისი არაარსობა. ეს ქვეყანა მზით არის განათებული, ხოლო მზე ხატია ღმერთისა. ქვეყნიური სინათლეც ღვთავებრივი სინათლეა და არა ბნელი, წყვდიადი.

სუფისტი პოეტი იტყვის: მე ვეტრფიალები ჩემს მიჯნურს, მაგრამ ეს მართლა მიჯნური როდია, — მისი ტრფაიალით მე ღმერთს ვეტრფიალები და შევერთვი კიდეც მას საზეო მიჯნურობის ექსტაზის უამს, როდესაც ამქვეყნიურობის ბორკილებისაგან ვთავისუფლდები.

რუსთაველი იტყვის: რეალურად არსებული პიროვნების და არაღთაების უსიცოცხლო სიმბოლოს სიყვარული გვაზიარებს უმაღლეს ჰარმონიას, რადგან მისი მეოხებით დაიძლევა ბოროტება, ჩამოგვევებსნება მოჩვენებითი ბორკილები და ჰქმრება ილუზია ღმერთისა და კაცის გათოშულობისა.

სქოლასტიკოსი იტყვის: მე შევიმეცნებ ქვეყანას ტიტანური ჯაფის მეოხებით მოპოვებული ცნებებით. მაგრამ უზენაესი ჰეშმარიტების საწვდომად ჩემი ცნებები უძლურია და თუ გამოცხადების სიბრძნე არ ჩამომეშველა, ჩემი გონება ვერასოდეს ვერ გადალახავს

შემნელსა და შემწელს შორის გავლებულ მაგისტრ ზღვარს.

რუსთაველი იტყვის: უზენაესი ჭეშმარიტების საწვდომად ადამიანს არ სკირდება მისტიკური ექსტაზის გზით მიიღოს გამოცხადების სიბრძნე. ღმერთმა ადამიანს გონება მიანიჭა მისივე — ღმერთის ბუნების განსასახიერებლად ადამიანში, ღმერთი და ადამიანი სწორედ გონების მეოხებით არიან ერთიანი, და ამდენად ადამიანის გონების შესაძლებლობებიც უსაზღვროა.

არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ ფუძემდებლური იდეების დასამკვიდრებლად სულაც არ იყო აუცილებელი ქრისტიანული ფილოსოფიის, კონფესიონალური ცრურწმენებით შერყვნილი ქრისტიანული მოძღვრების ფარგლებს გარეთ გასვლა. მიუკერძოებელი ადამიანი ყოველივე ამის საკმაო საფუძველს სახარებაშიც იპოვნის, მოგვიანო ხანის ქრისტიან ფილოსოფიებზე რომ ალარაფერი ვთქვათ. მით უფრო მიაკვლევდა ამას გენალური პოეტის ინტუიცია. ისიც შესაძლოა, რუსთაველმა გაცილებით მეტი დაინახა ქრისტიანობაში, ვიდრე ამას სპეცულატიური ფილოსოფია ახერხებდა. რაღა თქმა უნდა, როგორც ჩვენმა მეცნიერებმა ცხადყვეს, ეს ყოველივე ესოდეს ნათლად ვერ გამოიკვეთებოდა, ფსევდო-დიონისი არეოპაგელის ფილოსოფიური ღვაწლი რომ არა. მაგრამ აქ ხომ ლაპარაკია ამა თუ იმ იდეის გამოსამუშავებლად აჩქებულ საკმაო საფუძველზე და არა იდეათა უშუალო სესხებაზე.

რაიც გამოირიცხა მქმნელსა და შექმნილს შორის გავლებული უფსკრული და დაისახა ადამიანის ღმერთამდე ამაღლების უშუალო გზები (სიყვარული და სიბრძნე), ცხადი უნდა იყოს, რომ ადამიანის მოქმედებას ფასი უნდა ჰქონდეს აჩქებობის ორივე პლანისთვის — საღმრთო და სამქევეყნო პლანებისთვის. აქედან კი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნა გამომდინარეობს: ღმერთთან შესარწყმელად მიმსწრაფი ადამიანის ამჯვეყ-

ნიური საქმიანობა ფუჭად და აშარდაშეგრომა კი არ არის ამაოებისაგუნდებული საუკუნეთა ტრადიციისამებრ), არამედ მთლიანი სამყაროს განვითარების პროცესის მიუცილებელი ნაწილია, საბოლოოდ ისევ და ისევ საღმრთო საქმეა. ოღონდ ისიც ცხადია, რომ ეს ეხება მხოლოდ ისეთი ადამიანის მოქმედების სფეროს, ვინც სიყვარულის თუ სიბრძნის მეოხებით თავისი სწრაფვა უკვე მიმართა უზენაესისკენ. რაც შეეხება სიყვარულით ან სიბრძნით გაუსხივოსნებელ არსებობას, იგი განწირულია ბოროტების ილუზორული ბატონობის ბორკილებში იტანჯებოდეს, ხოლო ამ სფეროში მარადიული არა არის რა: „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ობერია“. აქ სრული ძალით მოქმედებს „სოფლისთვის“ დადგენილი მსწრაფლწარმავლობისა და ამაოების კანონები.

აი რატომ არის, რომ, როდესაც ვამბობთ — რუსთაველმა ადამიანი მანამდე და შემდეგშიც დიდხანს არახაულ სიმაღლეზე აიყვანაო, ვეულისხმობთ ადამიანობის იდეას და არა უბრალოდ ადამიანს. ტარიელი მთელი კაცობრიობის, მომავლის ადამიანის განსახიერებაა და არა უბრალოდ ინდოთ მეფე. იგივე ითქმის ავთანდილის, ნესტანის, თინათინის და ფრიდონის შესახებ, ამიტომ არიან ისინი მეფენი, რომ რეალურმა ვითარებამაც ხაზი გაუსვას მათს გამორჩეულობას, განსაკუთრებულობას, ყოველდღიურზე, ჩვეულებრივზე ამაღლებას.

ამიტომ არის, რომ ამ პერსონანეთა მიმართ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახმარი ეპითეტი — „მზე“ უბრალო სამყარული ან სიტყვის მასალა როდია. აქ მზესთან შედარებასაც ღრმა ფილოსოფიური საფუძველი აქვს, რადგან მზე ღვთაების ხატია და, ამდენად, ადამიანის მზეობა მის ღვთაებრიობას იდასტურებს.

ექვერთ საგულისხმო გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტონიკა მეტად და მეტად როულია, პოემა რამდენიმე პლანში მოაზრებული ნაწარმოებია.

ოლონდ ნიშანდობლივია, რომ ყოველი პლანი თანაბარი გულმოდებინებით არის დამუშავებული უმცირეს დეტალებამდე. ეს პლანები ერთმეორებზე კი არ დევს ნიადაგის შრეებივით და ამით განცალევებულობის შთაბეჭდილებას კი არ ქმნის: ყველა ეს პლანი ურთიერთგამჭოლი და ურთიერთშემავსებელია, მხოლოდ სკრუბულოზური ანალიზის მეოხებით შეიძლება მათი გამოყოფა.

მგონი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ამგვარ ნაწარმოებთა რიცხვი თითებზე თუ ჩამოითვლება, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარი ის არის, რომ ამგვარად გააზრებული და აგებული ნაწარმოები მკითხველთა უჩვეულოდ ფართო წრეს გულისხმობს. „ვეფხისტყაოსანი“ თანაბრად სანუკვარი წიგნი იყო ბრძენი კაცისთვისაც და უბრალო მიწის მუშისთვისაც, ამათ შეა მოქცეული სულ სხვადასხვა ფენის, გონებისა და განსწავლის ხარისხის აღმიანთათვისაც. ყოველი მათგანი სწორედ მისთვის შესატყის აზრს პოლობდა ამ პოემაში.

რაც ისეა, ისიც უნდა გამოვიძიოთ, რას გვებნება „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენ, მკითხველებს, რომელთა რიცხვი მილიონებს მოიცავს. რას გვეუბნება ჩვენ რუსთაველი აქვეყნიური ცხოვრების თაობაზე?

კვლავ და კვლავ ვიმეორებთ: რუსთაველი გვეუბნება, რომ ამ ქვეყნად უდიდესი ლირებულებაა აღმიანი და მხოლოდ აღმიანი, რომ აღმიანი უნდა იყოს ჰარმონიულად მშვენიერი — მშვენიერი უნდა იყოს მისი სული, მისი სხეული, მისი გონებაც და მისი მოქმედებაც, რომ აღმიანმა ისე უნდა სრულყოს თავისი ნებელობა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისკენ მიმართოს აზრიც და საჭმეც.

მაგრამ, რაც მთავარია, რუსთაველი გვეუბნება, რომ აღმიანის გნდიდებისათვის, შესატყვის სიმაღლეზე დაყენებისათვის არას გვარებს მჭვრეტელობითი, პასიური ჰუმანიზმი; რომ საჭიროა აქტივობა და აქტივობა, მუდმივი,

დაუცხრომელი ქმედება და ამით მონაზტების დათრგუნვა. აი რა აქცევს აფაშიანს ადამიანად, აი რა შეამუშავებაზებს მას საჭუთროში მოქმედ ბნელ ძალებს და რა დაამკიდრებინებს ისეთ ყოფას, რომ თხა და მგელი ერთად სძოვდეს, — ესე იგი ყოფას, როდესაც განხორციელდება ჰუმანიზმის უმაღლესი და უკეთოლობილების იღეალები.

ბოროტების ტყვეობაში მყოფი ნესტანის გამოსახსნელად აუცილებელი იყო ჭირთა გაძლება, აუტანელი ტანგვის მოთმენა, გადაულახვა დაბრკოლებათა გადალახვა და აქტივობის ისეთი უნარის გამოვლინება, რომელიც თითქმის წარმოუდგენელია უბრალო მოკვდავთათვის. ამჯერად დავეხსნათ ნესტანის ქაჯეთში ტყვეობისა და მისი გამოხსნის უღრმეს რელიგიურ-ფილოსოფიურ სიმბოლიკას და ჩვენთვის მისაწვდომ პლანში წავიყითხოთ „ვეფხისტყაოსანი“. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პლანშიც იმასვე გვაქვალის რუსთაველი, რასაც უღრმეს პლანში: პრძოლა მარადი და შეუპოვარი, აქტივობა, მოქმედება და კიდევ ერთხელ მოქმედება, წარბშეუხელი შერეკინება ბოროტების აღმოსაფხვრელად.

აი რაომ იქცა „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად ქართველთათვის, რატომ არ დააძინა მან ქართველი კაცი შეიდას წელიწადს, არ დააძინა, თავისი თავის რწმენა არ დააკარგვინა. და შეაძლებინა ჩვენს დრომდე, ჩვენს ეპოქამდე მოეტანა თავისი ნატანჯი და ნაგვემი, ლამის სისხლისაგან დაწრეტილი და მაიც მშვენიერი სხეული, თავისი განაწამები, მაგრამ მაიც მოუღლელი, უდრევი და მშვენიერის მისაღებად კვლავაც მზადმყოფი სული.

და ჩვენ გვახარებს ეს დღე, როდესაც რუსთაველის ქმნილება ქართველ ხალხთან ერთად მთელი კაცობრიობის ორგანული კუთვნილება ხდება, როდესაც ევროპელი თუ ამერიკელი, აზიელი თუ აფრიკელი შეეცდება ამ პოემაში ისე, როგორც ქართველმა კაცმა სიუკუნების განმავლობაში, ამოიკითხოს უფრო


მეტი, ვიდრე სარაინდო რომანს, თუნ-დაც ლამაზად გალექსილს შეუძლია და-იტიოს. მაშინ ჩვენ კიდევ ერთხელ ვიტ-ყვით ყველას გასაგონად: „რომელთა ასხენან ყურნი სმენად ისმინენ!“ მოის-მინეთ „ვეფხისტყაოსნის“ ბრძული და სამარადუამო იგავი: ტარიელი — ზოგა-დი ადამიანის, კაცობრიობის სახე, გან-წირულებას მისცემია, რადგან ბორო-ტების დათრგუნვის, ჭეშმარიტების მიკ-ვლევის ყველა იმედი გადაწურული აქვს. და სწორედ ამ ღროს, ამ ყველა-ზე კრიტიკულ მომენტში მოევლინება ტარიელს მისივე მეორე არსება — გო-ნების განსახიერება ავთანდილი. მოევ-ლინება, რათა დაუბრუნოს მას რწმენა, რათა კვლავ იგრძნობინოს საკუთარი ძალმოსილება და მოაგონოს: „არა ვიქმ,

ცოდნა რას მარგებს ფილფსიტოსთა ბრძნობისა!“

აი ეს არის ჩემი უმთავრესი სათქმე-ლი დღეს, ამიტომ წარმოვდექი თქვენს წინაშე ამ მოხსენებით ამ დიდებულ ფორუმზე. ძვირფასო სტუმრებო! დღე-განდელ ადამიანს, მსგავსად ტარიელი-სა, არ აქლია სიბრძნე, არ აქლია ძალ-მოსილება, ოღონდ ტარიელისავე მსგავ-სად ბოროტებისა და საშიშროების წი-ნაშე მას დღეს დაკარგული იქვს თავისი ძალების რწმენა, თითქოს აღარც კი სჯე-რა, რომ შეძლებს ეს სიბრძნე და ძალ-მოსილება მოიხმაროს ბოროტების და-სათრგუნავად.

ჩვენო ძვირფასო სტუმრებო:

— მივაშველოთ ტარიელს ავთანდი-ლი! — დავუბრუნოთ ადამიანს რწმენა!





## დაუვიზყარი დღესასწაული

26 სექტემბერს დაიწყო და 2 ოქტომბრამდე გაგრძელდა რუსთაველის დღესასწაული საქართველოში. დედამიწის მრავალი კუთხიდან ჩამოსულ ძირფას სტუმრებს მთელი ქართველი ხალხი მასპინძლობდა.

ჯერ იყო და თბილისში შედგა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი, რომელიც რუსთაველს მიეძღვნა; შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაზე შეიკრიბენ საბჭოთა და ცენტრული სწავლული და ერთხმად იღადა დეს „ეფხებისტყაოსნის“ შემოქმედის სადიდებელი.

30 სექტემბერს მთავრობის სასახლეში ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საზეიმო სხდომა.

რუსთაველის საღამოები გაიმართა რესპუბლიკის ყველა რაიონში, ქალაქსა და სოფელში.

დასტურად იმისა, რომ რუსთაველის ქვეყანაში ახლაც მძლავრად გიჩინიშებს პოეზიის ჯაღინერული კოცონი, ქართველი პოეტების ერთი ჯგუფი მიიწვიეს მოსკოვმა, ლენინგრადმა, რიაზანმა. თორმეტი დღე — ცამეტიდან ოცდახუთ თეტომბრამდე — გაგრძელდა ქართული პოეზიის საღამოები დიდი რუსთის მიწიზე.

რუსი და ქართველი ხალხების მარადიული ძმობის მატიანეში იქნოს ასოებით ჩაიწერება 1966 წლის 25 ოქტომბერი. ამ დღეს შესანიშნავ ბაღში, რომელიც ქალაქ მოსკოვის დიდ ქართულ ქუჩაზე (ასე ეწო-

დება მას ოდითგანვე!) მდებარეობს, გაიხსნა შოთა რუსთაველის ძეგლი.

ძეგლის გახსნამდე დიდიხნით ადრე ხალხით აივსო ბაღისა და ქუჩის მიდამოები. თითქოს აქ მოვიდა მთელი მოსკოვი. აქვე იყო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირები მდივნის ამხანაგ ვ. პ. მეფაგანაძის მეთაურობით.


როცა დამთავრდა მისასალმებელი სიტყვები, ტრიბუნიდან ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟენევი. მან გადაჭრა ლენტი და დამსწრეთა წინაშე აღიმართა შთაგონებული სახე გენიალური პოეტისა.

იმავე საღამოს დიდ თეატრში შედგა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელსაც დაქცირენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა რუსთაველის საკავშირო საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანმა, პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა. სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მდივანს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს პოეტ ირაკლი აბაშიძეს. მოხსენება იყო მოკლე და მკაფიო, საინტერესო და ამაღლვებელი.

დიდი წარმატება ხვდათ წილად ქართული ხელონების თსტატებს, რომლებმაც დაასრულეს ეს დიდებული დღესასწაული პოეზიისა და კულტურისა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობისა.

ՀԱՅՈՒԹ ԱԳՅԵԼՎԵՆԵԼԸ



ԱԼԵՎԵՆԵԼ  
ՑՐԱՑԱՆ

ერთი საათის შემდეგ, ოვითმფრინავ-  
მა რომ დაშვება დაიწყო, ისევ მთები  
ამოჩნდნენ, მაგრამ ეს უკვე ყირიმის  
მთები იყო — დაბლები, შეყვითლე-  
ბულ-შეხუჭებული, დაძენძილ ღრუბ-  
ლებში მიმოფარტული. ჩემს გვერდით  
სომეხი მასწავლებელი იჯა, სახელუ-  
რებს ჩატტრენოდა და შემკრთალი იძახ-  
და: აი, ახლა, აი, ახლა შევეხებით მი-  
წის და მძლავრად შეგვარყევსო. მაგ-  
რამ ისე დავმჯდარიყავით, ვერც კი გა-  
ვიგოთ.

ქუდი და საწვიმარი ავიღე და კარის-  
კენ წავედი. კართან სტიუარდესა იდგა  
და მგზავრებს კმაყოფილების ღიმი-  
ლით აცილებდა. ლამაზი არ იყო, მაგ-  
რამ მქერივი და ჯანსაღი ლოყები ჰქონ-  
და. დიდი ხნის ნაცნობებივით დავემ-  
შვილობეთ ერთმანეთს. ტრაპი ჩავირბი-  
ნე, შეგვაფებულ მგზავრებს გაშორდი  
და მიმოვიხედე.

ეროვნული მწით იყო გაბრწყინებუ-  
ლი, რაღაც მინისსახურავიანი საგნები  
პროექტორებივით ანათებდნენ, ხმელი  
ბალახი გაფიცხებულს ჰგავდა, მაგრამ,  
თბილისთან შედარებით, მაინც საგრ-  
ძნობლად გრილოდა.

ჩემი თანამგზავრები ჯარისკაცებივით  
დამწერივდნენ და ქალაქში გასასვლე-  
ლისქენ წავიდნენ. ფორმიანმა კაცმა  
მეც დამიძახა — წამოდითო. ერთხელ  
კიდევ მიმოვიხედე და გავუევი. საბარ-  
გო განყოფილებაში ჩემოდანი ავიღე.  
ეროვნულის უკან, მოედანზე გავედი.  
იქ ავტობუსები და ტაქსები იდგა, გა-  
მოკრული იყო მოძრაობის განრიგიც.  
არც ავტობუსი მაძლევდა ხელს, არც  
ვერტმფრენი — ორი საათი აქ უნდა  
მეყურებული მათ გასვლამდე. ისევ ტაქ-  
სებთან მივედი.

მძლოლები იქვე ჯგუფად იდგნენ და  
რაღაცას ლაზლანდარობდნენ. იალტაში  
ვინ მიღის-მეთქი, ვიკითხე. შეუა ხნის  
მსხვილ-მსხვილ კაცზე მიმითითეს — აი,  
ისაო. ის კაცი კიბრიკის ტარას ბულბას  
გავდა, სუფთად აპარსულ კეფაზე პატა-

რა ყავისფერი ბერეტი ჰქონდა დაკოშე-  
ბული. თქვენ მიდიხიართ-მეთქი იალტა-  
ში? არა, ალუპკაში მიყდივარუ მაგრამ  
იქ არ უნდა გავიაროთ? ფასისა ვკითხე:  
როგორაა-მეთქი მანცც. ოთხი კაცი მომ-  
ყას, თითო სამ-სამ მანეთაღო. ჩემოდა-  
ნი საბარგულში ჩავდე, საწვიმარი და  
ქუდი უკანა სამზერ მინასთან მივყარე  
და ვუთხარი:

— სანამ სხვაც გამოჩნდებოდეს, მე  
ცოტას გავივლი აქეთ.

მხედლული სალამი მომცა.

ჩემდაუნებურად მეც ხელი ვულე.

— პატარა ვარსკვლავიანი ხარ? —  
მკითხა ლიმილით.

მიგხვდი, რა პატარა ვარსკვლავზედაც  
მეკითხებოდა და თავი დავუქნი.

— გერმანელებთანაც ხომ არ გიცეპ-  
ვია ფოქსტროტი?

— ვის რა დააცადეთ?!

— ნუ სწუხარ, სამაგიეროდ, თქვენ  
ამერიკელებთან იცეკვებთ, რამდენსაც  
ინებებთ!

— ამერიკა წყალგაღმაა, რა მინდა იმ  
სიშორებს!

— კაი ძეელი ვინმე სჩინხარო, — და  
კიდევ ერთხელ ამიღო ხელი.

არაფრის ყიდვა არ მინდოდა, მაგ-  
რამ მაინც ყველა ფარდულს ჩამოვუარე.  
მაღლაც ავედი, აეროპორტის მთავარ  
შენობაში. იქ მშვენიერ ბუფეტს წავაწ-  
ყდი. ხიზილალიანი ბუტერბროდი შევ-  
ჭამე და ერთი ბოთლი ლუდი დავაყო-  
ლე. ეტყობა მებუფეტემ შემატყო, ქარ-  
თველი რომ ვიყავი და რაღაც საზეიმო  
განწყობილებით გაღმომცა კაბიკიანები-  
სა და ორკაბიკიანების გროვა. რაյო ასეა,  
ბოლომდე ზუსტნი ვიყოთ-მეთქი. ის  
ხურდა გადავთვალე, ლუდის ფასი ვი-  
კითხე და გაშლილი ხელისგულით გა-  
ვუწიდე — კარგად დათვალეთ, ვეო-  
ნებ შეცდით-მეთქი. საბრალოს ორი კა-  
ბიკი დაეკლო. გაწითლდა, დიდი ბოდი-  
ში მოიხადა. არაფრის, რას ბრძანებთ-  
მეთქი, და წამოვედი.

ჩემი მძლოლი თურმე უკვე მექებდა.  
მუშტარი ეშვევა და მერე რა მუშტა-  
რი! — გენერალ-ლეიტენანტი, მეუღლი-

თურთ. მეოთხე კაცისთვის აღარ დაუცლია.

— ნებას მომცემთ, წავიდე? — ჰეთხა გენერალს.

— წავედით! — ბრძანა გენერალმა.

მძლოლი საჭეს მიუჯდა, მანქანა დაძრა და გაიჭიმა. ასე, გაქვავებულივით იჯდა მოელი გზა.

ქალაქის ის ქუჩები, რომლებსაც ჩვენ შევუვებოდით, უსახური იყო. არც შემოგარენს დაგუინტერესებივარ მანქცდამაიც: ერთმანეთში გადახლართულიყვნენ მაღალი ძაბვის ანძები და ბარაკებივით გაშემული თეთრი სახლები. გენერალი ხუმრობდა და სულ იმას ვუსმენდი. მისი მეუღლე იმრიზებოდა — რა არასერიონზულად იქცევით. ის კი უფრო და უფრო ეშები შედიოდა — ნიკოლოზისდროინდელ ანეგდოტებს ცვებოდა ყირიმში ჩამოსულ დასხვენებლებზე. ჩემი საღაურობა რომ შეიტყო, მხარზე მეგობრულად წამომითათუნა ხელი. თითქოს რაღაცას მანუგეშებდა — ეპ-ეპ-ეპ. მერე მითხრა: ერთი თქვენებური ამხანავი მყავდა, ქარსელაძე, დაიღუპა საწყალი, ძალიან მამაცი ბიჭი იყოთ. მუშტრის თვალით ამხელ-დამხედა. არც შენ უნდა იყო ცუდი ყმაწვილი, მე ძველი გენერალი ვარ და ას ნაბიჯზე სუნით ვგრძნობ, პირონს ვხვდები თუ კაცურ კაცო.

მთები დაიწყო, წამოწვიმა. ძალიან ჩვეულებრივი, ტყეწვრილით შემოსილი, გადამრგვალებული მთები იყო. წვიმითაც — უღიმდამოდ წვიმდა, მაგრამ მანქც მესიამოვნა. ისეთი სიმშვიდე ვიგრძენი, ბავშვობისას რომ ვერძნობდი ხოლმე სხვაგან ყოფნის შემდეგ შინმიბრუნებული. წიწვიანმა ტყემ ვასილევის ყირიმული პეიზაჟი გამახსენა — ოთხი მაღალი ფიჭვი რომ დგას გორაქზე, ქვემოთ კი მოჩარდახული ურემი მიდის, ნაწვიმარია. ეს სურათი ძალიან მიყვარდა პატარაობისას, საწოლის თავზე მეკიდა და ყოველ ღილა-საღამოს ვუყურებდი. მე ის ახლაც მიყვარს...

რომ ავივაკეთ, ცა გაფართოვდა და

პორიზონტზე ბურუსიანი ზღვა გამოისახა. გენერალი ადგილზე ვეფარ მსვანებდა, ყირიმის ომების ამბებს გვიცვა ბოლა და იმ ადგილს დაექებდა, სადაც კუტუზოვი თავში დატრეს. ბოლოს იქაც მივედით. გზის პირასვე იყო, — თაფლისფერი ტუფისა თუ მარმარილოს მთელი ნაგებობა. მემორიალური დაფის ქვეშ ვიღაცებს უკავილებიც კი დაეტოვებინათ. გენერალმა მანქანა გააჩერებინა და ქუდი მოიხადა. რამდენეგრმე ამოიხრა, თავი გადააქნია.

მერე კლავ წავედით.

ალუშტა, არტეკი, გურზუფი, შორს მთა აი-პეტრი, სულ ნაცნობი და ნაცნობი სახელები! ყოველ სახელთან დაკავშირებით — სხვა სახელები, მოგონებები! და ისე გავიდა სამი სათი, არაფერი გამიგია.

— აი, აქ მაღლა ახვალთ და მანდვეა ის სახლი, თქვენ რომ მიდიხართ, — მითხრა მძლოლმა და მანქანა გააჩერა.

ფული გადავუხადე, გენერალს დავემშვიდობე და ჩამოვედი. მძლოლიც ჩამოვიდა, საბარგული გახსნა, ჩემოდანი მომცა, ხელი ამიწია, საჭეს მიუჯდა და მანქანა დაძრა.

ოც ნაბიჯზედაც არ იქნებოდა წასული და საწვიმარი და ქუდი გამახსენდა.

— ტაქსი! ტაქსი!

ეს იყო და ეს. ამ ორი სიტყვის ამოძახება ძლიერ მოვასწარი, სახლის ქიმს მოეფარა.

ცოტა ხანს ვიდექი და ლიმილით ვფიქრობდი, ეს რა დამემართა-მეთქი. საწვიმარი ძვირფასი არ იყო, არც ქუდი ღირდა რამედ, მაგრამ შეიძლება აქ ნოემბრის ნახევრამდე დაერჩენილიყავი და მაშინ უთუოდ დაჭირდებოდა.

ჩემოდანი ავიღე და ვიწრო, სუფთატროტუარს გავყევი. პატარა მოედანზე მილიციელი იდგა. მივედი და ვუთხარი, ასე და ასე დამემართა და როგორ უნდა მოვიქცე-მეთქი. ჩენი განყოფილება აგერ იმ შენობაშია, მორიგეს მიმართეთ და ის დაგეხმარებათ.

ხილქვეშ გავედი და პატარა ჩიხში შე-

ვუხვიეთ, — განყოფილება იმ ჩიხის ბოლოს იყო.

სამორიგეოში ორი კაცი დამხვდა, ერთი ლეიტენანტი, მეორე — სერეანტი. მოწყენილები ისხდნენ და პაპიროსს აბოლებდნენ. მივესალმე და ახლა იმათ მოვუყევი ჩემი გასაჭირი.

— მანქანის ნომერი თუ გახსოვთ? — მკითხა ლეიტენანტმა.

ახლადა გამახსენდა, მანქანის ნომრის ცოდნა რომ რამეს ნიშავდა.

— არა, არ მახსოვს. — მივუგე დარცვენილშა. — თუმცა, მოიცათ...

სიმფეროპოლში, აეროპორტთან, ჩვენში გავრცელებულ ნომრებს მიჩვეულმა ოვალმა უცებ ინიშნა, რომ აქაური ნომრები სხვანაირად იწყებოდა. რაღაც კრ... კრ...

— კრ 01-52, მგონი ეს ნომერი უნდა იყოს.

— ნამდვილად?

— დაბეჭითებით არ შემიძლია თქმა, ისე კა...


ესეც მოვუყევი, როგორ დამამახსოვრდა.

ორივეს გაეცინა, ლეიტენანტსაც და სერეანტსაც.. მერე ლეიტენანტმა სადღაც დარეკა, რაღაცები გამოიყითხა, ყურმილი დაკიდა და მითხრა:

— მანქანა ალუპკისაა. ჯერ არ დაბრუნებული გარაუში. წაბრძანდით, მოეწყეთ და მერე შემოიარეთ. შევეცდებით, გიბოვოთ.

მაღლობა გადავუხადე, დავემშვიდობე და წამოვედი. ჯერ ისევ იმ ადგილას მივედი, სადაც ტაქსი დამტოვა, მერე აღმართი ავყევი. აღმართი მოკირწყულული იყო, ქვაფენილი წვიმას გადაერეცხა. ქეთაც და ქითაც დიდი ხეები იდგა, დიდი ხეები და თეთრი, პატარა სააგარაკო სახლები. სახლები მაღე გათავდა და ერთიანი ბალი დაიწყო. ერთ ვეება ფიჭვზე თუნუქის ფიჩნიში იყო ჩამოიყიდებული — ბალი ამაღამ სახლისაა და უცხო პირთა შესვლა აკრძალულია. ფიჭვებს შორის ნუშისა და ზეთისხილის ხეები გაბარდულიყო. მთავარ გზა-

ზე ასფალტი ეგო, განშტოებებზე / აგურის ფხენილი მოეფინათ.

აღმართს კიბეები მოჰყვა.  ებიც ავიარე და დიდი, სვეტებიანი სახლის ეზოში ავედი. სვეტებივეშ დაწყული საქანაო სავარძლები იდგა, შიგ ხნიერი ქალები და კაცები ისხდნენ. უცხო რომ დამინახეს, ჩემქენ დაიწყეს ყურება. საერთო სალამი მივეცი და ვიკათხე — დირექტია სად არის-მეთქი. ერთმა მელოტმა მოხუცმა მიმასწავლა:

— აგრე, პატარა შენობაში.

წამოდგა, რამდენიმე საფეხურზე ჩამოვიდა და უფრო ზუსტად ამიხსნა:

— ბოლოდან პირველი კარი, ხედავთ, აბრაც არის კადელზე.

თითქმის მთლიანად ოქროს კბილები ჰქონდა. მაღლობა მოვახსენე და იმ პატარა შენობასკენ წავედი.

დირექტორმა დასასვენებელი სახლების მუშაქთავის დამახასიათებელი ენთუზიაზმით მიმიღო. მეო, თბილისის ძეველი მოყვარული ვარო. ბევრი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა. ზოგი მათგანის აღნაგობა გავიხსენეთ, ზოგის ხმა და ხასიათი. კარგა გემრიელად ვიცინეთ და საქმეზე ამის შემდეგ გადავედით. აღმინისტრატორი გამოიძახა. მშვენიერი თეთრხალათანი ქალი გამოცხადდა.

— გაბარებთ ამ ჩემ მეგობარს და თქვენ იცით.

ქალმა ალერსით გამიღიმა, წამომყევითო. ჩემოდანი ავიღე და წავყევი.

ოთახი მომცა. მორიგეს თეთრეული მოატანინა. კეთილი დასვენება მისურვა და მოკლედშეჭრილი თმის სწორებით წავიდა. — ოდნავ წინ დახრილი, საქმიანი ნაბიჯებით. ოთახი პატარა იყო. ერთი საწოლი იდგა, ერთი კარადა და ერთიც მავიდა. სამაგიეროდ, იქიდან სანახაობა იშლებოდა შესანიშნავი. მთელი ქალაქი ჩანდა, ქალაქის იქით კონსერვის ყუთისფრად ალაპლაპებული ზღვა იყო. ზღვაში ორი გემი იდგა. ერთიდან კვამლი აღიოდა.

ტანტ გავიხადე, ხელ-პირი დავიბანე და დასასვენებლად დავწექი. ლოგინი გრილი იყო, ქლორის სასიამოვნო სუნი

ასდიოდა. საათნახევრის შემდეგ ავდე-  
ქი, ხუთი ხდებოდა. ვიცოდი, რომ ამ  
დროს სამხრობა იშუყებოდა, ცოტა ვი-  
ვარჯიშე, ცივი წყალი გადავივლე, თეთ-  
რი ხალათი და ჯაჭვისფერი პულო-  
ვერი ჩავიცვი და სასადილოში წავედი.

სასადილოს დიასახლისი კუთხეში  
მდგარი მაგიდისკენ წამიძღვა. იმ მაგი-  
დასთან ერთი ყმაწვილი ქალი იჯდა. სამ-  
ხრეთელს ჰგავდა, შავი, სწორი თმა  
მხრებამდე ჩამოშლოდა. დიასახლისმა  
მორიდებით მიმართა:

— აელიტა, ძეირუასო, თუ ნებას მომ-  
ცემთ, თქვენს მაგიდასთან დავსვამ, —  
და ჩემზე მიუთითა.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! —  
აჩქარებით ამინდახა ყმაწვილმა ქალმა  
და კოვზი ჩაის ამოურია.

მე დავგეხი და ჩუმჩუმად დავუწევ  
თვალთვალი. თეთრი, თეთრი ჟაფეტი  
ეცვა, მარცხენა ხელზე, იქ, სადაც სამა-  
ჯურს იკეთებენ, მამაკაცური „გიმპელი“  
ეკეთა. მთელი ყურადღება ჩაის ჭიქაზე  
ჰქონდა გადატანილი. უცებ მუდარის  
ლიმილით მომიბრუნდა:

— თქვენ ლიტა დამინახეთ. რა უბე-  
დურებაა სამსართულიანი ა-ე-ლ-ი-ტ-ა.  
მარტო პასპორტში მიწერია ეს ოცდა-  
ათიანი წლების ცოდვა. თქვენ რა  
გვიათ?

— არც მე ვარ თავისუფალი მაგ  
ცოდვისაგან.

— მაინც?

— დავითო.

— რა საოცარია, არა? რამდენი და-  
ვიდოვია რუსეთში, დავიდი კი იშვია-  
თად ჰქვიათ. მე მომწონს და-ვიდ.

— მაგრამ ჩვენში ასე არ გამოთქვა-  
მენ. თანაც მე დათოს მეძახიან.

— დატოს?

— არა, დათოს.

იქვე დავიშუეთ ვარჯიში, რომ ეს სი-  
ტყვა სწორად წარმოეთქვა, და ვარჯე-  
ულ წარმატებასაც მივაღწიეთ.

საქართველოზე უცნაური წარმოდგე-  
ნა ჰქონდა, — ლამაზი ქალი მარტო ვერ  
გაივლის ქუჩაშიო.

— ლამაზი ქალი კი! — მივუგო დი-  
მილით.

იმასაც გაეღიმა და ვითომტუსასსტება-  
შორისოდ თქვა:

— თქვენი ქალები იშვიათად არიან  
ლამაზები, ბიჭები კი თითქმის ყველანი.

ავდექით და ერთად წამოვედით. ძა-  
ლიან რბილად და ლამაზად მოდიოდა.  
შევამჩნიე, რომ სხვა მაგიდებიდან ვი-  
ყურებდნენ. კიბეზე ის მელოტი მოხუ-  
ცი შეგვეცდა, დარექცია რომ მიმასწავ-  
ლა. დღემშვიდობისაო და მკითხა:

— როგორ მოგწონთ, ყმაწვილო, აქა-  
ურობა?

— ძალიან მომწონს, — მივუგე მე.

— სასიამოვნოა, სასიამოვნო.

რომ გაგვცდა, მე და ლიტამ ერთმა-  
ნეთს შევხედეთ და გაგვეცინა.

— მშევნიერი მოხუცია, არა? — მკი-  
თხა ლიტამ.

— საკმაოდ.

— იცით ვინ არის?

ისეთი გვარი დამისახელა, სახტად  
დავრჩი.

— ხომ ჩაგიბარებიათ მაგის რაღაცე-  
ები?

— უნივერსიტეტში.

— მე საშუალო სკოლაში. რა არა-  
ზუსტია ხოლმე ჩვენი წარმოდგენები,  
არა?

— აბა!

— მწერალი მე მეგონა... ეგ სისულე-  
ლეა, ბუმბერაზი კი არა, ძალიან ჰარმო-  
ნიული პიროვნება. ყველას ასე ჰერნია.  
თქვენც მწერალი ხართ?

— რაღაც მაგვარი.

— ესე იგი უნდა იჯდეთ და სულ წე-  
როთ?

— მხოლოდ დილდილობით.

— მერე რას გააკეთებთ?

— მერე ვისეტიალებ.

— დაათვალიერეთ ეს ბაღი?

— არა, ახლა გამოვედი პირველად.

— მეც პირველად ვარ, მეც დილას  
ჩამოვედი. ახლა ხომ საღმოა, ხომ შე-  
გვიძლია წავიდეთ აი იქით, ხეინისა-  
კენ?

— რა თქმა უნდა.

ყვავილების კვლებს გავცდით და ხე-ივანში შევედით. ეს ხეივანი კი არა, გა-რინდებული უღრანი ტყე იყო. ერთმა-ნეთს ჩაცეოდნენ ხავსიანი მუხები, ნე-კერჩელები და რცხილები. აქა-იქ შე-მოჭრილ ჩამავალ მზის სხივებზე თვა-ლისმომჭრელად ბრწყინავდნენ აბლა-ბუდები, ყვითელი ფოთლები და ნაპერ-წელებივით მორიალე ქინჯლები. სად-ლაც სიღრმეში შაშვებმა ატეხეს ჭაბ-ჭახი. მათმა ჭაბჭახმა ერთი ბაგშვური გასართობი გამასხენა. ხელისზურგი ტუ-ჩებზე მივიდე და შეშფოთებულ შაშვს გამოვაგავრე. მი წამსვე მიბასუხეს, — აქა ვართო. ლიტას გაუკვირდა და ამან უფრო წამახალისა. კიდევ და კიდევ და-ვუჭახჭახე. ის შაშვები ხომ გამომება-სუხენ, სხევებიც აცყვნენ. რამდენიმე სულ ახლოს მოფრინდა. გაქვირვებული დამექებდნენ. აბა რას მიხვდებოდნენ, მე რომ ვიყავი!

— სხვა რამების მიბაძვაც თუ შეგი-ძლიათ! — აღტაცებული თვალებით შე-მომყურებდა ლიტა.

— ხოგიერთების.

— მაინც?

— მტრედების, მწყრების, კაჭკაჭე-ბის, ბაყაყების.

— აბა ბაყაყებს მიბაძეთ!

— ბაყაყები რომ არ არიან?

— იქნებიან სადმე.

სიცილისაგან თავი შევიყავე და ბა-ყაყების გამოჯავრება ვცადე. ერთხანს ასე მეგონა, ჩავულავდი-მეტქი, მაგრამ მერე საქმე გამოსწორდა — ქვემოთ ზე-ვიდან ნამდვილმა ბაყაყმა დამიძახა: ვი-ნა ხარ, შენი ნათქვამი ვერ გავიგე, გაი-მორე, რა გინდაო. მე გაუმეორე. ის გაბრაზდა: რას დუღლუნებ, ნუთუ ორი სიტყვის სწორად წარმოოქმა არ შეგიძ-ლიაო. მე ისევ ძევლებურად განვაგრძე. მაშინ ბაყაყმა ერთი ესლა თქვა: გადა-რეული ხარ, ვიღაცა ხარო, და გაჩუმდა. ბევრი ვეძახე, მაგრამ ხმა აღარ ამოუ-ლია.

— რატომ გაჩუმდა? — მკითხა ლი-ტამ.

ვუთხარი, რაც მოხდა.

პატარა ბავშვივით აკისკისდა.

— რა ყოფილართ, ღმერთო წემო, იძახდა და გვერდზე გადახრილო მომა-ლიერებდა. — გაჭირვებისას თქვენ მა-გითაც კი შეგიძლიათ იცხოვროთ. ხომ გამოლიან ხოლმე იმიტატორები სცე-ნაზე!

— აბა, აბა!

მოედანივით რაღაც იყო — დაგვილი, დასუფთავებული. ლიტამ ხელები გაშა-ლა, თან მიდიოდა და თან ნელ-ნელა ტრიალებდა. უცებ ისე დაბზრიალდა, შენვილი მომესმა პაერისა თუ მიწის.

— თქვენ უფრო ზედგამოჭრილი ყო-ფილხართ სცენისათვის! ბალერინა ხართ?

— აჲ, არა, რას ამბობთ! ექიმი-კარ-დიოლოგი.

— გულს კურნავთ? — ვკითხე პრო-ვინციელი დარღიმანდის კილოზე.

— გააჩნია პაციენტს. — ასევე მომი-გო იმანაც. თან ვითომც შერცხვა, თვი დახარა.

ორივემ გავიცინეთ და გზა განვაგ-რეთ.

მაგრამ გზა მაღლე მავთულხლართმა გადავვიჭრა. იქით სხვა დასასვენებელი სახლი იყო. უკან გამოვბრუნდით და სასადილოს მახლობლად, ძელსკამზე ჩა-მოვსხედით. ლიტამ ფეხი ფეხზე გადა-იდო, ხელები კეფაზე შემოიწყო და ღრმად ჩაისუნთქა.

— მე მოუთმენლად ველი ტრანსპორ-ტის ყოველ სიახლეს. მინდა, მაღლე დად-გეს ის დრო, როდესაც ათ-თხუთმეტ წუთში გადმოთვრინდები მოსკოვიდან, თუნდაც რამდენჯერმე ჩაისუნთქავ ამ უცნაურად ალერსიან პაერს და მერე წა-ხვალ უკან.

— ეგ უთუოდ იქნება, მაგრამ, ვის-თვის იქნება, ეს არის საკითხავი. თუმ-ცა... სად მუშაობს თქვენი მეუღლე?

დავინახე, რომ ვიზგიზა შავი თვალე-ბი ნელ-ნელა გაუცივდა და ბოლოს მთლად გაეყინა. შევცებუნდი — ხამი ვი-ღაცა არ ვეგონო-მეტქი და სწრაფად დავუმატე:

— ფულიანი ძიები ახლაც ახერხებენ  
ასეთ რამეებს (თითქოს მხოლოდ ამის  
თქმა მდომებოდეს, და არა იმის გავება,  
ქმარი ჰყავდა, თუ არა).

— აჲ! — წამოიძახა მან.

მე კი ჩემი ნათქვამის დაზუსტება გან-  
ვაგრძე.

— საქმოსნები, დღეში რომ იმდენს  
აკეთებენ, რასაც ჩენ თვეში ვიღებთ...

მაშინ ხელი ხელზე დამადო, გამილი-  
მა და მითხრა:

— მე ქმარი არა მყავს. რაც შეეხება  
საქმოსნებს, მოდით, ეს რამდენიმე დღე  
მაინც ვიცხოვროთ უიმათოდ. ხომ?

მორჩილების ნიშნად ხელები მაღლა  
აყშივ.

— გნებდებით!

— დაუშვით ხელები და ეს მითხა-  
რით: საბანაო ამინდი გამოვა თუ არა  
ხვალ?

— გამოვა.

— რაზე ატყობთ?

— ცხვირი მიგრძნობს.

— იმ სიმაღლე ცხვირი გაქვთ, შეძ-  
ლება მართალიც იყოთ.

— აბა რა!

კიდევ კარგა ხანს ვიღაპარაკეთ თას-  
ვარი აბდა-უბდა. მერე ავდექით და ქა-  
ლაქში წავედით. ქალაქი არც მე მენახა  
და პრც იმას. თითქმის ყოველ ასე თუ  
ისე საინტერესო სახლთან გჩერდებო-  
დით და ვმსჯელობდით, ღირდა თუ არა  
იმ სახლში ცხოვრება.

ერთ ფარდულში პამიდორის წვენს  
ყიდდნენ — აი, ისე, როგორც ჩენთან  
წყალს ყიდიან ხოლმე. ლიტას გაუხარ-  
და. გინდა თუ არა, შენც უნდა და-  
ლიოო. ჩემს დღეში არ დამილევია-მეთ-  
ქი. მით უმეტესო, და ძალით მომაჩეჩა  
ჭიქა. ვსვამდით და ერთმანეთს ვუყ-  
რებდით ლიმილით. მსხვილი ტუჩების  
ზემოთ მუქი ლინლი აჩნდა, წარბები  
ცისარტყელებივით სწორად ჰქონდა გა-  
დახატული.

— თქვენ რუსი არა ხართ. — ვუთხარი  
უცებ.

— არცა ვარ.

— ბოშა ხართ?

— ბოშებს ჩემნაირი მრგვალი ხეხე  
არა აქვთ.

— აბა?

— თათარი.

— ოპო!

— რა ოპო! ვვაროსნული ომის გაგ-  
რებების სურვილი ხომ არ დაგება-  
დათ?

თავი დავუქმი.

— წააგებთ.

სიცილ-სიცილით გავედით ზღვასთან.  
უკვე ბნელდებოდა. პორტში დიდი თეთ-  
რი გემები იდგა. საღლაც ახლოს „მარი-  
ნას“ უკრავდნენ. სანაპიროს კედელთან  
წყალი ჰყავუნობდა. პაერი მაზუთისა  
და თევზის სუნით იყო გაედგნილი.

— გავიდეთ ზღვაში? — ვკითხე ლი-  
ტას და ნავებზე ვანიშნე.

— როგორც გინდათ.

— გავიდეთ წყალქვეშაფრთხებიანით.  
ბილეთები ავილეთ და პირს გაყე-  
ვით. ნავში ორი სხვა იჯდა, ორიც ჩენ  
მივემატეთ. მენავემ ძრავა ჩართო და  
ნავის შემობრუნება დაიწყო. ლიტა  
მხრით მომეულდა, მე ხელი მოვხვიე, ნა-  
ვი გასწორდა, მაგრამ ხელი აღარ ჩამო-  
მილია. თავი მაღლა ჰქონდა აწეული, ნი-  
ავი თმას უწერავდა და მისი სურნელო-  
ვანი ბოლოები სახეზე მელიტინებოდა.  
ჩენენ წინ მგდარი წყალი ხან აღტაცე-  
ბისაგან კიოდა, ხან შიშისაგან; ჩენ კი  
ჩუმად ვისხედით. მხრიდან ხელი მაღლა  
ავწიე და ლოყაზე მოუსვი, თმის სწო-  
რება დავუწიყე. უფრო მოხერხებულად  
მომეურდნო და თვალები დახუჭა.

წარმოუდგენლად ჩქარა გავიდა ოცი  
წუთი.

— კიდევ ხომ არ წავიდეთ?

— არა.

პირსზე გადავხტით და სანაპიროზე  
გავედით. ის იმსიგანე ქუჩა სულ სავსე  
იყო მოსეირნებით. მავაჭირთან ჩამწ-  
კრივებულ ძელსკამებზე მოხუცები ის-  
ხდნენ და კმაყოფილი თვალებით შეპ-  
ყურებდნენ ამვლელ-ჩამვლელთ. ამვ-  
ლელ-ჩამვლელში კი (ასეც ველოდი),  
ახალგაზრდობას შუახნის ხალხი სჭარ-  
ბობდა. ვინც იყვნენ (გოგო-ბიჭობას

ვგულისხმობ), იმათაც სასაცილო, განიერი შარვები და ნაოჭასხმული, ყვავილებიანი აბრეშუმის კაბები ეცვათ. ზოგიერთ მეტისმეტად თავმომწონე ჯეის მქერდზე „სპილოლაც“ ეკიდა, ანტენა მოელ სივრცეზე ჰქონდა აწეული და ფაზური მუსიკით ტებებოდა. ლიტა პატარასავით ხელიხელაშეკერდული მომყვაბოდა, ყველაფერს ამჩნევდა და ყველაფერი ახარებდა.

ფართო სანაპირო რომ გათავდა, ტერასებად დაყოფილი გაზონები დაიწყო. ტერასებს ქვემოთ, ზღვის პირას, რესტორანი იყო — „პრიბოი“. იქიდან სიცილისა და საცეკვაო მუსიკის ხმა ამოდიოდა.

— ხომ არ გვენახა რა არის ეს „პრიბოი“?

ლიტამ მხრები აიჩეჩა.

ხის მორყეული კიბები ჩაგიარეთ და რესტორანში შევედით. გარდერობში წნიერი ქალი იდგა. ღიმილით შეგვეგება და გული დასწუდა, რომ არაფერი გვქონდა გასახდელი. მაშინ ლიტამ უკეტი შემოიძრო და მიაწოდა.

— ოო! — აღტაცებით მოიძახა მოხუცმა ქალმა. — დანაშაულია ასეთი მხრების დომალვა!

გამეცინა და ლიტას მივხედე. მართლაც ძალიან ლამაზი მხრები ჰქონდა. — ფრთხილად მოხაზული, თხელი, სალუქი; მძიმედ დაწეულ მქერდს ზემოთ აშკარად ეტყობოდა თითქოს მთრთოლვარე წვრილი ლავიშის ძვლები. ორივე ხელი რამდენჯერმე ჩამოისვა თმაზე, კაბაც გაისწორა და სახეგაბრწყინებული გამომყვა გვერდზე.

დარბაზი მრგვალი იყო. ჩრდილოეთით, სცენასავით შემაღლებულ აღგილზე, მუსიკოსები ისხდნენ. დაბლა საცეკვა მოედნანი იყო დატოვებული. მუსიკოსები გატაცებით უქრავდნენ, არც მოცეკვავებს უნდოდათ ჩამორჩენა — ისინიც თვითინებურად ცდილობდნენ, მაგრამ როგორდაც არ გამოსდიოდათ; ამას თვითონვე გრძნობდნენ და მორცხვად ეღიმებოდათ.

დარბაზში ცარიელი მაგიდა არ აღ-

მოჩნდა. გარეთ გავედით, იქ ხვიმოდა, მორკალური აივანი ზედ ზღვის ტალღებზე იყო გადამდგარი. ბედადე გონია წყვილმა ფული გადაიხადა და წავიდა. სუფრის ალაგებისთვის აღარ დაგვიცდია, ბოთლები და ჭიქები ცალ მხარეზე მივწიე, დავსხედით. ოფიციანტი მალე მოვიდა. სუსტი, ცხვირშაწვეტებული, მეოცნებე თვალებიანი გოგონა იყო. გახარებული შემოგვყურებდა და ფანჯარს აწვალებდა.

— სტუმრები კავკასიიდან, ხომ?

მე თავი დავუწნე და ვკითხე — რით შეეძლოთ ესიამოვნებინათ სტუმრებისათვის.

სწრაფად ჩამოთვალა: რამშტექსი, კატლეტი, ლანგეტი და სხვა ამისთანანი. — ღვინო?

— ღვინო მხოლოდ მუსკატი და საბჭოთა შამპანური.

— რომელს ამჯობინებთ? — ვკითხე ლიტას.

— ქართული ღვინოები არა გაქვთ? — მიუბრუნდა იგი ოფიციანტს.

ოფიციანტმა დაირცხვინა — ქართული ღვინოები არა ჰქონდათ.

— ბულგარული?

— არც ბულგარული.

— მოგვიტანეთ კონიაკი! ერთი ბოთლი კონიაკი! — წამოვიძახ მე.

ლიტას გაეღიმა და ამან გადაწყვიტა ყველაფერი.

გვშიოდა კიდეც. თითო ლანგეტი შევჭამეთ და მერე საოცრად მსხვილ მუსკატის უქრძენსა და სომხურ კონიაკზე გადავედით. ორ-ორი ჭიქა კონიაკი რომ დავლიეთ, საცეკვაოდ წავედით. ლიტა შესანიშნავად ცეკვავდა. ამან ერთხელ კიდევ მაქმევინა — ნამდვილად ბალერინა ხართ-მეთქი.

გაეცინა და საყვედურით მომიგო:

— იყი გითხარით, ექიმი ვარ.

დარბაზში მყოფნი გვიყურებდნენ. გამოგბრუნდით და ისევ ჩეენს მაგიდასთან დავსხედით. ის იყო ჭიქები შევავსე და ვიღაც სქელი ძია მოვიდა — თქვენი დამა საცეკვაოდ გამომყვესო. მე ლიტაზე ვანიშნე — თვითონ თუ სურს-მე-

თქ! ახლა ლიტას მიუბრუნდა, თან კი-  
დევ უფრო დაიტებო ქალური ღიმილით  
სახე. ლიტა გაძყვა. ცოტა ხანს ეცეკვა  
და დაბრუნდა.

— შენზე მეითხა იდიოტმა: ქართვე-  
ლია და რა არის შენიო.

— მერე რა უთხარი?

— შეყვარებულია-მეთქი. ქმარი ხომ  
გყავთო. ქმარიც მყავს-მეთქი. მერეო.  
მერე ეგ შეყვარებულია-მეთქი. გადაი-  
რია იდიოტი.

ისე უბრალოდ, სიამოვნებით ყვებოდა  
ამას, ვითქმირე, ეს ქალი უთუოდ რაღაც  
ხათაბალას გადამკიდებს-მეთქი, მაგრამ  
აქ ამაზე ფიქრის ადგილი არ იყო. ჭიქა  
ჭიქას მივუჭახუნეთ და დაკლიეთ. იმ  
სქელი ძიას მაგიდის წევრები ხშირ-ხში-  
რად იხედებოდნენ ჩეენები. ლიტას კი  
ერთხელაც არ გაუხედავს იქით.

ავდექით და ერთხელაც წავედით სა-  
ცეკვაოდ.

მედოლე მოგვეწონა ორკესტრანტებს  
შორის. ხეიბარი იყო (ცალი ფეხი არ  
ჰქონდა), თავდავიწყებით ეძლეოდა მე-  
ლოდიის რიტმს. შეგვამჩნია, თვალს  
რომ გადეგნებდით, და მთლად აიწვიო-  
რა. თან გვანიშნებდა, ნახეთ, თქვენი  
გულისთვის ვირჯები ასეო.

ცეკვა რომ დივამთავრეთ, ოფიციან-  
ტი გამოვიძახე და ორი ბოთლი შამპა-  
ნური გაუგზავნე იმ მედოლეს. სულ  
ვხედავდი — როგორ მივიდა ოფიციან-  
ტი, როგორ დაუწყო ბოთლები გვერდ-  
ზე და როგორ ანიშნა, აი, იმათ გამოვიგ-  
ზავნესო. მედოლემ ძალიან გაიხარია. პა-  
ეროვანი კოცნითა და ხელის მაღლა აქ-  
ნევით გადავიხადა მაღლობა და უფრო  
უმატა სიბეჭითეს. მაგრამ ჩვენ მეტი  
აღარ გვიცეკვია. ფული გადავიხადე  
(ჩვენებურად), ჯერ ისედაც ხომ დნებო-  
და ოფიციანტი, ახლა მთლად დადნა, —  
ხშირად გვეწვიეთ, კარგი მასპინძლობა  
შეგვიძლიაო. მეგარდერობე ქალსაც მი-  
ვეცი ფული, იმანაც ზუსტად ასე გვითხ-  
რა; თვითონ ჩააცვა ლიტას უკეტი, გა-  
რეთ უკვე ცივა და გაციდებითო, და  
წამოვედით.

ერთი სიტყვა არ უთქვამს ლიტას —  
ან დავთვერი, ან უუხ, ჩემს სეცოცხლე-  
ში ამდენი არ დამილევიათ. მხრებზე ხე-  
ლი მოვხვივ და ისე ამოვიყვანე კიბეებ-  
ზე. ერთ ხანს ზემ-ზემოთ ვიარეთ, გვი-  
ამოვნებდა პირქარი და ცივი, ჩაბნელე-  
ბული ზღვის ხმაური, მერე ლიტამ  
თქვა:

— უკვე გვიანია, წავიდეთ, თორემ შე-  
იძლება ველარც კი მივაგნოთ ჩვენ  
სახლს.

გამოვბრუნდით. ფართო სააპიროზე  
ხალხი შეთხელებულიყო. ვინც იყვნენ,  
ისინიც თავთავიანთ ჭიას ახალებდნენ.  
მხრებზე ხელშემოხვეული ვატარე თით-  
ქმის პორტამდე. იქ ვიწრო ქუჩაზე ავუხ-  
ვიეთ. შემოვაბრუნე, თავი გადაუწიე  
და კოცნა დავუწყე. რაღაც უცნაური,  
გაშტერებული ღიმილით მნებდებოდა.  
კიდევ ერთხელ გამიელვა ფიქრმა, ეს  
უთუოდ რაიმე ხათაბალას გადამკიდებს-  
მეთქი, მაგრამ იმავე წამს ჩემს თავზე  
გავბრაზდი, რამ გამალაჩრა-მეთქი ასე,  
და უფრო ღონივრად შემოვხვიე ხე-  
ლები.

ვიღაცეების სიცილი შემოგვესმა და  
წავედით. ხმისამოულებლად მომყვებო-  
და, ხელზე ხელს მიქერდა და ხანდახან  
ისევ იმ გაშტერებული ღიმილით მი-  
ყურებდა. ვკითხე — რას იცინდა. სუ-  
ლაც არ ვიცინიო, მოიცაო, და რაღაც  
ხმას მიაყურა. ღამის ფრინველები იყვ-  
ნენ სადღაც ახლოს. შეეშინდა. მომეკ-  
რა. გვეგონა, სწორი გზით მივდიოდით  
(აღმართიც იყო და ღიდუ ხეებით და-  
ბურული ბალიც), მაგრამ რაღაც კასრე-  
ბის გორის წავადექით, გავვეცინა და  
უკან დავბრუნდით. ვიცოდით, არც აქეთ  
იყო ჩვენი სახლი, და მინც რომელი-  
აც ვიწრო ბილიკს დავადექით. ისე  
ბნელოდა, ერთმანეთს ძლივს ვხედავ-  
დით.

— გავიდეთ აქედან, მე არ შემიძლია,  
მეშინია სიბნელის.

ცოტა უფრო განათებულ ადგილას  
გავედით. პატარა მინდორივით რაღაც  
იყო. ხელში ავიყვანე და ისე დავუწყე  
კოცნა. თვითონაც მეხვეოდა და მკოც-

ნიდა. მერე ფრთხილად ჩავაწვინე ბალახებში.

— უაკეტი, ე, უაკეტი, — ამოიძახა სიცილით, უაკეტი შემოიძრო, გვერდზე გადააგდო და შიშველი მკლავებით მიმიზიდა...

როცა წამოვდექით და წამოვედით, ერთი ეს მკითხა:

— უვარგისა დედაკაცი ვარ, არა?

რაც მე ვუთხარი არ დაიჭერა. ნესტიანი ქარი ქროდა, სიცივემ აიტანა. ჩქარა წავიდეთო. მე იღლიაში შევიფარე. ასე ვიარეთ ჩვენ სახლმდე. უპვე ვგიან იყო, სახლში ყველას ეძინა. ეზოს რიყულებთან ერთხელაც ვაკოცე. ხვალამდის-მეთქი, — ხელის აწევით დავემზვიდობე. რაღაც საწყლურად შემომლიმა, ხელისაწევითვე მიპასუხა, ჩქარი ნაბიჯით აიარა კაბე და უკანმოუხედავად შევიდა სადარბაზოში.

მე სახლში არ შევსულვარ. იმ ხევანს გავყევი, რომელშიც ნასამხრევს ვიყავით მე და ის. ხეების კენწეროებზე ქარი გადადიოდა. ვიარე, სანამ მავთულხლართს არ წავაწყდი. იქიდან გამოვბრუნდი. კიბე ავრიბინე, მორიგე ქალს სულმოუთქმელად მოვუბოდიშე დავიანების გამო. — არა უშაგსო, — მრავალნიშვნელოვნად გამილიმა იმ ქალმა. ჩემი ოთახის კარი გავაღე, გავიხადე, საწლოზე გულაღმა გადავწექი და ხელებით თავეკვეშ ამოვიწყე.

ასე ჩამდინებოდა.

## II

შვიდის თხუთმეტ წუთზე გამეღიძა. ოთახში ჯერ ისევ ბნელოდა. თავი მიბრუნდა და გაურკვეველ შეშფოთებას ვგრძნობდი. მაინც მაშინვე ავდექი. ლიტასთან გატარებული საღამო სიზმარივით მქონდა ჩარჩენილი მეხსიერებაში. მინდოდა თავიდან განმეორებულიყო ყველაფერი, მაგრამ ჯერ რისი იმედი უნდა მქონდა! ჯერ ხომ ალბათ მორიგებიც არ იყვნენ ამდგარი!

კარი გავაღე და აივანზე გავედი. ბინდშერეული ჰაერი სველი ცემენტის სუნით იყო გაუღნითილი. შიშველ ხელფეხზე ნესტიანმა სიცივემ დამკრა. მო-

ეწვიმა. ბალში ხეები აფუყული შეცვა ფრთხილებივით იდგნენ. ბალს შევმოზნისლი თუ ბინდი იყო გაწოლიტრი ბულენი ზღვა მოჩანდა, არც ქალაქი. მხოლოდ ელნათურები ბულტავდნენ სისველეში, პორტის მხრიდან კი ისმოდა ნაწყვეტნაწყვეტი სიგნალების ხმა.

სიამოვნებით ვივარგიშე იმ ნესტიან ჰაერზე, მერე ცივი წყლით დაეიბანე ტანი, საორტული რეიტუზი და ბათინები ჩავიცვი, ქურთუკი ავიღე და გარეთ გავედი. გარეთ გათენებულიყო. ასფალტზე დამდგარ ტბორებში თეთრად ირეკლებოდა ცა. მახლობელი ფარდულიდან მორიგე ქალი მოდიოდა. წვიმისგან დასველებული წნული სკამები დაეყირავებინა და ახლა ჯოხი მოპქონდა იმათ გასაბერტყად. გაუკვირდა, ასე ადრე როგორ ადექით, წუხელ ხომ გვიან დაიძინეთო. მე გავუღიმე და სულ სხვა რამე ვკითხე.

— აი იქ, იმ გორის ზემოთაც ცხოვრობს ხალხი?

— რა თქმა უნდა.

— ასე აღის გზა?

— კი.

ჯოხი სკამისთვის არ დაურტყამს. საათი მკითხა. შვიდს ათი აკლდა. ბატონებს გაეღვიძებათო, და ცოცხები წასწვდა. ცოცხები გაცევეთილი იყო და აბუზლუნდა — ამით საქმის გაკეთება შეიძლებაო? აბა, აბა-მეთქი, და წავედი. სანამ ნაცნობ ხეივანში შევიდოდი, სულ აივნებისკენ ვიყურებოდი, იქნებ ლიტასაც ადრე გაეღვიძა და დაეინახო მეთქი, მაგრამ აივნები ცარიელი იყო, ფანჯრების სილრმე ცივი შავეთის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ხეივანში ჰაერი დამძიმებულიყო, დამპალი ფოთლების მძაფრი სუნი იდგა. ჩიტებს ისევ თუ ეძინათ. ხეები გაჩენილი პაწაწინა ნაკადულისა და აქა-იქ ჩამოვარდნილი მსხვილი წვეთების ხმა ისმოდა მხოლოდ.

ნაკეთები გზიდან გადავედი და ბუჩქნარ ფერდობზე ამავალ საცალფეხოს ავყევი. ქვიშიან აღგილებს არა უჭირდა, თიხიანი კი მოლინჭყული იყო. ფეხი მი-

ცურდებოდა, ტოტებსა და ბალახებს ვე-  
ჭიდებოდი. მაღ-მალე კერძებოდი და  
აქეთ-იქით ვიხედებოდი. აქედან დიდი  
სივრცე უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ  
ისეთი ღრუბლები და ბურუსი იყო ჩა-  
მოწოლილი, თითქოს ქვეყანა ერთ კი-  
ლომეტრზე თავდებოდა.

ფერდობის თავზე ტაფობი იყო. ტა-  
ფობის სილრმეში, ოეთრად შეფერქილ  
რუსულ ხატებში, ხალხი ცხოვრობდა.  
აქეთ მავთულზე გაბმული ვენახი იყო.  
ვენახის პირას შავი ხბო სძოვდა.  
ტოტებში მოხლეზილ ჭერამთან ვიღაც  
ოეთრწვერა მოხუცი კომბოსტოს დაბ-  
ლითა ფოთლებს აცლიდა და ტომარაში  
ჰყოდიდა.

მივედი და გამოველაპარაკე. საქმის-  
თვის თავი არ გაუნებებია, ისე მომიყვა:  
წელს ვენახები ძალიან გაფუჭდა, რაც  
გადარჩი ისიც ახლა ფუჭდება; მუსკატს  
კიდევ არა უჭირს, კაბერნემ კი თქვენი  
ჭირი წაიღოო.

ამ ლაპარაკში ვიყავით და გამონაპი-  
რა ხატადან მოსახვევწაკრული ქალი-  
შვილი წამოვიდა. ისე მოდიოდა, მეგო-  
ნა ძეველი ნაცნობი იყო, მოვიდოდა და  
მეტყოდა: აი, შეხედეთ, სად ვევდებით  
ერთმანეთს! ცისფერი დიდი თვალები  
და მრგვალი ოეთრი სახე უცინოდა. გა-  
მარჯობა მითხრა, ტომარის ხელი დავ-  
ლო, მარდად წამოიყიდა და მამისეული  
კალმების ტყაბატყუპით წავიდა. ხუ-  
თო-ექვსი ნაბიჯი რომ გაიარა, ისევ მოი-  
ხედა და ისევ გამიცინა.

— შენი რა არის? — ვკითხე მოხუცს.

— შეილი.

გამიეკირდა. მოხუცი ხნიერი ჩანდა,  
გოგო კი ჭერ ისევ ბავშვი იყო.

— რამდენა წლისაა?

— წლისა?

— ხო.

— იმის შემდეგ დაიბადა, ორმოცდა-  
შვიდში. თხუთმეტის გამოდის, არა?

— კი, თხუთმეტის. ძალიან კარგი გო-  
გონაა.

— ეე, — ხელი ჩაიქნია მოხუცმა.

ტაფობის იქით ამართულ გორისკენ  
გასასვლელი ვკითხე და წავედი. ბილი-

კი იმ ხატას წინ გადიოდა, სადაც კონ-  
ნა შევიდა. ლია ფანგრიდან კადანინახა. მოსახვევი გადაიძრო. მე ხელი შეუწიო  
სალმისა და გამომშვიდობების ნიშნად,  
იმანაც ხელი ამიწია სიხარულით, მერე  
გაიცინა და კედელს მოეფარა.

აქეთ და აქეთ მიწა უფრო სველი  
იყო, ბუჩქნარიც ხშირდებოდა. დავ-  
სველდი, გავილუმპე, მაგრამ მაინც ჯი-  
ქურ მივიწევდი მწვერვალისკენ. იქ რომ  
ავედო, თითქოს დიდი მიზნისთვის მი-  
მეღწიოს, შვებით ამოვისუნთქე. განსა-  
კუთრებული კი არაფერი იყო, არაფე-  
რი ჩანდა. მწვერვალს წვიმისწვეთებ-  
სახმული ვაციწვერა მოსდებოდა; ზღა-  
ზე კალავ ნისლი იწვა; მთებიც ღრუბ-  
ლებში იყო შემალული; ორიოდე ბუჩ-  
ქნარიანი გორაკი ამოჩრილიყო იმ ნის-  
ლიდან და ღრუბლებიდან; ზედ სააგა-  
რაკი სახლები იდგა; ტაფობში ხატები  
ბოლავდა. მაინც კარგი ხანს ვიდექი იქ  
და ხან შემოგარენზე ვფიქრობდი, ხან  
ლიტაზე. „რა დაერქმევა ჩვენს ურთი-  
ერთობას? ცოდაოთხი დღის შემდეგ ის  
მოსკოვში დაბრუნდება, მე — თბილის-  
ში, და ამით დამთავრდება უველავერი“. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, ბევრ-  
ჯერ შემეძლო მისი ნახვა. ცხრის ათი  
წუთი იყო. ცხრაზე აღბათ სასადილოში  
გამოვიდოდა. გორიდან სირბილით ჩა-  
მოვედი, ვენახიც ჩქარი ნაბიჯით გავი-  
რე (აღარც მოხუცი ჩანდა სადმე, აღარც  
მისი ქალიშვილი), და ის იყო ჩვენს ხე-  
ივანში შევედი, რომ წვიმამაც დაუშვა.

ახლა უკვე ბევრს ერვიძა. ვესტიბი-  
ულსა და დერეფნებში ბორიალობდნენ. ზოგი სააბაზანო ოთახიდან ბრუნდებო-  
და, ზოგს ტანსაცმელი მიპჟონდა გასაუ-  
თოვებლად. მიყურებდნენ და უკვირ-  
დათ, ასე როგორ დასველდით და გა-  
ტალიხიანდით. მე მხერებს ვიჩეჩავდი  
და ვულიმდი. ისინიც სათნო ღიმილით  
მაცილებდნენ.

სველი სამოსი გავიხადე და მაგიდას  
მივუჩექი, — რაღაც რაღაცები ჩავი-  
წერე. მერე სუფთა ხალათ-შარვალი და  
ფეხსაცმელები ჩავიცვი და სასადილო-  
ში წავედი. ისე ვლელავდი, თითქოს რა-

რაც ძნელ გამოცდაზე მივდიოდი. კიბესთან ისევ მელოტი მოხუცი შემხვდა (სამკითხველოდან გამოვიდა ორ ხნიერ მანდილოსათან ერთად), ხელი ჩამომართვა, გამიცინა თავისი დიდებული ოქროს კბილებით და გამომკითხა:

— სად იყავით ისე აღრე? მე დაგინახეთ, წვიმიაში რომ მოდიოდით სველი, ფეხებდასვრილი.

— ქაური შემოგარენი ვნახე.

— კარგია, ძალიან კარგი.

წინ ისინი გავუშვი და მერე მე შევედი სასადილო დარბაზში. ჩვენი მაგიდა ცარიელი იყო, სხვა მაგიდებთან კი ხალისიანად პურობდნენ. მეჩვენებოდა, რომ ყველანი მე მიყურებდნენ; იცოდნენ ჩემი საქმეები, ჩემი ფიქრები. რაც შეიძლება მშვიდად დაყიჯვე ჩემი ადგილი. საუზმე მხოლოდ ერთი სულისთვის იყო მოტანილი. ოფიციანტი ქალი რომ მოვიდა (სომეხი იყო და, როგორც მეზობლისთვის, ცდილობდა პატივი ეცა), გავპელე და ვკითხე — ჩემი თანამსუფრისიათვის რატომ არაფერი მოგიტანათ-მეთქი. შეუძლოდ არის და შინ მივართმევთო.

— ხშირად ხდება ასე, ახალჩამოსულები ცუდად გრძნობენ თავს პირველ ორ დღეს. ხვალ კარგად იქნება.

ღმერთმა ინებოს-მეთქი. ცოტა რამე შევგამე და წამოვედი. ერთხანს კართან ვიდექი, იქნებ ფანჯარაში მაინც მომეკრა თვალი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. წვიმდა, ქალაქში ვერ წავიდოდი, ისევ შიგნით შევბრუნდი. პირველ სართულზე ერთი ოთახი იყო, როიალი და რადიომიმღები იდგა. რადიომიმღები ჩავრთე, ორმოცდამერთო ტალღაზე ვიღაცის სავიოლინო კონცერტი დავიჭირე და იმას უსმინე კარგა ხანს.

ამასობაში წვიმამ გადაიღო. ერთხელ კიდევ შევათვალიერე ფანჯრები და ქალაქში წავედი — ქუდს და საწვიმარს მივაკითხე მილიციის განყოფილებაში. სამორიგეოში სხვა ლეიტენანტი დამხვდა. იმან არაფერი იცოდა ჩემი ამბისა და ისევ თავიდან მომიხდა ყველაფრის მოყოლა. ამ ლეიტენანტმაც სხვაგან და-

რეკა, მერე ვინმე ნატაშა გამოიძიხა. ჩაღაცები გამოკითხა და ბოლოს მოწრია — წაბრძანდებით ლივადის ტაძრების ბუსები დადის, იყითხავთ ტაქსო-მოტორს, მიხვალთ სადისპერტეროში და, თუ სადმეა, იქ უნდა იყოს თქვენი საწვიმარი და ქუდით.

ავტობუსები იქვე ახლოს ჩერდებოდნენ. ლივადისისაც მაღლე მოვიდა. დიდი ჰელეტერა იყო, მაგრამ მაინც ავედი. კონდუქტორს ვთხოვთ, ტაქსო-მოტორის გარეთან რომ ვიყოთ, მითხარით-მეთქი. ოც წუთში მივედით. ჩამოვხტი, ქუჩა გადავპერი და აღაყაფში შევედი. გალავანშემოვლებული ვეება ეზო „ვოლგებით“ იყო საესე. ზოგი ორმოზე იდგა და ქვეშიდან შემკეთებლები უკირკიტებდნენ.

ერთ ხელების წმენდით მომავალ კაცს შევეკითხე, საღისპეტჩერო სად იქნება-მეთქი.

— აგრე, აწერია ზედ! — მითხრა რატომლაც მწყრალად.

შევედი თუ არა, მაშინვე დავინახე ჩემი საწვიმარი და ქუდი. ოთახის სილრმეში კაჩხაზე იყო ჩამოკიდებული საკოდავად. გამეხარდა, ასე აღვილად რომ აღმოვაჩინე და საწერ მაგიდასთან დაზინულ ქერა ქალს ვუთხარი:

— უკაცრავად, აი, ის საწვიმარი და ქუდი ჩემია, მე დამრჩა გუშინ ტაქსში.

— მერე? — თავაუღებლივ წაიდუღუნა ქალმა.

— რა არის საჭირო, რომ მივიღო და წავიდე?

— არ ვიცი.

— ხომ ას შეგიძლიათ მითხრათ, ვის ეცოდინება?

— მთავარ დისპეტჩერს ჰქითხეთ.

— ვინ არის მთავარი დისპეტჩერი?

— მე არა ვარ.

ვიფიქრე, ამ ქალის თავს ნამდვილად რაღაც ამბავია-მეთქი და მეორე ოთახში მგდარ კიდევ უფრო სქელი ქალის-კენ წავედი.

— უკაცრავად, თქვენ ხომ ვერ მეტყვით, ვინ არის მთავარი დისპეტჩერი? — ვეკითხები მოკრძალებით.

— მე ვარ.  
— იცით რა...  
თავიდან მოვუყევი ყველაფერი.  
— პასპორტი გაქვთ?  
— დიახ, მაქვთ.  
— მაშინ დაწერეთ ხელშერილი.  
— რა ხელშერილი?!  
— ნივთები რომ მიგაქვთ.  
— კალამი მათხოვთ, თუ შეიძლება.  
— ეს კალამი დაწესებულების არ არის, ჩემია.  
— ერთ წამში დავწერ და ისევ თქვენ იქნება.  
— მე ვმუშაობ.

ბედად ვიღაც მძლოლი შემოვიდა და კალამი იმან მათხოვა. დავჭექი და დავწერე: მე, ამანა და ამან, წავიღე საწვიმარი და ქუდი. ხელი მოვაწერე და ქალდი წინ დავუდე.

ცალი თვალი გადავლო, მარტენა ხელით დაჭმუჭნა და კუთხისექნ ისროლა.

— ჩაწერეთ მუდმივი მისამართი, პასპორტის ნომერი, ვის მიერა გაცემული და როდის.

ისევ დავიწყე წერა, ახლა უკვე ბრაზით: მე, ამანა და ამან, წავიღე ჩემი ნივთები (საწვიმარი — რუხი, ჩინური, 50 ზომა, ქუდი — რუხი, შავწინწელებიანი, 56 ზომა), რომლებიც დამრჩა ტაქსში 1962 წლის 30 სექტემბერს, დღის სამსაათსა და 15 წუთზე. მუდმივიდ ვცხოვრომ თბილისში, ზარჩმის ქუჩა № 21-ში. მყავს ცოლი, ერთი ბავშვი და სიღედრი. პასპორტი № 161959 გაცემულია 1956 წლის 20 დეკემბერს, ათი წლის ვადით, ლენინის რაიონის მილიციის განყოფილების მიერ. მოვაწერე ხელი და მიყაწილე.

წაიკითხა და ისევ დახია:

— ცოლის, ბავშვის და სიღედრის მოხსენება არ არის საჭირო.

მძლოლი კალამს უცდიდა. მაშინ ჩემი პირადობის მოწმობა ამოვიღე, ვაჩვენე იმ ქალს და თან მორიდებით განვუმარტე:

— ვგონებ, ჩვენი პროფესიის ხალხმა ცოტა რამ უნდა იცოდეს, როგორ იწერება ხელშერილები და ისეთი რაღაცები.

სწრაფად წამოდგა, მეორე ოთხში გავიდა, საწვიმარი და ქუდი მომიტენა და საბრალობელი ღიმილით შინაგანი.

— გვაპატიეთ. ამდენი საქმეებით, ხომ იცით...

შემებრალა, გავუღიმე, არაფერია-მეთქი და სწრაფად დავიწყე მესამე ხელშერილის წერა.

— არ გინდათ, არაა საჭირო.

მე მაინც დავწერე და დავტოვე. სანამ წამოვიდოდი, ფეხშე იდგა.

ჩემს გვერდით მომავალმა მძლოლმა კალამი გულჯიბეში ჩაიდო და ღიმილით მითხრა:

— დღეს კატკაც ეჩხუბა.

— კატკა რომელია.

— დისპეტჩერი, აქეთ ოთახში რომ ზის.

— რაზე?

— კატკას ქმარი დადის ხოლმე მაგასთან.

— ოპო!

— არა, ისე კი არა! — გაეცინა მძლოლს. — კატკა რომ სიმთვრალის-თვის აიკლებს, მაგასთან მიდის ხოლმე საკონსულტაციოდ.

— მერე?

— მერე ეგ კატკას გამოიძახებს და... ხომ იცი, რას ნიშნავს ქალი ქალის უფროსი.

— აბა, აბა!

შეთქმულებივით გავუღიმეთ მე და იმ მძლოლმა ერთმანეთს და ქუჩაში გამოვედით. ავტომუსების გაჩერებასთან ყორეზე ჩამოვგვექი. მზემ გამოანათა. ძალიან სასიამოვნო მზე იყო — სუფთა, სუფთა, ოქროსფერი. მთებზე დახორებული ღრუბლები ერთმანეთში არეულიყვნენ და მაღლა-მაღლა იწევდნენ. ალაგ-ალაგ მთის თხემებიც გამოჩნდა. ტყეს იმ თხემებამდე ვერ მიეღწია, ტიპიური ალპიური ზონა იწყებოდა. იქ ახლა... იქ ალბათ ახლა საოცარი სიწყნარეა. შემხმარ ბალახებზე წვიმის წვეთებია დაკიდებული. მიჯდები სადმე ეხში, გაყუჩდები ხვლიერივით და დატებები ამ სიწყნარით. მაგრამ არ ღვთის რისხვა იყო ჩემს თავს! ისე მინდოდა

ლიტას ნახვა (განსაკუთრებით ამ მზეში), წამით აღარ შემეძლო სხვა რამეზე ფიქრი.

ავტობუსში ასკლისას საათს დავხედე თორმეტი იყო. სადილობამდე კიდევ ორი საათი რჩებოდა. ჯერ ვიფიქრე, ქალაქში გავივლი-მეტქი. მერე ისევ შინ ასკლი ვამჯობინე — იქნებ საღმე ლიტასთვის დამექრა თვალი.

მაგრამ ამჯერადაც ამიაღ შევყურებდი აინტებსა და ფანჯრებს. ერთმა დამსვენებელმა ვეება შავი სენბერნარული ძალით ჩამოატარა. თვალი ვერ მოვწყიტე, ისეთი დიდებული ძალით იყო. პატრონს გამოველაპარაკე. ჯერ მხოლოდ ცხრა თვის არისო, — მომიგო სიამაყით. თეძოს თავამდე კი სწვდებოდა! ისინი თავიანთი გზით წავიდნენ, მე შინ ავედი. ოთახში ჰაერი დახუთულიყო. კარი გავაღე, აივანზე გავედი, მერე წიგნიც გავიტანე. წნულ ტახტზე წამოვწექი, კითხვა დავიწყე, ცოტა ხანს ვიკითხე და ჩავთვლიმე. მეგონა წამილო საღათას ძილმა და ეგ არის-მეტქი, ნახევარი საათი კი მძინებოდა. ისევ წიგნი ავიდე. როგორც იქნა, ორიც გახდა, ხალხმა სასადილოსენ დაიწყო დენა. ოცი წუთი კიდევ ვიჯექი და ვითმენდი. მერე მეც წავედი. ჩვენს მაგიდასთან ისევ არავინ იჯდა, სუფრა ამჯერადაც მხოლოდ ერთი კაცისთვის იყო გაშლილი...

სომებს ოფიციანტს შევებრალე, წინ დამიჯდა და თბილისისა და ერევნის შედარებას მოჰყვა. მაგრამ იმსაც დიასახლისმა დაუძხა, გაიქცა და შორიდან-ლა მანიშნა, ბოლიში, რომ ვეღარ ვგრუნდებიო.

მეც მალე ავდექი, შინ აღარ შევსულვარ, სასადილოდანვე ქალაქისკენ დავეშვი. სანაპიროზე გასულს გამახსენდა საბანაო ტრუსები... რომ წმომელო, ვიბანავებდი. მაგრამ იქვე წამომეწია მეორე აზრი — ვიყიდი-მეტქი. პირველსავე მაღაზიაში აღმოაჩნდათ, ვიყიდე და პლაზე ჩავედი.

არეული დღის მიუხედავად (მზე ხან გამოანათებდა, ხან ღრუბლებში მიიმალებოდა) პლაზე ბევრი ხალხი იყო.

ზღვას გრძელი, დაბევულ-დაბევული ტალღები მოპქონდა და ნაპირზე ისროდა. ათობდე მეტრის მანძილზე უცტა შემდღრეული იყო, შიგნით და შიგნით მოწვანოდ კამკამებდა.

ტანტ გავიხადე, საბანაო ტრუსები ჩავიცი და სველ სილაზე გავედი. ვგრძნობდი, როგორ განვსხვავდებოდი სხვებისაგან — მაღალი, გამხდარი, მზემოუკიდებელი. ტალღას პეშვით დავწვდი, სველი ხელებით მკერდი და ხელ-ფეხი დავიზილე. უცებ გავქანდი, გადავვარდი. ორიოდე წუთის შემდეგ სასამოვნოდაც კი მომეჩენა გრილი, გრილი წყალი. ღროშებს მივუახლოვდი. იქ გულალმა დავწექი და ასე ვიყავი კარგანს. მერე გულთან ჩეკლეტა ვიგრძენი, გამოვედი, სილაზე დავჭექი და მზეს მივეფიცხე.

ჩემს მარცხნივ პატარა გოგონა და ბიჭი თამაშობდნენ. დედაც იქვე იწვა — შავთმიანი, სქელი, მკერივი ქალი, — და მაღალე გამოსახებდა ხოლმე: წყნარად, ბავშვებო, აქ, თქვენს გარდა სხევებიც არიან, ნუ აწერებთ დამსენებლებსო. მარჯვნივ კი კარტს თამაშობდნენ ქალები და კაცები. ვინც დარჩებოდა, მოსჭიდებდნენ ხელებში და ფეხებში, გააქანებდნენ და ზღვაში გადაავდებდნენ. ჯერ ისევ სველი ვიყავი, რომ ერთო ახალგაზრდა ქალი დარჩა. წამოხტა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ძონძრობობა კაცმა დაიჭირა, ხელები ყელზე შემოხვია და უკან გადმოაქცია. ქალი იცინდა, დატიკულ ფეხებს ასაგასვებდა. მაშინ იმ ფეხებშიც წასწვდნენ. ძირილ-ძირილში ლითიდან მარჯვენა ძუძუ გამოუვარდა. თეთრად ამოებურთა გარუჩულ ტანზე. ყველანი შეცბუნდნენ. ძონძრობა კაცმა ხელებიც კი შეუშვა. ქალმა წამოიწია, ძუძუ სასწრავოდ შემალა ლიფქვეშ. ეგონა. ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ ძონძრობა კაცი ისევ ეცა ხელებში, ფეხებში ჩაჭიდებულებმაც გასწიეს, წყალთან მიარბენინს, გააქნიეს და გადააგდეს. რომ ამოუკვინთა და ნაპირისკენ წამოვიდა სიცილით, ვნახეთ, რომ ძუძუ ისევ დასხლ-

ტომოდა ლიფიდან. ვიღაც-ვიღაცები ხარხარით იშვერდნენ მისკენ ხელებს. ახლადა მიხვდა, რაც მოხდა. მიბრუნდა, ლიფი გაისწორა და მერე ბავშვივით დავვეჭყანა.

მე ვდევქი და ისევ შევცურე. ახლა უკვე კარგა მანძილზე წავედი. როცა დავიღალე, გულაღმა ამოვბრუნდი, თვალები დავხუჭე და დასვენება დავიწყე. კატარლის დაგდაგი შემომესმა. სულ ახლოს მოდიოდა. ქიმზე ქალები იდგნენ და ხელებს მიქნევდნენ. ვიღაცამ დამიძახა კიდეც: — ნაპირზე, ნაპირზე სჯობია, განდევგილოო. — შენ გელოდებოლი-მეტქი. — დავუძახე მე. — ნაპირზე, ნაპირზეო, — ისევ ესღა მომესმა და „რიო-რიტას“ ხმებმა გადაუარა ყველა სხვა ხმებს. ცოტა ხანსაც ვიყავი იქ და მერე გამოვბრუნდი. უცებ ბრტყელ-ბრტყელი, ბრჭყვიალა წვიმა წამოვიდა. დავინახე, როგორ აიშალა ხალხი ნაპირზე და როგორ შეიყუნენ ქოლგებისა და ფარდულების ქვეშ. მთელი ძალით მოვუსვი, რომ ქვებზე დაყრილი ტან-საცმელი არ დამსველებოდა, მაგრამ მეზობელ ბავშვებს ეზრუნათ ჩემზე, — ქოლგის ქვეშ შეეტანათ. ჯერ ნაპირზე არ ვიყავი გასული, რომ გამოიქცნენ და ძახილით შემომეგებნენ, — თქვენი ტან-საცმელი ჩვენ გვაქვსო. მაღლობა გადავუხადე, შევაქე (პო, წვიმამ უცებვე გადაილო), და მენაყინემ რომ ჩამოიარა, „ესკიმოები“ ვუყიდე მათაც და მათ დედასაც. დედამ მინაზებული ხმითა და სიცილით მხოლოდ ეს ამოიძახა: — „ოო!“ მერე გამოკითხა დამიწყო: საღაური ვიყავი, რა მერქვა და სხვა ასეთები. ჩემს ყველ პასუხს თავშეკავებული იღტაცებით ხვდებოდა, — „რას ბრძანებოთ,“ ანდა „ნუთუ მართლაო“. თვითონ კიეველი აღმოჩნდა. ჩემი ქმარი მაღაზიის გამგეაო, — და გაიცინა. როცა მოვდიოდი, მისამართიც მომცა: თქვენ აქ მარტო ხართ და, თუ რამე დაგჭირდეთ, ნუ მოგერიდებათ, მომაკითხეთო.

ქალაქში მოცემენტებული ფართო კიბით ვედი. წიგნების კიოსკთან ვიდექი,

ხელში გაზეთში გახვეული ტრუსები მე-კირა და ვფიქრობდი — საით წავსულიყავი. ბოლოს პორტისკენ წავედროებულ გუნებაზე ვიყავი, თითქოს მატარებელზე დამგვიანებოდეს და წინ მთელი ოცდაოთხი საათი მქონდა უცხო ქალაქში საყიალოდ. შევდიოდი მაღაზიებში, ვათვალიერებდი სურათებს და წიგნებს. ფოსტამტის გვერდზე ფეხსაცმელების გასაშენდად დავჭექი. ფეხსაცმელების მწმენდავს თეთრი წვერი მტკაველზე ჩამოზრდოდა. ისე, სასხვათაშორისოდ ვკითხე: — ჩეხოვი ხომ არ გახსოვთ-მეთქი. როგორ არ მახსოვს, ჩეხოვი ყველას ახსოვსო.

— ვინ ყველას?

— ძველ ბიჭებზე.

ამ „ძველ ბიჭებზე“ გამეცინა და გამოკითხვა დავუწყე: — მაინც როგორ გახსოვთ, როგორი კაცი იყო-მეთქი.

— როგორი და... ხომ ნახეთ მისი სახლი? ჩვენც იქვე ვცხოვრობდით, ცოტა ზემოთ, ანიკუშინები და ჩვენ, ლობოვები. ჩამოდიოდნენ სხვადასხვაგვარი ბატონები — გორკი, შალიაბინი, მოსკოველი არტისტები. მე პატარა ვიყავი, შვიდი-რვა წლის...

უკვე ვიცოდი, რომ თხზავდა. ჩეხოვმა ხომ თავისი სახლი ხრიოკ გორაქზე აიშენა, ყველასაგან განცალკევებით? მაგრამ მაინც სიამოვნებით უსმენდი.

— მე რა მესმოდა ვინ იყო ჩეხოვი! ჩემი უფროსი და და მისი ამხანაგები კიდასხდებოდნენ მახლობელ ბორცვზე და მთელი დღე უთვალთვალებდნენ. ანტონ ბავლეს ძე ბალში მუშაობდა, ისინი კი ისხდნენ და უთვალთვალებდნენ. ერთხელ მუცელი ამტკივდა... ერთხელ მუცელი ამტკივდა და დედამ ანტონ პავლეს ძესთან წამიყვანა. შევედით თუ არა სახლში, მაშინვე დამიამდა. ანტონ ბავლეს ძემ მაინც გამსინჯა, მუცელზე გამიღიარინა, გამიცინა და მერე წვეთებიც დამალევინა. მაღალი კაცი იყო, წყნარი, ბოხმიანი. გოგოები სულ შურით დაწყდნენ. ხომ იცი, გოგოები...

ფული გადავიხადე და ისევ პორტისკენ წავეხეტე. იმ თეთრწვერას ლაპა-

რაკ-ლაპარაკში ისე გაეპრიალებინა ჩემი ფეხსაცმელები, ქუჩაში რომ დაცხედე, გული გამისკდა. სკვერში გადავედი, აგურის ჭევნილს რამდენჯერმე გავკარი და ჩემს ჭკუაზე დავაყენე. სკვერის სიღრმეში ტავერნასავით რაღაც იყო. შევედი. ქართული ღვინოები აღმოაჩნდათ. ერთი ბოთლი „გურჯაანი“ მოვატანინე და ნელ-ნელა დავიწყე სმა. იმდენ ხანს ვსვამდი, ოფიციანტი გადაირია. რამდენჯერმე მოვიდა მებუფეტე ქალთან და ჩემზე რაღაც ჩასჩურჩულა. მებუფეტეც მწყრალად გადმომხედავდა ხოლმე, მაგრამ თქმით არც იმას უთქვამს არაფერი.

როცა, ბოლოს და ბოლოს, წამოვედი, უკვე მზე ჩადიოდა. მთვრალი არ ვიყავი, მაგრამ საამო მოთენთილობას ვკრძნობდი. ყველაფერი მელამაზებოდა. ყველა ნაზად მიყვარდა. მინდოდა თვით იმ ბებრებსაც კი მივფერებოდი, ძელსკამებზე რომ ისხდნენ და საბრალობელი გამომეტყველებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ალბათ დროის ულმობელ სვლას.

პორტში ბაქნის ბილეთი ავილე და ნავმოსადგომზე გავედი. დიდი გემებიდან მარტო „აფხაზეთი“ იდგა, მსხვილი ბაგირებით იყო დაბმული ვეგება რკინის. ბოჭგებზე და ძლიერ შესამჩნევად ირწეოდა. ტრაპთან მეზღვაური იდგა და ზევით არავის უშვებდა. არც ვაპირებდი ასვლას. მოლოზე მეანკესენი ისხდნენ და იმათკენ წავედი. ოთხნა იყვნენ. გაფაციცებული დასტერეოდნენ მწვანე წყალზე მოლივლივე წითელ ტივტივებს. ერთი სათხო სხის - მოხუცი მომეწონა. გვერდით დაფუცუცედი. სამი ანკესი ჰქონდა. ერთი მე ვთხოვე. სიამოვნების ღიმილით მომაწოდა, სწორედ ის, რომელიც ხელში ეჭირა. მთელი ორი საათი ვითევზავე. ხუთი ცალი დავიჭირე, ციდის სიგრძე კარჩანები. მოხუცი არ ილებდა, შენ დაიჭირე, სულ შენი უნდა იყოსო, მაგრამ მე რად მინდოდა? მაშინ მითხრა, ხვალ მოდით აქ, პორტში, ოთხ საათზე, კატარლით წავალთ კეფალის

საჭერად, არაფერი არ გინდათ, ან კუსტები და ჭიაყელები მე მექნებაო.

ქალაქის ეს უბანი რესტორანებთაშორის კაფეებით იყო საცხე. ახლა, შეღამებულზე, სხვა ყველაფერი რომ წყარღებოდა, ისინი იღვიძებდნენ და ხმაურობდნენ. სულ უფრო მქვეთრად და მქვეთრად ისმოდა საცეკვაო მუსიკისა და ყაყანის ხმა. ვეხდავდი მოცეკვავეებსაც, მაგრამ არაფრისკენ არ გაუწევია გულს. ვიწრო, ჩაბნელებულ ჩიხს ავყევი, მთავარ გზაზე ავედი, ტროლებისუსში ჩავჭერი და შინისკენ წავჭაუჭაყდი. მაგრამ შინ არ შევსულვარ. ბაღში, დიდი მუხების ქვეშ, ძელსკამზე წამოვწერი. ასე ვიყავი დიდხანს. ჰაერი არ იძვროდა, მუხის ფოთლები შავად იყვნენ გაშეშებულნი ვარდისფერ ცაზე. პაბიროსს პაპიროსზე ვწევდი და არაფერზე არ ვფიქრობდი. მეჩვენებოდა, რომ ღრუბლებში ვიწერი და იმ ღრუბლებს მივქონდი სადღაც უცნობი მხარეებისები. ვგრძნობდი, როგორ ვიცლებოდი რაღაც ზედმეტისაგან. როგორ ეშვებოდა ჩემი დატიმული ნერვები.

ბოლოს შენობაში ზედიზედ ჩაქრა სინათლეები. ყველანი იძინებდნენ. მეც წამოვჭერი. შემცივნოდა. რამდენიმე მკვეთრი მოძრაობა გავაპეთე გასახურებლად. მერე კიბეებზე ავედი. ვესტიბულში, გასაღებს რომ ვიღებდი, მორიგე ქალმა მკითხა:

— კიდევ დალიეთ?

მე გამეღიმა და არაფერი ვუპასუხე. გვერდით პატარა გოგონა ეჭდა, ძილ-მორეული კენავდა ყურძენს. მივწევდი, მტევებს მარცვალი გმოვაცალე და შორიდან გასროლილი შევიღდე პირში. გოგონას გაეღიმა და მითხრა:

— აბა კიდევ!

მე კიდევ მოწყვიტე მარცვალი და უფრო შორიდან ვისროლე პირში.

გოგონა მთლად გამოფხიზლდა. დედამისისაც ეცინებოდა.

— აბა კიდევ!

— ახლა შენ!

პაჭუა ცხვირზე თითო დავაჭირე და წამოვედი. საწერ მაგიდაზე ფურცლები

მქონდა გაშლილი. ერთი ფურცელი დილანდელი ნაწერით იყო სახეს. ავიღე და კითხვა დავიწყე. საძალობად მომეჩვენა. დაგჭმულები, დავხიე, ნახევები კალათაში ჩავყარე და ახალ ფურცელზე დავიწყე: „პატარა გოგონას ძილი ერეოდა და, რომ არ ჩასძინებოდა, ყურძნის მტევანს კენკავდა...“ მოელი სამი საათი ვწერე სევდიან ფანტაზიას გაყოლილმა. ვიციდი, ახლაც სისულელებს ვჩმახავდი, მაგრამ მაინც ვწერდი. როცა საბოლოოდ განმუხტულად ვიგრძენი თავი, დავწექი და ისე განვაგრძე ფიქრი: მაგრამ ეს უკვე ფიქრი აღარ იყო. ამას სიზმრები უფრო ეთქმოდა.

### III

იმდენ ხანს მძინებოდა, მზე დამდგომდა თავზე. მეგონა, იწვოდა ქვეყანა, მაგრამ, აივაზზე რომ გავედი, სასიამოვნო სიგრილე დამხვდა. ვვარჯიშობდი და საკუთარ თავს ვლანძლავდი: „რა იყო, ის რა ამბავი დაიწიო გუშინ?!“ რით ვერ მიერვივ ნამდვილი სხელები დაარქვა საგნებსა და მოვლენებს?! სირცევილი არ არის, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, ვიღაც შემთხვევით გადაყრილ ქალთან გატარებულმა საღამომ ასე ააცუნცრუკოს შენი ხნის მამაკაცი?!“

თითქოს ხელ-ფეხის გამძაფრებული ქნევა უნდა დამხმარებოდა ამ უსიამოვნო ფიქრების განდევნაში. და დამეხმარა კიდეც. რომ ვიბანავე, პირი გავიპარს და თეთრი, გასპეტავებული პერინგი ჩავიცვი, უკვე სხვა ვიყავი. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველად გავდიოდი ქალაქში.

ჩვენი კორპუსის წინ, ეზოში, ბაღმინტონს თამაშობდნენ წითლადთმაშეღებილი შუა ხნის ქალი და წელსტემოთ გაშიშვლებული მრისსანე მამაკუცი. ეტყობოდა, მამაკაცს ძალიან სიამოვნებდა თავისი კარგად განვითარებული მუსკულატურის გამოჩენა. ბადე არ ჰქონდათ გაჭიმული, არც მოედანი იყო დახაზული, უბრალოდ, ვის რა მოხდენილობით შეეძლო, ისე აწოდებდა ვოლანს. ვუ-

ყურებდი და მელიმებოდა. ქალმა/რამდენჯერმე ზედიზედ ააცდინა ჩოგანი. ბოლოს ვოლანი ჩემკენ გაჭმულდა. ქალი ყმაწვდოური კისკისით გამოიქცა. დამინახა, ვოლანს რომ დავწევდი და მისკენ წავიღე, შეჩერდა, უცებ ამათვალიერა და ჩოგანი ლიმილით გამომიწოდა.

— გინდათ, ითამაშეთ ჩემს მაგივრად!

— ო, არა, რას ბრძანებოთ.

— ითამაშეთ, ითამაშეთ!

ისე გულწრფელად მთხოვდა, ისლა დამრჩენოდა პარტნიორზე მენიშნებინა, ის რას იტყვის-მეტეზი.

— ისე? დავიღალე, ვიტია. ამ ახალგაზრდას ეთამაშე! — მიუბრუნდა მამაკაცს. ჩოგანი გადმომცა, ხელები კაფისკენ წაიღო, თმა გაისწორა და დოინგშემოყრილმა დაიხია უკან.

„ვიტიამ!“ არაფერი არ თქვა. რაღაც მტრულად კი გამომხედა. მაშინ, ჩოგანი მოვიმარჯვე და ვოლანი წყნარად, მაღლა-მაღლა გავგზავნე. მისკენ. ძლიერი დარტყმით გამოაბრუნა უკან.

„რატომ ბრაზობს?“ — გავიფიქრე და მეც მომეტებული ძალით მოვიქნი ჩოგანი. კიდევ უფრო სწრაფად მივიღე. აქ უკვე იძულებული გავხდი, აღარ ჩამოვრჩენოდი. მთელი ხუთიათი წუთი ძირს-დაუშვებლად ვახანგინეთ ვოლანს ჰაერი. მერე მე ჩოგანი მიიცდა და ძლიერ შევიკავე თავი, არ დავცემულიყავი. „ვიტიას!“ მშვიდად გაედიმა. მე გავწითლდი. ვოლანს დავწევდი და დაბლიდანვე გავგზავნე. რომ ვიმართებოდი, უკანვე მივიღე. შევხტი, მთელი ძალით დაგარტყი მაღლიდან, „ვიტიამ!“ უკან-უკან გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი. გაზონის კიდეს წამოსდო ფეხი, შებარბაცდა და ყავავილებში ჩავდა. მე მისაშველებლად გავიქეცი, ხელი გავუწოდე. მისაშველებლად მორბოდა წითლადთმაშელებილ ქალიც.

— ხომ არაფერი გეტქინა? — ეკითხებოდა ლიმილით.

— არა, არა!

მაგრამ „ვიტია“ ისე ღელავდა, თამაშის დამთავრება ვამჯობინე. მოვიბოდიშე, ჩოგანი პატრონს დავუბრუნე, დი-

დი მაღლობა გადავუხადე და სამკითხველოსკენ წავედი.

სამკითხველო სასადილოს ქვეშ იყო. ცხრა საათი გახდებოდა თუ არა, ყველანი იქით მიერტყებოდნენ. ზოგს გაზეთებიც აინტერესებდა, მაგრამ უმეტესობა წერილებს ელოდა: — ფოსტალის თუ ვიღაც გოგონას იქ მოპქონდა დასასვენებელი სახლის მთელი ფოსტა.

მე წერილს არ ველოდი. გაზეთები გადავათვალიერე, თაროებზე ჩამწკრივებულ წიგნებს ჩამოვუარე, ახალი უურნალები გავსინჯე და უდარდელი გამომეტყველებით ავედი მაღლა.

ლიტა მაგიდასთან იჯდა. თეთრი ჩესუჩის მოკლესახელოებიანი კაბა ეცვა, შავი ლაპლაპა თმა წინ წამოსწერილა. როგორც კი შევედი, მაშინვე შემამჩნაა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ დამინახა. დაიხარა. ლამაზად მომარჩვებული დანა-ჩანგლით საუზმეს ჩაუკირკიტა.

მაგიდასთან ძალიან ახლოს მივედი და სკამი, განგებ, ხმაურით გამოვწი. რაღა უნდა ექნა? ამომხედა. თვალების. ისედაც გრძელი ჭრილი ლურჯი სალებავით კიდევ უფრო დაეგრძელებინა. გულმოდგინედ შელებილ ტუჩებზეც ლურჯი თუ იასამნისფერი გადაპქრავდა. მომეჩენა, რომ ისიც დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოსულს ჰეგვდა. დილა მშვიდობისა ვუსურვე. გამიღიმა, თავი დამიქნა. დავჭექი და საუზმის არჩევანი დავიწყე. ლიტა ჩემქენ არ იხედებოდა. ცდილობდა, ლამაზად, უხმაუროდ გაერჩია შემწვარი თევზი.

მე ვკითხე:

— კვლავ მარტონი ვართ ამ მაგიდასთან?

თითქოს გვიან, ძალიან გვიან მიმხედარიყოს ჩემი სიტყვების აზრს. ამომხედა, მხრები იიჩეხა და ისევ თავი დახარა.

მეც თევზით დავიწყე. გავხედავდი ხოლმე და დავაკირდებოდი, აბა, რა გუნებაზეა-მეტქი, მაგრამ რაღაც შინა-

განი დაძაბულობის მეტი ვერაფერი შევატყვე. ხუთ წუთს მაინც ვითმინებულობის ვკითხების გამარტინით გაითხე:

- დღეს ხომ კარგადა ხარ?
- არა მიშაგის.
- ასე იცის თურმე ზღვამ პირველოდ დღეს.

ქვემოდან გამომხედა, მწარე ირონია ჩაუდგა თვალებში და თითქოს თავის-თვის ჩაილაპარაკა:

- კი, ასე იცის.
- მეტი არაფერი გვითქვამს. „ან კი რა უნდა ვთქვათ აქ?“ — ვიმართლებდი თავს. კიბეზე რომ ჩავდიოდით, ვიღაც ხნიერმა ქალმა გააჩერა და მასლათი გაუბა. ერთი გავხედე, — ლიტა თავაზიანად ილიმებოდა. მერე სალონში შევედი და რადიომიმღებს მივუჭექი. ამჯერად მოცარტს გადმოსცემდნენ ორმოცადმეტოთ ტალღაზე. ტებრი დავაზუსტე და კეფით კედელს მივეყუდე. ლიტაც შემოვიდა, კუთხეში მიდგმულ სავარებელში ჩაჯდა. იდაყვებით კიდეებს დაეყრდნო, ხელები შეატყუპა, ზედ ნიკაპი ჩამოდონ და ასე დამიწყო უურება. ისეთი დაუინებით მიყურებდა, სიცილი წამსკდა. მაგრამ ჩემს სიცილს იღნავადაც არ უმოქმედია მასზე. წყნარად, თანაბრად სუნთქვავდა. თვალები ხან გაუნათდებოდა, ხან ჩაუმუქდებოდა. უცებ მკითხა:

— მითხარი, განა შენ ვატერლოსთან არ მოგკლეს რვას თხუთმეტ წელს?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაკრთეს. მაგრამ, სანამ მე მივუგებდი რამეს, წამოდგა, გამიღიმა და დამამშვიდა.

— ასე ეკითხებოდა ამას წინათ ერთი გოგონა ბიჭეს. წავიდეთ საბანაოდ, ავტობუსი მოვიდა.

რადიომიმღები გამოვრთე და უკან გავყევი. ხელები როგორდაც გრძლად ჰქონდა ჩაშვებული. ორჯერ მომიბრუნდა და ლიმილით მკითხა:

— ხომ გინდა საბანაოდ წასვლა? ხომ გინდა?

რა თქმა უნდა-მეტქი.

ავტობუსთან ერთმანეთს დავშორდით და ჩვენ-ჩვენი კორპუსისკენ წავე-

დით საბანაო ტანსაცმლის წამოსაღებად. მე ხუთი წუთიც არ დაშვირებია, ლიტას კი ბარე თხუთმეტი წუთი შეაგვიანდა. ის იყო მძლოლმა კარი მოიხურა და თქვა, წავედითო, რომ კიბე ჩამოირჩინა. მხარზე უჯრა-უჯრა მოხატული. წითელი ჩანთა პქონდა ჩამოკიდებული. ხელით გვანიშნებდა, დაიცადეთო. ყველანი იმას უყურებდნენ. ჩემს წინ ორი შუანის მანდილოსანი იჯდა. ერთმა თქვა:

— როგორ მომწონს, რომ იცოდე!  
— ლამაზი გოგოა, — დაუმოწმა მეორემ. მერე ტუჩები ყურთან მიუტანა და რაღაც უჩურჩულა.

ველოდი, რომ აი, სადაცაა, ერთ-ერთი მათგანი ჩემკენ მოიხედავს—მეთქი, მაგრამ არც ერთს არ მოუხედავს. ის, ვინც პირველად თქვა, მომწონსო, რაღაცით გავირებული დარჩა. მერე კარს მიაჩერდნენ.

მძლოლმა კარი გააღო, აჭითლებული, თვალებაგიზგიზებული ლიტა ამოუშვა და მანქანა დაძრა. ეს მანქანა ჩვენი დასასვენებელი სახლის იყო, თითქმის სულ ერთიდაიგივე ხალხი დაჰყავდა პლაზე და მგზავრები შიგ ძალიან თავისუფლად გრძნობდნენ თავს. ლიტას წინა რიგში ვიღაც მამაკაცმა დაუთმო ადგილი. ლიტა უარობდა, მეც გამომხედა მუდარისა თუ პატიგბის თხოვნით, მაგრამ მამაკაცი არ მოეშვა და იძულებული გახდა, დაშვდარიყო. ჩანთა გვერდზე მოიდგა, ორივე ხელით გაისწორა თმა.

გზაზე მამაკაცი რაღაცას ყვებოდა, ლიტა იცინოდა. ვეტობუსი რომ გაჩერდა და პლაზე ჩასასვლელ გრძელ კიბეს ჩავყევით, წამოვიშიო და მხრით ოდნავ წამოვედე მხარზე. შუბლი შეიკრა და კითომ შემომიბლვირა, მაგრამ თვალებში მაინც სიხარულის ნაპერწკლები უციმციმებდა. შუა კბეზე შედგა, მელაქელიური გამომეტყველება მიიღო.

— მე დახურულ პლაზე მივდივარ. — თქვა და თავი ფიცრის მესერისაკენ გადაიქნია.

— როგორც გენებოთ! — დავვთანხმე ლიმილით.

ორიოდე ნაბიჯი უკან-უკან გამოიწვია ხელი საფეხურელთან მიიტანა და თითები დამიქნია გამომშვიდობების ნიშნად. სახტადღარჩენილი ვიდექი და ხმას ვეღარ ვიღებდი. სადღაც კიდევ მეონდა იმედი, მობრუნდებოდა და იტყოდა, წავედით, ვიხუმრეო. ალაყაფთან მართლაც მობრუნდა:

— პირველს რომ ხუთი დააკლდება, აქ ვიქნები! — დამიძახა ლიმილით და რაღაც გამომწვევი გამომეტყველებით, კიდევ ერთხელ ასწია ხელი დამშვიდობების ნიშნად და ალაყაფს მოეფარა.

ერთი პირობა ვიფუქერე, სულაც აღარ ჩავალ-მეთქი პლაზე. მერე ღილანდელი ფიქრები გამახსენდა, როგორდაც სივრცეშიც წარმოვიდგინე საკუთარი თავი — განაწყენებული, სახედამარებული, და უცებ მივაგდე ქვა ეშმაკს. მოგრალივით მივალაგებდი რიყის ქვებივით დაფენილ შიშველ ადამიანებს შორის და ხმამალი ვიმეორებდი:

— განცდების გარეშე, განცდების გარეშე!..

ისევ აქ მივედი, სადაც წინა დღეს გავიხადე ტანსაცმელი. მიმოვიხედე და უკანასკნელი სიმძიმეც მომეშვა გულზე. აქ იყო ჩემი ნაცნობი უჯრაინელი ქალი, აქ იყვნენ მისი კარგი ბავშვები, აქ იყო ის კომპანიაც, კარტს რომ თამაშობდა...

ბავშვებმა, დამინახეს თუ არა, თავაშს თავი ანებეს და ჩემკენ გამოიქცენ. შორიდანვე დაიწყეს ერთმანეთის დასწრებით:

— იცით, ერთი კოჭლი კაცი კინალაშ დაიხერხი. მოტორიანი ნავით გამოიყვანეს. ახლა საავადმყოფოშია.

დედა მომესალმა და დინჯად გაუსწორა:

— არა, ბავშვებო, ის კაცი კოჭლი კი არ იყო, წყალში ძარღვი გაენასკვა და ფეხს ვეღარ ამოძრავებდა.

ბავშვები ამბის წვრილმან დეტალებზე გადაიდნენ: როგორ შევიდა ის კაცი ღრმად, ღრმად, ღრმშებს იქით, როგორ

დაიშუო იქ ხელების ქნევა, რაც ნაპირზე თავისებურ ცელქობად მიიჩნიეს, მერე როგორ მოვიდა ყვირილის ხმაც... „შვე - ლეთ! შველეთ!“..

წყალთან რომ მივედი, გოგონა შე-მესვეწა:

— შორს არ წახვიდეთ რა, გეხვეწებით!

დედამისმაც მთხოვა:

— შორს ნუ წახვალთ, ღვთის გული-სათვის, გვეყო გულხეთქება.

დაგვიძილი, რომ შორს არ წავიდოდი, და ზურგულით შევცურე, თან თავს მაღლა ვწევდი და ბავშვებს ვუცინდი, რომლებიც ხუთიოდე ნაბიჯზე მომყვნენ, იქ მკერდამდე წყალში გაჰქრდნენ და ხელებს ისე იშვერდნენ, თითქოს გაფარხსული თითებით უნდა შეეჩერებინათ მათენ მომავალი ტალღები. პლაქმა რაღაც ბიბლიური სურათი მომავონა (იქნებ იმის გამო უფრო, რომ შავი კლდე დაცყურებდა!). იშვენ შიშველი, ნიათგამოლეული ადამიანები, შესცემ-როდნენ ცას და ელოდნენ. რას დაელოდებოდნენ მაშინ, ბიბლიურ ეპოქაში? განგებას ღვთისას, ანდა რაღაც ასეთს? ახლა? გამეცინა და ყველაფერზე ხელიაქნეული კაცის განწყობილებით მივენდე ვეებერთელა წყალს. მთელ სიგანეზე გადაშლილ ხელებს ოდნავ ვატოებდი. მოდიოდნენ დაბალი, გლუტალები და ნაფოტივით მარწევდნენ, მათმაშებდნენ.

„დედამიწა კი გუგუნითა და ჭექაქუსილით მიგვაქროლებს მეც, ლიტასაც და ყველას, ყველას კოსმოსურ შავეთში!“...

სიცივემ ამიტანა. ხალხთან ყოფნა მომინდა, დაე, რანაირებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი! მოვბრუნდი და აჩქარებული მქლავურით წავედით ნაპირისაკენ. ნაპირიდან ჩემი მეგობარი გოგონა და ბიქი მიღიმოდნენ. უკეთეს ვინმეებს ვერც ვინატრებდი! სილა მოვებენეთ და წავწექით, აქეთ-იქიდანაც შემოვიყარეთ. სილამ ერთი ბავშვური გასართობი მომავონა. ჭიანჭველები მიპოვეთ-მეთქი. მეც წამოვდექი. მთელი სა-

ნაპირო შემოვიარეთ და ბოლოს მარც მივაგენით — ნამდვილ „ყაჩაღ“ ჭიანჭველებს — ახალგამდნარი ფრენებით თებივით შავები რომ არიან, მაღალ ფეხებზე რომ დგანან და მწარედ იგბინებიან. ბავშვები ცნობისმოყვარეობით იწვოდნენ. მე წმინდა, ძალიან წმინდა მშრალი სილა აგარჩიე. გერ ავაკოლე, მერე წვერი ვულკანის კრატერივით ამოვულრმავე და ჭიანჭველები შიგ ჩავსი. ორნა იყვნენ. ერთი ერთ მხარეს ეცა, მეორე მეორეს. მაგრამ კრატერის შუაწელმდეც არ იყვნენ ამოსულნი, რომ სილა მოზვავდა და ძირს ჩაიტანა ორივენი. უფრო ბეჭითად დაიწყეს ამოსვლა, მაგრამ ისევ მოემდევათ ფერდობი, ახლა უფრო დაბლა. ბავშვები აღტაცებული იცინოდნენ. დიღებიც დაინტერესდნენ, ირგვლივ შემოგვეხვივნენ. — მიღი! მიღი, მიღი! — იძახდნენ ჭიანჭველების გასამხნევებლად.

ჭიანჭველებიც ცდილობდნენ, თავგან-წიოული მოცოცავდნენ კრატერის ფერდობზე. და აი, უცებ რა მოხდა: ძირს დაცურებული ჭიანჭველები ერთმანეთს დაეგახნენ. ვიფიქრე, შემთხვევით დაეჯანენ. მაგრამ, რომ არა და აღარ გაშორდნენ, დავიხარე, დავაკვირდი და ურუანტელმა დამიარა ტანში. ერთი ჭიანჭველა გულალმა იყო ამობრუნებული, მეორე უცლში ჩაპირენოდა. ავის-მომასწავებლად გაშეშებულიყო ჭარში ბოლოაპრეხილი. მომესმა ღრმიალი, კნატანუტი — თითქოს ორი უზარმაზარი რკინის ურჩხული ძვლებს უმტვრევდა ერთმანეთს.

— ჰელავს! — შეშუოთებული ხმით წამოიძახეს აქეთ-იქიდან და რამდენიმე ხელი გამოქანდა გულალმა ამობრუნებული ჭიანჭველის საშველად, მაგრამ უპევ გვანან იყო. ზემოთმოქცეულმა ჭიანჭველამ ბოლო დაუშვა, აიყალყა, წინა ფეხები თითქოს გამარჯვების ნიშნად აასავსავა, გაუნძრევლად მყოფ თვისტომს ირგვლივ შემოურბინა და ისევ კრატერის კალთას ეცა.

ჩვენ გაოგნებული თვალებით ავხე-დეთ ერთმანეთს. უცებ ტოლია, ჩემი

მეგობარი ბიჭი, წამოხტა, ქვიშის კოკოლას ქუსლი ჩაჰერა და ტირილშერეული ხმით წამოიძახა:

— რატომ მოქლა?! რატომ?!

მისთვის არავის არ გაუცია პასუხი. ისე კი დაიწყეს. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მე არც ერთის ნალაპარაკევი არ მაინტერესებდა. რაღაც ხიმბოლურ თუ საბედისიშერო ამბად მომეჩვენა ეს ფაქტი, და ხმისამოულებლად ვიჯექი დიდხანს. გამტკნარებული იყო ტოლიაც, ლიკა კი, მისი და, დედას მიპეროდა და ცრემლიანი თვალებით უყვებოდა ალბათ ჭიანჭველების ამბავს. დედაც დაინტერესებული უსმენდა.

ავდექი, ზღვაში შევედი და იქ დიდხანს ვიწერები გულალმა. როცა დავიდალე, გამოვედი, ჩავიცვი, ნაცნობებს გამოვეტვიდობებ და ქალაქში ამავალ კიბეს ავეჯევი ნელ-ნელა. ისე შექონდა დამძიმებული გული რაღაც სევდით, ისიც კი დამავიწყდა, ლიტა რომ უნდა გამოსულიყო აქ პირველი საათისთვის. მაღლიდან ჩამოვაბრუნდი, ჩრდილიანი ადგილი ამოვარჩიებ და საფეხურზე დავჭექი. პირველის ოცი იყო. რა უნდა მეეთებინა! ისევ მაღლა ავედი. ერთ ფარდულში ლუდი შევამჩნიე. ორი კათხა დავლიე. ცოტა გავიარე — სიამოვნებას მგვრიდა საშუალებოდ დაცარიელებული ქუჩა. მოვბრუნდი და ისევ კიბისკენ წავედი. ისევ იქ დავჭექი, სადაც პირველად ვიჭექი. ზუსტად დანიშნულ დროზე ლიტაც გამოჩნდა. ქმაყოფილების ღიმილით მომიახლოვდა, ხელი გამომიშვირა — აგაყენებო, მაგრამ იმავე წამს გადაიფირა, ჩანთა ზემო საფეხურზე ჩამოდო, მოკლე კაბის უკანა კალთა ფეხებზე შემოიჭიმა და ჩემს გვერდით დაჭდა. ახლოს მოიწია, ხელები მარცხენა მკლავზე მომკიდა, გახურებული ლოკა მხარზე მომაყრდნო, საყვარელი ღიმილით ამომხედა და თქვა:

— როგორც რომში, ესპანეთის მოედანზე, არა?

— აბი!

— ხომ აღარ ბრაზობ?

— როდის ვბრაზობდი!

— კი, წელან ბრაზობდი, მაგრამ მოგარეოვე.

მე გამეცინა და კიდევ ერთხელ ვიუარე, სულაც არა ვარ-მეთქი გაბრაზებული.

— მაშ ასეთი გამომეტყველება რატომ გაქვს? — შეეცადა ცხვირჩამშევებული კაცის ფიზიონომია გამოეხატა თავისი ლამაზი სახით.

— იცი, რა მოხდა?..

დაწვრილებით ვუამბე ჭიანჭველების ამბავი.

ჭერ ისიც დაფიქრდა, მერე, რომ ნახა, სერიოზულ მნიშვნელობას ვაძლევდა ამას, გაცინა, წინ წამოიხარა, თავი ამოაბრუნა, დაბლიდან ამომხედა და თვალებგაოცებულმა მითხრა:

— აი, თურმე როგორი ნერვები გეონია შენ? ცრუმორწმუნეც ხარ?

— კი.

— მშიშარა?

— არ ვიცი.

— მატყუარა?

— არც ეგ ვიცი.

— საკუთარ თავს მაინც არ ატყუებელმე?

— საკუთარ თავს... — შევყოყმანდი.

— ქმარა. მაშისადამე ატყუებ. მთავარი კი ეს არის. აღარ მოატყუო საკუთარი თავი და ყველაფერი კარგად იქნება. ახლა წავიდეთ, ავტობუსი ვეიცდის.

ამ გზობაზე ერთად ვისხედით. მზისგან ატყრეცილი მკლავით რომ შემეხებოდა, მდუღარესავით მწვავდა. გადავიხარე და ყურში ვუჩურჩულე:

— მეშინა, ამ ხალხში არ გაეკოო!

— მეც. მაგრამ მანამ სხვებსაც არ უწავლიათ, მართალი იყვნენ საკუთარ თავთან, უნდა მოვითმინოთ.

სიცილი შევიკავეთ და, სანამ ავტობუსიდან ჩამოვიდოდით, ხმაც აღარ ამოგვილია. ავტობუსიდან რომ ჩამოვედით, უცებ გამახსენდა:

— ჰო, მართლა, ოთხ საათზე სათევზაოდ ვარ მიპატიუებული, ხომ არ წამოხვალ შენც?

— სად სათევზაოდ?

— კატარლით, კეფალის საჭერად. მე უკვე მეგობარი მყავს, შესანიშნავი მოხუცი — ლეონ რუვიმის ძე. ის მპატიურბა.

— მთევზებებს რომ არ უყვართ ქალის თანდასწრებით თევზაობა?

— გააჩნია ქალს!..

— კაი, კაი! როდის უნდა წავიდეთ?

— ია, შევეამოთ ცოტა რამე და მერე.

— მე რა წამოვიღო?

— რა უნდა წამოიღო?! ჩასაცელი რამე, შეიძლება მზის ჩასვლისას აცივდეს.

გამომემშვიდობა და ჩანთის ქნევით გაიქცა თავისი კორპუსისაკენ. მეც ჩემს ოთახს მივაშურე, პერანგი გამოვიცალე და სასადილოში ავედი. ლიტაც მალე ამოვიდა. პირველად უხა მოგვართვეს, მერე შემწვარი ქათამი და კრემიანი ნამცხვარი. აქ სასმელს არაფერს არ იძლეოდნენ და ძალიან გაგვიყვირდა, როცა კერძებს ერთი გრაფინი ბურახიც მოაყოლეს. იმ ბურახის ბრალი თუ იყო — ძალიან ხალისიანად ვისადილეთ, ყველაფერი მოვასუფთავეთ.

საღილობის შემდეგ ისევ ჩვენ-ჩვენს ოთახებში წავედით. დავისვენეთ, მერე სამგზავროდ გამოვეწყეთ და ქალაქისკენ დავეშვით. ლიტას თაგვისფერი ვიწრო შარვალი და მამაკაცური ლურჯი პერანგი ეცვა. სახელოები აკაპიშებული ჰქონდა. მაგრად მოხარულ კვერცხისგულისფერ ქურთუქს ხან მხარზე გადაიყიდებდა, ხან იღლიაში ამოდებული მოპქონდა.

პორტში რომ მივედით, ზუსტად ოთხი საათი იყო. ცხელოდა, ზღვა გავარვარებულს ჰგავდა. დათქმული არ გვქონდა, სად უნდა შევხვედროდით, და აქეთ-იქით ვიხედებოდი. მალე კი დავინახე — ბამბუკის ჭოხებით გადახაზულ-გადმოხაზული მეთევზები ჰქიბირის ძირას, სასაუმეს ჩრდილში მიმსხდარიყვნენ. ლეონ რუვიმის ძეც აქ იყო. მეშახტის სპეციამოსივით რაღაც ეცვა, იმავე ფერის დაჭმუჭნული კეპი ენურა.

შორიდანვე შემამჩნია. ანკესის ტარუბის მთელი ჭრლდე ასწია, მოსალმების წნეშტნად დაიძინია, და რაკი ნახა, შეკრულობის ვიყავი, ღიმილითა და ცუკცუკით წამოვიდა. მე ლიტა წარვუდგანი. ლეონ რუვიმის ძემ რომ ხელით ჩამოართვა ხელი და თითქმის მიწამდე დახარა თავი.

— მოხარული ვართ, მოხარული!

— არ გეშინიათ, რომ დაგნავსოთ? — ჰკითხა ლიტამ.

— თქვენი თვალების პატრონს, ძალიანც რომ მოინდომოს, მაინც პირუკულ გამოუვა. ბიჭებო! — მიუბრუნდა მეთევზებს, როცა ჩვენ ჩრდილში შევეღით. — იცნობდეთ ჩემს მეგობრებს!

მეთევზები ჭოხების ჩხარაჩხურით წამოდგნენ. ყველამ ღიმილითა და სიამოვნების გამომხატველი მოძრაობით ჩამოვგართვა ხელი. ყველა კმაყოფილი იყო, რომ „ასეთი ლომაზი ქალი დაესწრებოდა მათ ლაშქრობას.“

შევეღირის ცერემონიალი არ დავვემთავრებინა — რადიომ გამოაცხადა: კატარლა, რომელიც სათევზაოდ გასვლის მსურველებს აქვთ დაქირავებული, მესამე პირსთან დგის და შეგიძლიათ ჩასხდეთ.

მე ლეონ რუვიმის ძის ვეღრო ავიდე, ლიტამ ერთ მოხუცს გამოართვა ანკესები და ყველანი კატარლისკენ წავედით. ყველაფერს დახარებებული მოაგარავენი ნატრული ადამიანის თვალით გადმოვცეურებდნენ მაღლიდან. კატარლა ძევლი იყო, ვინ იცის მერამდენედ შეღებილი! სამაგიეროდ „კაპიტანი“ აღმოჩნდა იშვიათი ვინმე. ორმოცდათის იქნებოდა. ქული დარღიმანდულად მოეგდო გვერდზე, ფორმის ტანსაცმელიც როგორლაც შინაურულად ეცვა.

თითქმის ყველას იცნობდა, ყველას ხმამალალი ძახილით და ხელების შლით ხვდებოდა. ლიტა რომ გავაცანით, ამით ხომ ცას ეწია. მაშინვე თავისთან მიიპარიჟა. კატარლა პორტიდან გაიყვანა თუ არა, საჭე ლიტას დააჭერინა და თვითონ ერთ გაუთავებლად მოძრავ საგნად იქცა. ხან აქედან მოუვლიდა ლიტას, ხან

იქიდან. რაღაცებს ასწავლიდა, რაღაც სასაცილო ამბებს უყვებოდა. ლიტაც არ ჩამორჩებოდა. იცინოდა, თვალებით ეკენწლავებოდა. საჭესთან მდგარი ხანდახან ისე აიწევდა, თოთქოს ცდილობდა თვითონ გაესწრო კატარლისათვის.

ჩვენ სკამებზე ვისხედით და ზღვას გავუეროდით. მეთევზები სადღაც წინ იშვერდნენ ხელებს. იქ სამი კატარლა თუ სეინერი იდგა. მერე ტალღებზე მოლივლივე მეთოვლიებიც შევამჩნიე. ლეონ რუვიმის ძემ მითხვა, — აი, იმ მეთოვლიებთან უნდა მივიდეთო. მეთევზები ანკესების მზადებას შეუდგნენ. ერთი ანკესი მეც გავამზადე, — ლარი გავშალე და სამადგადასხსნილი ტარი ერთმანეთს გადავაბი. ლიტასაც დავუძახე, ვიწყებთ, ჩამოდით-მეთქი. მაგრამ „კაპიტანმა“ ეშმაკთან გაგვზავნა ჩერნუ, ჩვენი ანკესებიც და თევზებიც. ლიტაც ხელით მანიშნა — მოითმინეო.

მეტი რა გზა მქონდა, ვითმენდი და ანკეს ვუკირკიტებდი, მაგრამ, რაც მართალია, მართალია, მაინც დიდი სიამოვნებით მოვკიდებდი ერთსაც და მეორესაც ფეხებში ხელს და თავდაყირა გადავუძახებდი ზღვაში.

ზღვაში კი უკვე ძალიან ღრმად შევსულიყავით. ქალაქი ბუნდოვნადლა ჩანდა. აღტაცების კივეკივით გვეგვებებოდნენ მეთოვლიები. „კაპიტანი“ ახლა საჭესთან თვითონ იდგა. მის ჯიხურში ორი მეთევზე შესულიყო და რაღაცას ანიშნებდნენ. ბოლოს კატარლამ სვლას მოუკლო. ჩვენს ხელმარჯვნივ, სამასიოდე მეტრზე, თეთრი სეინერი იდგა. ჩანდა, იქაც მეთევზები იყვნენ, მხოლოდ ისინი რაღაც თანამედროვე ტექნიკის მოშველიებით თევზაობდნენ. ჩვენი კატარლაც გაჩერდა. ძრავა გაჩუმდა. „კაპიტანის“ ჯიხურში მყოფა მეთევზებმაც ჩამოირბინეს და თავიანთ ანკესებს ეცნენ. მეთოვლიებმა კივეკივს უმატეს. ლეონ რუვიმის ძემ მასწავლა, — ანკესი ძალიან მაღლა-მაღლა არ ისროლო, თორემ მეთოვლია ეცემაო. ამით შეშინებულმა სამ მეტრზე იქით ვეღირ მოვა-

ხერხე ჩაგდება. მაინც ჩავტოვე, რადგან იმ წუთებში თევზებზე მეტაფრაზულტნისა“ და ლიტას ამბავი მაინც უკრუსებდება: ისინი კატარლის კოშკურაზე ასულიყვნენ, გადამსხდარიყვნენ ერთ-ერთ შვერილზე და ბავშვებივით იქნევდნენ ფეხებს.

მეთევზებმა ორ-ორი, სამ-სამი კეფალი დაიჭირეს. მეც დავიტირე ერთი. ჩანდა, დიდი ქარავანი იყო ჩვენს ქვემოთ, ანკესის გადადება და თევზის დაჯახება ერთი იყო; ლიტას კი მოხედვითაც არ მოუხედავს ჩვენები. ბოლოს, მეხუთე თუ მეექვსე კეფალი რომ მოვხსენი ანკესიდან, მაშინ ჩამოვიდა. სახე შეჰურებოდა, კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა.

— აბა, ახლა მე მაჩვენე ეგ შენი იარალი, ძვირფასორ, — მითხვა ალერსიანი ხმით. ანკესი გამომართვა და სულ ცოტა ხანში კარგა მოზრდილი კეფალი მოიყავანა. თევზი შევუხსენი და ანკესზე ჭიაყელა გამოუცვალე. ისეთი უმანკო, ბაგშვურად კმაყოფილი თვალები ჰქონდა, უცებ გადამიარა სიბრაზემ და „კაპიტანმა“ წაველი შესარიგებლად. „კაპიტანმა“ ხელი ჩამომართვა და საქმიანად მითხრა:

— ცოლი გყავს, ძმაო, პირველი რანგისა, ფრთხილად იყავი, არ წაგართვა.

— გაგიცვლი, თუ ძალიან გინდა!

— რაში გამიცვლი? ჩემს ბებერში?

— არა, ჩიბუქში.

„კაპიტანმა“ ჩიბუქი გამოილო და მალლიდან დახედა. ეს იყო შავი ხისგან გამოთლილი თავზეხელებშემოწყობილი შიშველი ქალი, — ჩინური თუ ინდონეზიური ნაოსტატარი.

— აი, შე წყეულო შავო სატანავ! — ამოიძახა სიცილით. — რამ მოგაფიქრა ეგ? ვისი ნაჩუქარია, იცი, ეს ჩიბუქი? შენზე უარესმა არაბმა ტარტაროზმა მაჩუქა ბეირუტში. ისევ რომ შევხვდეთ და მკითხოს, რა უყავიო? არა, ძმა. შენ დაბადებულხარ მაგ ბენინირ ვარსკვლავზე და შენ გყავდეს შენი ცოლი. ცეცხლივით ქალი კია, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილი პირველი რანგისა.

როგორლაც შელახული ჩემი თავმო-  
ყავარებობა „რეაბილიტირებულ იქნა“. კა-  
მაყოფილი ვიყავი, ლიტას რომ ქმრად  
გაეცნი ჩემი თავი. მე მეთევზეებთან  
დაგბრუნდი, „კაპიტანმა“ კი თავის ჭი-  
ხურში რაღაც ხელსაწყოს დაუწყო კირ-  
კიტი.

ლიტას ორი კეფალი კიდევ დაეჭირა  
და ძალიან გახარებული იყო. ანკესის  
ტარი კატარლის რეინის მოაჭირზე ჰქონ-  
და დადებული, ლეონ რუვიმის ძეს ელა-  
პარაკებოდა. ლეონ რუვიმის ძე თითქოს  
ოცი წლით გაახალგაზრდავებულიყო.

კატარლის სამანქანო განყოფილებას  
ბაქანივით რაღაც გასდევდა გვერდზე, იქ  
დავჭევი. ხელები შარვლის ჭიბებში ჩა-  
ვიყავი, ფეხები მოაჭირზე შევაწყვე, თა-  
ვი რეინის კედელს მივაბჭინე და ასე ვუ-  
ყურებდი ლიტასა და ზღვას. ზღვა წყნა-  
რი იყო, გასაოცრად წყნარი. თეთრი სე-  
ინერი შორს წასულიყო, ლიტამ ერთი  
კეფალიც ამოაგდო. დამინახა, მოეწონა  
ასე რომ ვიჯევი. ანკესი მიატოვა, გვერ-  
დით მომიჯდა, ფეხები თვითონაც მოა-  
ჭირზე შეაწყო, უკან გადმოიწია. მაგრამ  
ჭიბებში ხელების ჩაყოფა კი ვეღარ  
შეძლო, — მის შარვალს მამაკაცური  
ჭიბები არ ჰქონდა! დაცინვით დაიხედა  
ზედ, მერე ხელები იღლიებში ამოიწყო  
და ასე გაიტერინა. თვალები დახუჭული  
ჰქონდა, მზეს უძლებდა. უცებ თქვა:

— მე ძალიან მიყვარს მზე. როცა მოვ-  
კვდები, ძალიან დამენანება მასთან გან-  
შორება.

გამეღიმა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— შენც ამიტომ მიყვარხარ, მზისფე-  
რი რომ ხარ, სუნიც მზისა გაქეს.

გადავხედე. ისევ თვალებდახუჭული  
იჯდა. ოდნავ ქანაობდა. იქით ლეონ რუ-  
ვიმის ძე ჩაუწერებულიყო, ლიტას ან-  
კესს ასწორებდა და ხანდახან გამოგვხე-  
დავდა ხოლმე. კიდევ ერთი მეთევზე  
გვიყურებდა ღიმილით, ისიც მოხუცი  
იყო. მინდოდა ლიტასთვის მხარი წა-  
მექრა და მომეხედებინა, მაგრამ გადა-  
ვიფიქრე — ალბათ ასე ერჩია მასაც.

კატარლის საყვირმა გამოგვათხიზლა.

ფეხები ჩამოვუშვით, წამოვდექით. არც  
ერთმა არ ვიცოდით, რა მოხდა. კაპიტა-  
ნი თავისი ჭიბურის კართან იღვეულს მათუ-  
ზე იყურებოდა და იცინდა.

— მორჩა, თქვენი დრო ამოიწურა!  
ახლა, პირდა უკან!

მეთევზეები გულნაკლული შესცე-  
როდნენ ხან „კაპიტანს“, ხანაც ერთმა-  
ნეთს.

— რამდენიმე წუთიც, — თქვა ლეონ  
რუვიმის ძემ.

— რამდენიმე წუთიც, კაპიტანო! —  
დაუძახა ლიტამ.

— კარგი, მხოლოდ ათი წუთი!

„კაპიტანი“ ჩვენთან ჩამოვიდა.

— რა მითხრა, ამან, იცით? — მიმარ-  
თა ლიტას. — რა მითხრა, რომ იცოდეთ!

— რა გითხრათ? რა უთხარი?

მე სიწითლემ წამომიარა.

— ეეხ, კარგია ახალგაზრდობა.

„კაპიტანმა“ სახელი არ გაიტეხა, არ  
გამოტქვა, ჩიბუქში რომ ვუცვლიდი. ლე-  
ონ რუვიმის ძის ვედროსთან ჩაცუცედა,  
თევზები დათვალი.

— ოცდაოთხი! — წამოიძახა ხმამალ-  
ლა. — ქმარა, თქვენ სულ გაანადგუ-  
რებთ, რაც ამ ზღვაში თევზია.

მაღლა აირბინა, საყვირი აუშვა და  
ძრავა აამუშვა. კატარლამ შემობრუ-  
ნება დაიწყო.

პირი რომ ნაპირისკენ ვქენით, კაპი-  
ტანმა ისევ დაუძახა ლიტას და ისევ ის  
დააყენა საჭესთან. მე და ლეონ რუვიმის  
ძე კი თევზების ასხმას შევუდექით.  
ოცდაოთხი კეფალი სამი კილოგრამი მა-  
ინც გამოვიდოდა. სხვებიც მოვიდნენ  
ჩვენთან. იმათაც აესხათ თევზები. ზოგს  
ჩვენს მეტი დაეჭირა, ზოგს ცოტა ნაკ-  
ლები. უქმაყოფილო კი არც ერთი არ  
იყო. უკელს სახე უბრწყინავდა, მალი-  
მალ დახედავდნენ ხოლმე თავთავიანთ  
ნადავლს. უკელაზე კარგ ხასიათზე მაინც  
ლიტა ჩანდა. ის ისევ ისე იდგა საჭეს-  
თან, როგორც იმ გზობაზე — წინწას-  
წრაფებული, თითქოს გაფრენას აპი-  
რებსო.

პორტში რომ შევედით, მზეც ჩავიდა.

მოაგარებინი აღტაცების ამოძახილებით ხვდებოდნენ მეთევზებს, რომლებიც თითო-თითო გადადიოდნენ პირსზე. „კაპიტანი“ დიდად ნანობდა, რომ გვშორდებოდა. ხვალაც მეწვიეთ, ზეგაცო, როცა გინდოდეთო. ჩვენ დავპირდით.

— ააა, შე ბედნიერო კაცონ! — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა ჩემთან დამშვიდობებისას.

#### IV

ჩვენმა მოხუცმა მეგობარმა თავი გამოიდო, გინდათ თუ არა, ჩემთან უნდა წამოხვიდეთო. ჩვენ ერთი პირობა თავპატივი გავიდეთ, — დასასვენებლი სახლების მეაცრი შინაგანწესი მოგაონეთ. მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ. მეწვრილმანებივით ხომ არ გავიყოთ თევზს, ერთად დავიჭირეთ, ერთად უნდა მოვულებინოთო, და დაგვითანხმა. მეწლვაურების კლუბთან აეტობუსში ჩატანედით, სადღაც კვიპაროსებით შემოსილ გორაკთან ჩამოვედოთ. სახლები აქ მთლად პატარ-პატარა იყო. წინ ალუბლებითა და თუთებით დაბურული ბაღჩები ჰქონდა. ჭიშკრებთან, ისევე როგორც ჩვენში, მუშა ხალხი გამომსხდარიყო. ქალები ხელსაქმობდნენ. დაღლილი კაცები თუთუნს აბოლებდნენ და ამვლელ-ჩამვლელს ათვალიერებდნენ. ლეონ რუვიმის ძე ყველას იცნობდა, ყველას ესალმებოდა. ისინი აქებდნენ — ეგ რამდენი თევზი დაგიჭერიაო! ლეონ რუვიმის ძე კამაყოფილებით დახედავდა ხოლმე თევზებს. მერე, თითქოს ახლა გაახსენდაო, ჩვენზე ანიშნებდა — ამათ დაიჭირესო. მაშინ ისინი ჩვენც გვესალმებოდნენ და გვიღიმოდნენ. ჩვენ თავს ვუკრავდით. ლიტა მკლავზე ხელს მიჭირდა და მეუბნებოდა:

— ღმერთო, რა კარგები არიან დღეს ყველანი!

პატარა, მოაჯირმორყეულ ქალებურ ხიდზე გავედით და სასურასო მარაზიას წავადევით. მე პაპიროსი მოვიმიზეზე, შევედი და სამი ბოთლი რისლინგი ვიყიდე. ლეონ რუვიმის ძე გამიწყრა,

მაგრამ უკან ხომ აღარ დავიბრუნებით, წავიღეთ. ლიტა (ერტყობოდა ცოტა დალა) მკლავზე დამაწვა დამზიდული და:

— როგორ მინდა, იცი, მეც დავგდე სადმე ალაყაფის წინ, დავიდგა მუხლებზე დიდი სინი და ნელ-ნელა გარჩიო ბრინჯი ან რაღაც ასეთი.

მე მივხედე, რატომლაც შემებრალა და ვკითხე:

— მოსკოვში სად ცხოვრობთ?

— მეთოთხმეტე სართულზე.

მე შეძრწუნების ნიშანად თვალები დავხუჭე და ხელები მაღლა ავწიე.

ლეონ რუვიმის ძე ერთ მწვანე მესერთან შეჩერდა, ანკესები ძირს დააწყო, ხელი ფიცარსა და ფიცარს შუა გაყო, კარი გააღო და მიგვიწვია — მობრანდითო. წინ ლიტა გავუშვით და მერე ჩვენ შევედით. ლეონ რუვიმის ძე შინ მარტო ყოფილიყო.

— საბოლოოდ წამართვეს ქალიშვილებმა ჩემი ბებერი. ერთი მოსკოვშია, მეორე — ტაშკენტში.

პარმარზე რაღაც დანჯრლეული ტაშტი იღო, ის ტაშტი ასწია, ქვეშ ხელი შეყო, გასაღები გამოიღო და ღიმილით მოგვიაბრუნდა:

— ყველაფერი ძველებურად, მამაპაპურად!

ლიტა რაღაც წვრილფოთლიან მცენარეს გადაწვდომოდა.

— რა არის ეს? რა უცნაური სუნი აქვს?

— არ იცით? — აღტაცებით იკითხა ლეონ რუვიმის ძემ. — აბა, რა იქნება?

— ღვია.

— აქ!

— ბზა.

— რას ამბობთ!

— მე ისევე ვიცი მცენარეების სახელები, როგორც ჩინური იეროგლიფები.

მცენარეს მეც გადაწვდი. კაცზე ცოტა მაღალი, ტოტებმეჩერი ბუჩქი იყო. მინდოდა თავი გამომეჩინა, ფოთოლი გავსრისე, რამდენჯერმე დავუნისე. და ვითომც ძალიან უბრალოდ ვთქვი:

— სანდალოზის ხეა.

— აჲ, არა. ესაა როზმარინი! იშვიათი ეგზემპლარი. ჩეხოვის ეზოში დგას და ჩემთან. მეტი არსად.

— ნიკიტის ბოტანიკურში?

— იქ კი! იქ უთუოდ იქნება.

— რამდენჯერ წაგვიკითხავს როზმარინის სურნელებაზე და ყოველთვის სხევანარი რაღაც წარმოგვიდგენია! მართლა ჩინებული სუნი ჰქონია.

მთელი სახლი ორი ოთახისაგან შედგებოდა. წინ ცისფრადშელებილი შუშაბანდი ჰქონდა. შუშაბანდის თითქმის ნახევარში სამზარეულო იყო მოწყობილი. ფარგლებზე თეთრი, მაქმანებიანი ფარგლები ეკიდა.

ლეონ რუვიმის ძე მარცხენა ოთახში შევიძლვა. დარაბები დააღლო, სინათლე აანთო და მრგვალი მაგიდის ირგვლივ შემოწყობილი სკამები გამოსწია.

— დაბრძანდით, სანამ რამეს მოვახდებებდე.

— რატომ თქვენ? ყველამ ერთად! რაკი მეთევზეთა კოლექტივია, კოლექტივი იყოს ბოლომდე, — თქვა ლიტამ. — ნება მიბიძეთ, მე ჩემი ქალური უნარი გამოვამდავნო. წინსაფარივით რამე მომიხრეთ, მეტი არაფერია საჭირო.

— ახ, არა! — იუარა ლეონ რუვიმის ძემ. — თქვენ ამით გაერთეთ. აი, რადიოლა, აქ, ქვეშ, ფირფიტებია.

მაგრამ ლიტამ არ დაიშალა და მალე პლასტიმასის ყვავილებიანი წინსაფრით მოგვევლინა. ეს წინსაფარი ძალიან უხდებოდა. თითქოს უფრო მეტი სითბო ჩასდგიმოდა თვალებში, — შინაურული სიმყუდროვე და სითბო.

— ბატონო დავით, თქვენც გთხოვთ.

სამზარეულოში გამიყვანა და მითხრა:

— თუ არ იცი, უყურე ლეონ რუვიმის ძეს და ისწავლი.

ლეონ რუვიმის ძე თევზებს წელავდა. ქურთუკი გავიხადე, სვიტერის სახელოები ავიკაპიშე და ჩემი ჯიბის დანა გავხსენი. ერთი მეტისმეტად წვრილი და გრძელი დანა იყო, ბუზს რომ წვერზე ფეხი დასცდენოდა, ზედ წამოეგებოდა.

ლიტას შიშით გაუგანიერდა თვალებზე. თევზი რომ ავიღე და მუცელში შევუყიდები, გაარტოლდა და სახეზე ასაკითხირი მიითარა ხელები.

— შეინახე ეგ დანა! ძალიან გთხოვ, შეინახე ეგ დანა!

ლეონ რუვიმის ძემაც მოიხედა. ისიც შეაძრწუნა ჩემი გასისხლიანებული დანის დანახვამ. მაგრამ მან მხოლოდ ეს ამიძიახა:

— ო!

მაშინ ის დანა გავწმინდე, შარვლის უკანა ჯიბეში შევინახე და სუფრის დანა ავიღე.

ლიმილით ვმუშაობდი და თან ლიტას ვუყურებდი. ხანდახან ისიც გამომხედავდა ხოლმე გაბუტული ბავშვის გამომეტყველებით; თითქოს მეუბნებოდა, შენგან ამას არ მოველოდიო. ნავთქურა აანთო, მომინანჯრებულ თაბაზზე ფქვილი დაყარა. თევზებს ლონიერი, ლამაზი ხელებით ჩერხავდა, მერე პატარ-პატარა ნაჭრებადჭრიდა, ფქვილში ვალებდა და ზეთმოსხმულ გახურებულ ტაფაზე აწყობდა. შეფიცხებული ნაჭრები ცოცხლებივით თრთოდნენ. სამზარეულო შემწვრის მძაფრი სუნით აიგსო.

მეორე ნავთქურაზე წყალი დუღდა. ახლა იმას დაუტრიილდა. ძმარი, ბაპარი, ხახვი და შავი პილპილი მოითხოვა. სმენაზე ვიდექით და მის ყოველ ბრძანებას ვასრულებდით. პირველ ხანებში ვითქმირე, თავს გვაწონებს და იმიტომ ირგება-მეთქი ასე. მერე და მერე კი დავრწმუნდი — მართალი არ ვიყავი. რაღაც თანდაყოლილი სილამაზე იგრძნობოდა მის მკვეთრ, მოზომილ და ამასთან ერთად მოქნილ მოძრაობაში. ტაფაზე ზეთი რომ დაასხა და ჰაერში რამდენჯერმე შემოატრიალა წრიულად, მინდოდა მეყითხა, ბალერინა ხომ არა ხარ-მეთქი. მაგრამ გამახსენდა — უკვიორე მქონდა ნაკითხი ეს, და სიცილი წამსკდა.

— რა გაცინებს? — მომიბრუნდა და წინწამოშლილი თმა მაჯით გაიწია უკან.

— რაღაც გამახსენდა.

— რა რაღაც?

ვიცოდი, ასეთი მიკიბვ-მოკიბვა შორს წაგვიყვანდა და ვუთხარი, რაზეც გამეცინა.

ვითომ არ დავიჯერეო, მაგრამ, მგონია, მაინც ესიამოვნა. უფრო ყოჩაღად განაგრძო საქმე.

ლეონ რუვიმის ძეს საკუთარი, სახლის წინ გამართული თალარის ღვინო ჰქონდა. მოფერებით უსვამდა ბოთლებს ხმელ, კანგახეშეშებულ ხელს და აქებდა:

— კახური არ არის, მაგრამ ყირიმულ ღვინოებში იშვიათად შეხვდებით ამგვარსო.

ღვინოს ხოლმოგორული ყველი, ჩამუჟუებული სოკო და შემწვარი ბადრიჭნის კონსერვი მოაყოლა. სუფრა ლიტამ გააწყო. წინსაფარი მოიხსნა და სასიამოვნო დალილობის ღიმილით თქვა:

— ამასობაში მართლა მოშივდა. შეგვიძლია, დავიწყოთ.

დავსხედით და ნამარხულევი ხალხის მონდომებით დაეუტრიალდით იმ უბრალო, მაგრამ ლამაზად გაწყობილ სუფრას. ლეონ რუვიმის ძე აღტაცებაში მოვიდა ლიტას ნახელავით — ეს რა ბრწყინვალე კულინარი ყოფილხართო. ლიტა, პირიქით, სოკოს აქებდა, — ნეტავ თქვენი მეუღლე აქ ყოფილიყო, მეც მასწავლიდა ასე გაკეთებასო.

— ეგ მარტო ჩემი მეუღლის დამსახურება არ არის, — ღმილით ამბობდა ლეონ რუვიმის ძე. — აქევ, ჩენს ზემოთ, ეკლესიასთან, სოკოს შენახვის დიდოსტატი ცხოვრობს, გლიკერია ფერისტისას ასული, აი, დედაკაცი! — ლეონ რუვიმის ძემ მთელ სიგანეზე გაშალა ხელები. — ის არის მთლად უფროსი ტექნილოგი და კონსულტანტი მთელი ამ ჩენი რაიონის სოკოთმეურნებისა. დადის და კონსულტაციებს უტარებს ჩენს დედაკაცებს, ისე, უხელფასოდ, საზოგადოებრივ საწყისებზე.

— როგორ ბრძანეთ, რა პერია? — იკითხა თვალებგაბრწყინებულმა ლიტამ.

— გლიკერია... არის ასეთი შეკრძალი სახელი.

— რა საინტერესოა! ნეტავ ჩემი თვალით მაჩვენა!

— გაჩვენებდით, აქ რომ იყოს. მაგრამ ახლა ისიც რომელიღაც შეილთან არის გადახვეწილი — სადღაც ბეგ-პაკ-დალაში თუ პეკ-ბაგ-დალაში.

— კვალიფიკაციის ასამაღლებლად?

— არა, გამოცდილების გაზიარების მიზნით.

თამაღად, როგორც ქართველი კაცი, მე ამირჩიებ. პირველი ჭიქა ჩენი შეხვედრის აღსანიშნავად დავლიერ. მეორით — ლეონ რუვიმის ძეს დავულოცეთ ოჯახი: ცოლი, შვილები. დამორცხვებული მოხუცი ფეხზე მდგარი ვინაბიდა მაღლობას. სამაღლობელი არ დაულევა, ფოტოსურათების დიდი ალბომი მოიტანა და გადაგვიშალა. პირველ გვერდზე დათვის ტყავზე დაგორებული შიშველი თოთო ბავშვების სურათები იყო. იმ სურათებიდან ვერაფერს გაიგებდი, გოგოები იყვნენ თუ ბიჭები. მერე კი ორი „მრისხანე ასული“ იჯდა. თმა პიონერ მამლაქათივით ჰქონდათ შეჭრილი, მეზღვაურული ტანსაცამელი ეცვათ. ისე ჰგვანდნენ ერთმანეთს, — ვიფიქრე, ტყუპები იქნებიან. მეთქი.

— არაო, — თქვა ლეონ რუვიმის ძემ — ეს, ალისა, თითქმის ორი წლით უფროსია დინაზე. აი აქ ნახეთ, სადაც ერთად არიან გადაღებული.

შესანიშნავი გოგოები იყვნენ, ჯერ ჩასუქებულები, ლოკებდაბერილები; მერე, უკვე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისანი, მაღლები, ტანკენარები. ერთსაც და მეორესაც ლამაზად შემაღლებულ მკერდზე მაფაზე მსხვილი ნაწნავი ჰქონდათ გადმოგდებული.

— ახლაც აქვთ ასეთი ნაწნავები? — ვიკითხე მე.

— არა, რას ამბობთ! — გაეღიმა ლეონ რუვიმის ძეს და ჭიქა გამოცალა. — შეჭრილი აქვთ.

ჩენს, მე და ლიტა იმ ალბომის თვა-

ლიერებას განვაგრძობდით, ის კი თავისთვის ლაპარაკობდა:

— სურათებიდანაც მიხვდებით, როგორ ვზრდიდით, როგორ შევცილინებდით. ახლა წელიწადზე მეტია, თვალიც არ დამიკრავს არცერთისათვის. მაგრამ მარტო ეგენი არ არიან დამნაშავენი. მთელი ჩვენ ცხოვრებაა ასეთი. მარტო ჩვენი ცხოვრება კი არა, მთელი დედამიწისა. ათასგვარი წიგნები, უურნალები, კინოფილმები და რაღიოგადაცემები უხილავი თოკებით გვეწევიან შორეული შხარეებისაკენ. ახალგაზრდები სიამოვნებით მიჰყვებიან ამ თოკებს. ჩვენ კი, ბებრები, ჩვენს ადგილებს ვებლაუჭებით. ვევშინია, ვაითუ მგზავრობას ვერ გავუძლოთ და ყავლგასული ტარანტასავით დავიშალოთ გზაში. ვკარგავთ ერთმანეთს მშობლები და შვილები, ხშირ შემთხვევაში მეუღლებიც კი. ვკარგავთ რაღაც დიდს — სიყვარულს. ხომ იცით, თვალი თვალს რომ დაშორდება...

გაოცებული შევაჩერდით მეცა და ლიტაც. ლიტამ ჰქითხა:

— რას აქეთებენ ახლა თქვენი შეილები მოსკოვსა და ტაშქენტში?

— ეე, — ხელი ჩაქნია მოხუცმა. — აშენებენ, სახლებს აშენებენ. ერთიც ინჟინერია, მეორეც. გათხოვებით კი არც ერთი გათხოვილა. თუმცა, რა ვიცი, იქნებ გათხოვდნენ კიდეც!

უცებ შეშფოთებულმა შემოგვხედა, წამოიწია და შემოგვევედრა:

— ვაიმე, ნუ მოიწყენთ! თავი შეგაბეზრეთ ამ გადაყრიცებულმა ბებერმა. ეშმაკთან წასულან ერთიც და მეორეც. მე უკვე ყოველგვარი ვალი მაქვს მოხდილი მათ წინაშე. ახლა უნდა ვიმხიარულო! — ციქა აიღო, უცებ დაცალა და დადგა. ჩვენც დაგვალევინა. მერე ბარბაცით მივიდა რაღიოლასთან, ხავერდის საფარი მოაძრო, რაღაც ძველი ფირფიტა დაუდო და ლიტა მრავლისმთქმელი ღიმილით მიიწვია საცეკვილო. ლიტაც გაპყვითა. გაბმულ ხრიალში თანდათან გამოიკვეთა უტიოსოვის გაბზარული ხმა:

„გულო, რატომ არ გინდა რომ დამშვერდეო“. ლიტამ გაიხარა. ლეონიდ რუვიძე მის ქე ხომ ზემობდა. ისეთი მოსულობებით ბით, ისეთი „ჩახვეული“ ილეთებით ცეკვავდა, გეგონებოდათ რომელიმაც ძველი ფილმის შემთვრალი ჰერსონაუი გადმოსულია ეკრანიდან. მალე კი დაიღალა. შუა ცეკვაში მოიხადა ბოლიში და ლიმილითა და ხელის ჩაქნევით დაჯდა. ლიტამ მე მიმიწვია. მაგრამ მე არ გავყევი. მე ჯერ „სათმადო საქმეები“ მქონდა მოსაგვარებელი. ჩვენი მშობლებს სადლეგრძელო დავალევინე, ბრძოლის ველზე დაცემული მეომრები მოვიგონეთ (მათ შორის ყირიმის, ამ მშვენიერი მიწის დამცველები), ყოველგვარი სიკეთე ვუსურვეთ ჩვენს დამებს...

ლეონ რუვიძის ქე დაგვითვრა. ლიტას ეხებულებოდა, — მოდი მუხლზე დამიჯექი, შენ ხომ ჩემი შვილი ხარო. ლიტა ვითომდა იმიტომ ეუბნებოდა უარს, ძალიან მძიმე ვარო. თან კი მე მანიშნებდა, — რაღაც მიშველე, რას გაჩერებულხარ ასეო. მე ვედექი, ჰიქები შევასე და ხალხთა ძმობის სადლეგრძელო მოვითხოვე. მე ქართველი ვიყავი, ლიტა — თათარი, ლეონ რუვიძის ქე — ებრაელი. ყველამ ღიდი სიამოვნებით დაცუალეთ ჰიქები. ლეონ რუვიძის ქე ისევ ლიტას მიუბრუნდა. ხან უცინდა, ხან უწყრებდა. რაღაც ბავშვობის ამბებს აგონებდა, — გახსნესო, ბატებმა რომ შეგაშინესო, ტანისამოსი რომ დაგიმალეს ონავარმა ბიჟებმაო, — თან ალერსით უსვამდა ხელს თმაზე და მხრებზე. ლიტა მოთმინების ღიმილით უსმენდა. ბოლოს მოხუცს ცრემლები წასკდა. ამას უკვე მე ვეღარ გავუძელი და ჰიქა მივაწოდე. ლიტამ ხელი გადამილობა, — ალარ გინდა, ნუ ასმევო. მაგრამ მოხუცი გაწყრა. — გაგწყებლავო, — დაემუქრა ლიტას, ჰიქა ჩაბლუგა, ჩემთვის არ შემოუხედავს ისე დაცალა, ძირს დაახეთქა და ყვირილი მორთო.

— არიადნა, შენ სადღა დაიკარგე, წყეულო დედაკაცო.

ლიტას გული აუჩვილდა, ახლოს მი-

იწია, თავი მქერდზე მიადო, დაბლიდან ახედა და ხვეწნა დაუწყო — დამშვიდ-დითო. ამან მთლად გაამწარა მოხუცი. ლიტა მოიშორა, წამოდგა, სუფრას მუშ-ტი მოუქნია, ბოთლი გადმოაგდო, ერთ-ხასს ნიშნის მოგებით დასტეროდა მის ნამსხვრევებს და ქანაობდა, მერე ხელი დაუშვა და ოვითონაც დაჟყვა, მაგიდაზე დაემხო...

დიდი წვალებით გადაციყვანეთ საწოლზე, დავაწვინეთ და საკირველი ამბის მოშენი გავხდით. მძინარე კაცი ტირილს განაგრძობდა, ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

გაოგნებული დაცულებით მეცა და ლიტაც. ლიტა შეშინებულივით მეკროდა. თვალები იმასაც ცრემლებით ჰქონდა სველი. ბოლოს ისევ მე მოვა- ხერხე თქმა:

— ლვინის ბრალია, ყველაფერი კარგად იქნება.

სუფრა ავალაგეთ, ლიტამ ჭურჭელიც დარეცხა, თაროზეც შეაწყო. დიდი მადლობისა და ბოდიშების წერილი დავწერეთ, მაგიდაზე დავტოვეთ და წამოვედით. ლიტა შეშაბანდიდან უკან შებრუნდა, საბრალობლად მოკუნტულ მოხუცს საბანი გაუსწორა, ჩაიმუხლა, მოკლედშექრეჭილ ჭალარა თმაზე ხელი რამდენეგრმე ჩამოუსვა და რაღაც სიტყვების ჩურჩულით წამოვიდა ჩემქენ. გავულიმე და ვეითხე — რას ჩურჩულებმეთქი. არაფერი არ მიპასუხა. ქუჩა სველი იყო, გრილოდა, ქურთუქს ხელი გაუყარა, რაღაც ბრაზით შემოიცვა და თავი ისე გააქნია, თითქოს თმიდან მტვერს იბერტყავდა.

მე შემქრთალი შევჩერდი. მან ხელი მომკიდა, რამდენიმე ნაბიჯი ძალით გამატარა და მითხრა:

— შუა ადგილას გაწყვეტილ ფილმს დაემსგავსა დღევანდელი ჩვენი ამბავი.

ხელი უკნეალებდა, თათები ყინული-ვით ცივი ჰქონდა. ნიკაპში წავწვდი, ძალით ამოვახდე და ნიშნის მოგებით ვუთხარი მისივე სიტყვები — მე რომ მეუბნებოდა რამდენიმე საათის წინ:

— აი, თურმე როგორი ნერვები გადნია შენ?! 

ხელზე ხელი დამკრა. გაეცნავთ კუნძული კაცის ჭაჭანება არ იყო. ალაგ-ალაგ ბნელოდა კიდეც. რამდენეგრმე შევფიქრიანდით — გზა ხომ არ აგვერიაო, მაგრამ თავი ამით ვინუგეშეთ — თავ-ქვე თუ ვივლიდით, აღრე თუ გვიან, ტროლების ხაზს წავადგებოდით. მართლაც ასე მოხდა. გაჩერება მოვძებნეთ და ლოდინი დავიწყეთ. ლიტამ ჭურთუქის საყელო წამომიწია, ყელზე შემომაჭდო და მითხრა:

— გეწყინა, ხელი რომ დაგვარი პატარა ბავშვივით?

მე, რა თქმა უნდა, ის რაღაც ხელის დაკვრა არ მწყენია, მაგრამ ეს შეკითხვა მაინც მესიამოვნა. ჭიბებიდან ხელები არ ამომიღია, ისე ვუთხარი:

— ნუ იქნები მეტამეტად კარგი, თორემ გიყური სიყვარულით შემიყვარდები და ცუდად წაგვივა საქმე.

— მაინც როგორ ცუდად?

— აქედან რომ წავალთ, წირპლიანი წერილების წერას დავიწყებთ და სურდოს ვერ მოვიშორებთ მთელი ზამთარი.

— ვეცდები. — თქვა მორჩილად, ხელები გამიშვა და წინ, კაბის კალთაზე დაიწყო გრძლადჩაჭიმული.

ტროლების მოვიდა. შიგ ორი კაცი იჯდა. ორივე მოვრალი იყო. რაღაც სიმღერას ხაონენ და ტროლების ჯაყაზე ერთმანეთს ეჯახებოდნენ.

— მეც მინდა სიმღერა. — თქვა ლიტამ.

— მოდი, მივიდეთ და ჩვენც ავყვეთ.

— არა, ასე არა. ტივი გნახავს? აი, ტივზე უნდა იჯდე და მღეროდე — დაბალ ხმაზე, გრძლად. ომიანბას კამის ნაპირას ვცხოვრობდით. მოდიოდა ღამლამობით მთვარით განათებულ წყალზე გრძელი, გრძელი ტივები და გვესმოდა ქალების სევდიანი ხმა — ოი და ოი...

უკანასენელი ორი სიტყვა ლამაზი კრინით წაიმღერა. სიცილი წასკდა. ხელები მუხლებშორის მოიქცია და მხრები აიწურა.

— საკმარისია რამდენიმე წუთი დაპ-

ყ ყ ბაბუების გვერდით და მაშინვე ფე-  
ნიქსივით იწყებს გამოცოცლებას რო-  
მანტიტბი.

უცებ ხელი ფანგარაში გაყო.

— შეხედე!

ჩაბნელებულ ზღვაში მრავალსართუ-  
ლიანი სახლივით ჩახჩახებდა რომელი-  
დაც დიდი სამგზავრო გემი.

ტროლეიბუსიდან რომ ჩამოვდიოდით,  
მოვაბრუნე და მისი სიტყვების პასუხად  
ეს ვთქვა:

— ლიტა, შენთან მინდა რომ ვიყო.

— მეც მინდა.

— ოთახში მარტო ხარ?

— მარტო.

— მაშ მოვალ.

— სად?

— შენთან, ოთახში.

— გაგიყდი?

— ჯერ არა, მაგრამ, თუ შენთან არ  
დავრჩი, მაშინ ნამდვილად გავგიყდები.  
— ისევ სხვაგან...

— არა, შენთან უნდა მოვიდე.

ოდნავ უკან დაიწია და შიშით დამიწ-  
ყო ყურება.

— კი, მაგრამ როგორ მოხვალ?

— ბელეტაქზე არა ხარ?

— ჰო, რაღაც ეგეთზე.

— უკან ხომ აქვს კარი, აივნისკენ?

— კი, აქვს.

— დატოვე ლია და მე ვიცი.

ჩვენს სახლში აქა-იქლა ენთო სინათ-  
ლეები. მეორე კორპუსს უკანიდან წა-  
მოვუარეთ და ლიტას აივანი დავზვე-  
რეთ. მისწრებასავით იყო. ცემენტის  
მსხვილი კულებიანი აივანი ორი მეტ-  
რის სიმაღლეზეც არ იქნებოდა. ზუს-  
ტად ორის ნახევარზე შენთან ვარ-მეთ-  
ქი, — ვაკოცე და წამოვედი, გამოვიქე-  
ცი. მაგრამ უცებ გამახსენდა: ჩემს  
ოთახში შესვლა არ ღირდა. სადარბა-  
ზოს მორიგე ქალი ჰქეტავდა, ორის ნა-  
ხევრისათვის გამოსვლა გამიძნელდე-  
ბოდა. ამიტომ ისევ ბალში დარჩენა ვამ-  
ჯობინე. ჯერ კი თორმეტიც არ იყო.  
ბუჩქებში ჩამალული სკამი ამოვიჩიე  
და დავგექი. ნიავი არ იძგროდა. საღლაც  
ქვემოთ თუ გაიხრიგინებდა ხანდახან

მანქანა ანდა პორტში აკივლდებოდა ვე-  
მი თუ შუქურა. საათნახევარს ასე რა ემ-  
იყვანდა. სკამის საზურგალს დაფუძნდებო-  
და მელავებზე დავდე და წაძინება  
ვცადე. ერთი პირობა ვგონებ ჩავთვლი-  
მე კიდეც, მაგრამ სიცივემ ამიტანა და  
ისევ ფეხიზლად ჯდომა ვამჯობინე.

— მხოლოდ ორი გაკვეთილისოდენა  
დრო...—ვეუბნებოდი საკუთარ თავს.—  
გაუძელ მხოლოდ ორი გაკვეთილის-  
ოდენა დროს!

წამოვდგებოდი, უხმაუროდ გავავარ-  
ჯიშებდი ხელ-ფეხს და ისევ დავგდებო-  
დი. განდა პირველი, დავიწყე წუთების  
თვლა, ვითვლიდი სეკუნდებსაც — ერ-  
თი, ორი, სამი... ორის ათ წუთზე წა-  
მოვდექი.

— რა სისულელეა, მაინცა და მაინც  
ზუსტად ორის ნახევრამდე დაცდა!

ბალ-ბალ წავედი, ფრთხილად, ფეხაკ-  
რეფით. იმ კორპუსის უკან რომ გავედი,  
სადაც ლიტა ცხოვრობდა, გულის ბა-  
გუნმა შემაჩირა. ხის ქვეშ მივდექი და  
მეტად ხელი დავიდე: „ნუთუ ასეთი  
მშიშარა ვარ, ან გული მაქვს სუსტი?!

ნუთუ ვერ შევდლებდი მტრის ზურგში  
შესვლას, დასაზვერად რომ ვიყო გაგ-  
ზანილი?! რა არის საშიში აქ, ამ სახ-  
ლში, სადაც უმეტესობა ბებრები ცხოვ-  
რობენ?!“ — საკუთარი თავი შემძაგლა,  
და როგორც მომაბეზრებელ ადამიანს  
მივატოვებთ ხოლმე, ისე მივატოვე  
გულზე და შიშჩე ფიქრი. ლიტას ფან-  
გარაშიც ბნელოდა, მაგრამ, კარგად რომ  
დავაკირდი, კუთხეებში მომწვენო შე-  
ქის წვრილი ზოლები გავარჩიე. აქეთ-  
იქით აღარ გამიხდავს, პირდაპირ წავე-  
დი, მხოლოდ ფეხისწვერებზე კი. შევხ-  
ტი, აივნის ქიმს მოვეჭიდე, ვიწიე, ფე-  
ხი კარნის მოვდე, მარჯვენა ხელი რი-  
კულზე გადავიტანე და ვერდულად გა-  
დავევლე მოაგირს. აქ ჩემდაუნებურად  
ჩავგექი, არავინ დამინახოს-მეთქი. მაგ-  
რამ იმ წამსვე ბაყაყივით გაბებლვილი  
წარმომიდგა თავი, წამოვიჭერ და სიმწ-  
რის ლიმილით მივაწერ კარს. სუსტი  
ტკაცანი გაისმა და უკვე შეგნით ვიყა-  
ვი. მერე ფარდის იქით გავედი და ახალ-

ბედა კონფერანსიესავით გავჩერდი ზურგსუკან ხელებდამალული. ლიტა ოთახის შუაღულში იდგა, შინდისფერი ჩინური პიერა ეცვა, ხელები ლოყებზე შემოწყო და უხმოდ იცინდა.

— რა გაცინებს? — ძლივს გავბედე კითხვა.

— როგორ ჩაიმალე აივანზე! უ, რა ლამაზად ჩიმალე?

„სხვა თუ არაფერია“... ამაზე მეც გულიანად გამეცინა...

ექვსის ნახევარზე წამოვედი. მორიგე ქალს კარი ძლივს გავაღებნე. ჩვენებურები, ქართველები შემხვდნენ, ძალიან დამათვრეს, დიდ, დიდ ბოდიშს ვიხდი-მეთქი! არაფერსო, რა ბრძანებაა, — ეშმაკური ლიმილით მითხრა იმ მორიგე ქალმა. რა კეთილი ხარ-მეთქი, ხელზე ვაკოცე. გეყოფა, გეყოფა, — ჩემი ოთახის გასაღები გამომიტანა რომ იტყვიან „მომაშავა“, მაგრამ მე მაინც მოვასწარი და კიდევ ვაკოცე.

— ახ, შე კავკასიელო სატანა! — ხელი მერა და ისე მომიშორა თავიდან.

მე თითქოს მართლა ძალიან მთვრალი ვყოფილიყავ — ხელებაბლანდულმა გავალე კარი, გაუხდელი გადავწექი საწოლზე და ჩემდაუნებურად ამოვიმღერე: „გადამაგდე და დამტრეგე, როგორც ჩერქეზმა ისარი“... მერე მივხვდი, რომ შეიძლება მეზობლები გამეღვიძებინა და ხმა გავჭმინდე.

## V

დილის, სასადილოში რომ ავედი, ლიტა უკვე იქ დამხვდა. მაგრამ მარტო აღარ იყო. ჩვენს მაგიდასთან ორიც სხვა იჯდა — ხანშიშესული ქალი და ქაცი. ყველას მივესალმე. ლიტა წამოიწია და ლიმილით წარმაღვინა — ჩვენი კავკასიელი თანამოსუფრეაო.

— ოო! — ამოიძახეს სიამოვნებით ქალმაც და კაცმაც და მაშინვე მივხვდი, რომ ბალტიისპირეთიდან იყვნენ.

სომეხმა ოფიციანტმა მისავედურა:

— თქვენ გუშინ არც სადილად ყო-

ფილხართ, არც ვახშმად. იქნებ საგმელები არ მოგწონთ?

— ახ, რა ბრძანება! — უკავშირდები პირიქით. კველაფერი შესანიშნავია. მაგრამ შეიძლება სხვა დროსაც მომიხდეს სადილ-ვახშმის გამოტოვება.

— რატომ? რატომ?

— განგებ გშიმშილობ. ერთმა პროცესორმა მირჩია, თუ ვიშიმშილებ, სიმაღლეში მოვიმატებ.

— ბევრი რამე ესმით მაგ პროფესორებს.

ჩვენს ახალ თანამოსუფრე ქალს ჩაეცინა. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენებენ გადმოიხარა და გვიჩურჩულა:

— ჩემს შეუღლეს შეხედეთ.

მის შეუღლეს, მაღალ, ძალიან სასიამოვნო შესახედაობის სათვალიან მამაკაცს, თითქოს რაღაც შეეშალაო — სახე შექცურებოდა. ვერ იქნა და ვერ გაჭრა ხორცი.

— როდესაც სიმართლეს ხმამალლა ამბობენ. — ისევ ვვიჩურჩულა მე და ლიტას ჩვენმა მეზობელმა ქალმა.

ის იყო, უნდა მეკითხა, თქვენი მეუღლე მედიცინის პროფესორი ხომ არ არის-მეთქი, რომ ქანცგაზეცეტილმა კაცმა დანა-ჩანგალი უწმევ გამომეტყველებით დააწყო თეფშე და შეწუხებულმა მოგვმართა:

— ათეული წლების განმავლობაში ვერ ვძედავდი ამის კითხვას, ხელა კი აღარ შემძილია მოთმენა. მითხარით, გეთაყვა, სუფრის ეტიკეტი მოითხოვს, რომ დანა უთუოდ ბლაგვი იყოს?

ჩვენმა მეზობელმა ქალმა ლოყაზე ხელი იტკიცა და თვალები დახუჭა. შემდეგ უცებ გაახილა, რამდენჯერმე დაახამხამა და ჯერ ჩვენ მოგვხედა, მერე მეუღლეს შეაჩერდა.

— ვაი, სირცევილო! თავს რატომ მჭრი, ძვირფასო! თუმცა, მე ვვონებ, შენ სხვა რაღაც უნდა გეკითხა და დაიბენი. ოფიციანტის ბრალია — ას ხმამაღლა არ შეიძლება სიმართლის თქმა. ხომ სხვა რაღაც უნდა გეკითხა და დაიბენი, ძვირფასო?

ო, რა კარგი ხალხი იყო! ლიტერატო-

რი ქალი აღმოჩნდა. გვარი, მომიტევოს  
და, ვერაფრით ვერ დავიმახსოვრე (ჩვენ  
ხომ, ქართველებს, ძალიან გვიჭირს  
ბალტიისპირეთის ხალხთა გვარების და-  
მახსოვრება), სახელად კი ჩვეულებრი-  
ვი სახელი ერქვა — ანა. მისი მეუღლე  
მართლა მედიცინის პროფესორი ყოფი-  
ლიყო. მოვლილი ჰქონდა მთელი ევრო-  
პა. ოცდათვეებსმეტ წელს ესპანეთშიც  
ებრძილა ფაშისტების წინააღმდეგ.

სუფრიდან რომ წამოვიშალეთ, ოფი-  
ციინტმა ქალმა გვერდზე გამიარა და მი-  
ჩურჩულა:

— შენი მეგობარი ქალიც სიმაღლეში  
აპირებს მომატებას? ფრთხილად იყა-  
ვით, სიგანეში არ წავიდეს მეტისმეტად.

ლიტა წინ მიდიოდა და ისეთი თვა-  
ლებით მოვგხედა, თითქოს კველაფერი  
გაეგოს. მე გავულიმე და, რომ მკითხა,  
რას გელაბარაკებოდაო, აჩაფერს-მეთქი.

— მეზობლები ვართ და ზრუნავს. სა-  
დილად აუცილებლად მოდიოთ. შენ ძა-  
ლიან მოსწონხარ.

— რაო, ჩემშე-

— მიკვირს, ეგეთი კარგი ქალი შენ  
როგორ გიყადებას თავსო.

— ნეტავ შემეძლოს შენი ნაწერების  
კითხვა. იქაც თუ ასე ადვილად თხზავ!

— როგორ გეკადრებათ!

ჩვენი თანამოსუფრენი დიდის თავა-  
ზით დაგვშორდნენ. პროფესორი შესა-  
ნიშნავად მიდიოდა, შესანიშნავი კოს-  
ტუმი ეცვა.

— აი, მოხუცი!

— არც ცოლია მაინცდამაინც ახალ-  
გაზრდა და როგორ უჭირავს თავი, არა?

— აბა, აბა! თმა ნახე ჯერ მარტო!

— თმა შელებილი აქვს. შენ ის თქვი,  
რა ცინცხალი თვალებით იყურება!

ღრუბლიანი ამინდი იყო, ნიავი ქრო-  
და, ვრილოდა. დამსვენებლები ეზოში  
ბორიალბდნენ — ქროკეტს და ბაღმინ-  
ტონს თამაშობდნენ. მელოტი მოხუცი  
(ცნობილი მწერალი, რომელიც დიდის  
ამბით მომიკითხავდა ხოლმე) შუა გზა-  
ზე ჩაცუცჭეულიყო და ვიღაცის პატა-  
რა ფინას ეთამაშებოდა.

— ჩვენ ახლა დავშორდებით და

თხუთმეტი წუთის შემდეგ ქვემოთ, პე-  
ბერი მუხის ქვეშ შევხვდებით. ქალაქში  
უნდა წაგიყვანო, საქმე მაქვსა მისამით  
რა ლიტამ.

— არ გეძინება? — ვკითხე მე.

— შენ?

თვით გავაქნიე უარის ნიშნად.

მყვირცხლად ჩაირბინა ცემენტის გა-  
ნიერი კიბე და თავისი კორპუსისენ წა-  
ვიდა. მე მელოტმა მოხუცმა შემაჩერა.  
ოქროს კბილებით მიღიმოდა და თან  
მარცხნივ გადახრილი ისევ ფინიას ეა-  
ლერსებოდა

— ხომ კარგია აქაურობა, არა? მე ძა-  
ლიან ხშირად დავდივარ. მე თქვენთანაც  
ბევრჯერ ვყოფილვარ. „თბილისო, მზის  
და გარდების მხარეეთ“... როგორ მღე-  
რით? მე მიყვარს თქვენი მხატვრები  
გულიაშვილი, კაკაბაძე, ფიროსმანი...

მხატვრობაზე ლაპარაქს თუ დავწყებ-  
დით, ერთ საათს ვეღარ მოვრჩებოდით.  
ამიტომ მხოლოდ დავეთანხმე — შესა-  
ნიშნავი მხატვრები არიან-მეთქი.

— კიდევაც ჩამობრძანდით, ბევრ ახალ  
რამეს ნახავთ. — ბოლიში მოვუხადე და  
ქვემოთენ წავედი. ლიტა უკვე მუხის  
ქვეშ იყო. სკამზე იჯდა და პატარა ბავ-  
შვივით აქნევდა ფეხებს.

— საიდან გაჩნდი ასე სწრაფად?

ხელი ჩამუქებული მთებისკენ გაიშ-  
ვირა, ოდნავ გვერდზეგადაწეულმა გა-  
ხედა იმ ხელს და თქვა:

— ალბათ რა კარგია არა, ახლა აგრე  
ის!

მე ჩემი გორაკზე მოგზაურობის ამბა-  
ვი მოვუყევი. ისიც ვუთხარი, მასზე რომ  
ვფიქრობდი იმ გორაკის მწვერვალზე  
მდგარი.

სინაულის გამომხატველი ღიმილით  
მიყურებდა და ფეხების ქნევას ვანგრ-  
ძობდა. მერე გაგრძელებულად თქვა:

— უუსინდისო!

— გინდა, ახლაც წავიდეთ?

მე მხედველობაში მქონდა გორაკი,  
იმან კი ეს მკითხა:

— მთაზე?

— თუ გინდა მთაზე. ავიდეთ სულ

მოლლა. უკეთესს ვერაფერს ვერ ნახავ ცხოვრებაში.

— ახლა ბაზარში უნდა წაგიყვანო. ხილი მინდა, ვეჯიდები. შენ ხომ იცი ცნობა, რომელი კარგია, რომელი ცუდი.

— რა თქმა უნდა, მთავრე მაშ ხვალ წავიდეთ. დილითვე, ძალიან აღრე, თუ, რა თქმა უნდა, დარი იქნება. სამ საათში ავალთ. ცოტა სასმელ-საჭმელიც წავიღოთ.

— გენიალური ბიჭი ხარ.

— ნუ იტყვი!

ავდექით და ქალაქისკენ დავეშვით. მარცხენა მკლავზე მეკიდებოდა, დაბლიდან შემომყურებდა. უცებ ფეხისწვერებზე აიწია და მაკოცა. გავოცდი და შიშით მიმოვიხედე აქეთ-იქით. ზემოდან ვიღაც წყვილი მოდიოდა.

— მე არ მეშინია არავისი, ჰო, არ მე-შინია არავისი!

ისეთი ჭიბრით ამბობდა ამას, თითქოს ვიღაცის ჩაჩუმება ჰქონდეს განზრახული.

— მაგრამ შენ ხომ ძალიან ჭკვიანი ქალი ხარ.

— რეებს მიგონებ, რა სისულელეა. მე ვარ ჭკვიანი?! განა ჭკვიანი ქალები ნატრობენ ასეთ არამებს? ვიჯდე ძირს, ხალიჩაზე, ფეხშიშველი. გივლია, როგორი კარგია ფეხშიშველა სიარული! წინ მედგას დიდი, დიდი... რა ჰქვია? ჰო, ვერცხლის ცივი სინი. ის სინი კი სულ სავსე იყოს: ატმებით, ყურძნით, მსხლებით, ბროწეულებით. კიდევ, ციი, რა? ღამე მეძინოს ნაბაღში და ეს ნაბადი შენი იყოს. შენ მონალირე იყო, შვილდასრით მონალირე. შემოიტანო თავგადაგდებული ჭეირანი იურტაში და დააგდო...

— მოგბრუნდე და დავინახო ნაბდის ცხელ სიბნელეში მოგიზგიზე თვალები. აბა, მომხედე!

მომხედა. წამწამები რამდენჯერმე ზედაზედ დააფახურა, უცებ წამოიწია და კიდევ მაკოცა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მიმოხედვაც კი ვეღარ გავხედე.

— მეტს აღარ ვიზამ! მეტს აღარ ვი-

ზამ! — თქვა მუდარით და განწევა — წია.

ტუჩებმოკუმული მოდიოდა, ცეკვი-ბოლა, სუნთქვასაც კი იკავებდა, მხო-ლოდ თვალები უციმციმებდა ბავშვი-ვით.

მომიახლოვდა, ცდილობდა არ გალი-მებოდა.

— სულ დამავიწყდა ოცდაცხრა წლის რომ ვარ.

— თანაც ექიმი. — დავუმატე მე.

— ექიმიბა რა შუაშია. აქ დამსევნე-ბელი ვარ.

ავტობუსში ავედით, რამდენიმე გაჩე-რება გავიარეთ და ჩამოვეტით. ბაზარი თითქმის გაჩერებასთანცვე იწყებოდა. კედლებისა და მესრების ძირის პატარ-პატარა ფარდულები და ოლარჩები იყო ჩამწურივებული. ხელზემოვაჭრენი ქრი-ზანთემებსა და გეორგინებს ყიდლენ. ფარდულებში გამოფენილი იყო ხავერ-დის სუფრები და გობელენები. პლასტ-მასის ფერად-ფერადი საწვამრები და საფულები, სეილონის კოფთები და სვიტერები. გამყიდველები ყველას სთა-ვაზობდნენ თავიანთ საქონელს, მაგრამ მყიდველების ცივ გამოხედვაზე ძალიან ნაცლებად მოქმედებდა მათი პატივი. ისინი ყვავილებსა და ხილს უფრო ეტა-ნებოდნენ. ჩვენც ხილით დავიწყეთ. ჭერ ალექსანდრეული მსხალი ვიყიდეთ, მერე — შაფრანი ვაშლი, მერე — ბრო-წეულები. მე ერთ ახალგაზრდა ქართველსაც გადავაწყდი — ნეჭოებს ყიდ-და. თანაც მთელი ტომარა ჰქონდა. წავსულიყავით, ცოტა რამე დაგველი-ო, — შემომთავაზა იმ ქართველმა. მე ლიტაზე ვანიშნე — მარტო არა ვარ-მეტქი!

— წამეიყვანე, კაცო, მაგიც.

გამეცინა. მხარზე ხელი დავკარი, და-ვემშვიდობე — სხვა დროს-მეტქი.

ბაზრის ერთ კუთხეში ღვინო აღმოვაჩინე. ჩამოვარეთ, ყველა გავსინჯვე. ერთი ახალდამწარებული ვარდისფერი მომეწონა. სათონ შესახედაობის დედა-ბერს ჰქონდა. ბოთლიანად ვიყიდე, მე-

କୁ ପରିମା ଯୁଗେଣି ଦା ତ୍ୱରିତ ଅବଧିନିଃସ୍ଥିତି  
ଦୟାକାଂଶି. ଲିଂଗିର ଉପରିରେ, ଯୁଗେଣି ଦା  
ତ୍ୱରିତ ରାଜ ଗିନ୍ଦାମ. ମେ ଘୃତକାରି.

— ჩვენში ასეა. ღვინოს ყველი და  
პური მაინც უნდა დააყოლო, ისე არ  
შეიძლება.

— ဒုပ္ပလေဝတ္ထဘ်?

კოლეგი ახსნა-განმარტება დაუწყე. მაიც არ დამივერა, ხილით სჭობია. გულიანად კბეჩდა შსხალს და ნეტარებით უშვერდა სახეს შენეს, რომელიც ას-ის იყო გამოვიდა ორუბლებიდან.

ზღვის პირას ჩავედით და ჯებირის  
ძირას მივსხედით. ექ მყუდრო იყო, ნი-  
ავი სადღაც ზემოთ გადადიოდა. მხარი  
შხარს მოვაყუდეთ და ვიყავით ასე. ხან  
ის მოიწაფებდა ბოთლს, ხან მე. ის  
ვაშლს აყოლებდა, მე კველსა და პურს.  
ბოთლი რომ დაიცალა, ისევ წავედი-  
ბაზარში. ერთი ბოთლიც ჩამოვიტანე.  
ლიტა მოქუფრული იჯდა. ხომ არავინ  
ვაწყენინა-მეოქი. ქვედა ტუჩს ისე და-  
კირა კბილი — სხვა რამის კითხვა ვეღარ  
გავბედე. ის ბოთლიც დაუცალეთ. უფ-  
რო მოხერხებულად მივიკუნეთ ჯები-  
რის ძირას და ჩავთვლიმეთ. მე ჩამძი-  
ნებოდა კიდეც. ლიტამ გამალვიძა, გვერ-  
დში მიჯიცავებდა და საათზე მანიშნებ-  
და — ორი ხდებაო. ისე სწრაფადგასუ-  
ლად მომეჩება ის დრო, ჩემს საათს  
დავხედე. მართლა თრი ხდებოდა.

— წავიდეთ, ერთხელ მაინც ვიყოთ  
თავის დროზე სასაღილოში.

— სულ ერთია. მაინც ვავვიანებთ.  
იცი სად წავიდეთ? ჩვენს რესტორანში.  
როგორ ეტრივა? „პრიბოი“.

— არა, ეს ჩანთა ხომ მაინც უნდა ავიტანო შინ.

ଶେଷକାମ୍ଭତ, ମେରୀ ଏହିଟି ନାହିଁ ସାଥୀ ଗୁଡ଼-  
ଲୁହଟିରଙ୍ଗରେବୁଲ ଚିନାର ତୁ ମାତ୍ରରେ କାହାରୁ  
ଶେଷଟିଠିରେ ଦା କେବଳିସି ନାକେବରିଲିବୁଗଲେ କେବୁଜା  
କାଲୋପିଣୀ ଚାହେଲିବା.

— ମୁଖ୍ୟାଙ୍କରା? — ମୁହିତ୍ତା ଲିଖାଇ.

ტუჩებზე თითი მივაფარე და ვანიშ-  
ნე — გაჩუმდი-მეთქი.

ისიც გაჩუმდა. მხოლოდ ეგ იყო, რომ  
თავს აქნევდა, თითქოს რაღაცას ნანობ-  
და. ამაზეც კუთხარი:

— არავითარი თავისქნევა არ არის საჭირო. უჩემოდაც ყელამდეა აღსავსე კაცობრიობა რჩევა-დარიგებებით.

ზღვასთან რომ გვედით, პორიზონტზე დახორებული ღრუბლებიდან წითელმა მზემ გამოანათა. ერთხანს იმ მზეს და ძოშისფერდაკრულ მფრთვინავ ზღვას კუცურებდით სანაპიროს მოაჯირზე გადაყუდებულები. ლიტამ მჟითხა:

— რატომ იზიდავს ადამიანის თვალს  
ასეთი რამეები: მზის ამოსვლა, ჩასვლა,  
პირველი თითქმის გამოჩენა?

— ალბათ ჯერ კიდევ გვაქვს შემორჩენილი ჩვენი წინაპრის, მაიმუნის, ზოგიერთი ნიშნები. კერძოდ — საშინელი ცნობისმოყვარეობა.

„შემდეგ მოცულევი მაიმუნების ცნობისმოყვარეობის ამბები, რომლებიც, ვინ იცის, როდის და სად მქონდა წაკითხული. ბევრი იცინა. მარტენა ხელისძურებზე თავის რბილ თითებს მისვამდა და მაქებდა:

— რა კარგია, ასე უბრალოდ რომ  
იშორებ ხოლმე ათასგვარ აბეზარ კით-  
ხვებს.

„პრიბოის“ მივუახლოვდით, გავაჩე-  
რე და განიშნე — ჩავითვათ-მეთქმა.

— ჩვენს რესტორანში? — იკითხა მან.  
— ჩვენს რესტორანში. — მივუგე დი-  
ლის ამბით.

ხის მორყეულ საფეხურებზე ქანავ-  
ქანავით ჩავდიოდით. ლიტა ალტაცე-  
ბული იყო.

— ნუთუ საგანგებოდ არის გაკეთებული ასეთი კიბე?

— რა თქმა უნდა. — ვუთხარი მე. — აქ ყველაფერი საგანგებოდ არის ვაკე-თებული, რომ დამსვენებლები გაახა-რონ. ტალღებიც საგანგებოდ არის შე-ფერილი, მთებზე და ხეების კენწერო-ჭბზეც საგანგებოდ უშევებენ ნისლს, ნაძ-ვნარის სურნელებასაც...

ლიტა ისე შეჩერდა, თითქოს ცივი, ძალან ცივი შვეთი ჩავარდნოდეს კი-სერში. ნელ-ნელა მომიბრუნდა და შე-წუხებული სახით შემომევედრა:

— ნუ რა, ნუ! მე მაპარიე, რომ თვი-თონ ვიკითხე, და მეტს ნულა გავაგრძე-ლებთ ასე.

პატარა ბავშვის უმწეობა ამოვიკითხე მის თვალებში, გამახსენდა, როგორად მეჩვენებოდა ჩეენი შექვედრის პირველ დღეს, გამეცინა და თმაზე გადავუსვი ხელი.

ტესტორანში უჩვეულო სიწყნარე იყო. მეგარდერობე ქალმა გვიცნო, ძვე-ლი მეგობრებივით მიგვიღო, ლიტა მო-იყითხა, ისიც შენიშვნა — მოკეთებულ-ხართ. ადარ იკოდა, რით ეცა პატივი. მე სიწყნარე მერთირებოდა და ვკითხე, რა არის, ეს სიწყნარე რას უნდა მიეწე-როს-მეტქი.

— ორკესტრს დღეს დასვენება აქვსო. მე წაიხუმრე — არ ვიკოდი, ორკეს-ტრანზებსაც თუ დასვენება ესაჭიროე-ბოდათ-მეტქი.

მეგარდერობებმ სერიოზულად, მაგრამ რაღაც დედაშვილური სითბოთი განმი-მარტა:

— აბა როგორ! ისინიც ადამიანები არიან, ან აბანოში სჭირდებათ წასვლა, ან სხვაგან.

ჩვენ „ხასიათი გავუსწორეთ“ — თით-ქოს დიდად კმაყოფილი დავრჩენილ-ყავით ასეთი განმარტებით — თავი და-გუჯარით და დარბაზში შევედით. დარ-ბაზის მხოლოდ სამი თუ ოთხი მაგიდა იყო დაკავებული. დასველეთის ფანჯ-რებს მზე მოსდგომოდა, სხივები ლარე-ბივით იყო დაჭიმული მაგიდების თავ-ზე. ივანი ხომ სულ ცარიელი იყო. მე გავედით და მოაჭირთან დავსხედით.

ოფიციანტმა სამზარეულოს კარში

გამოიხედა, რაღაცას ჭამდა, დაგვიწინა, ვვიცნო, პირზე ხელი ითვარება და და-გვიწინა, შეიმალა შიგნით. მაგრავის უკანი ცოტა ხანში ისევ გამოაჩნდა, გაუბედავი ნაბიჯით მოდიოდა, ღიმილს იყავებდა. მოვიდა ჩვენთან, მოგვესალმა, წინასაფ-რის ჯიბიდან ბლოკორტი ამოიღო და ფანქარი მოიმარჯვა. მე ლიტას შევხედე. ის ისე უყურებდა ოფიციანტს, თითქოს უცნობი ტომის ლამაზი წარმომადგენე-ლი მდგარიყოს ჩვენს წინ. არ მინდოდა მისი ამ სასიამოვნო გარინდებიდან გა-მოყვანა, და ისევ ოფიციანტს მივუბ-რუნდი:

— მოგვიტანეთ, რაც თქვენ გნებავთ.

ოფიციანტი გაწითლდა, მხრები შეა-ტყა და მეოცნებე თვალებში მზეები ენთო.

— ნუ მაყენებთ უხერხულ მდგომა-რეობაში. იქნებ სულაც არ მოგეწონოთ, რასაც მე შემოგთავაზებთ?

— არა, არ შეიძლება თქვენ ცუდი გა-მოგნება გქონდეთ.

— ოო, — გააგრძელა ოფიციანტმა, კიდევ გაწითლდა და მერე სწრაფად ჩა-მოთვალა: ჩეხური ლუდი, ხმელი ნაფო-რია თევზი, შვეიცარული ყველი.

— ბრწყინვალეა!

პირველ მოტანაზევე ოთხი ბოთლი ლუდი მოვარინინე. ოფიციანტი ისე სწრაფად მოძრაობდა, ისე ლამაზად აკე-თებდა კველაფერს, მე ლიტას შევხედე. ლიტას ისევ ცნობისმოყვარეობის ღი-მილი დასთამაშებდა სახეზე. ოფიციან-ტი რომ წავიდა, ისე, ვითომც სასხვათა-შორისოდ, თქვა:

— მოსწონხარ. თვითონიაც ცდილობს თვით მოგაწონოს.

— აპაპ! — ვთქვი მე და ჭიქები შევავ-სე. ლუდი ვარო, — იმას ეთქმოდა. ოქ-როსფერი და ყინულის ნაურივით სუფთა, ჭიქებში შემპანურივით ქაფდე-ბოდა და შუშბუნებდა. ნელ-ნელა ვსვამ-დით და თან თევზს გწიწყნილით.

უცებ ზღვაში რაღაც აღრშიალდა და მერე წყალში მოადინა დგაფანი. მიიღ-ხდეთ. იქ, ნაპირიდან ოციოდე მეტრის მოშორებით, ტივზეგამართული ექსკავა-

ტორი იდგა. რომ მოვედით, ზედ არავინ ჩანდა. მის უკან, ჰორიზონტზე, წითელი შეებრუნებული ბრწყინვადა. ახლა ჭიბურიდან ზორბა ყმაშვილი კაცი გვიყურებდა. ჭახაჭუხით ჩაგდებდა ვეებერთელა ჩამჩას წყალში, რალაც ბერკეტებს გადასწევგადმოსწევდა, ჩამჩას თავისკენ მიითრევდა, მერე მაღლა ასწევდა, ანძას გაატოვებდა და წყლის ფსკერიდან ამოლებულ სილასა და ხრეშს ნაპირზე გადმოჰყურიდა. ჩვენ რომ ყურადღება მივაქციეთ, უფრო მეტი მარიფათის გამოჩენა დაიწყო მე ჭიქა აფშივ და ვანიშნე—შენ გაგიმარჯოს-მეოქი. იმან ხელის მაღლა აწევით გადამიხადა მაღლობა, ექსკავატორის ჩამჩაც რამდენჯერმე საგანგებოდ გააწნია ჰერეში და გაიცინა.

ლიტა იმ ყმაშვილსაც გაოცებისა თუ ალტაცების გამომეტაველებით უყურებდა. მერე მკითხა:

— რა ბედნიერია, არა?

— რა თქმა უნდა. — მივუგე მე, თუმცა ინგარიში არ მიმიცია, რატომ უნდა ყოფილიყო ბედნიერი. ეს იმ წამსვე იგრძნონ ლიტამ და მთხოვა, განმემარტა— რაში მდგომარეობდა მისი ბედნიერება. მე ცოტა დავფიქრდი და მერე ფრთხილად დაიწყე:

— უპირველეს ყოვლისა იმითაა ბედნიერი, რომ მისი ხელობის ხალხი ჭერჭერობით ძალიან იშვიათია ქვეყანაზე. აქ ბევრი-ბევრი ათი მეექსკავატორე მუშაობდეს ათათასი შოთრის გვერდით. ჭერ მარტო ეს! შემდეგ — ეგენი საქმაოდ ბლომადაც იღებენ. ჩვენთან, შენებლობაზე, ერთი მეექსკავატორე იყო — ხუთი-ექვისი ათასი მანეთი ჰქონდა ხოლმე გამომუშავებული, ძველ ფულზე. არც ეს აიღებს ნაკლებს. მესა- მე კიდევ ის, რომ იცის რასაც აკეთებს და ყოველ საღმოს ხედავს თავისი შრო- მის შედეგს. მეოთხე — ეყოლება მა- სავით ღონიერი ცოლი, სამუშაოდან და- ბრუნებულს დაახვედრებს შემწვარ კარ- ტოფილს და ძმარში ჩაწყობილ, ჩამუ- შუჭებულ ქაშაყს. ეყოლება ბუთხუზა ბავშვები...

— და ეს იქნება ბედნიერება?

— იცი, ლიტა, რამდენი ადამიანი ჩა- მვეყანაზე, იმდენივე შეხედულება, არ სებობს ბედნიერებაზე, თანაურადობისა გარეკეულ მონაკვეთში. სამი წლის შემ- დეგ შეიძლება თვით მე აღარ ვთქვა ისე მაგ მეექსკავატორეზე. ჩვენს ფიზიკურ მდგომარეობასთან ერთად, იცვლება ჩვენი ფიქრები და შეხედულებებიც. მე ერთ ხანობას რა მიმაჩნდა უდიდეს ბედ- ნიერებად, იცი? მეეტლეობა. მე მოვეს- წარი თბილისურ ეტლებს, წითელსარ- ტყელიან მეეტლებს, დიდის ამბით რომ იჯდნენ კოფობზე...

ლიტამ გაიღიმა და ამათვალიერა:

— შენ მეეტლედაც არ იქნებოდი ცუ- ღი!

— განსაუთრებით მაშინ, როცა ეტლ- ში შენნაირი ქალბატონები მესხდებო- დნენ.

ექსკავატორთან ნავი მივიღა, შიგ ორ კაცი იჯდა. ერთი ტივივით სადგარ- ზე შეხტა, მეორემ თოკი მიაწოდა, ნავი რკინის კაუჭზე მიაბეს და მეორე კაციც მაღლა ავიდა. მეექსკავატორემ მუშაო- ბა შეწყვიტა და ძირს ჩამოვიდა. სამივე ერთად იდგა და რალაცას ლაბარაკობდა. ახალმოსულებს ისეთი გამომეტაველება ჰქონდათ, თითქოს რალაცას ემუქრებო- დნენ მეექსკავატორეს. მეექსკავატორე თავისი ჯიხურისკენ წამოვიდა. იქ, ჯიხუ- რის სარკმელზე, ყავისფერი პიჯაკი ჰქონდა გადაკიდებული. ის პიჯაკი აი- ღო, ჩვენეკნ მობრუნდა, გამომშვიდო- ბების ნიშნად დაგვიქნია, გაგვიღიმა და წავიდა. ის ორი კაცი უკვე ნავში უცდი- და, თვითონაც შიგ ჩახტა, თვით იასნეს, ძრავა აამუშავეს და პორტისაკენ გაცუ- რეს.

— დაიჭირეს? — იკითხა ლიტამ.

— პირიქით, მე მგონი რალაც საჭირო საქმეზე წაიყვანეს.

— ოცდაჩიიდმეტში ასე იჭერდნენ ხოლმე, არა?

— უარესადაც.

— უარესად როგორლა?

— მაშინ სტუმრებს ხელები მაკინტო- შის ჯიბეებში ჰქონდათ ჩაყოფილი.

ლიტამ თავი დახარა და მერე თქვა:

— მამა დაიჭირეს ასე.

— ჰომ?

— აბა რა!

— თუ დაბრუნდა?

— აპ!

ლიტამ ჭიქა ოდნავ ააცილა მაგიდას

— მოდი, მათ ტანჯულ სულებს გაუ-  
მარჯოს.

დავლეით და დიდხანს ჩხა არ ამოგვი-  
ლია.

მერე ისევ ვსვამდით და სხვადასხვა  
რაღაც უფრო ვლაპარაკობდით. კარგა  
რომ შეგბინდდა, წამოვედით. რაღაც ახ-  
ლებურ სიახლოეს ვგრძნობდი ლიტას-  
თან. ბნელ ადგილებში ვჩერდებოდით.  
ისე ვეხვეოდით და ვკოცნიდით ერთმა-  
ნეთს, თითქოს პირველად შევხვედრი-  
ლიყავით დღეს.

რაღაც ბალი გავიარეთ და მთავარ ქუ-  
ჩაზე გავედით. იქ კინოთეატრი იყო. კი-  
ნოთეატრს ორი დარბაზი ჰქონდა — პა-  
ტარა და დიდი. დიდში „შვიდ ძიძას“  
უჩვენებდნენ, პატარაში — ლამორისის  
ფილმს — „მოგზაურობა საპარეო ბუშ-  
ტით“. ამ ფილმზე კარგი რაღაცები  
მქონდა გაგონილი. ლიტას ვთხოვე შე-  
ვიდეთ-მეთქი.

— როგორც შენ გინდოდესო.

ბილეთები ავიდეთ, შევედით და პა-  
ტარა ფოიეში კუთხის სკამები დავიკა-  
ვეთ. ჩვენს პირდაპირ მოხუცი ქალი და  
კაცი იჯდა. ეტყობოდა, ცოლ-ქმარი იყო.  
ისხდნენ ჩუმად, პატარები, ცოცხალ-  
თვალებიანები. ერთი სიტყვა არ უთ-  
ქვამთ ათი წუთის განმავლობაში.

— მაგათ ყველაფერი, ყველაფერი  
იციან ერთმანეთისა, არა? — მკითხა ლი-  
ტამ.

— ალბათ.

— და ალარაფერი აინტერესებთ ერთ-  
მანეთისა...

— პირიქით. სწორედ მაგათ აინტე-  
რესებთ ისეთი რამები, რაც ყველაზე  
ნამდვილია ცხოვრებაში.

— კერძოდ?

— ფიზიკური და სულიერი სიმრთე-  
ლე. ეგენი ფესვებდა წყვეტილი ხეები-  
ვით არიან მიყუდებული ერთმანეთზე

და ეს აკავებთ, რომ ორივე არ დაეცეს.  
საქმარისია, გამოეცალოს ერთი და ზოდ  
ეცემა მეორეც.

— ესე იგი უფრო საჭირო არიან ერთ-  
მანეთისათვის, ვიდრე ჩვენ?

— რა თქმა უნდა.

ლიტამ მეორე ხელიც დამადო მქლავ-  
ზე და უფრო მჭიდროდ მომეკრა. ვინც  
კი შემოდიოდა ან ფოიეში იჯდა, ყვე-  
ლანი ჩუმად იყვნენ. ბოლოს, სამი ზა-  
რიც დარეკეს. ჭერ უურნალი გვაჩვე-  
ნეს — იუგოსლავის ერთ პატარა კუნ-  
ძულზე ინდოეთიდან ჩამოყანილი მან-  
გუსტები მუსრს ავლებდნენ გველებს.  
მერე ფილმიც დაიწყო. პაპა და შეილი-  
შვილი, რომლებიც ძალიან გვანან უი-  
ულ ვერნის პერსონაჟებს, ნარინჯისფე-  
რი ლამაზი საპარეო ბუშტით გადაუვ-  
ლიან მთელ საფრანგეთს. ისეთი კარგი  
იყო მაღლიდან დანახული ქალაქები,  
გზები, მინდვრები და ტყეები, სიამოვ-  
ნებისგან ვაყარებლებდა. ალპებს რომ  
მიაღწიეს, ჩვენ საბოლოოდ გადავწყვი-  
ტეთ — გათხოდებოდა თუ არა, მთებში  
წავსულიყავით.

გარეთ ცას ვუყურებდით, გვინდოდა  
გაგვეგო, როგორ ამინდს გვპირდებოდა  
ხვალისთვის. ეტყობოდა, ნაფლეთ-ნაფ-  
ლეთი ლრუბლებით იყო დაფარული —  
ქა-იქ ციმციმებდნენ ვარსკვლავები. შა-  
ვად გაბარდლულ სოჭებზე რაღაც ღამის  
ფრინველები წრიპინებდნენ და ფათქუ-  
ნებდნენ. სანამ დავშორდებოდით, კი-  
დევ ერთხელ წავედით ჩვენს ხევიანში.  
ლიტა სულ ჩუმად იყო და როგორლაც  
ღონებამოცლილი თითებით მეფერებო-  
და. მერე, ყველამ რომ დაიძინა, ჩვენც  
წავედით ჩვენ-ჩვენს ოთახებში.

## VI

დაოქმული გვქონდა, ცხრის ნახევარ-  
ზე ხევიანში შევხვედროდით. რვა არ  
იყო, რომ სასადილოში ავედი. სომეხ  
ოფიციანტს ვთხოვე: ჩვენი წილი მშრა-  
ლი საუზე გაგიხვიყე, სევასტოპოლიში  
მივდივართ, ნაომარი ადგილები უნდა  
დავათვალიეროთ-მეთქი. ეჭვის თვალით  
შემომხედა, მაგრამ რა ძალა ჰქონდა,

სადღაც მაინც მეგობრები ვიყავით. შემწვარი თევზი, ძეხვი, ყველი და ნამცხვრები გამიხვია, ისევ იმგვარად — დაეჭვებულმა გადმომცა და წამოსვლისას უკან დამადევნა:

— გისურვებთ დროის მხიარულად გატარებას.

მივუბრუნდი. მსხვილ ფეხებზე ღონისძალ იდგა, ვეებერთელა მეტდი ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ მელავებზე ედო. პირწვარლინილი პომონა ხარ-მეტქი, — და მისი რეაციისათვის ალარ დამიცდია, გამოვიქეცი. საჭმელები მხარხევადასაკიდ ბალურაში ჩავაწყვე, ქვემოთ ჩავირბინე, ორი ბოთლი ღვინო ვიყიდე, ისინიც იმ ბალურაში ჩავდგა, ქურთუკი ამოვიილლიავე და ხეივნისკენ წავედი. ლიტა უკვე იქ იყო, სკამზე იჯდა და მილიმოდა. რომ მივუახლოვდი და გამარჯობა ვეტხარი, მკითხა:

— სიზმრების გჯერა?

ისეთი გაბრწყინებული თვალები ჰქონდა, ვიფიქრე, კარგი სიზმარი უნხავს და ესიამოვნება, თუ ვეტყვი — მჯერა-მეტქი.

— მაშინ იცი რა, დღეს მე სადმე ჩავიჩები.

ერთ წამს შევფიქრიანდი, მერე გავ-ბრაზდი:

— ნუ სულელობ რალაცა! სად არის აქ ისეთი ადგილები. მით უმეტეს ჩემს გვერდით.

თვალებში შუქ-ჩრდილი ჩაენაცვლა რამდენჯერმე. ენას კბილი დავაჭირე და ცოტა ხნის შემდეგ ვკითხე:

— თუ გინდა, ნუ წავალო.

— რას ამბობ! ასეთი რამის შემოწმების საშუალება მექლევა და ხელიდან გავუშვა? მივდივართ.

წამოდგა, ჩანთა მოიქნია, მხარხე გადაიკიდა და მთებისკენ გააბიჯა. ისე იყო გამოწყობილი როგორც მაშინ, კიფალის საჭერად რომ ვიყავით. მხოლოდ ახლა თავსაფარიც მოქონდა, რალაც ჩინური თუ იაპონური თავსაფარი — თალოვანი ხიდებითა და კამკამა წყლებით მოხატული; თმაც ჩინურ ყაიდაზე ჰქონ-

და დაყენებული, სწორად ჩამოვარდნილი და წინ, ლოკებზე წამოწეული. — რა გაქვს მაგ ჩანთაში? პაკუგითონებე-მე.

— ნუთუ არ იცი, რომ ქალებს არა-სოდეს არ ეკითხებიან, რა აქვთ ჩან-თაში?

— ეგ ისეთი ჩანთა ხომ არ არის?

— სულერთია.

ძალიან ხალისიანად მიდიოდა, მე მიკირდა და ვკითხე:

— მაინც რა ნახე სიზმარში?

— ოოხ, ნუ დამიწყებ ახლა გახსენებას. მე მინდა, ყველაფრის ჯიბრზე, ეს დღე უბელნიერესი იყოს ჩემს ცხოვრებაში.

პირველ გორაკზე ავედით და ცოტა ხანს შევჩერდით. აქედან უკვე ზემოდან დაეყურებდით ქალაქსა და ტყვიისფერ ზღვას. ზღვა დიდ მანძილზე იყო გაშლილი. პორტში ორი თეთრი გემი იდგა. იქით, შორს, სენიერებიც მოჩანდა. ნაპირის მახლობლად სეინერები მიმოდიონენ.

— რა კარგი გრძნობაა, არა, მაღლიდან რომ დაჟყურებ სივრცეს, — თქვა ლიტა.

— ჯერ მოიცადე, ავიდეთ უფრო ზე-ვით!

იმ ბილიკს ავყევი, რომლითაც ჩამოსვლის მეორე დღეს ავედი პატარა მთის მშვერეალზე. ცა ახლაც მოღრუბლული იყო, მაგრამ ნისლი მხოლოდ აი-პეტრის შერჩენდა, ისიც ბუხრიდან ამოსულ გრძლადგაწელილ კვამლივით. ტყები საგრძნობლად გაყვითლებულიყო საბ დღეში. გვერდზე გავუარეთ ტოტებჩამოხლეჩილ ქერამსა და თეთრ ხატას, სადაც მოხუცი და მისი თხუთმეტი წლის ცისფერთვალი ქალიშვილი ცხოვრობდნენ. ხატა დაკეტილი იყო. ეზოში წინაფეხებზე თავმიდებული ჭრელი ძალი ისოდება. წამოგვიხტა და რამდენჯერმე დაგვევფა. ლიტამ ხელი გაუშვირა და მოფერება დაუშვიყო. ძალი გაჩუმდა და კუდის ქიცინს მოპყვა. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს მაინც ვთქვი, რა კარგი პატრონიც ჰყავდა ამ ძალს.

ლიტამ საუბარი სხვა საგანზე გადა-  
იტანა:

— რომ იცოდე, როგორ მიყვარს  
აი ასეთი ქოხები და მიფეხვილ-მოფეხ-  
ვილი მესრები.

— ეგ სიყვარული არ არის, — მივუგე  
ცოტა გალიზიანებულმა.

— აბა, მაშ რაა?

— სიბრალული.

— როგორ სიბრალული?

— აი, ეს მავთულები ვიღაც ხელ-  
შოკლე კაცმა გაჭიმა. ზოგი სად აქვს  
ნაშოკნი, ზოგი სად. არც ბოძები ჰქონ-  
და თავზესაყრელი. არც ძალა, რომ რი-  
გიანად დაეჭიმა. შემოლობა ნიათგამოც-  
ლილი ხელებით, შიგნით მოიყვანა თა-  
თო მუჭა პამიდორი, ჭარხალი და კიტ-  
რი...

ლიტა გაჩერდა. შეწუხებული შემომ-  
ყურებდა და იცდიდა — კიდევ რას ვიტ-  
ყოდი. მე წამით გავჩუმდი და მერე ისევ  
განვაგრძე:

— შენ, რომელსაც ძლიერი გვონია  
შენი თავი, გებრალება ის ნიათგამოც-  
ლილი კაცი. გინდა მიხეიდე და მხარში  
ამოუღე. გინდა ცოტათი მაინც შეუმ-  
სტუქო ტვირთი...

ჩანთა შეისწორა, გადმოიხარა და  
ტკივილგარეული ღიმილით მითხრა:

— გახსოვს, რა მთხოვე გუშინწინ?  
მეტისმეტად კარგი ნუ იქნებიო. ახლა  
მე გონვ — შენ კიდევ მეტისმეტად  
ჭკვიანი ნუ იქნები. ხომ?

მე გამეცინა:

— მით უმეტეს, რომ სიარულის  
დროს ადამიანს ძალიან ღლის მეტის-  
მეტად ჭკვიანურ კილოზე ლაპარაკი.  
დავჩუმდეთ და ვიაროთ აი, ასე.

დავჩუმდით და „ასე“ მივდიოდით  
კარგა ხანს. უკან მოვიტოვეთ პატარ-  
პატარა თეთრი სახლები, ჩვენები ცნო-  
ბისმოყვარე თვალებით მომზირალი  
დიასახლისები და ბავშვები. მიწაყრი-  
ლი ავიარეთ და ახლადმოასფალტე-  
ბულ ავტოსტრადაზე ავედით. ავტომო-  
ბილები გიყური სისწავით მიმოქ-  
როდნენ. ჩვენ ღიმილით ვაყოლებდით

თვალს. გვეჩვენებოდა, რომ მძოოდები  
თავს გვაწონებდნენ და იმიტომ მეტ-  
ებდოდნენ ასე. ამ ავტოსტრადული გვე-  
რა კილომეტრამდე ვიარეთ და მერე  
ბილიქზე გადავუხვიეთ. ბილიქს ზემოთ  
ძებუნარი იყო. იქიდან ორი ბიჭი გამო-  
ვიდა, ერთს გრძელი ჭოხი ეჭირა და  
ბუჩქებს უბარტყუნებდა, მეორეს თო-  
ფი მოემარჯვებინა. რომ გაუპირდღაპირ-  
დით, ვკითხე, რაზე ნადირობდნენ.  
მწყერებშეო. ბევრი დახოცეთ-მეტქი?  
თოფიანმა აირწინალის ჩანთას პირი გაუ-  
წია და ჩიმახედა. ექვს თუ შვიდი მწყე-  
რი მაინც ექნებოდათ. ვთხოვე, ერთხელ  
ჩემთვისაც ესროლინებინათ, მაგრამ ლი-  
ტამ შეიცხადა, არაური მოჰკლაო, და  
აღარ გამომირთმევია.

ძეგნარს ტყეწვრილი მოჰკლა. რცხი-  
ლა, კუნელი, ჭამუხა და ნაძვი ერთმა-  
ნეთში იყო არეული. ბილიქი ზოგჯერ  
ხასხასა მოლს ჰქვეთდა. ზედ მუჭა-მუჭა  
დაბნეულ აღმასის მძივებივით ბრწყი-  
ნავდა ცარი. ლიტას უხარიდა, წმო-  
უსვამდა ფეხს და ფანტავდა იმ „მძი-  
ვებს“, მაგრამ სინამდვილეში „მძივები“  
კი არ იფანტებოდა, ქრებოდა, მიწა ისუ-  
ტავდა. მოულოდნელად ხერშმოყრილ  
გზაზე გაფელით. კარგი იყო ბილიქიც,  
მაგრამ ფართო გზაზე სიარული მაინც  
უფრო გვისამოვნებდა. სულ ცოტა მან-  
ძილილა დაგრძელა მთის ძირამდე და ვე-  
გბა ლოდებით დატკირთულმა თვით-  
მცულელებმა ჩამოიარეს. ერთმა მძლოლ-  
მა კაბინიდან თავი გადმოყო და დავვი-  
ძახა — იქით ნუ მიღიხართ, კარიერია,  
ახლა აფეთქება დაიწყებაო. მალე ფი-  
ცარზე წაწერილი გაურთხილებაც შეგ-  
ვხვდა — მთისკენ წასვლა აკრძალულია,  
შეიძლება საფრთხეში მოხვდეთ.

რა უნდა გვექნა? შევჩერდით და  
მთის თვალიერება დავიწყეთ. ერთი ლო-  
დებიანი ჭიმი, რომელიც აღმოსავლეთი-  
საექნენ იყო წაწვდილი, თეთრად მო-  
ჩანდა სხვა კლდეების ფონზე. კარიერი  
იქ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩვენ ისე-  
დაც არ ვაპირებდით იქით წასვლას.  
ისეთ გეზს ვეძებდით, რაც შეიძლება  
დამრეცი ყოფილიყო გზა. ერთგან

წერილი ჩანჩქერი შევნიშნეთ. იმ ჩანჩქერს ზემოთ სუფთა ფიჭვნარი იყო, მერე წერილ ზოლად გადიოდა შეყვითლებული ფოთლოვანი ტყე. მერე, ფერდობზე, ჩოქელა წიწვები იყო გაფანტული. იმ ფერდობის ავლა და მწვერვალზე ასელა ერთი იქნებოდა. იქ, მწვერვალზე, სიმაღლის აღმნიშვნელი ნიშანიც იდგა. იმან უფრო მიგვიზიდა და იქით წავედით. ათი წუთიც არ გასულა და სკონზე გამოსული სამი დედაბერი შევგვხდა. ლიტა მივიდა, გამოელაპარაკა. ნახევარ-ნახევარი ვედრო ზეთოვანა მოექრიფათ. ლიტამ რამდენიმე ცალი ამოილო, დასუნა და გაბრწყინებული სახით დაუბრუნა. დედაბრებმა შემოგვთავაზეს, რამდენიც გინდათ, აიღოთ, მაგრამ ჩვენ ვიუარეთ. აბა რად გვინდოდა! თანაც იმედი გვქონდა, ჩვენც ბევრს შევხელებოდით — მალა, დიდ ტუში.

დედაბრებს გამოვემშვიდობეთ და წავედით.

— არ მოგშივდა? — ვკითხე ლიტას.

— ავიდეთ წევერზე და იქ ვჭამოთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მაგას მაინც ის სჭობს, აქაც შევჭამოთ ცოტა და იქაც. მთაზე ასელა ძალზე მომქანცვლია; თუ კაცი დანაყრებული არ არის, ორჯერ უფრო გაუძნელდება სიარული.

ჩემი ბალურა გავხსენი, ერთი ბუტერბროდი ლიტას მივეცი, მეორე მე ჩავგბიჩე. მეც ძალიან მეგემრიელა და იმასაც. შევჩერდი, ბოთლი ამოვილე.

— ცოტა ესაც მოვსვათ.

თავი მოვხადე და მივაწოდე.

სიამოვნების ღიმილით მოიწაფა. სმაუჭირდა. სული უგბდებოდა. ერთი ბეჭო ძლიერ მოსვა.

— რით ვერ გასწავლე. — ვუთხარი მე. — აი, ას!

მოვიყუდე და რაერაყი დავაწყებინე.

— მე მაინც ისე მირჩევნია.

და ისევ ისე მოსვა.

ღინომ ხალისი შევგმატა. ბილიკივით რაღაც აღმოვაჩინეთ და იმას მიგვვებოდით. ხან წახრილნი, ხელებშინწაწვდილნი მივარღვევდით ბუჩქნარს, ხანაც ლოდიანებზე გვიხდებოდა ბობლვა. ჩანჩ-

ქერთან შევჩერდით. წერილი, წერილი ნაკადი გადმოდიოდა კლიდან, შემოსალით მოარღვევდა ჰაერს ჩვენს უძრავოდა ხუთიოდე მეტრის ქვემოთ შეცვებად იმსხვრეოდა ტინზე. აქ სხვებიც ბევრნი ყოფილიყვნენ, წარწერებით აეჭრელებინათ ქვები და ხეები.

— მუდამ თან დაჯევთ ზეთის საღებავები ამ უკვდავების მაძიებლებს, თუ რა არის? — იკითხა ლიტა.

— თავი აქვთ მაგითი საესე. — მივუგე მე, თვითონვე შემჩრცეა ამ უხეირო ხუმრიბისა და ფერდობზე აეიჩინე ძახილით, — ნულა ვაგვიანებთ, ნულა ვაგვიანებთ-მეთქი.

ლიტამაც ამოირბინა რამდენიმე ნაბიჯი და ღიმილით გაჩერდა. აქედან ფიჭვნარი იწყებოდა. სულ დიდი, დიდი ფიჭვები იყო, შიგა და შიგ კი შინდი და რცხილა გარეოდათ. შინდს ორი კარგი ჭოხი ავაჭერი, ერთი ლიტასთვის, მეორე ჩიმოვის. ლიტამ ცოტა ხანს კი ატარა ის ჭოხი, მერე გადაგლო — ეს უფრო მიშლისო. არ ტუდებოდა, მაგრამ ნამდვილად დაიღალა. წავიდოდი წინ, გაუწვდიდი ჩემს ჭოხს, ის მოეკიდებოდა, მე ივზიდავდი, ვაკოცებდი და ისევ წავიდოდი. გვეგონა, ცოტაც და გათავდებოდა ეს სოკოსა და წიწვის დაგუბებული სუნით სავსე ცაშეკრული ტყე, ვარელვევდით ვიწრო ზოლად გამავალ ბუჩქნარს და მწვერვალიც იქვე იქნებოდა. მაგრამ პატარა ბუსნოზე ავედით და შევკრთით: მოგვეჩევნა, რომ ჭერისევ მთის ძირში ვიყავით.

— ნუ გეშინია. — ვუიოლებდი ალმურმდებულ ლიტას. — ასე იცის მთმ, ხან გეჩვენება, საღლაც ცაშია შეკარგული და იქვე ახლოს კია შენგან, ხან კი პირიქით.

— იქნებ სწორედ ეგ პირიქითი მდგომარეობაა აქ?

— არა.

საათს დავხედე. ორ საათზე მეტი გასულიყო, რაც ჩვენი სახლიდან გამოვედით.

— ოცი-ოცდახუთი წუთიც და მწვერვალზე ვიქნებით.

ჭიქური ნაბიჯით დავიწყე ასვლა. ლიტას არ უნდოდა, მაგრამ მე მაინც ხელს ვუწვდიდი, ხან ქამარში ვაკიდებინებდი და ასე ამყავდა. ოცი-ოცდახუთი წუთი ფიცვნარის ასავლელადაც არ გვეყო. ლიტა რამდენჯერმე დაჯდა. შევატყე ლელავდა — ფერი დაეკარგა. მიუვაჭდებოდი გვერდზე, ვეფერებოდი და ვეხუმრებოდი. მეშინოდა, უცებ არ ეკითხა — რა არის, რისთვის ვიზოუავთ თავებს, საღ მივდივართო. ერთი ორჯერ მე შევაპარე, თუ გინდა დავბრუნდეთ, ესაც დიდი მიღწევაა ჩევნოვის, ამ სიმაღლეზე რომ მოვედით-მეთქი, მაგრამ გამიბრახდა, წინ გამისწრო, ჭიუტად იღიმებოდა და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მე არ ჩამომჩეროდა. ხელუბი დაეკაწრა, ყურის ქვემოთაც დააჩნდა გრძელი წითელი ხაზი.

და ბოლს, ფიცვნარიც გათავდა და შეუვითლებული ფოთლოვანი ტყეც, ბუჩქნარად რომ გვეჩვენებოდა დაბლიდან. მწვერვალამდე სამასი მეტრილა იქნებოდა დარჩენილი. გამოგვალულ ფერდობზე გაფანტულ ღვიების ზემოთ გარკვევით მოჩანდა რკინის სამფეხა ანა. ქვემოთ კი... ქვემოთ იყო საოცრება. ზღვა თითქოს ცისქენ აყირავებულიყო, და კი არ დავუტრებდით, თავაწეული შევცეროდით ტყვიისფერ, გაპრიალებულ უკიდეგანო კედელს. სამ სეინერს. რომლებიც აღრე სანაპიროს მახლობლად მოჩანდნენ, ახლა ამ კედლის შუაგულისქენ გადაწაცვლებინათ.

ლიტა უცებ დამშვიდდა.

— ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი რამ, — ამბობდა აღტაცებული და ლრმად სუნთქვდა. — რატომაა ასე?

მე ვითომ ახსნა დავიწყე: — მაღლიან რომ დავცეკერით, უფრო დიდ სივრცეს ვხედავთ. ჩევნი თვალიდან წასული სხივი ბლაგვი კუთხით... მაგრამ მივხვდი, რომ სისულელეს ვრომავდი, გამეცინა და უცებ მოვჭრი:

— ეს მერე ფიზიკოსებს. ვკითხოთ. ახლა კი ვუყუროთ და დავტკბეთ.

კარგა ხანს ვუყურებდით ზღვასა და

მის ნაპირის გაგრძელებულ სუფთა/ფერად-ფერად მცენარეულში ჩაუსახულ ქალაქს. მერე ავტიტეთ ხელი, ჰავემშეგრძელებეთ და წავედით. ფერდობი ზოგის ციცაბო იყო, ერთგან კი, ხევივით ჩალრმავებულში, ფეხი ძლივს მოვიკიდე. ათ ნაბიჯზე არ ვიყავი ჩასული და უცებ ლიტას სიზმარი გამასხენდა. შემქრთალი მივბრუნდი და მერე ქვემოთ გავაპარე მზერა. იქ, ოცი-ოცდათი მეტრის ქვემოთ, ერთმანეთზე შეხორებულიყო დამსხვრეული ლოდები. ფრთხილად-მეთქი დავუძახე ლიტას და ხელი გავუწოდე. მას სიცილი წასკდა.

— ჩემი სიზმარი გაგახსენდა?

ხელზე ხელი მოვკიდე, იმ ჩახვეწილ ადგილს გავაცილე და მაშინ უცხარი:

— სიზმრების განმეცებლის ჭიბრზე ამ დღეს ბრწყინვალედ დავამთავრებთ.

— ბრწყინვალედ დავამთავრებთ! — წამოიძახა ლიტამაც და გაიქცა.

მე დავუყვირე:

— ნუ მირბიხარ, ლიტა, ნუ მირბიხარ! მაგრამ ჩემთვის ყური არ უთხოვებია. გარბოდა, როგორც კი შეიძლება ლორ-ლიან აღმართზე გაიქცეს ადამიანი, — ხელების მოშველიებით, ხანდახან ჩახოჭილიც გავედევნე, მაგრამ მალე უკვე აზრი აღიარ ჰქონდა ჩემს დევნას. ის უკვე მწვერგალზე იყო; ხელები გაშალა, თავაწეული, ასე ხელებგაშლილი, დატრიალდა, რაღაც ამოიძახა და დაეცა.

გულგახეთქილი ავგარდი და ვეცა. ხელები აქეთ-იქით ჰქონდა გადაყრილი, შევი თმა ბალახებზე გაშლოდა, თვალები დაეხუჭა. თავი წამოვუწიე, შევანგლრიე. მეგონა ცუდად იყო. მაგრამ უცებ ხელები კისერზე შემომაჭდო, დამწია და კოცა დამიწყო.

გინ იცის, როდემდე ვიწენებოდით ასე, ვერტმფრენის გუგუნს რომ არ წამოვეყარეთ ფეხზე. იმ ოხერმა ოცი-ოცდათი მეტრის სიმაღლეზე გადაგვიარა თავს.

— იქიდანაც დაგვინახავდნენ? — გადიდებული თვალებით შემომხედა ლიტამ.

— ალბათ.

— ვაი, სირცხვილოო. — ქურთუკი გამიწია და თავი შიგ შემაბარ.

მოველოდით, რომ ეს იქნებოდა ნამ-დვილი მწვერვალი, — კონუსური, იქი-თა მხარეს კიდევ უფრო ციცაბო ფერ-დობებითა და უჩევულო სანახაობებით. მაგრამ სულ სხვა რამ დაგვხვდა. გაშ-ლილი რუხი ვაკე იყო თებოსავით წმინ-და ბალახმოდებული. ვიყურებოდით ჩრდილოეთისკენ და ვეიკვირდა. რაღაც უდაბნოს განწყობილება გამეფებული-ყო ირგვლივ. არც ერთი ხე, არავითარი ნაგებობა! ცივი, ძალიან ცივი ნიავი მო-დიოდა იქიდან. პორიზონტზე შავი ნის-ლი თუ ღრუბლებიც იწვა.

წამოვდექით და ახლა ერთმანეთს მი-ყუდებულები ვიყურებოდით იქით. მე ლიტას ჩემს ქურთუკს ვაფარებდი, რომ ნარჩენი იმ ცივ, ტყვიასავით მძიმე ნიავ-ზე არ გაცივებულიყო.

— რა არის აი იქ, იმ ღრუბლების იქით? — იქითხა ლიტამ.

— სიმფეროპოლი. შეიძლება სხვა ქა-ლაქებიც. ყოველ შემთხვევაში ცივი, ჩამუქებული ქალაქები.

ლიტა უფრო მომექრა, თითქოს დაპა-ტარავდა.

— ბალახი კი რა სასიამოვნოდ წმინ-დაა და რბილი, არა?

მივდიოდით იმ წმინდა ბალახში — ფრთხილად, აქეთ-იქით ცერით, თით-ქოს რაღაცის გვშინებოდეს. უფრო და უფრო მძიმდებოდა და უსიამო ხმით გვეჩურჩულებოდა ნიავი. ვიარეთ კარგა ხანს. ბოლოს ერთ ღრმულში მოვხვდით. სამი მხრიდან მეტენორიტებივით იღუ-მალი ფერის ლოდებით იყო შემოჩლუ-დული. დავიძახე — ჰეჭეი-მეთქი. გა-გრძელებულად, საოცრად მყაფიოდ გა-მომებასუხა ეხო. ლიტა გადაირია. ძლივს-ძლივობით მოვაცილე იმ ადგილს — ხან რას იძახდა, ხან რას, და ბავშვი-ვით კისკისებდა პასუხებზე. მაღლა ავე-დით. ისევ ვიარეთ, ვიარეთ იმ უდაბურ ცივ ველში. ვგრძნობდით, რომ ვერა-ფერს ისეთს — თვალმახარას და დამა-ინტერესებელს — ვერ შეგვედებოდით, მაგრამ მაინც მივდიოდით. ძლივსდა მო-

ჩანდა მწვერვალზე დადგმული რეზინის სამფეხა ინდა. ბოლოს ნახნავი გამოჩინ-და. იმ ნახნავამდეც მივედით. ჭარტულები ხანს ვიდექით და მერე გამოვგრძუნდით, მხოლოდ სხვა გზით, ცოტა უფრო და-საელეთით.

შინისენ მობრუნებამ ხალისი შეგვ-მატა. ალაგ-ალაგ, მცირე დაღმართებ-ზე, მივრბოდით კიდეც. ახლა ყურებში აღარ ვეცემდა ჩრდილოეთიდან მომავა-ლი ნიავი და ვეეჩენებოდა, კიდევ უფრო ჩაყუჩდა და დაღუმდა ყველა-ფერი.

— მოვნახოთ კარგი ადგილი და და-ვისვენოთ! — შევთავაზე ლიტას, მაგრამ ასეთი „კარგი ადგილი“, სანამ მთის გა-დასახედთან არ მივედით, ვერსად ვნა-ხეთ. იქ იყო სიმწვანეშერჩენილი ბალა-ხიც, კლდეში შეჭრილი მყუდრო ეხიც და ბუჩქნარიც. ცოტა ხანს კლდეზე ვი-დექით და ძირს ვიყურებოდით. მერე მე ხმელი ჩინჩხვარი მოვაგროვე, ცეც-ლი დავანოე, გაზეთი გავშალე და ზედ ჩვენი ავლადიდება ამოვალაგე. ლიტა ცეცხლს პატარა ბავშვივით უვლიდა გარს, ხელებს უშვერდა და იცინდა. როგორც კი ალი დაწევდა, თვითონაც მირბოდა ჩინჩხვარის მოსატანად. გათბა, გაცრეცილი ხელები და სახე დაუწიოთლ-და. მე დაბლა, ფერდობში ჩავედი. იქი-დან ორი ბორჯლლიანი კუნძი ამოვიტა-ნე, ერთი რცხილისა, მეორე ღვის. და-უშვე ცეცხლს და ფეხმორტებით მი-ვუჩექი ახლოს. ახლა წამდაუწუმ აღარ ჭირდებოდა ჩინჩხვარის დაყრა, კუნძე-ბი ხელ-ხელა, ტკაცუნით იწვოდა, ღვია სასიამოვნო სუნს იყენებდა, ლიტაც დაჯდა. შეჭამე-მეთქი ცოტა რამე. არ მინდაო. მაშინ ღვინო მივაწოდე. მოსვა. მეც დავლე. ღვინომ მადა გაგვიხსნა, საჭმელსაც მივყავით ხელი. ვჭამდით, ცეცხლს უუყურებდით და ქმაყოფილე-ბი ვულიმოდით ერთმანეთს.

ლიტამ მეითხა:

— არ გაინტერესებს, რა მომეწონა შენი, პირველად რომ ვნახე? რა-მეთქი.

— თვალებიც ლამაზი გაქვს, კისერიც,

შაგრამ ჭამა რომ არ გცოდნოდა ასეთი,  
ვერასოდეს ვერ მოიგებდი ჩემს გულს.

— მაინც როვორი ჭამა ვიცი?

— ბრძოლის ველზე გასულ ოფიცე-  
რივით. ასე მგონია, შეკვემდება ამ ორიოდე  
ლუქმას და ძნელი ამოცანის შესასრუ-  
ლებლად გაუძღვები ჭარისკაცებს.

— შენ დიდი, კეთილი გული გაქვს, —  
მივიტე მე.

გადმოიწია, თავი მხარზე დამადო.

— და მაინც ცუდი, ცუდი ქალი ვარ,  
არა?

აღმოსავლურ შესხმასავით რაღაც წა-  
მოვიწყე, მაგრამ იმან ყურებზე ხელი-  
გულები მიიჭირა და სახე მუხლებში  
ჩამალა.

ასე იყო ერთხანს. მერე უცებ წამო-  
ძახა:

— წვიმს.

მე ცას შევხედე.

ღრუბლები შესქელებულიყო, წინ-  
წქლავდა.

— დიდი წვიმა რომ წამოვიდეს?

— აი, ეხი.

— სულ რომ იწვიმოს, ღამემდე?

— შეგვშინდება, აქ რომ გავათენოთ?

— სიცივე თქვი, თორემ...

— ჰო, ღმე ძალიან ეციება. რა საოც-  
რებაა, არა? ძირს თითქმის ცხელა, ვი-  
ღაცვილაცები ილბათ ბანაობენ კიდეც,  
აქ კი ასეთი სიცივეა.

წვიმა არ წამოსული, ის წინწკვლაც  
შეწყდა, კუნძებიც ჩაიწვა. ჩვენი ბარგი-  
ბარხანა წამოვკრიფეთ, უკანასკნელად  
ავედით კლებზე, ერთხელაც გავხედეთ  
ჩაქუფრულ ველს და წამოვედით.

ამოსვლისას, სამფეხა ანასთან, ბი-  
ლივივით რაღაც შევნიშნეთ. ახლა იმ  
ბილიქს გავყევით. ცოტა ხანში სხვა ბი-  
ლივიც შემოვგეირთდა; ხოლო როცა  
ლვიიანი ფერდობი ჩავირბინეთ და ტყე-  
ში შევედით, ძველისძველ საურმესაც  
წავადექით. აქ ერთხელ კიდევ ვცალ  
ლიტას ქალობაზე ზევით დაწყებული  
სიტყვის გაგრძელება, მაგრამ ლიტა გა-  
მექცა და შორიდან დამიძახა:

— თუ კრინტი დაგიძრავს ჩემზე, გირ-  
ჩევნია ახლო არ მოხვილე, გაიგე?

რა უნდა მექნა! ხმას აღარ ამოვისოდ  
მეთქი და მდუმარედ განვაგრუებოდა  
ის მაინც წინ მისწრებდა (თანამდებობის  
მენდობოდა) და ხანდახან თუ შემომხე-  
დავდა მომდურავი თვალით.

საღამოს მოხალოვების ბრალი თუ  
იყო — ტყეში ფრინველები ახმაურ-  
დნენ. საღამოს შაშვებიც აქახშახდნენ.  
მე ჩემი იმიტარობული უნარი გამახსენ-  
და, — ხელის ზურგი ტუჩებზე მივიდე,  
შაშვებს გამოვაჯავრე, გამომეპასუხენ  
კიდეც, მაგრამ გზის გასაბრუნთან ხელი  
სწრაფად ჩამოვიდე ძირს. ვეება ფიჭვებ-  
ში ჩადგმული პატარა ფიტრული ბუდ-  
რუგანის წინ ვიღაცა. კაცი ჩაკუნტული-  
ყო. ახლო რომ მივედით, ვნახეთ, ფიც-  
რიდან ლურსმანს აძრობდა. იმოგხედა,  
ჭერ გავიღიმა, მერე შიში ჩაუდგა თვა-  
ლებში:

— ექით არ წახვიდეთ, ახლა აფეთქე-  
ბა იქნება!

მე ლიტას მივუბრუნდი:

— მოღი ერთი ერთი ერთოთ, რა არის ეს  
აფეთქება.

კაცი გამიწყრა:

— ხომ გითხარით, არ შეიძლება  
მეთქი!

— შორიდან, ბიძაჩემო.

— შორიდან... შორიდან შეიძლება. —  
წელში გაიმართა, ხალათის კალთა გა-  
ისწორა. — იარეთ პირდაპირ, პატარა  
ჰყანტობი შეგხვდებათ. ხელმარცხნივ  
გორაკივითაა. იდით იქ და იქიდან გამო-  
ჩნდება.

მაღლობა გადავუხადეთ და წავედით.  
ჰყანტობი მალე შეგხვდა, გორაკიც იქ-  
ვე იყო, ათობიდე ნაბიჯზე. ავედით ზედ  
და, წელში გამართა ვერ მოვასწარით, —  
გაისმა გრვინვა. ბელტებშერეული  
მტვრისა თუ კვამლის დაბოლქვილი მასა  
ელევის სისწაფით აიგრაგნა მაღლა.  
იმას სხვა მოჰყვა, იმას კიდევ სხვა... და  
როცა ლალუმები გათავდა, მვების ჭახა-  
ჭუხმა და ჩერიალმაც მოაღწია ჩვენმდე.  
— ძან კარგი რამ იყო, არა? —  
ვკითხე ლიტას.

თავი დამიქნია და მერე ხევისკენ მი-  
მითითა. იქ, ჩახერგილ ლოდებთან, რომ-



ლებსაც ჯერაც ნისლივით დასტრიალებ-  
და მტევრი, მუშები გამოჩხდენ. ისინი  
გამარჯვებული მეომრებივით გადმოჰყუ-  
რებდნენ თავიანთ ნახელავს. სანახაობა  
დამთავრებული იყო. დაბლა ჩავირჩი-  
ნეთ, ჰყანტობს შემოვუარეთ და ხერშ-  
მოყრილ სამანქანო გზაზე გავედით. პა-  
კური აქ ადვილად იძროდა და ახალდა-  
ხეთქილი ქვის სურნელი მოქმენდა კა-  
რიერის მხრიდან. ეწერში წითელი ძრო-  
ხების ნახირი მოდიოდა. საღლაც ბუჩ-  
ქებსმოფარებული მწყემსი ჩქის საყ-  
ვიობს უკრავდა. ამ ხმას საქონლის ქშუ-  
ტუნი და წვრილ-წვრილი უკვნების  
წყარუნიც უერთდებოდა. გზის პირას  
ახალგაზრდა ქალი და კაცი ისხდნენ.  
კაცი მხრებგანიერი, ქერა, ხუჭუჭაქოჩ-  
რიანი გვილი იყო. ქალი — წვრილი, გა-  
ხუნებულებაინი, ბოშასავით შავი და  
თვალებბრიალი. რომ მივუახლოვდით,  
წამოდგნენ. კაცმა სიგარეტის ნამწვი  
ფეხით მოსრისა, გზაზედაგდებულ ფიჭ-  
ვის ნედლ მორს ბოლო აუწია, ქალს  
მხარზე დაადო, თვითონ მორის თავი  
შეიგდო და ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ  
ქვემოთ. ტვირთქეშ წელვალუნულმა  
ქალმა მოგვხედა, გაგვილიმა და ხელიც  
კი დაგვიქნია. მე გამეცინა და ლიტასკენ  
მივბრუნდი, აბა, იმაზე რაღა შთაბეჭდი-  
ლება დატოვა იმ კანქსალმურა, შოლ-  
ტივით მოქნილმა ქალმა-მეთქი. ლიტას  
ჩანთა უქან ჰქონდა გადაგდებული, თვა-  
ლები... თითქოს იმ წვრილი შავი ქალის  
გადიდებული თვალებით იყურებოდა.  
შეერდზე გადაჯვარედინებული მარჯვენა  
ხელი მარცხენა მკლავზე ჰქონდა დადე-  
ბული, მარცხენა ხელი ტუჩებთან მიე-  
ტანა და ილიმებოდა...



შინ რომ დავბრუნდით, ბნელფრედის  
აქა-იქ უკვე სინათლეებიც ენთო. ლიტა  
ისეთი დაღლილი ჩანდა, ძლივს მოახერ-  
ხა ხელის აწევა, — ჯერჯერობითო, ჯერ-  
ჯერობით-მეთქი, მეც ხელი ავუწიე და  
ჩვენ-ჩვენი ქორბუსისკენ წავედით.

რას ვიფიქრები, რომ ეს იყო ჩვენი  
ერთად ყოფნის უკანასკნელი წუთი!

მეორე დილით, ადრიანად, ის სად-  
ლაც გაემგზავრა. უბრალოდ — გამოიძა-  
ხა ტაქსი, რეგისტრატურიდან აიღო თა-  
ვისი პასპორტი და წავიდა. ვინც კი ამ  
ამბავს გაიგებდა, ყველას უკვირდა, —  
მას ხომ ოცდაექსესდღიანი საგზური  
ჰქინდა! უკვირდათ ჩვენს თანამოსუფ-  
რე ბალტიისპირელებს, უკვირდა მე-  
ლოტ, ოქროსკბილებიან ცნობილ მწე-  
რალს, უკვირდა დირექტორს და ლამაზ  
აღმინისტრატორ ქალს... ისინი რაღაცის  
მოლოდინით შემომყურებდნენ მე. ეტ-  
ყობოდთ, წარმტაცი საიდუმლოს გავე-  
ბას მოელოდნენ ჩემგან. მაგრამ მე რა,  
რა შემეძლო მეთქვა?! მეც მხრებს ვი-  
ჩიჩავდი და თავს ვაქნევდი სინანულით;  
თუმცა ჭიბეში ლიტას წერილიც კი  
მეღოდ — მოსწავლის რეეულის ფურ-  
ცელზე პასტიანი კალმით დაწერილი  
ორი სიტყვა: „მშვიდობით. მშვიდო-  
ბით!“

მკვეთრ, ძალიან მკვეთრ ასოებს სამ-  
სამი ხაზი ეჭირათ. თითო სიტყვა ფურ-  
ცლის მთელ სიგანეზე იყო გაჭიმული.  
ძახილის ნიშნის წერტილის აღილას კი  
რაღაც ცისფერი გორგალი იყო დახა-  
ტული, რომელსაც მარჯვენა მხარეზე  
ჰქონდა გამორღვეული წვერი.





W.W.  
მ. გ. ლ.

მოთხოვა

შუა ავესტოა. როგორც იქნა, მიიღია  
ეს ძნელი ზაფხულიც. ასეთი სიცხე არა-  
ვის ახსოვს ამ ადგილებში, საღაც ქვე-  
მოთ აღწერილი აბავი მოხდა, კერძოდ  
კი — ღრმა ტაფობში ჩაწოლილი დიდი  
ქალაქის ერთ-ერთ ძელ უბანში.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. ბოლო-  
დაბოლოს ეგუება იგი სიცხესაც. ეს გარ-  
კვეულ დაღს ახვამს მთელი საზოგადო-  
ების ცხოვრებას, გარეგნულად უინტე-  
რესოსა და უფერულს ხდის მას. მაგ-  
რამ მხოლოდ და მხოლოდ გარეგნუ-  
ლად. სინამდვილეში ყველა ის განცდა  
და სურვილი, გრძნობა და ვნება, რომ-  
ლებიც ჩვეულებრივ პირობებში ამო-  
რავებს ყველას და ყველაფერს, დრო-  
ებით აღარ სცილდება სულიერი სფეროს  
ფარგლებს და იმაღება ადამიანის შიგ-  
ნით, ისევე, როგორც თვით ადამიანი  
ემალება სიცხეს ჩაბნელებულ შენობა-  
ში. ცარიელდება ქალაქის ქუჩები, მო-  
ედნები, მთელი უბნები, ისაღვურებს  
სიჩრდე და, თითქოს თავისი გამარჯვე-  
ბის აღსანიშნავად, კიდევ უფრო ულ-  
მობლად მძეინვარებს სიცხე.

ასე ზაფხულის დამლევის ამ უცნაურ  
დღესაც. მზემ გათენებისთანავე ცხარედ  
შემოუტია ქალაქს, გაადნო ასფალტი,

სახურავები გაავარვარა. შუაღლის პაპა-  
ნაქებამ ყველაზე ცივისისხლიანებსაც და-  
იყრევინა ფარ-ხმალი და სახლებში შე-  
რეკა. სიცოცხლე თითქოს სრულიად  
ჩავდა ყველან და ძელი უბნის ოლრ-  
ჩოლრ ქუჩებში ოდნავი ჩამი-ჩუმიც კი  
აღარ ისმის.

მე მარტოდმარტო მივყები ვიწრო და  
მტვრიან შუკას, რომელიც უმოკლესი  
გზაა აწ უკვე გაუქმებულ სასაფლაოს-  
კენ. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ამივლია  
ეს გრძელი აღმართი?! პატარაობისას  
მას „ლილოპუტების ქუჩას“ ვეძახდი და  
მახსოვეს, რა ზღაპრულ სურათებს მიხა-  
ტავდა აწ მაშინ ბავშვის მდიდარი წარ-  
მოდგენა. საკმარისი იყო მხოლოდ სურ-  
ვილი და... ქუჩა ისებოდა ძელებურად  
ჩაცმული ქონდრისკაცებითა და პატარა  
ქალებით, რომლებიც სასაცილოდ მიიბა-  
კუნებდნენ თავიანთ პაწაწა ფეხებს; პა-  
ტარა ეტლებში ერთი ციცქა ცოცხალი  
ცხენები იყო შემული და ბრჭყვიალა-  
ღილებიანი ნამცეცა მეეტლები გამა-  
ურუებელი ჭყაბინით დააჭინებდნენ მათ  
ზევით-ქვევით; ჭუჭა მეაღლე პატარა  
არღანზე უკრავდა და გამვლელ-გამომვ-  
ლელი უხვად ასაჩუქრებდნენ მას პა-  
ტარ-პატარა ოქროს ფულებით... ყოველ

ნაბიჭე რაღაც ახალი და საინტერესო ამბავი ხდებოდა, და შეუმჩნევლად ილეოდა ეს მძიმე აღმართი, ხოლო აღმართან ერთად ცოტა ხნით თავდებოდა ჩემი ბაგშეობაც. იწყებოდა სასაფლაო, ყოვლად უცნაური და გაუგებარი ადგილი პატარასათვის.

დღეს კი, მიყვები ამ „ლილიპუტების ქუჩას“ და უკვე ამაოდ ცუდილობ გახუნებული ბავშვური განცდების გაცოცხლებას: ქუჩა კვლავ ჩუმია და ცარიელი. ორიოდ მტკვლის სიგანის ტროტუარზე ასფალტი ცომივით დაბილებულა და ჩემს მძიმე ფეხის ხმასაც კი სრულიად ახშობს. სამარისებური სიჩუმეა ირგვლივ და ეს გასაქანს აძლევს ჩემს უთავბოლოდ არეულ ფიქრებს.

დღეს ცამეტი აგვისტოა, ჩემი დაბადების დღე. დილის ექვს საათზე ოცდაათი წელი შემისრულდა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. ასეთ დღეს სიხარული ალბთ ჯერ კიდევ სჭარბობს წელთა სკოლის სისწრაფით გამოწვეულ სევდასა და სინაწლს. ალბათ-მეოქი, ვამპობ იმიტომ, რომ მე, ამ მხრივ, სამწუხარო გამონაჯლისი ვარ.

ყოველი ცამეტი აგვისტოს მოახლოება, მას შემდეგ, რაც შეგნებულ ცხოვრებას შეცვლები, აუწერელ გულისტიკილთანა მაქვს დაკავშირებული. ახლაც ნათლად მიღვას თვალწინ ის მოღრუბლული დღე სასაფლაოზე, როცა ათიოდე წლის ბიჭმა დიდედას ნამბობიდან პირველად შევიტყვე: დედა თურმე ჩემს დაბადებას გადაჰყოლია. ცოტა ხნით აღრე დიდედასგანვე მქონდა გაკონილი ზოგი რამ მასაჩემის შესახებაც, ხოლო იმ დღეს ის „ზოგი რამაც“ საბოლოოდ დავაზუსტე. ვიცოდი, მაგალითად, რომ მამას მეორე ცოლი შეურთავს, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ეს ამბავი მომხდარა სწორედ იმ დღეს, როცა მე ერთი წელი შემსრულებია. მას მერე მამა აღინ მინახავს. აღარ უნახავს იგი არც დიდედაჩემს, რომელმაც სრულიად მარტომ გამზარდა. ვერ მიემვდარგარ, საიდან აღმოაჩნდა ამ პატარა ქალს იმოდენა ძალა. რა დამავიწ-

ყებს იმ ძნელ დროს, როცა გაჭირვებულ ისე შეარყია მისი თავმოყვარებულისა თუ ნებისყოფის სიმტკიცე, რომ მაგმატურულ დანამარებაზე აღმათ უარსაც ვეღარ იტყოდა. მაგრამ ეს არც მოხდა და, საბედნიეროდ, ყველაფერი წარსულს ჩაპარდა. ახლა მე აღირავის პატრონობა აღარ მცირდება, პირიქით, თვითონ ვყდილობ რითომე გადავუხადო დიდედას ჩემზე გაწეული ამაგის სამაგიერო, თუმც დანამდვილებით ვიცი: მიუღწეველია ჩემი სურვილი. ამაგიც არის და ამაგიც! განუზომელია ის სიყვარული და მოთმინება, როგორითაც მიკითხავდა იგი თასანაირ ზღაპრებსა და მომხიბლავ ამბებს, მასწავლიდა ხატვას და მუსიკას, წერა-კითხვასა და უცხო ენებს, ანუ ყველაფერს, რისი სწავლაც კი შეიძლება, და იმასაც, რაც ადვილად არ ისწველება: სიბრალულს, სიკეთეს, სიყვარულს, ზოგჯერ — სიძულვილსაც. ყოველივე ამან ბოლოსდაბოლოს მოტეხა მოხუცებულის ჯანმრთელობა, და ეს დღე ჩემს მეხსიერებაში პირველი ცამეტი აგვისტოა, რომლის ორიოდე საათიც სასაფლაოზე მარტომ უნდა გავატარო. მერე კი...

ვიცი, რაც მომელის მერე: უნდა დავბრუნდე შინ და ლოგინად ჩავარდნილ დიდედას დაწვრილებით ვუამზო ყოველივე, ვუამზო, რომ ვიყავი იქ, რომ ყველაფერი ძველებურად დამხვდა: საფლავი — მოვლილი, ღობე — მთელი, ტირიფი — მორწყული... მერე მან ბოლიში უნდა მომიხადოს, რომ ასე მაწვალებს თავისი გაჭიანურებული ავადყოფობით, და სევდიანი, ბებრული ხუმრობით უნდა მაიმედოს, რომ ეს დიღხანს აღარ გაგრძელდება. ამის შემდეგ იგი ცრემლნარევი ღომილით მოისმენს ჩემს აღშეოთვებულ პასუხს, მერე, გულგამთბარი, ერთხელ კიდევ მომილოცავს დაბადების დღეს, პატარა ბავშვიერი ჩამიხუტებს გულში, მაკოცებს შებლზე, ისე, როგორც მხოლოდ მას შეუძლია, და ბო-

ლოს აუცილებლად მისაყვედურებს, რომ  
ამ ხნის კაცი ოჯახს ჯერაც არ მოვიდე-  
ბივარ...

ის ჩემი არც თუ ისე მხიარული  
ფიქრები (რა თქმა უნდა — დაახლოე-  
ბით, — და არა ასე დალიგებულად და  
თანმიმდევრობით, როგორც ქალალზე  
ჩანს), რომლებიც „ლილიპუტების ქუ-  
ჩით“ მიმავალს უნებურად მიტრიალებს  
სიცხისაგან დარეტიანებულ თავში.

ჩემ წინ ზანტად მიძუნდულებს ფერ-  
დებჩაცვენილი წითურა სეტერი. ძალი  
ხანდახან უკან იხედება და მე ვხედავ  
მის საოცრად ადამიანურ, ნაღვლიან თვა-  
ლებს. ვინ იცის, იქნებ ამ წუთას მასაც  
ავონდება თავისი ძალური წარხულის  
რომელიმე არასახარბიერო ებაზოდი.

პატარა აფთიაქის რკინისმოაჭირებია-  
ნი კიბის ჩრდილში თვლემს მურივით  
შავი კატა. ძალის მიახლოებისთანავე  
იგი სწრაფად ფხიზლდება, იშმორება და,  
ყოველშემთხვევისთვის, თავდასაცავაუ  
ემზადება, მაგრამ მშეიღობიანად გან-  
წყობილი სეტერი გვერდს უქცევს მას  
და ერთ-ერთ შესახვევში უჩინარდება.  
კატა ახლა მე არ მაცილებს თავისი დიდ-  
რონი, ზურმუხტისფერი თვალების გა-  
მოტკლელ მზერას და მერე, ჩემს უწყი-  
ნარობაში რატომლაც დაეკვებული, ფეხ-  
ათრევით იმალება კიბის ქვეშ.

აფთიაქის თეორმინებიანი კარი ლია  
და მე ვხედავ, რაც ხდება შიგ. თუმცა  
შიგ არაფერიც არ „ხდება“: თეორხალა-  
თიან ქალებს თავები დახლზე ჩამოუდ-  
ვიათ და სძინავთ. მძინარე ადამიანების  
დანახვა უფრო შადუნებს და გაბრუე-  
ბული განვაგრძობ გზას.

შუქის გაყოლებაზე, ორივე მხარეს,  
ხის წითელი ალაყაფის კარებია გამ-  
წერივებული. ყოველ მათვანზე ვიღაცას  
ცარციონ გაუგებარი ნიშანი დაუდია: წრე  
და მასში ჩახატული პატარა ჭვარი. ერ-  
თი, რრი, სამი... შეუგნებლად ვთოვლი  
დანიშნულ კარებს და მალე სავსებით  
გარკვეულად მაწუხებს უცნაური წინათ-  
გრძნობა:

საცაა მელოდიური ჭრიალით უნდა  
გაიღოს რომელიმე მათგანი, გამოვი-

დეს სახედარზე გადამჯდარი მუსიკი  
ალი-ბაბა და კმაყოფილი ლილინით სუნა-  
მის გასაძარცვად გაემართოს და მისა-  
და ბატარა მუკმა გაუბედავად უნდა გა-  
მოჰყოს გარეთ თავისი დიდი, სამკუთხა  
თავი, მიიხედ-მოიხედოს და მერე, ზა-  
დოსნური ქოშებით, მიწაში ჩაფლული  
განძის საძებნელად საღლაც წაფრატუნ-  
დეს...

უნებურად ვანელებ ნაბიჯს. ვერძნობ,  
როგორ მწარედ იქბინება შემაღლებუ-  
ლი მზე და, თავბრუდახვეულს, უკვე სე-  
რიოზულად მიყვირს, რომ ჩემი ზღაპრუ-  
ლი მოლოდინი არა მართლდება, თუმ-  
ცა... მგონი ნააღრევია ჩემი გაყვირვება.

საიდანღაც ჩაუანგებული ზამბარის  
ჭრიალი მესმის. შემკრთალი ვჩერდები  
და იქით-აქეთ ვიხედები. ჩემს წინ ალა-  
ყაფის კარი იღება და ეზოდან კოჭლო-  
ბით გამოდის შავებში ჩაცმული დედა-  
ბერი. წელში ისე მოხრილა, თითქოს  
ძირს რამე დავარწნია და აღებას ლა-  
მობსო. აქვს სანთლისფერი, დამჭკნარი  
სახე; უპეებში ღრმად ჩამჯდარი დიდი  
თვალები; მაგრად მოკუმული, უქიმო-  
ბირი, ისე მაგრად, რომ წვეტიანი ნიკაპი  
ლამის მოკუმებულ ცხვირს შეეხსო;  
შავი თავშლიდან ჩამოშლილი თეთრი  
თმა მთლიანად ვერ უფარავს ერთდროს  
იღბათ ლამაზ, მაღალ შებლს.

— დედაშვილობას, აფთიაქში გამეგ-  
ზავნე... — ჩიფჩიფებს იგი და აეპარკო-  
ბული ხელით მიწვდის წამლის ქვა-  
თარს, — ნუ დაზარებ, შვილო, სიარუ-  
ლი მიჭირს, შენ კი გაზარდე დედა-  
შენსა!

უსიტყვოდ ვბრუნდები უკან, აფთია-  
ქისეკნ.

აგერ ის ნაცნობი კიბეც. შევდივარ  
შიგნით. გახურებულ ჰაერში წამლებისა  
და ნავთით გაულენთილი ნახერების სური  
ტრიალებას. მოკრიალებული პარკეტი-  
ხმამაღლა ჭრაჭუნობს ჩემს ფეხევეშ.

• მსუქანი ქალი — რეცეპტარი უცბად  
ვერ ფხიზლდება და, თვალებდაჭყეტი-  
ლი, კარგა ხანს უაზროდ შემომცეკის,  
ბოლოს მართმევს ქვითარს, ცხვირზე მო-  
ხერხებულად ირგებს სათვალეს და დიდ-

ხანს, დიღხანს იქექება მრგვალ თაროებზე გამწყრივებულ სხვადასხვა ზომის ბოთლებს შორის, რომლებიც მზის სხივებს ათასფრად ირეკლავენ და თვალისმომცრელად ბრკვიალებენ. მე, ამისობზე, ზიზღნარევი რიდით ვათვალიერებ მინის ქვეშ გასაყიდად გამოფენილ სკალპელებს, კატეტრებს, ჰპრიცებსა და სხვა სამედიცინო ხელსაწყოებს და მორწმუნებასთ მხურვალედ ვლოცულობ გულში: „ლმერთო! ოღონდ ლოგინში ნუ მომელავ და უველაფერზე თანახმა ვარ! ოღონდ ექიმების ხელში ნუ ჩამაგდებ, ღმერთო, და თუ გინდა მომკალი!...“

რეცეპტარი, როგორც იქნა, პოულობს თურმე მაცივარში შენახულ წამალს და გრძელყელიან იოდისფერ ბოთლს მაწოდებს. ცივი ჭურჭელი სასიამოვნოდ მიგრილებს ხელისგულს. კიდევ ერთხელ ჭრაჭუნობს პარკეტი და კვლავ სიჩუმე ისაღვურებს მზიან ოთახში.

დედაბერი იქ აღარ მხვდება, სადაც დავტოვე, და ყურადღებით ვათვალიერებ აგურის ორსართულიან სახლს, რომლის ეზოდანაც ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა იგი. სახლის ნომერი ყოფილა ცამეტი. უკნაურია.

რა თქმა უნდა ცრუმორწმუნე არა ვარ, მეცინება კიდეც, ამას რომ ვამბობ, მაგრამ დლევანდელი დღის უცნაური წერილმანები — სიცხისაგან რეალობას მცირე ხნით გამოითიშული გონების რაღაც მისტიური ჰალუცინაციები; შავი კატა; სადღაც საეჭვოდ გამქრალი დედაბერი; და ბოლოს ისევ ეს „თარსი“, ჩემთვის განსაკუთრებით კვიმატი რიცხვი — ცამეტი, — საემარისია იმისათვის, რომ კაცს ცრურწმენისაკენ ერთგვარი მიღრეკილება გაუჩინოს.

ამიტომაც ვაღებ ასე გაუბედავად ილაყაფის დაბალ კარს და ძალაუნებურად თავდახრილი შევდივარ იდუმალებით მოცულ ეზოში.

თუთის დიდფოთლება ხე მთლიანად ჩრდილავს რიყის ქვით მოკირწყლულ პატარა ეზოს. სახლის ზედა სართულზე კარ-ფანჯრები ჩაუბეჭდიათ და არავინა ჩანს. ქვედა სართულის აივანი ლრმად

ზის მიწაში. ოთხუთხა აგურის მუხლ მის იატაქზე სელი მატყუაჭაფული ფენიათ გასაშრობად.

დედაბერი აქაც არ არის. იძულებული ვარ მივიღე ერთადერთ ღია კარს. რომელზეც უბრალო ფარდაა ჩამოფარებული და ზედ ზარტად დაცოცავენ სიცისიაგან ქანცგამოლული მწვანე ბუზები.

ჩემს კაუნს არავინ ეხმაურება.

ერთხანს დაბრუნული ვდგავარ კარის წინ, მერე გიმბედაობას ვიკრებ, ფარდის განზე ვწევ და შიგნით ვიხედები.

დაბალჭერიანი, ბნელი ოთახის ნახევარი ვეებერთელა ფიცუს უჭირავს. იქვე დგას მუშამბაგადაფარებული მაგიდა და სამი ძველისძველი, დანჯღრეული სკამი. ქუჩისენ რის ვიწრო სარკმელია გაჭრილი. კუთხეში მდგარი კარადიდან გაოცებული მიყურებს ვიღაც თვალებგაღმოკარელული მაჯლაჭუნა და ძლიერ ვევდები, რომ ეს არის მრუდე სარკის თინი. მეორე კუთხეში რეინის საწოლი დგას, ზედ კი თექვესმეტიოდე წლის ფერმისღილი გოგონა წევს და ძილში მძიმედ სუნთქვას. თავთით უზურვო სკამი უდგას. სკამზე წამლის რამდენიმე ბოთლი და სიცხის საზომი დევს.

ფეხარეფით შევდივარ ოთახში, ცივ ბოთლს მავიდაზე ვდგამ და მაშინვე ვაპირებ გამობრუნებას, მაგრამ დიგხანს ვერ ვახერხებ ამ უბრალო განზრახვის შესრულებას, ვერა და ვერ ვაცილებ თვალს ივალყოფი გოგონას სახეს.

აქამდე მსგავსიც არაფერი გამომიცდია: ნაბიჯის გადადგმა მინდა და ძალა არ მყოფის, გული ისე მიცემს, თითქოს სადაცა საშინელი ხმაურით გასკდება და აქაურობას მიანგრ-მოანგრევს; მთავარია, ეს პატარა ივალყოფი არ გააღვიძოს. წარმომიდგენია, როგორ შეშინდება, ოთახში უცხო კაცს რომ დაინახავს. მით უმეტეს, თუ ეს უცხო მართლაც ისეთი საშინელია, როგორიც სარკეში ჩანს. ნუთუ ეს გოგონაც ამ სარკეში იხედება ხოლმე?! მაშ, აღბათ არც იცის, რომ ასეთი ლამაზი და უმანქო სახის პატრონი არის. იგი თითქოს ნათელსა ჰფენს ამ

ბნელსა და მოწყენილ ოთახს და თავას გარშემო ყოველივეს რაღაც არამიშიერ ელფერს აღებს.

არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდება ჩემი ეს უცნაური გაოგნება. სადღაც, აბლაბუდებიან ჭერზე წახსუბებული ბუზების კაპასი ბზუილი უეცრა მაფხიზლებს და თითქმის გამოვრბივარ ოთახადან, მერე — ეზოდანაც. ალაყაფის კარი ჭრიალით იხურება ჩემს უკან. ქუჩაში კვლავ აუტანელი სიცხეა და რაღაც არაბუნებრივი სიცარიელე. თუმცა ხელის-გული ჭრაცა გრძნობს წამლიანი ბოთლის სიცივეს, მაგრამ სინამდვილე ჩემს თვალში ხელმეორედ კარგავს დამაჯრებლობას და ისევ ვეკვობ: „ნუთუ ეს უცელაფერი მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება იყო!“

ისევ უურადღებით ვათვალიერებ აგურის სახლის მტვრიან კედელს და თარსნომრიან ალაყაფის კარს, რომელმაც ჩემთვის აქამდე უცნობი გრძნობებისა და განცდების სამყაროში შემახედა (რატომრაც ბრმადა ვარ დარწმუნებული, რომ კიდევ არაერთხელ მომიშევს მისი შეღება), და მხოლოდ მერელა მაგონდება სასაფლაოზე რომ ვარ წასასვლელი. შინ კი ალბათ უკვე მოუთმენლად მელოდება დიდედაჩემი.

და მაინც აუჩქარებლად მივაბიჯებ აღმართხე. ჩემს გარშემო ყველაფერი ბუნდოვანია, ყველაფერი რაღაც მოვარდისფრო-მოცისცრო ბურუსშია გახვეული და საითაც არ უნდა გავიხედო, ყველგან შორეული მირავივით მიციმციმებს თვალწინ უცნობი გოგონას მშვენიერი, ნათელი სახ.

ჩემს დასიცხულ თვალებს მხოლოდ სასაფლაოს ჭიშაქართან უბრუნდება ნორმალური ხედვის უნარი და ქეთე ქრება ეს საოცარი მოჩვენებაც.

ყველაფერი გარინდებულა სიცოცხლისა და სიკვდილის ამქვეყნიურ მიზნაზე, და გაქვავებულ ქალაქესა პგავს აქაურობა. დეკორაციებივით უძრავად დგანან ტანამაღალი, მტვრიანი კვიპაროსები.

პატარა ბაზილიკის ჩრდილში სანთლების გამყიდველი თეთრკაბიანი ქალი ზის

ქვაფენილზე და თვითონაც სანთლის ზონასავით გაშეშებულა. საფუძვლის წითელ ხოჭობსაც კი შეუწყვეტიათ ჩევეული ფუსფუსი და კედლის ძირში გუნდგუნდათ მიყრილთ, განძრევაც ეზარებათ.

მთავარი გზიდან მაღლ მარცხნივ ვუვევ. ბილიკი საფლავებს შორის მიიკლაპნება. ყოველი მათგანი ძევლი ნაცნობია ჩემი, ზეპირადაც კი მასსოვს მათი განლაგება და თანმიმდევრობა. ჯერ პატარა ბიჭის თეთრ ქანდაკებას უნდა გავუარო წინ; მერე ოქროს ფერწარწერიან დიდ, შევ ფილაქანს შემოვუარო; ამას მოყვება რეინისლობიანი, მთლად ჭინჯრით დაფარული, მივიწყებული საფლავი; იქვე, უზარმატაზე პოსტამენტზე, ნამდვილი ტანკი დგას, ალაგა-ალაგ სალებავებადაც-ლილი და უანგმოდებული; წამით შევჩერდები, მომაგონდება, როგორ მხიბლავდა იგი ბავშვობაში. მერე ბილიკი მიუხვევს მარცხნივ, რაღაც ხუთიოდე ნაბიჯიც და, მე აღმოგჩნდები მტირალი ტირიფის ქვეშ, სადაც დგას რეინის გრძელი სკამი; იგი რამდენიმე წლის წინათ დიდედამ ერთ ცალყურა, ლოთ ხელოსანს გააკეთებინა.

აქ თითქოს ყველაფერი მუდმივია და არ იცვლება. მუდმივია ის ღრმა კალაპოტიც, რომელსაც აუცილებლად გაპყვება ჩემი ფიქრი, ვიღრე ვივლი ამ სევდიან ხეივანს.

„რა ამაო ყველივე, რასაც აკეთებ! — ვფიქრობ ხოლმე უნებურად, — ამათა, რადგან ერთხელაც გათენდება დღე და შენთვის ყველაფერი დაკარგავს თავს აზრსა და მნიშვნელობას, იქცევა არაფრად. არაფრად იქცევი თვითონ შენც. და თუ ეს წინასწარი იცი, თუ კი ამაში ოდნავი ეჭვიც არ გეპარება, განა უაზრობა არ არის იყო ბოროტი, ან თუ გინდ კეთილი, იყო სულელი ან ჭკვიანი, სუსტი ან ძლიერი, მხდალი ან უშიშარი, ანუ საერთოდ „იყო“?! მაშ რა არის ის რაღაც შეუცნობელი, რაც ამ შეკითხვაზე მაინც უარყოფით პასუხს გათქმევინებს?..“ — ამ ადგილას კალაპოტი ჩახერგილია და ჩემი ფიქრი მდინარესავით იწყებს ხოლმე დაგუბებას. მაგრამ დღეს?

დღეს ეს „ტრადიციალ“ დარღვეულია და მდინარე ფიქრისა დაუბრულებლად განაგრძობს დაწებას. დღეს მე საიდანღაც ვიცი, რატომ სჯობს არყოფნას ყოფა, ვიცი, რატომ მინდა რამე კარგის, ძალიან კარგის გაეთხება, რატომ მინდა გაქცევა აქედან, სასაფლაოდან, გაქცევა საღმე შორს, სადაც არ იქნება ასეთი სიჩუმე, ასეთი უძრაობა, და — მიუხედავად ცხელი დღისა — ასეთი სიცივე.

მე ვკრძნობ, როგორ მერევა ეს სურვილი და როგორ თანდათან ვანელებ ნაბიჯს. სადაცა მიებრუნდები და ტყვიასავით დავეშვები დამართხე. და სწორედ ამ დროს თვალსა კვრავ ჩვენი ტირიფის საცოდვად ჩამოძენილ ტოტებს, ერთ წამს ვყოყანობ, მერე კი ვხედავ რალაც მოძრაობას ამ ტირიფის ქვეშ და ეს მაჩერებს.

მე ვხედავ ჩემკენ ზურგით მჯდომ ვიღაც თეთრებსტუმიან კაცს; უცნობი ჭილის ქუდს მარაოსავით იქნევს, სახეს იგრილებს. რამდენიმე ნაბიჯით კიდევ უახლოვდები ამ კაცს, ვხედავ ჩემკენ შემობრუნებულ მის სახეს და... ადგილზე ვეკავდები.

ეს მამაჩემია.

ილბათ ვეღარაც ვიცნობდი, ორი წლის წინათ გაზეთში შემთხვევით რომ არ წავწყდომოდი მის სურათს. ეს მაშინ, როცა მისმა ერთ-ერთმა შრომამ, ფსიქიატრიის დარგში, რომელიღაც დიდი საერთაშორისო ჯილდო დამსახურა. მას შემდეგ იგი ისე საგრძნობლად აღარ შეცვლილა, მხოლოდ ცოტათი მოტეხილა და გასუქებულა. მის მრგვალ სახესა და საქმიან იერს სავსებით შეეფერება სქელშუშებიანი პენსნე, რომელსაც იგი წამდაუწუმ იხსნის, ცხვირსახოცით წმენდს, ისეც იკეთებს და ისევ იხსნის...

ვკრძნობ, რა არააღამიანური, თითქმის კიბერნეტიკული სისტრაფით მეუზავდა ყოველგვარი ემოციებისაგან უეკრად განთვისუფლებული ჩემი გონება, და როგორც საშუმის დროს პაერში—ქვიშა, ისე დატრიალდა მასში უამრავი კითხვისა და ვარაუდის თავბრულამხევი კორიანტელი:

„რამ აიძულა იგი ამდენი სწავლის დეგ ამოსულიყო აქ და რაღა სწორებული დღეს? ნუთუ სინდისის ქენგნამინალუსა დაბოლოს მის გულშიც შეაღწია?! ან აქმდე კი როგორ გაძლო?! განა ეს კაცის ღონეს არ აღმატება?! ალბათ თვითონაც იგემა მარტოობის სიმწარე და მიტოვებული ადამიანის გულისტკივალი! ალბათ რაღაც დიდი უბედურება დაატყდა თვეს და ახლა ძველი ცოდვების მოსანანიებლად თუ ამოვიდა. ან იქნებ... იქნებ... ჰო, მაგრამ შენ რა უნდა ქნა?! შენ როგორდა უნდა მოიქცე?! ხომ არ შეიძლება ჭირში მყოფ კაცს ხელი ჰქონა და ზურგი აჩვენო?! მაგრამ ხომ შეუძლებელია იმის დავიწყებაც, რაც იყო! შენ გინდა სულგრძელობით გადაუხადო სამაგიერო. შესძლებ კი? არ იცი! რომც შესძლო, რას გულისხმობ მაინც ამ სულგრძელობაში? არც ეს იცი. მაშ მოიცადე! დამშვიდდი! არ აღელდე! მოუსმინე! ასე! ჰო, ასე!..“

თვითშთაგონება მართლაც მშველის და თანდათან ვმშვიდდები, სისხლი ისე ძალიან აღარ მირტყამს საფეხქლებში.

მაგრამ განა შეიძლება გულგრილად ხილვა იმისა, რაც ხდება ჩემს თვალწინ?! განა შეიძლება მშვიდად მოსმენა ამ ცოდვილი ადამიანის გრძელი და ძალაშეცენაური მონოლოგისა?!

იგი უეცრად ანებებს თავს პენსნეს წვალებას, ნელ-ნელა დგება ფეხზე, ორივე ხელს რაღაც მეფური მედიდურობით იშვერს ჩემკენ და ერთხანს გაუნდრევლად დგას ამ თეთრალურ პოზაში. მერე ჩუმად, თითქმის ჩურჩულით იშვებს ლაპარაქს, რომლის დროსაც მისი სახე თანდათან პკარგავს ყოველგვარ გამომეტყველებას და მაღლ ხდება სრულიად უაზრო და არაფრისმოქმედი:

— სად ხარ აქამდე, შვილო ჩემო?! რამდენი წელია გელოდები, შენ კი არ ჩანხარ! განა შეიძლება ასე დიდხანს აცდევინო ადამიანს?! თუმცა არა უშევს, მე უზარმაზარი მოთმინება მაქვს! ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ხმას არ ვიღებ, როცა მჟამენ ჭიები! მათ უკვე ყველაფერი შემიჭამეს, გული, ფილტვები,

თირკმელები... ღვიძლიდა დმტრია, მხოლოდ ღვიძლი... შენ ხომ ჩემი ღვიძლი ხარ?! მაში ფრთხილად იყავ! ერიდე ჭიებს! ყველაზე უფრო მათ ღვიძლი უყვართ. ამიტომაც მოგიტოვეს ბოლოს-თვის, გესმის?! მე ამოვედ აქ, სასაფლაოზე, სწორედ ამისთვის, რომ გამეტორთხილებინე! აქ ყველაზე ბევრი ჭიებია! ისინი დაუნდობელი. და გაუმაძღარნი არიან! მათ არ ესმით შშენიერების ფაქი და ისეთ ლამაზ თვალებსაც კი არ შეიძრალებენ, როგორიც შენ გაქვს!... ფრთხილად უნდა იყო, შვილო, ძალიან ფრთხილად! უნდა იარო თითის წვერებზე, ილაპარაკო ჩურჩულით, იძინო ცხიზლად!.. ჰო, მართლა! ძილი ყველაზე საშიშია! ვერც გაიგებ, ისე შემოგესვეიან ისინი და როცა გაგელვიდება, უკვე ვეღარაფერი გიშველის!.. მე ეს ჩემს თავზე გამოვცადე. ხედავ რას გვავარ?!. დახედე ჩემს ხელებს, ხედავ?!. ცარიელი ძაღვებილაა!.. შეხედე ჩემს მყერდს! ხედავ, როგორაა გამოქმული?!. შიგ საშინელი გველეშაპი წევს! წმინდა ვიორგიც კი უძლურია მის წინაშე!.. თეთრი ცხენი მიგელობს შავ შარაგზაზე!.. ნახე ვინ ზის ზედ! აბა ვინ არის ის თმაგაშლილი დედაიცი?!. ვერა სცნობ?.. ეს ხომ დედაშენია!.. ნეტა რატომ არის ასე გაფიორებული?!. ან რა აყვირებს ასე შემზარევად?!. ცხენმა თუ გაიტაცა!.. მიდი!.. უშველე!.. გაეკიდე!.. თუმცა, არა, შეჩერდი!.. მაინც ვერ დაეწევი!.. ხა-ხა-ხა! ეს ხომ ბედია! ბედს რას დაეწევი?!. ვერა!.. ვერც გაექცევი!.. აი, ნახე, გაქრა კიდევაც!.. ახლა ის ცხენი მარტო დაბრუნდება უკან!.. რისთვის? იმისთვის, რომ ისევ მოიგდოს ვინმე ზურგზე და გააქცნოს!.. აი იქით, ხედავ, სადაც შავი ღრუბლებია და გადაუღებელი წვიმია!.. პირდაპირ საოცარია! ეს ცხენი ყოველთვის მშრალი ბრუნდება უკან და არა-სოდეს არ ისვენებს! ნუთუ არ იღლება?!. ახლა კი წადი, შვილო!.. თავს უშველე!.. ის მაღე დაბრუნდება!.. აქ არ მოგისწონს!“...

მე გაოგნებული ვდგავარ ასე უცნაურიდ მოლაპარაკე კაცის წინაშე და სისხ-

ლი თითქმის მიჩერდება სიცხისაგნ/დაბერილ ძარღვებში. რაღაცას ვნევდები/და ეს, ჯერ კიდევ ბუნდოვანი, შევლაშე/ საშინელი ეჭვი გამდნარი კუპრივით მძიმედ მეღვენობება გულში. ნუთუ?.. თუ არა და, მაში რა ხდება ამ კაცის თავზე?!. იგი ისევ ისე დგას, როგორც აქამდე: ხელები — ჩემებინ გამოწვდილი, თავი — ცოტა აწეული, თვალები — ოდნავ მოჰუტული და გაშტერებული... ცვლილება მხოლოდ ხმაშია: მისი ხმა თანდათან დაბლდება და იბზარება, ლაპარაკის ტემპი კი რაღაც თანატასტიურად მატულობს და მატულობს, რაც შემაძრუნებელ კონტრასტსა ჰქმნის მოლაპარაკის აუდელვებელ სახესა და უძრაობასთან.

ვდგავარ სუნთქვაშექრული და გარეგნული ალბათ დიდად არ განვსხვავდები ჩემს წინ მედილურ პოზაში გაქვავებული კაცისგან, რომელიც ლაპარაკობს გაუთავებელად, სხაპასხუპით, ლაპარაკობს რაღაცას, უკვე სრულიად უაზროსა და გაუგებარს. თანდათან კიდევ უფრო მატულობს სისწავე სიტყვათა ამ უთავბოლო ნაკადისა, ტუჩები ვეოთა ასწრებენ მის დანაშევრებას, ივებიან სისხლით, ლურჯდებიან და საზარელად იღრიცებიან. სისხლით ივებიან და იმღვრევიან აქამდე შუშადეცეული თვალებიც, და ისე დიდდებიან, დიდდებიან, რომ ბუდები მაღლ ალბათ ვეღარ დაიტევენ მათ. სახეზე ცალ-ცალე დახტის და თრთის ყოველი ნაკვთი, მერე მოძრაობის იწყებს კაცის ხელები, შემდეგ — სხეული, ბოლოს — ფეხებიც. იგი ჯერ ფეხაკრეფით და ნელ-ნელა უვლის გარს ტირიფს, მერე უეცარი ნახტომით უახლოებება ხეს, მაგრად ბლუზის მის წვრილ ტანს და ღონივრად ანკლევს.

— რას შერები?!. მამა! რა მოგივადა?!. — მესმის საოცარად შეცვლილი ჩემივე ხმა და გონს მოვდივარ.

თურმე მის გვერდით ვარ, ხელები მაჭებში ჩამივლია და ვცდილობ, როგორმე მოგაშორო ხეს, მაგრამ — ამაღლ. ამ კაცის კუნთები რეინასავით გამაგრებულან. ჩვეულებრივი ადამიანის ღონე ველაპარატებს განდება მათთან. როგორკ

ჩანს, არც თვით პატრონის ნებაა საკარისი მათ მოსადუნებლად. თუმცა ის არც ცდილობს ამას და, გაბმული ღმუ-ილით განაგრძობს ხესთან ჭიდილს.

ელდანა აუგივით გავრბივარ აქედან. ცხელი ჰაერი უმოწყალოდ შეცემს სახე-ში და მითუქავს ისედაც გახურებულ კანს.

შორს! შორს აქედან!..

სირბილში შედარებით ვმშვიდდები და ვცდილობ, გავივო, მივხვდე, რა მოხდა, თუმცა... მისახვედრიც არაფერია.

ის, უკვე გამოცდი სასაფლაოს ჭიშ-კარს, უკვე ქუჩაში ვარ და მაინც ვერ ვჩერდები, კვლავ თავეჭდმოგლეჭილი გავრბივარ ქვევითკენ.

„არაფერი არ იყარებათ არაფერი არ იყარება!..“ — საიდანღაც ტივტივდება ჩემს აზროვნებაში ეს ფრაზა და პირველად არც კი მესმის მისი მნიშვნელობა, მაგრამ თანდათან, ჩემდა გასაოცრად, უფრო და უფრო ვმშვიდდები, და ის საშინელი სცენა ჩემს წარმოდგენაში არარეალური სისწავით შორდება აშშეოს, შშორდება მე. ახლა უკვე ჩავწვდი იმ ფრაზის თავდაპირველად გაუგებარ აზრს, რომელიც ცოტა ხნის წინ ისე შეუგნებლად ამეცვატა. ჰო! არაფერი არ იყარება, არაფერი! არც სიკეთე, არც... ბოროტება.

ახლა მე ვიცი, როთ შემიძლია გამოვხატო ჩემი სულგრძელობა, ეს სულ ითლი საქმეა: მე უნდა გავჩერდე პირველივე ავტომატთან, დავრეკო იქ, სადაც საჭიროა, და ვამცნ თეთრხალათან ხალხს მათი გაუბედურებული კოლეგის სამწუხარო ადგილსამყოფელი. ესაა და ეს. სხვა მე აღარაფერი დამრჩნია, არც აღარაფერი მომეთხოვება. მგონია, არ ვცდები თუ ჩემს სინდისს კვლავ სუფთადა ვთვლი. მაგრამ რაღაც არ მაძლევს მოს-ენებას და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები,

რა მტანჯველი გრძნობაც არის სიმი-ლული; მე თურმე ვერ გამოვქვეყნდები მას და თან ჩამოშიტანია ამ გრძელ და მართხე. ვიცი, რომ დიღხანს, კიდევ დიღხანს არ მომცემს ეს სიბრალული მოსვენებას, თუმც ამ შემთხვევაში იგი სრულიად უძლურია და უნაყოფო. სხვა კი ბევრია მისი ღირსი, აი მაგალითად, შემთხვევით ნანახი ის უცნობი, ავად-მყოფი გოგონა, რომლის სახეც მოუ-ლოდნელად კვლავ აციმციმდა ჩემი გა-დალლილი თვალების წინაშე; ან თუნდაც წელში ოთხად მოკაცული მისი ბებია: რაღა შორს მივღივარ, დიდედაჩემმა რა დაშავა? რახანია, რაც მელოდება საბრალო! ვინ იცის, როგორ განიცდის ან-ლა ჩემს დაგვიანებას?!

აგერ ავტომატიც.

მე საკმაოდ მშვიდად ვასრულებ ჩემს განზრახეას და მერე ლალად, ვალმოხ-დილი გარისკაცივით, განვაგრძობ გზას.

საოცარია, რომ მიუხედავად ყველა-ფრისა, რაც დღეს გადამხდა, მაინც რა-ლაცნაირ შევბასა ვგრძნობ. თითქოს ქა-ლაქშიც კი აგრილდა ოდნავ. მაგრამ არა, ეს ნამდვილად მეჩვენება.

მეჩვენებოდეს! მერე რა?

შორს ჩება ფერდობი, რომელზედაც სასაფლაო და ქალაქის ძევლი უბანია გა-შენებული. მიკუვები ვაეზე გაჭიმულ ახალ, სწორ ქუჩას და აღარ ვნალვლობ, რომ აქ, ქალაქის ამ ნაწილში, ტავობის ძირზე, ბევრად უფრო ცხელა, ვიდრე იქ, საიდანაც მე მოვდივარ.

მერე რა, რომ კვლავ უკაცურია ფარ-თო ქუჩები, ცარიელია მოედნები, მთე-ლი უბნები? მერე რა, რომ კვლავ ვარ-ვარებს სახურავები და ღნება ასფალ-ტი? მერე რა, რომ ისე ისე მძვინვა-რებს სიცხე და მისი ალმური კვლავ ულ-მობლად ტრიალებს ჰაერში, ქალაქის თავზე?




## ბონეო კეშეღავა

### გ ა ლ ა პ ტ ი რ ნ ი

ვამბობ ხმამალლა:  
 სასწაულზე სასწაულია,  
 ცის გუმბათისთვის  
 თურმე ხელი მას წაუვლია.

აცოცებულა, უხილავად  
 ასულა ერთი.  
 დაგვლალდებდა გოლიათი  
 და მართლა ღმერთი.

ჩვენთან ცხოვრობდა,  
 ჩვენთან იყო,  
 ჩვენთან უვლია,  
 და ვიმეორებ:  
 სასწაულზე სასწაულია.





ଜୀବନର କାହାରେ

## ଲୋକପରିଚୟ ଲଜ୍ଜାଶ୍ରମିଦାନ

\* \* \*

ସିମ୍ଫିଙ୍ଗାନ୍ତ ମିଳିବିଲୁ, ଧାଇଲ୍ଲେବା ସିରିବିଲ୍ଲିତ ଶବ୍ଦାଳୁ,  
କ୍ଷାରି ଶ୍ରେବରକ୍ଷେତ୍ର, ହାମିପ୍ରେତିଗା ସିମ୍ଫିଙ୍ଗାନ୍ତ ଫୁନ୍ତାଲ୍ଲିବ...  
ତେବେଳି ଲାନ୍ଦିଗିତ ଧାଇନ୍ଦିବା ମିଳିବା ଶୁମତାରି,  
ମଞ୍ଜେ ହାମିଗଲିବି, ମଞ୍ଜେ ଇନ୍ଦ୍ରେବା ହିମଞ୍ଜେ ମାଲାଲି,  
ମେରେ ସିମ୍ଫିଙ୍ଗାନ୍ତ ଗାଇପ୍ରେତା କେଲ୍ଲେବିଗାମତକାରି...

ଶେର ସାବଲିବ କାର୍ଯ୍ୟବିଲୁ ଗାଲ୍ଲେବ ଦା ଗାମିନ୍ଦବାଲ ଗାର୍ଯ୍ୟତ,  
ଗାନ୍ଦାଶକ୍ରେବା କେବି କ୍ରମିକ୍ରେବି ଆବାଲି କ୍ରେବିରତିତ,  
ସାଲାମିନ୍ଦିବି ଗାମିନ୍ଦିବା ହିନ୍ଦେନ୍ଦ୍ର କାରତାନ ମିତାର୍ଯ୍ୟ,  
ମିତାର୍ଯ୍ୟ ଇନ୍ଦ୍ରେବା ଦା ମିତାର୍ଯ୍ୟର୍ଥେ ହିନ୍ଦେନ୍ଦ୍ର ରାମେଶ ବିତ୍ତିପ୍ରେବି...

ଅନ୍ତରେ ହିମି ତୁଗାଲତାନ କାରି ଲର୍ମୁଦିଲ୍ଲେବି ଅଶ୍ରମବିଲୁ ଦା ଫାନ୍ତିତାଵ୍ୟ,  
ଦାଲଗେବା ତମ୍ଭାଳି, ଦାଲି ତମ୍ଭାଳିଗା ଦାଗୁଗେବା ଫାରଦାଗବ.

\* \* \*

ଇଗି ଓତାବଶି ଖିଲୁ ମୁଦାମ ମାରତିମ,  
ଏବାଲୁଦିରେବା ତାବିଲୁ ଦେଇସ ଅମିତ,  
ଇଲୁ ଶେରଗୁରୁ ଦା ଏରିପ କି ଲାରିଫିଲୁବ  
ଫାନ୍ତିତାନ ଉପିନାନ ଦାନାଶୁଲ ଅମିନିଦି.  
କମାତୁରିବାନ କାରି, ମଞ୍ଜେଶା ଦା କାପ୍ରେବି  
ମିନିଲାନ କୁରିବାନ ଦା କାପ୍ରେବିଲୁ ଦା ଅସ୍ତି  
ଇଗି ପ୍ରେଲାଜ୍ଜେରି, ପ୍ରେଲାଜ୍ଜେରି କେଲ୍ଲେବା,  
ସିପାରିରେଲ୍ଲେବ ଦୁଇମିଲ୍ଲିତ ଅସ୍ତେବା.  
ଓତାବଶି ମିଲିବ ଲାନ୍ଦି ଦା ହିନ୍ଦିଲ୍ଲିବ  
ଦାଲିବ ଦା ମେରେ ଏବି ଓତାବଶି ଶ୍ଵେଲାବ,  
ଦା ମଞ୍ଜେ ସାଇତାପ ଏଲାଗୁ ଦା ମିଳିବି,  
ଇଲିପ ଇନ୍ଦ୍ରେବି ମିଳିବିଗୁ ନେଲା.  
ମଞ୍ଜେ ଏରିବ ମାନିନ୍ଦି ରାଲାପନାରି,  
ତିତକ୍ଷେତ୍ରରେ ହିନ୍ଦେବା କାପତାନ ଉତ୍କମେଲି,  
ଫରି କି କେଲିଲାନ କେଲିଲାନ ଦା ଗାରିବି  
ଦା କାନାନିବି କାରିଶି ଫୁରିପିଲ୍ଲେବି.

\* \* \*

იყო ადამიანი,

კაცის სული და გული,  
 უყვარდა მიწა, პოეზია და გაზაფხული.  
 ფიქრობდა, წერდა,  
 დადიოდა, სუნთქვავდა ჰაერს,  
 ხედავდა ამინდს,

შეპხაროდა მზესა და მთვარეს,  
 ხშირად მის ხელში შეამჩნევდით  
 წიგნებს და პორტფელს,  
 ან კიდევ გვერდით — მოსაუბრე მწერალს თუ პოეტს.  
 იყო ადამიანი,

კაცის სული და გული  
 უყვარდა მიწა, პოეზია და გაზაფხული.  
 ის საუბრობდა,

საუბარი იცოდა თბილი,  
 და სული ჰქონდა ყვავილივით ნაზი და რბილი...  
 და შეუმჩნევლად გადიოდა სადა დღეები,  
 დღეებს მისდევდა დრო და კიდევ რაღაცეები.  
 არ ვიცი, როგორ ან საიდან იწყება ზეცა  
 მე კი ის მახსოვეს,

თეთრი ხალათი დღესავით ეცვა.  
 იყო ადამიანი,

კაცის სული და გული,  
 უყვარდა მიწა, პოეზია და გაზაფხული.

\* \* \*

თოვლიანი ჰაერი...

მიწის გადაღმა მთვარე ტივტივებს,  
 სული მიჰყება

უმიზეზო პატარა ბილიქს.  
 საღლაც ყინვისგან დალეული მდინარე სუნთქავს,  
 მინდა ვიხმაურო,

ვიხმაურო,  
 როგორც თოვლში მზემ.  
 თოვლიანი ჰაერი...  
 ხანში შესული ქვითკირი...  
 სული მიჰყება უმიზეზო პატარა ბილიქს.

\* \* \*

გეგმობრის ხსოვნას

იგი მიჰყავდათ ნელა,  
 ღრუბლებიც ნელ-ნელა მიჰყებოდნენ...  
 იგი მიჰყავდათ პირდაპირ და მწუხარება იყო დუმილი.  
 ქარი კი ხმაურობდა დაუსრულებლად...  
 იგი მიჰყავდათ, როგორც ზამთარი  
 და ქვალსაც არსად არა სტოვებდა...

\* \* \*

უბერავს არავი,  
 კარიღან გარამდი  
 დადის მთვარე და  
 ნათღება თვალადი,  
 კარიღან გარამდი  
 გზა არი თვალადის,  
 თუ აგიტალახდა  
 ვერ ახვალ ხვალამდი.

ჩემი ყოფნა და  
 მთვარის ძახილი,  
 ისეა როგორც  
 თოვლში მარხილი,  
 პოდა, არა ვარ  
 მე გულაყრილი.  
 კარიღან კარამდი  
 გზა არი თვალადის...

\* \* \*

ბედნიერება ცდა და მოლოდინია,  
 და ცა — ჩემი თეთრი იასამანი.  
 მწუხარება მაინც ღრმაა  
 და წვიმასავით ნედლი და სველი.  
 საცაა მოთოვს და  
 ცეცხლთან ჩაფიქრებული ვიქნები,  
 ამომავალ ქვამს  
 ექნება შენი სიამაყე.  
 შენი სახე გზა იყო და  
 სარკე ჩემი ყოფაცხოვრებისა;  
 ჩემი სიყვარული კი  
 არის უბრალო და უმიზეზო.

\* \* \*

ხეები ჰყვავიან თავიანთ ენაზე,  
 მიწა დარბილდა,  
 გაოცებულა თეთრად ასკილი...  
 ცა ერთ ფერში ღუმს  
 და გავრბივარ ლიანდაგებზე.  
 გაფიტრებულა უშენობით ოთახი ჩემი...  
 მე ამინდებში უფრო მომწონს შენი შუადლე,  
 თითქმის აკვანში მივატოვე ასკილი თეთრი...  
 მიწა დარბილდა,  
 ეს-ეს არის, მიწა დარბილდა,  
 ცა ერთ ფერში ღუმს  
 და გავრბივარ ლიანდაგებზე.



# არაფეხური



## მოთხოვთა

მოხუცი აქვა წევს, ჩემს გვერდით, — სასტუმროს ორსაწოლიან ოთახში. ირგვლივ სიბნელე და დუმილია, მხოლოდ ხანდახან უსიამოვნო ხერინვა ისმის. თოთი ელექტროლიაკს დავაჭირე და მოლუშულმა მძინარეს გადავხედე: ბებრული მკლავები საპის ზევით დაწყო. თვალები ოღნავ ლია დარჩენდა და მომენტენა, თითქოს ჭერს მიშტერებოდა. ყოველთვის მაძრწუნებს თვალდაბუჭული კაცის დანახვა, გზას რომ ჭოხის კაკუნით მიიკვლევს, სინჯავს ფილაქანს, კედლებს. ტრამვაის გაჩერებაზე გალურსული დგას, უსმენს, რომ გაარკვიოს, რომელი მხრიდან ახლოვდება ტრამვაი. მერე ხალხის ფეხის ხმას უკვირდება და მორიდებით მიაბიჭებს შესასვლელისაკენ.

მოხუცს გვერდით, სკამზე, ჩემოდანი ედო. მარჯვენა ხელის იდავკით ეხებოდა ჩემოდანს. შუქი ჩავაჭრე და ლოგინში ჩავწექი. ძილი გამიკრთა.

ლოყა და შუბლი ცხელი მქონდა. რამდენჯერმე ვიცვალე გვერდი, ვშფოთავდი. „ზაფხულის მხურვალება მთებშიც მოძერება, ხვალ იორზე ჩავალ და ცივ ტალღებში შევერევი“. ვერ მოვისვენე, ვერც ჩივიძინე. თვალები დავხუჭე და მოხუცზე ფიქრმა გამიტაცა.

...ავტობუსი დარიალში შემოდის. ირგვლივ მაღალი მოებია და ჩვენ ხეობაში მივიკვლევთ გზას. როგორც ყოველთვის, დარიალში ქარია.

ესენტუკიდან ვბრუნდები. ჩავალ თბილისში და დალის მოვუყვები, მასთან დაბრუნებამდე როგორ ვებრძოდი განრისხებულ დევებს. ჰმ... მოვაჩბოდი და მომდევნენ. გადავუგდე სავარცხელი — ამოზარდა ტყე; ჭრეს, ჭრეს, ჭრეს და თავი დააღწიეს. გადავუგდე სალესავი — ალიმართა კლდე; კვეთეს, კვეთეს, კვეთეს... დალი ხალხური ზეპირსიტყვერების ნიმუშებს იწერს ხოლმე და ხშირად ასეთ რაღაცემებზე მესაუბრება.

ნიავი კი ისევ სისინებს, ნიავი თუ ქარი. მთის შიშველ ყბებში თერგი ქაფუდება. მაგონდება პოეტის სიტყვები და ვებუტბუტები: „თერგი რბის, თერგი ლრიალებს“...

გვერდზე მჯდომი მოხუცი კისერმოგრეხილი მომაჩრდა:

— პოეტი ბრძანდებით?

ხელები მუხლებზე დატებულ პატარა ჩემოდანზე ეწყო და ზედ თითებს ათა-მაშებდა.

— არა, ას ბრძანება, მე ისე... — სათქმელი აღარ დავამთავრე და აქაფებულ თერგს გადავხედე.

ნიდს კუახლოვდებოდით. იქ, სადღაც, მიუვალ ნაპრალებზე, აწერია — „შამილი“. ვიღაცამ ცივ ლოდს მინდო საკუთარი სახელის უკვდავება, მაგრამ, ნურას უკაცრავად, მზესა და წვიმის გაუფერმტრთალებია და მალე სულაც წაშლის.

მოხუცი გაბრწყინებული თვალებით მომიბრუნდა:

— შეხედე, ორბი! — და ხელი ავტობუსის ღია ფანგარაში გაჲყო.

ორბი მაღლა-მაღლა წავიდა, მერე ფრთებშეუქმშული დაეშეა და ნაპრალზე დაგდომისას წონასწორობა დაყარგა.

— მართვე ყოფილა, — მეუბნება თანამგზავრი.

მე თავს ვუქნევ და ვფიქრობ: „ივ კლდებში, ნეტავ, კიდევ არიან ჭიბუბები?“.

ნიდი უკან დარჩა. კლდეები პირქუშად იდგნენ, თერგი ლოდებს მოაგორებდა.

„ამ მოხუცებს რაშდენი რამ უნახავთ, თქმით კი ადგილად არაფერს იტყვიან. რამდენი უნდა უტრიალო, რომ აალაპარაკო“.

მის მხარეს ფანგარა ღია იყო. მარჯვენა ხელი და თავი გარეთ გაჲყო. არ ვიცი, ალბათ, ვერ დაინახა შოთერმა, — შენიშვნა არ მიუცია. იგი დიდხანს იყო რათაზე გადაკიდებული.

ავტობუსში ცხელოდა. მანქანა მტვერს აყენებდა გზაზე და მტვერი ჩევნამდეც აღწევდა.

— გაცივდებით, — ვუთხარი მოხუცს და მხარზე ხელი შევახე. დამიჯერა. დამტვერილი სახე ხელსახოცით მოიწმინდა და მარჯვნივ გაიხედა:

— მყინვარი, არა?

ჩვენს მარჯვნივ მართლაც მყინვარი გამოჩნდა. სულ მალე კი იგი გზისპირა ნაპრალს მოეფარა.

— ჰო.

მერე ვკითხებ:

— აქეთ პირველად ბრძანდებით?

— ორმოცი წლის წინათ გავიარე ამ გზით.

მუხლებიდან ჩემოდანი ჩამოუტურდა. ხელი სწრაფად შეაშველა.

— გასატეხი რაიმე დევსშემატებულად. იმ ნაპრალებს იქით მყინვარი უნდა გამოჩენილიყო.

— არაფერი.

გაყუჩებული იჯდა და ნაპრალებს გაპურებდა. იმ ნაპრალებს იქით მყინვარი უნდა გამოჩენილიყო.

მანქანა ყაზბეგის ხიდზე გადიოდა.

„ორმოცი წლი... ყველას არ ეღირ-სება ორმოცი წლის წინათ გავლილი გზით უკან დაბრუნება“. შევყურებ მის მოხრილ ბეჭებს, დანაოჭებულ კისერს, პაპიროსის ბოლისაგან შევანგულ ულვაშებს...

ისე გამომოვიარეთ ჭვრის ულელტეხილი, ხმა არ ამომილია. ისიც ჩუმად იჯდა.

არაგზე რომ ჩამოვედით, უკვე ბნელოდა. ხანდახან შემხედური მანქანის შუქი გაიელვებდა.

გავიარეთ ფასანაური, ანანური, უინვალი...

ღამეში სოფლები სინათლის კუნძულებად მოჩანან.

უცებ ჩემი თანამგზავრი ელდანაცემი წამოიძახებს:

— მოვსულვართ? რა ეშმაკმა დამაინა!

— მცხეთაა.

— მცხეთა? რაღა ღამე მოგვიწია მგზავრობამ, — ფანგრის იქით სიბნელეს მიაშტერდა, — ის რაა, ჭვარი?

— დიას.

მერე ერთხანს გვერდზე მოუხედავად იჯდა, მაგრამ როცა ზაქესთან მივედით და სინათლე მეორე ფანგრიდან შემოიჭრა, შემობრუნდა:

— ზაქესთან გართ?

— ჰო.

— დავბინავდები და მერე მცხეთა არმაზს მოვინახულებ...

ავტობუსი საბურთალოზე გააჩერებინა. „ერთი საინტერესო მოხუციც დაკარგე, ასეთია მგზავრობა. გაიცნობ ველაცას, გვინია, მთელი სიცოცხლე ერთად გაგიტარებით და მერე უცებ შორ-

დები. იქნებ ვერასოდეს შეხვდე, ან შეხვდე კიდევაც, მაგრამ ხმაც არ გასცე. შევიდობით!“ — უპვე ფიქრში ვემშვიდობები მას. ის კი მოულოდნელად მეკითხება:

— ფანქარი გაქვთ?

— უნდა მქონდეს, — ჯიბეებში ხელი მოვაფათურე, ავტოკალამი და უბის წიგნაკიდან ამოხეული ფურცელი მივაწოდე.

— მოდი ჩემთან, აუცილებლად მესტუმრეთ, — მითხრა, ფურცელს რაღაც მიაწერა და მომაწოდა.

— შინ?

— შინ მოდი.

შოთერმა კარი გააღო. მოხუცს შევხედე: ნიკაპი უთროთდა, შუბლზე ოფლი მოსძალებოდა. და როცა ჩადიოდა, ძლიერი ხიხინი მომესმა.

\* \* \*

უკაცრიელ ქუჩაში მივაბიჭებდი. ხელში დაჭმუჭმული მისამართი მეჭირა. ნათურის შუქზე გავჩერდი და ერთხელ კიდევ წაიკითხე: „გაბრიელ კინჭარაული“.

ნიავი უბერავდა და აკაციები მკვეთრ სუნს აფრქვევნენ. ჩელუსკინელების ზიდთან წყალი ნათურების შუქზე ელავდა. მტკვარი სივსე იყო ყირამალა ჩაკიდებული მაღალი ხეებით. ხეებს ფოთლები უთროთოდა.

„გაბრიელი კარგი სახელია — გაბრიელი. ახალგაზრდა რომ იყოს, გელა, გვივი ან გია ერქმეოდა.“

ზიდზე მივდიოდი. არც ტრამვაის ბორბლების ღრმიალი ისმოდა, არც ხალხის მხიარული ხმაური. აქა-იქ პაემნიდან გვიან დაბრუნებული ქალ-ვაჟის სილუეტი აილანდებოდა და მყუდრო ქუჩაში ფეხსაცმელები ბაქუნობდნენ.

მაღალი სახლების შუქჩამექალ, ძილით გათანგულ სართულებს ვუყურებდი. მივდიოდი და ვფიქრობდი უცნობ მოხუცზე, რომელმაც თავისი მისამართი დამიტოვა.

დალი შინ არ დამხედა. სკანდალი ფოლებორის ექსპედიციას წაჲყოლებოდა. მაგიდაზე წერილი იღო. წერილის ბოლოში რაღაც მინაწერი შევნიშნე. დავიხარე და ჩავაშტერდი. ერთ კუთხეში წერილი ასოებით ეწერა: „ნახვამდის“. მეორე კუთხეც გავსინჯე და აღმოვაჩინე: საჩვენებელი თითო იყო დახატული. რაღაცაზე მაფრთხილებდა. გამეღიძა.

მოგზაურობაში რამდენი ვინმე გაძლევს მისამართს, მაგრამ უმეტესობა მალე გავიწყდება. — გაბრიელმა კი რატომლაც ძალიან დამაინტერესა. მეორე დღეს გაბრიელის სანახავად წავედი. როცა მის ეზოს მივუახლოვდი, შევყოყმანდი; „იქნებ სძინავს. აღბათ, გუშინდელმა მგზავრობამ ძალიან დაღალა. ორმოცი წლის წინათ წასული კაცი ახლა დაბრუნდა და რა იცი, რამდენი საქმე აქვს“. კარი დაკეტილი იყო. მესამე და მეოთხე დღესაც მივედი. შინ არ დამხედა. „მცხეთა-არმაზის მისანახულებლად წავიდოდა. არც კვარსა და ზაჟესს დაივიწყებს. რაღაც დამე მოვაწია მგზავრობამო. ნამდვილად იქ დაეხეტება“.

იმ სახლიდან ორჯერვე ერთმა ჩასუქებულმა შუახნის ქალმა გამომხედა. პირველად თავაზიანად მითხრა, შინ არ არისო და კარი ცხვირწინ მიმიკეტა. მეორედ მისელისას ცნობისმოყვარედ შემათვალიერა, სველი ხელები წინსაფარზე გაიმშრალა.

— ვინ ხართ თქვენ? — მეითხა რუსული აქცენტით.

— აქაური სტუდენტი.

— ააა! — მსუქან ქუთუთოებში მიმალული ლურჯი თვალები მომაპყრო, — ასე მაღა როგორ გაიგე მისი ჩამოსვლა?

— ჩვენ ერთად ვიმგზავრეთ.

— მეტი არაფერი?! მე მეგონა, ნათესავი იყავით.

ქალს გულამოლებული ჩითის აბა ეცვა. ყელსა და გულისპირს სიბერე შეპარვოდა, მაჯები დაწითლებოდა. მივნედი, წუთის წინათ სარეცხს რეცხდა.

— თუ შეიძლება, თქვენი სახელი.

— ლუსია დავიდოვნა, — მიპასუხა ქალმა.

— მოხუცი ავად ხომ არ არის?  
— ავად კი არა! არ ვიცი, ეგ კაცი...  
შეორებ დღესვე საღლაც წავიდა, გვიანობამდე არ დაბრუნებულა. დაბრუნდა და ზავშვივით ცმუჟავდა. არ მიყვარს სხვისი თვალთვალი, მაგრამ ზოგი რამ ხომ უნდა იცოდე კარის მეზობელზე და ისიც ასეთ კაცზე?

— საინტერესოა, — ვთქვი მე.

— ასე რომ დაეხეტება, ეგ კიდევ არაფერი. გუშინწინ, შუალამისას, ყური მოვკარი რაღაცის წერიალს. გამოვალვ ფანჯარა, ეზოში არავინ არა. მერე ხას მიწყდა. დავწერი და ისევ ის ხმა ჩამესმა. დალახეროს ეშმაქმა, თავში მიეღლარუნებს რამე თუ რა არის-მეტე? შუქი ივანთე. წნევა მაქვს, ვიფიქრე: „სისხლი ხომ არ მომაწვა, ნეტა?“ საჩერები ჩავიხედე: თვალებზე ვატყობ წნევის მომატებას; აპრიალებული შქონდა. კარი გამოვალე. მის ოთახში შუქი ენთო, ხმაურიც იქიდან გამოდიოდა. აკი გითხარით, არ მიყვარს სხვისი თვალთვალმეტე, მაგრამ მაშინ მაინც შევიხედე ფანჯარაში.

— მერე?

არ მოეწონა, საუბარი რომ შევაწყვეტინე. მაინც განაგრძო:

— დავინახე, ჩემოდანი ჰქონდა გახსნილი. სულ ბრჭყვიალა დანებს ატრიალებდა ხელში, მერე ისევ შიგ ჩააწყო. ზევიდან რაღაც მძიმე დაადო; რევოლვერი იქნებოდა. მეორე ღამესაც ასე მოხდა.

მიეხვდი, დიასახლისი ეჭვს შეეპყრო.

— ლუსია დავიღოვნა, ვინ ჩასახლა ამ ბინაში?

— ერთი ექიმი ცხოვრობდა. მე დასასვენებლად ვიყავი წასული. იმ ექიმს ხარჯოველისთვის გაუცვლია ოთახი, წასულა კიდეც. ეს კი იქიდან გაღმოვიდა.

ლუსია მომიყვა ყოფილი მეზობლის კეთილ საქმეებზე. დიდ ხოტბას ასხადდა. თურმე სანიტრადაც მას წაეყვანა საავადმყოფოში. ისეთი გულეტილი ყოფილა, ისეთი...

წამოსვლა დავაპირე. ლუსიამ სწორედ ჩემი წამოსვლის წინ გაიხსნა, რომ

ახალმა მეზობელმა გასაღები დაუტოვა, თანაც უთხრა, მაგიდაზე წერილი დეტალი და ის ბიჭი რომ მოვიდეს, მოუცოდეს.

— და ამის შემდეგ, მაინც ეპვიანობო რამეზე? — ვკითხე ლუსიას.

— მაინც დამაგვევა. არ შეეძლო წერილი მოეცა და გასაღები წაეღო? მაგრამ აქაოდა დასამალი არაფერი მაქვსო..

ლუსიამ გასაღები კარს მოარგო და განხე გადგა. შევედი. ლუსიამაც ოთახში შემთაბიჭა. პარკეტმა ჭრაჭუნი დაიწყო. ისე აცეცებდა თვალებს, შევატყვე, ჩემოდანს ეძებდა. ჩემოდანი კი არ ჩანდა.

— წაუღია, — თქვა ბოლოს, — გუშინ და გუშინწინ ხელცარიელი გაეიდა საბლიდან.

როცა ოთახიდან გამოვედით, ლუსია გამომცდელი მომაჩერდა:

— იქნებ სჭობდეს მილიციამ შეამოწმოს რა კაცი?

მხრები ივიჩეჩე, კიბეებზე დავეშვი.

— წერილი მიგაქვთ? — მომაძახა ლუსიამ.

აღბათ უნდოდა, ცალი თვალით მაინც ჩაეჭყიტა შიგ.

ქუჩაში გავედი, გავჩერდი და წერილში ჩავიხედე.

„გავიგე, ყოფილხარ. კარგი იყო, შინ დაგხვედროდი. იქნებ მოველაპარაკენა და ერთად წაესულიყავით ივრისა და არავის ხეობაში. რომ ვიცოდე, წამოხვალ, დაგიცდიდი. და არც ის ვიცი, პირებ თუ არა ამ ზაფხულს მოგზაურობას. მარტო მივღიარ. არ ვიცი, თბილიში როდის დავბრუნდები. ყოველ შემთხვევაში ორ კვირაზე ადრე არა. იმედია, მომავალში შემომივლი“.

\* \* \*

სწავლის დაწყებამდე სამი კვირა მჩხებოდა. დასასვენებლად განეციცნილი დრო შესაფერისად მსურდა გამომეუქნებინა. სად წავსულიყავ? სვანეთში წავიდოდი, ფოლკლორის ექსპედიციას შევუერთდებოდი, მაგრამ დალის ამბავი რომ ვიცი... ისევ ივრისა და არავის ხეობაში წანწალი ვარჩიე.

დილას გაბრიელი თანამდებობის სასტუმროში ვიკითხე.

— თქვენ მოხუცს ეძებთ? — მეოთხა შავგრემანმა გოგომ, რომელიც ვიწროდ ამოჭრილ სარქმელს იქით საანგარიშოს აჩხაკუნებდა და მარტო თავი მოუჩანდა. სარეგისტრაციო წიგნში ჩაიხედა და მიპასუხა, ჩვენი სტუმარიათ.

— მთის ხალხს სტუმარობით აქებენ და... მასპინძლობას არავინ გამიშვეს?

გოგოს კოლხური, ნატიფი სახე აქვს, შავი წარბები, მაღალი ყული და გაბურული ბავშვითი უმანკო ბაგე. ჩემს შეკითხვაზე თავი გვერდზე გადასწია და გაწითლდა. თმაში ნახევრად შემალულ, პატარა ყურს ქვევით დამწვარი თუ ნაჭრილობები ბრტყელი ზოლი მოუჩანდა და სულაც არ აუშნოვებდა. ვიფიქრე: „ნეტავ, ამ ერთ ტუჩისდაყარება აღგილზე როგორ თავსდება ამდენი ქალური სითბო, სირბილე და სინათლე?“

როცა ქალიშვილის მეორე ყურს შევხედე, მხოლოდ მაშინ მიგხვდი, რა სილამაზე დაეჩრდილა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დაღს.

მან წყლიანი, შავი თვალები მომაპყრო და გაიღიმა:

— საერთოდ, სტუმარი ირჩევს მასპინძელს.

ახლა თვალების ალმა შთანთქა დამწვარი.

— თქვენ კარგი სამეგობრო იქნებით. გოგონა გაწითლდა.

— ნახვამდის! საქმეზე მიცდიან, მითხრა და მეორე ოთახის კარი გააღო.

— როგორ დამავიწყდა?! — თავი სარკმელში შევყავი და გადავულაპარაკე, — ხომ ეერ მიმასწავლით, სად შეიძლება მოხუცის ნახვა?

რეგისტრატორმა შედარებით ცივად გამომხედა და მიპასუხა, იორზე წავიდო.

კიბეებს დავყევი. იორზე წავიდო? იქნებ ანკესები იშვავა და ჭიაყელებს ეძებს. შეიძლება სულაც ოჯაბ-ოჯაბს დადის და ხმლებს, ხანჯლებს, ქამრის ბალთებს ან ძველ თასებს ყიდულობს. რა ვი-

ცი, ზოგს რა აინტერესებს, ზოგს — რა. სიმყუდროვეა, მხოლოდ ძალის დაგლავი ისმის სოფლიდან. ვერა მეტად მზე ამოიწვერა, ხანდარი მოედო ხაწირის ხებს. ხეობებში ჭერ ისევ ბურუსია, იორიც ბურუსში წევს.

წინ, წარაფებს იქით, მთიბავები დავინახე. მხარჩე ცელები გაუდვიათ და დაწალიერებით მიღიან.

მინდორზე სიმშიფრშეპარული ყანა თრთის; ჭებირებივით მოსდგომია ყანა ვიწრო გზას და გზა ქურდივით შეპარულა შიგ.

დალიზე ვფიქრობ: ახლა, ალბათ, ვიწრო ბილიქს მიჰყება; „ბეთქილის“ თუ „ლილეს“ ვარიანტებს უკირკიტებს, წვერნიჩაბა მოხუცებს უსმენს. წვივმაღალი, კუშტი სეანი ბიჟები შარვლიან ქალიშვილს ტიკინად მიიღებენ და გორაზ ტუჩებზე ღიმილი გამოესახებათ. მერე ერთი მათგანი თვალს ჩაუკრავს ამხანგებს და „ბეთქილის“ „ახალ“ ვარიანტს წამოიწყებს. დალი კი იწერს დაწერს.

— მოუჩქარეთ! — შემომესმა უცებ და ფიქრიდან გამოვერკვიყ.

ეერ მიგხედი, ხმაური საიდან მომწედა.

მგონია, გზა დავკარგე. აქ სადღაც უნდა იყოს იორზე გადასასვლელი, სადაც ბანაობაც შეიძლება და თევზაობაც. ვიცოდი, ორ ტოტად გასდევდა იორი სოფელს. წყალი კი არა და არ გამოჩნდა. დაბრუნება ვადაეწყეორე. ისევ ხმაური შემომესმა და უკან მივიხედე. ახალგაზრდების ჭგუფი დავინახე: ვინ მოლებერტს მოათრევდა, ვინ გადავიმულ ტილოებსა და ფუნგებს. გამახსენდა, სასტუმროში ლაპარაკობდნენ, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები პრაქტიკიაზე არიან ამოსულიო. მე რომ მხატვარი ვიყო, იმ რეგისტრატორ გოგოს დავხატავდი; ყურსქევმოთ რომ სიდამწვრე აქვს, რა თქმა უნდა, არ გამოვაჩენდი.

დაწინაურებული ბიჟი და ქალიშვილა წამომეწივნენ. გოგოს შავი სათვალე ეკეთა, ჩითის მოკლე, ღრმადამოჭრილი კაბა ეცვა. თმა დაბულულებული ჰქონდა,

მკლავები და ფეხები მზემოკიდებულია. ბიჭი სუფთად იყო გაპარსული, თავ-აწეული მოდიოდა. ორივეს ჩანთები ეკავათ. ბიჭი ისე გამცდა, ჩემთვის არ შემოუხედავს. გოგომ შემათვალიერა... ტუჩებზე სინაულის თუ სიბრალულის მსგავსი ცივი ღიმილი გამოესახა.

უკან მომავლებიც გამისწორდნენ. ეჭვი არ იყო, წინ მიმავალ მთიბავებს მისდევდნენ. ნაბიჯს მოვუჩქარე, მთიბავებს შევუერთდი. გაგიმარჯოსო, — მიპასუხეს და შემათვალიერეს. ერთმა ახმახმა მხარზე ხელი შინაურივით გადამხვია. ნასვამი იყო. კვინისხე ვიწროდ დატოვებული ქოჩორი მამლის ბოლოსავით ჩამოკიდებოდა.

— ძმობილო, რას ექებ? — მეკითხება და ბორძიქ-ბორძიქ მოდის.

— ბალახის თიბვა მწადიან, — ვიცრუ.

— ეიპიტაურს ვერა სვამ, ძმობილო? — ცოტაოდენს კი.

— მაინც, რამდენს? — უსწორმასწორო გზაზე ეზაყება და ხელს არ იღებს ჩემი მხრიდან.

— სამიოდე ლიტრას, ჰა და ჰა, დავაყირავებ როგორმე.

— კარგი ბიჭი ჩანხარ, — ბეჭებზე ხელი მომითათუნა, — მასპინძლობა ჩემზე იყოს, ცელს კი ვერ გაგაფუჭებინება: დღეს და ხვალ მჭირდება, მერე, გინდა გაჩუქებ.

ახმახს ძლივს დავუძვერი და ბიჭებში შევერიყ.

ერთმა მთიბავმა მხატვრებზე თქვა:

— მაგათ ცელები უფრო მოუხდებათ. — ერთი ის ცისფერკაბინი გოგო მომცა დამხმარედ, — ინატრა მეორემ.

— ბევრს კი დაგიბულულებდა, აი! — მაშ არა და...

— ბაგრატ! ქუდი მოიხადე, უნდა ჩაგატ-ჩამოგხატონ.

ბიჭებს გაეცინათ.

ოციოდე წლის ქალიშვილი ერთ წვეროსან მოხუცს გვერდში ამოუდგა. ქალიშვილმა აუხსნა, რომ მისი დახატვა ეწადა. მოხუცმა ხელები გაასავავა:

— არა მცალია და... ორი საათის შემ-

დეგ ჩამოცხება, მთელი დღე და დამკუთხა გვება.

სამაგიეროდ, ცისფერკაბიანში ბაგრატი თვითონ აეტორლიალა:

— ჩვენ რა დასახატები ვართ, აბა, ერთი მე ვიცოდე ხატვა...

— მერე?

— ბოჭორმა გინახავთ?

— თანეთში ვნახეთ „ბოჭორმის ფრესკები“.

— ფრესკები რაღაა?

— კედლის ნახატები.

— ჰო, ეგა, აი, ეგა, ეგ მინდოდა, მეტქვა, — გაიჭყანა ბაგრატა, — დარიალიც გინახავთ?

— კი, მინახავს.

— იქ რომ ერთ ლოდს „შამილი“ აწერია?

— ეგვაც ვიცი.

— ჰოდა, აი, იქ დაგხატავდი, აი, იმ ანგელოზებივით!

მხატვარი იცინის. ბაგრატა მოუკოდავი წისქვილივით როხროხებს. მერე ვხედავ, ორივენი მინდორზე გადადიან. ბაგრატა ნაბდის ქუდი ისწორებს, ქამარში გარებობილ სალესავს ქაჩავს და ცელს უფხაქუნებს. მხატვარს ფანქარი მოუმარჯვებია და... ალბათ, ქალალზე თანდათან ჩნდება ბაგრატას ბაჭუაცხვირი...

მერე მხატვრები ჩქარი ნაბიჯით მიღიან, მთისკენ მიეჩქარებათ. ალბათ, მზის ამოსულა უნდათ ნახონ, მაგრამ უკვე გვიანაა.

მივდივარ და ვფიქრობ: „ქალაქელები მიმოავალი მზის საყურებლად ისევე მიღიან, როგორც თეატრში. მიღიხარ ქალაქში, ძირს ქვაფენილი ან ასფალტია, ირგვლივ — კედლები. ქვა, ქვა, ქვა და ლიანდაგები. შეიძლება იხეტიალო დღე, თვე, წელიწადი და მიწას ფეხი ვერ დააკარო“.

მივდივარ და კვლავ ვფიქრობ: „ქალაქი მხოლოდ ახლა იღვიძებს. საყვირება კუირიან. რადიო გამამხნევებელ ვარჯიშს გადასცემს. ბაღები ბიჭებით ივება: დარბიან, ხტიან, სხეულს ცივი წყლით იკაუებენ და მირბიან: ქარხანაში, მშე-

ნებლობაზე... სოფელი კი უკვე კარგა  
ხანია ფუსტუსებს“.

მივიხედ-მოვიხედე: ის ახმახი, წელი  
რომ ხელი გადამხეია, ჩემს წინ მიდია-  
და. განგებ ჩამოვრჩი.

მთიბავებმა ბილიკიდან მინდორზე გა-  
დაუხვიეს. მინდორი მოძოვილი იყო და  
ბალახი კოჭამდე სწვდებოდათ. უცებ  
მთიბავებში გაბრიელი დავინახე: განზე  
გადგა, ფეხთ გაიხადა, შარვლის ტოტე-  
ბი აიჭერა და მთიბავებს კვალში მიაჲვა.  
მთიბავები მოტრიალდნენ, მხრები ლი-  
მილით აიჩეჩის. გაბრიელი ბალახში  
ფეხს მოხუცისთვის შეუფერებელი კი-  
ნით ურევდა. ცელი მხარზე ჰქონდა გა-  
დებული და ცელის პირი ლამის ბეჭებ-  
ეხებოდა.

— ძია კაცო!

მოტრიალდა.

— რა გრძებავთ? — მეკითხება.

“ვერ მიცნო“, — გავიფიქრე და გა-  
დავწყვიტე, არ გამოცნაურებოდი.

— ცელი მხარს გაგიჭრით, — გავა-  
ფრთხილე.

— ჰოო? — ცელი მოისინჯა, — გმად-  
ლობთ!

— ნამიანი ბალახია, გაციცლებით.

თითქოს ვერ გაიგონაო. ათიოდე ნა-  
ბიჯი გადადგა, ფეხებზე დაიხედა, ფეხ-  
საცმელები ჩაიცვა და შარვლის ტოტე-  
ბიც მაშინვე ჩაისწორა.

მოშუადლევდა. მთიბავები ჯერ ისევ  
სათიბს მიაჲვებოდნენ. ნედლი ბალახი  
ნამხრეულებად წევებოდა. გაბრიელია  
თიბას თავი მიანება და გორსიქითა წა-  
რაფისეკნ გასწია. ცოტანის შემდეგ მეც  
მივიცეი. გაბრიელი წიფლის ჩრდილში  
წამოწლოლიყო. როცა დამინახა, წა-  
მოჭდა. შავი სათვალე გაიქეთა. ერთხანს  
ჩაფიქრდა, მერე გაოცებით შემომხედა,  
დამაკვირდა.

— აა! ეს შენა ხარ? ვიცოდი, რომ  
ასეც იქნებოდა. დიდებულია. წელანაც  
შეეცდით, არა? ეს სათვალე მატო  
მზეში სახმარი კი არაა. ცოტა თვალს  
მაკლია და... არა, ხმაზე მაინც რატოვ  
ვერ ვიცანი?

— არაფერია, ხდება ხოლმე.   
— მუხლმა მიმტყუნა, დამტეც ფლუ-  
ვიშებში ღიმი გაუკრთა, — ამ მთაზე  
დაგორება კი არც ისე სასიამოვნოა, რო-  
ცა სამოცდაათი წელი და ასთმა გაქვს-  
წამოკიდებული.

— თუ ასეა, ამ მთაზე რამ ამოგიყვა-  
ნა, — ვეუბნები.

— თიბავა დამვიწყებია, ბალახს ვაფუ-  
ჭებ, — ჩემს კითხვას გაექცა.

ლაპარაკი ხელებაბ შეაწყვეტინა. პირზე ხელი მიიფარა და ნაწყვეტ-ნაწ-  
ვეტ განაგრძო:

— თქვენ კი, ალბათ... — ვეღარ ამოი-  
სუნთქა და სახეზე სილურეგ მოეძალა.

— მე არასოდეს მითიბავს.

— მეგონა, რომ შეგეძლოთ, — ცრებ-  
ლიანი თვალები ხელსახოცით ამოიმშ-  
რალა, სული მოითქვა და ცელს პირი  
ცერით მოუსინჯა, — ღილას ვითხოვვ  
ერთი მოხუცისგან. აღარ შემძლებია მუ-  
შაობა.

— რამდენი ხანია, ცელი არ გჲერიათ?

— ორმოცი წელი, — მიბასუხა მან.  
ცოტა ხანს უსიტყვოდ ვისხედით.

— ახლა კი წავალ იქ, — თითო შორე-  
ული მთებისკენ გაიშვირა და ამოი-  
სუნთქა.

— იქ გინდათ წახვიდეთ? — გაოცება  
ვერ დაფარე.

— გივირს? არაფერია, ახლავე გამივ-  
ლის, — ჯიბიდან თეთრი აბი ამოილო,  
ენის წვერზე დაიდო და გადაყლაპა. ვე-  
რე სიგარეტს მოუკიდა. აბოლებდა და  
ხიხინებდა.

— ორმოცდაოთხიდან ვერა ვარ კარ-  
გად, — მეუბნება, — ყუმბარამ დამმარ-  
ხა, ასე რომ, ერთხელ უკვე მოვიზომე-  
ჩემი წილი მიწა.

— ალბათ შეტაკებაში დაიჭერით?

— არა, არ მომია, — და მოხუცი ფი-  
ქრში წავიდა.

ქირურგის ხელსაწყოებიანმა ჩემო-  
დანმაც, ლუსიას ნათვამაც მაფიქრე-  
ბინა, გაბრიელის ცხოვრება მედიცინას-  
თან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული...

ცხალით თუ ფრონტზე იყო, იარაღით არ უბრძოლია...

— მთიბავებთან დავბრუნდეთ! — მი-  
თხრა გაბრიელმა და წამოლგა.

მკლავზე ხელი მომჟიდა, დაღმართს  
დავუკით.

მთიბავებიც ისენებდნენ. წინ ბიჭი  
შემოგვეგბა, თქვენთან გამომგზავნეს,  
სადილზე დაგვეწვიეთო.

— მოვდივართ, — უბასუხა გაბრიელმა.

მთიბავები სუფრას შლიდნენ. მხატვა-  
რი გოვო, რომელიც ამხანგებს ჩამორ-  
ჩა, თეთრწერა, ნაბლისქუდიანი მოხუ-  
ცის ჩანახატს აკეთებდა.

ალბათ, უკვე შუალამეა. ძილი გამიქრ-  
თა. გვერდი ვიცვლე.

— აჟა! — ვამთქნარებ და თვალებს  
ვხუჭავ. დავიძინო, თორებ მე და გაბ-  
რიელს ხვალ დიღი გზა ვვაქვს. მთაში  
წასვლაზე ვერა და ვერ ვათქმევინე უარი.  
ისე ვიცვალე გვერდი. ამაღდ ვხუჭავ  
თვალებს. მოგონებებს ვერ გავურბივარ.

საწოლის ჭრიალი მომესმა. თვალი ვა-  
კახილე, გამომრთველთან ვიღაც ფათუ-  
რობდა. გულისწმდები ხერინვა იღარ  
ისმოდა. მოხუცის საწოლს გადავხედე.  
სიბნელეში ვერაფერი გავარჩიი. მერე  
გამომრთველი გაჩხაუნდა და გაბრი-  
ელს მოვკარი თვალი: საცვლების ამარა  
იყო, თითო ისე ელექტროლილაქზე ედო  
და ჩემქენ იყურებოდა. მერე ფეხაკრე-  
ფით მივიდა საწოლთან, ზურგშექცევით  
დაჯდა, ჩემდონი გახსნა. რაღაც გაუღა-  
რუნდა და გაბრიელმა მაშინვე ჩემქენ  
მოიხედა. მე „მშვიდად მეძინა“ და ისიც  
დამშევიდდა.

ფანჯრის იქით სიბნელე იწვა და სად-  
ლაც მამლები ყიოლნენ. ის იქვე იჯდა,  
ჩემს წინ, ზურგშექცევით და რაღაცას  
ნურჩულებდა. ერთხანს ყურს უგდებდა  
დამის მყუდროებას თუ ჩემს სუნთქვან  
და მერე ისე თავის საქმეს მიუბრუნ-  
და. მინდოდა, ავდგარიყავ, გამეგო რას  
ეჩურჩულებოდა ქიურგის ხელსაწ-  
ყოებს. გაბრიელმა მიმოხიდა. ორივე  
ხელი თავზე გადაისვა... მერე ჩემდონი  
დაკეტა და ფანჯარასთან მიფართატდა.

სარქმელი გამოაღო. მის საწოლს და  
გვერდით მიღმულ სკამს გაფარხუნდუ.  
ჩემდანი ისე სკამზე იღო. ფართულ  
ერთხანს იდაყვდაყრდნობილი გაპუ-  
რებდა სიბნელეს, მერე წამოიშია, ჩემს  
საწოლს დახედა. ვიგრძენი როგორ დაი-  
ხარა ჩემს ფეხებთან და საბანი გამის-  
წორა.

მამლების ყივილი ჭერ არ შეწყვეტი-  
ლა. სადღაც ძალი დავდავებს და ღია  
ფანჯრიდან ღრუბლიანი ღამის ნიავს  
ყვავილების სურნელი მოაქვს.

სამი კილომეტრი გავიარეთ და კიდევ  
სამი დაგვრჩა სოფლამდე. გაბრიელი  
მეუბნება:

— კარგი დღეა, ოლონდ მოებში უცებ  
იცის გაწვიმებაც და გამოდარებაც.

— ნაბლებზე არ ვიზრუნეთ.

— ვისგანაც ცხენს ვიქირავებთ, ნაბ-  
ლებსაც იმას ვაშოვნინებთ, — სიგარეტს  
ქაჩავს.— ბებერი ცხენი უნდა ვიშოვო,  
დიღი ხანია, არა ვმგდარვარ ცხენზე.  
ნომ არ გეშინია ცხენის?

— არა.

— მინდოორი სხეაა.

— ჰო, — ზანტად ვუშენევ თავს, — ძნე-  
ლია ბარად გაზრდილი კაცისათვის ნაბ-  
ლებზე ჭირითი. მამაჩემი ყოფილა  
კარგი მხედარი.

— აღარ გყავს მამა?

— ომში დაიღუპა.

გაბრიელს არაფერი უთქვამს.

გზაზე ცხენოსანი გამოჩნდა. როცა  
გვგვისწორდა, ნაბიჯი შეანელა, პატარა  
თუშური ქუდი მოიხადა და გამარჯვება-  
თო, მოგვაძახა. გაგვცდა. უნაგირზე ნა-  
ბადი დაეკრა. ცხენს ძუა გამოკვანძული  
ჰქონდა და ოფლი დასკდომოდა ბარ-  
ქლებზე.

— მწევმსია, — თქვა გაბრიელმა, —  
ცხეარში მიედინება.

მგზავრი ასოდე მეტრით გაგვცდა,  
ცხენი ნებაზე მიუშვა. იორღა ცხენი  
ლივლივით მიჰქროდა.

გაბრიელს შევხედე. სიგარეტი გადა-  
ეგდო, მონუსხულივით უყურებდა მხე-  
დარას.

ჩემქენ არ მოტრიალებულა, ისე მითხრა:

— წავიდეთ!

ჩეარი ნაბიჯით მივდიოდით. საუბრის წამოწყება ვცადე, ვერ ავიყოლიე. მხოლოდ ის გავიგე, ხარკოში უმსახურია. ეგ იყო და ეგ.

არც ჩემი ასავალ-დასავალი უკითხავს. ისევ უცნობებად ვრჩებოდით; კერძერობით მხოლოდ ბილიკი გვქონდა საერთო.

სოფელში ცხენები ვიქირავეთ. ბებექ ცხენს მოსტა გაბრიელი, ქუსლი ამოპკრა, ააჩქაქა.

შორს, ჩრდილოეთით, უკვე მოჩანდა ალპიური საძოვრები.

ჭალაში მდელო ბიბინებდა. აქა-იქ გულგამოხმარი, ბებერი ცხები იდგნენ. მარჯვნივ იორი მოქუხდა. პატარა მორევი ნახევრად ფეხსვებდათხრილ წიფლების ჩრდილს შეფარებოდა.

— აქ კი უნდა დავისვენოთ! — მითხრა გაბრიელმა და ფრთხილად ჩამოვიდა ცხენიდან.

ვიდრე ცხენებს დავაბამდი, ფეხსაცმლის გახდაც მოასწორ და ტანსაცმლისაც. მერე მორევისაკენ დაეშვა.

— ბატონო გაბრიელ! — ვუყვირი, — ბატონო გაბრიელ!

გაბრიელმა ალპათ იცის, რატომაც ვეძახი, უკანმოუხდავად მიაპობს ტალღებს და თავისთვის იმეორებს:

— უჰ! უჰ!

ირგვლივ სიწყნარეა და მზე აცხენებს.

— მოგიხდება?! — ვეუბნები უკან მბრუნებულ გაბრიელს.

— სიჭაბუკის მერე იორზე აღარ მიბანავია, აღარც არაგვზე. არაგვსაც შევრჩევი და... უჰ! სიცოცხლეა, სიცოცხლე! — ისევ მიაპობს წყალს, — ლამაზია დნეპრი, ხომ იცი დნეპრი?

— ბევრი მსმენია.

გაბრიელი მოტრიალდა, ფეხზე დადგა, მერე თმაზე ხელი გადაისვა.

— ლამაზია დნეპრი, მაგრამ იორი და არაგვი...

მზე ტალღებში ქანაობდა და მოელვა-

რე ბურუსი ეხვია. გაბრიელი ზელობუსვამდა ტალღებში, თითქოს მუგა, უდიდესო. მზე კი უამრავ სხივებად მშენებისადა და მკლავებში უდნებოდა.

გაბრიელი წყლიდან ამოვიდა, მძიმელ სუნთქვავდა, ხიხინებდა. მზეზე გულაღნი გაწვა და მაშინვე აბი გადაყლაბა.

— დაგავიწყდა, მთის მდინარე რომ ცივია?

— არ დამვიწყებია, ოღონდ... თუმცა, შეიძლება... იქ ყოველთვის ვიცავდი რე-ჟიმს.

— მერე, აქ?

ხმა არ გამცა.

— მერე? — არ მოვეშვი მოხუცს. ალბათ მიხვდა, რისი თქმაც მინდოლა... ცაც მიაშტერდა.

— მეც გულაღმა გავწექი და ხელება თავეკეშ ამოვიდე.

გაბრიელმა გადმომხედა და გაეღიმა.

მალე ტანთ ჩაიცვა და წიფლის ჩრდილში გადავსხედით. უეცრად ცხენების თქარათქური და შეძახილი შემოგვესმა.

— ჰუ! თვალშავაც, ჰუ!

დაოთხილი ცხენები მინდორზე გამოცავიდნენ. ორი მხედარი იყო, ორივემ ერთდროულად მოსწია ლაგამს. ხევსერები აღმოჩნდნენ. ერთი ორმოცდაათაოდე წლის იქნებოდა. ხევსურული პერანგი ეცვა და ხევსურული ჩაით ეცურა. შალის გალიფე აზიურებში ჩაეტანებინა. გვერდზე ხანჯალი დაეკონწიილებინა, მხარილლივ — თოფი.

მეორე ოცი წლის იქნებოდა; ამ შებლშემუხხულ ახალგაზრდას ხევსურული მარტო წინდები შემორჩენოდა.

მოგვესალმნენ. დაიქვეითეს.

უფროსს ეტყობოდა, ბლომად გადაესუხა. სად მიღიხართო, გვკითხა.

— მთაში, მთის სანახავად მივდივართ, — უპასუხა გაბრიელმა.

— მთის სანახავად?! — უნდობლად ჩაიღიმა. მათრახი გაიშვირა ხურჯინისა-ეენ და თანამგზავრს უთხრა:

— მიღი, ამოიღ!

მერე მოგვიბრუნდა:

— ინუინრები იქნებით.

— არა, ისე მივდივართ, მთის სანახა-  
ვად.

— ძაან დრო გქონიათ.

— განა მოცლილები დადიან მოების  
სანახავად. შატილი ყველამ უნდა ნახოს.

— შატილი?! — ცოტა ხანს შეყოვნდა  
შევსური, — მერე, სადღაა შატილი?!  
მწირი მიწააო, ბარში ჩასახლდნენ. შატ-  
ილში თითო-ოროლა ბებერილა ცხოვ-  
რობს.

ბიჭმა ტიკი ამოილლიავა, მერე ჩრდილ-  
ში წააშვინა.

— შატილში? — თითქმის წამოიყვირა  
გაბრიელმა და უცებ მოიღრუბლა.

— შატილში, — მშვიდად თქვა ხევ-  
სურმა, გაბრიელს არყიანი ხარის რქა  
მიაწოდა:

— საუფროსოა.

გაბრიელმა ხარის რქა გამოცალა და  
მიწაზე გააგორა.

გამიკვირდა: „მთიბავებთან წვეთი არ  
დაულევია, აქ კი...“

არაყის უფროსი ხევსური ასხამდა. ტი-  
კი მუხლზე გადაედო, ასხამდა და იმერ-  
ჩებდა:

— ბარში ჩასახლდნენ, სადღაა შატი-  
ლი.

— ხევსურები ოდესაც ბარში ცხოვ-  
რობდნენ და მერე ავიდნენ მთაში.

ხევსურმა ჯერ სერიოზულად შემომ-  
ხედა, მერე როხროხი ამოუშვა და დამ-  
კინავად მომაშტერდა.

— გახსოვს?

— წიგნში წერია.

ხევსურმა ტიკი გვერდით მიაგდო:

— მართლა წერია?

— მართლა, — ვეუბნები და ეჭვი რომ  
არ შეეპაროს, განვაგრძობ, — კი, წერია.  
წიგნში ტყუილებს არ წერენ.

მაინც ეჭვით მიყურებდა:

— აბა, როგორ წერია.

ერთხანს დავიბენი, მერე ძალა მოვი-  
კრიბე:

— სპარსელები ეომებოლნენ საქართ-  
ველოს...

გან ულვაში გადაიგრიხა, ცერად შე-  
მომხედა და შემაწყვეტინა:

— რომელ საუკუნეში?

— მეხუთეში.

— პირველში რომ პომპეუსი შემოვი-  
და და არაგველები ანანურთაც დაუკარგი-  
ნენ, ჩვენ იქ ვცხოვრობდით, — ხელი  
მოებისკენ გაიშვირა.

ბეგრი წილადობილა დამჭირდა იმის  
გასარკვევად, თუ ძველი წელთაღრიცხ-  
ვის მეხუთე საუკუნე რატომ იყო ახალი  
წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეზე  
ხუთასი წლით ადრე. უკვე საგაო სა-  
ფუძველი ჰქონდა ეჭვით მომპყრობობა,  
მაინც ყურადღებით მისმენდა.

— იმ ომში აუარებელი ხალხი გავ-  
ვიწყდა. მთის კალთებზე მცხოვრებმა  
ქართველებმა ნოყიერი მიწები მიატო-  
ვეს და მოებში გაიქცნენ.

— ტყუილია! — დაიქუხა ხევსურმა და  
მუშტი მიწას დასცხო, — ტყუილია!

მე ტანში გამცრა და გაბრიელს შევ-  
ხედე. მან ყანწი პირთან მიიტანა და  
სულმოუთქმელად გადაკრა.

— ტყუილია! — გვრგვინავდა ხევსუ-  
რი, — მაგ წიგნში ტყუილი დაუწერიათ.

ძლივს დამშვიდდა. ყანწი წაავლო ხე-  
ლი, ტიკი მიუშვირა და ვიდრე გაავსებ-  
და, მანამდე დაიწყო:

— ხევსურებს გაუმარჯოს!

მეორე ხევსური თითქმის არ ერეოდა  
საუბარში. სადღეგრძელოს ორიოდე სი-  
ტყვით მოსჭრიდა და ყანწი აპირებავებ-  
და. ეტყობოდა, მთვრალ თანამგზავრს  
შინიდან გამოჰყოლოდა.

არაყი წატუსული იყო, მაინც დოსა-  
ვით ხერებდნენ. ხევსურების განაწყენე-  
ბა არ მინდოდა და მეც ვსამდო.

მერე უხერხული დუმილი ჩამოწვა.  
გაბრიელმა ყანწი ასწა:

— ხელი მოგემართოთ! მასპინძლო-  
ბითვე გადავვეხადოს.

როცა ჭაღრაშერეულ ხევსურს ხელი  
დასამშვიდობებლად გაგუშოდე, ხელი  
ხელზე მაგრად მომიქირა:

— იცოდე, იმ შენს წიგნში ტყუილი  
წერებულა. გაიქცნენ, ხე, ხე, ხე, გაიქ-  
ცნენ!

ცხენებს მოახტენენ და თავჭვე და-  
ეშვნენ.

მარჯვნივ და მარცნივ მაღალი მთე-

ბია, შუაში იორი გაწოლილა. ჭალა სოლვით შექრილა მთებში. ჩვენ ვიწრო ბოლოში ვდაგვართ. ხეესურები ცხენებს მიაკენებონ და ჰაერში მათრახებს წყილი გაქვთ.

უცებ ცხენის ფეხის ხმა მომესმა. მივიწედე.

გაბრიელი ქურანზე ამხედრებულიყო. ძლივს უქერდა თავს.

— ფრთხილად, გაბრიელ!

ჩემქნ არც მოუხედავს. ცხენი გზაზე მიუშვა.

ფაცაფუცით ავუშვი ბებერი თოხარიყი, თოყი ავეცცე და შევახტი. მათრახი დამივარდა. ბებერი ულაყი მოუსვენრად ტოკავდა. ჩამოვხტი, მათრახი ავიღე.

ფლოქვების ხმა უკვე შორიდან ისმოდა. ცხენს სადავე მივუშვი და გავშოლტე.

მიხეეულ-მოხვეული გზა წვრილიანში გადიოდა.

თოხარიყს ქუსლს ვურტყამდი, მათრახს ვიქნევდი. ოფლად გაილვარა, ქშიტინი დაიწყო. მაინც მიჩროდა.

უკან რჩებოდა ტყე, ბორცვი... შორს ჩანდა შიშეელი მთა, სადაც, ალბათ, ფარები ძოვდნენ და ბანჯგულიანი ნაგაზები ერთმანეთს ულრენდნენ.

ფეხის ხმა მიწყდა. მტრიან გზაზე ნალების ანაბეჭდი ჩანდა.

გაბრიელს ვერ ვხედავდი. დუმილი იდგა მთებში, სიმყუდროვეს მარტო ივრის ხმაური არღვევდა.

ცხენს მუხლებში წყალი ჩაუდგა. აღვირი მოვქაჩე. ჩამოვხტი. ისე ხვენეშოდა, შემეშინდა, არ გასკდეს-მეტე. ჩამერალი თვალები ჯეონდა და ბარბაცით მიაბიჯებდა. „მომაკვლევინა ცხენი, იქნებ სჯობდეს, სულაც თავი მივანებო“. ფეხი გუბურაში ჩავკარი და ტალახი მუხლებამდე შემომესხა. გადავირი. ჭავრის ამოსაყრელად ცხენს მათრახი მოვუქნი. დამფრთხალი და საცოდავი თვალები მომაპყრო. ხელი ჰაერში გამიჩრდა.

დავაკებულ ჭალაში გავედი. მდელო მწვანედ ბიბინებდა და შუა ცაზე მზე თვალისმომჭრელად ბდლვრიალებდა. გა-

რემოს თვალი მოვავლე. ჩემი თანამდებარი არსად ჩანდა. იგრისინოს ბუჩქები წამოზრდილიყო. ბუჩქებიდან უცნენის ფრუტუნი შემომესმა. აღირის ხელი ვუშვი და სიჩრბილით გავქანდი.

თავი ხელებში ჩაერგო. ჩემი მისელა არ გაუგია. ჩავახველე. შემომხედა. უნებურად დავიხიე. მოულოდნელად გაიცინა. სიცილს ხიხინი ამთაყოლა, ხიხინს — ხელება. შემდეგ სულ გალურჯდა და კანკალმა აიტანა. ვიფიქრე, გული მისდის-მეტე. ათახთახებული ხელით აბი ამოილო ჯიბიდან, გადაყლაბა. სული ოდნავ მოითქვა. მერე სიგარეტი მოძებნა. ასანთს გაპქრა, მაგრამ ხელი ისე უკანკალებდა, ვერა და ვერ მოუკიდა. ანთებული ღერი გამოვართვი და პირთან მავრტანე. მოუკიდა. მოქიჩა და გულზე დაუშვა. დაუშვა მეორედ, მესამედ... სახეზე ოფლი მოასკდა. მერე ხიხინმა უკლო, სილურჯემ გაუარა.

გაბრიელმა საუბარში ვიღაც ავად-მყოფებიც ახსენა, კარგი მეგობრებიც მოიგონა...

— შენ იცი? — პაპიროსი გადაგდო, — პირველი გამოვიქეცი იმ სოფლიდან, რომელშიც თურმე ერთი თუ ორი კაციალი ცხოვრობს. და ახლა სწორედ იქ მივიღიარ.

„შატილელი ყოფილა“, — გავითიქმებ. ცხენებს მივხედე. ჩრდილში წამოვწექი. ფიქრში შატილი ამოტივტივდა: კლდეზე ამართული კედლები, ხეობები, კლდეები და სამზეოსკენ გაფრენილი ალპიური მთები. აკლდამები დახასებული ძელებით და სოფელს მოტირლებივით შემორჩენილი წუწიანი ბებრები. უმთავრო ღამეში აკლდამებიდან ჩინჩები დგებიან და იწყება ღრეობა: მთვრალი ხევსურები იცინინ. ქეთელაური ხმლის ერთი მოქნევით თავს აცლის მოზვერის. ღამესავით შავია მოზვერი. მერე თენდება და... ხევსურები ბარისკენ ეშვებიან, როგორც ოდესლაც კრწანისისკენ და ანანურისკენ. მაგრამ ხევსურებს ხმლები არ ჰაერშია: აკვენები მოაქვთ. აკვენების ტყეა, ნამდვილი ტყე—

— დაგეძინა? — მეუბნება გაბრიელი და გვერდით მიჯდება.

— მე შატილში არ მივდივარ, — მევა-ხედ ვეუბნები.

სახეზე ცივი სიმშვიდე დაჭურენია. ბა-ლახებზე აბზუილებულ ფუტკარს დასც-ქერის.

— აღარც მე ვაპირებ.

— რატომ? ხახმატამდე ავიდეთ.

— არა, ახლა არა. ოდესმე წავალ, — ხმა აუთროთოლდა.

შემეშინდა, ისევ ცუდად არ გახდეს-მეთქი. ერთხანს ვდუმდით. მერე გაბ-რიელი წამოდგა და ბებერი ცხენისკენ გასწია.

უკან დაეგბრუნდით. სოფლის ორლო-ბეებამდე მივაღწიეთ. გზაზე ხალხი რა-ლაცას შემოხვევოდა. კივილი მოვგესმა და ჰიშერიდან თალხით მოსილი ხნიერი დედაკაცი გამოვიდა. გულამოვარდნილი მოსთქვამდა:

— ავამე გუგულაო! ჩემთ სინათლეო! შენ მოგივდეს დეიდაო, შე კარგუნახა-ვო, შე მზის დაო!

ცრემლგამშრალი მოსთქვამდა. შავი კაბის ბოლოს მიიქნევდა. წამდაუშემ იღებდა სახელოში შეჭუჭეული სატი-ნის ნაქერს, მოიხოცავდა აწითლებულ ცხვირს და მერე ისევ რეზინშემოჭერილ სახელოში იტენიდა.

გაბრიელმა ჩემოდანი შემომაჩენა. ნა-ბიჭს აუჩქარა, ძლიერს მივდევდი.

გზისპირას, ბალახებზე იწვა გუგუ-ლა — ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალა-შვილი — სახეზე წამოწითლებულიყო, თავთით ორი ქალიშვილი ედგა. ერთი ქუდმოხდილი ბერიკაცი ხალხში თვა-ლით ვიღაცას ეძებდა, ნაბიჭის ქუდს თი-თებით ბებეკავდა და გაოგნებული აბრობ-და, მიშველეთ, მანქანა მოიყვანეთო.

გავიგე, გუგულას მინდორში ემუშავ-ნა, ცუდად გამხდარიყო; ქამდე თავისი ფეხით მოელწია და ამ ადგილას გულ-წასული დაცემულიყო. მეორე სოფელ-ში უპირებდნენ ექიმთან წაყვანას.

ნაბდისქუდიანი მოხუცი დაიხარა, გო-

გო გაჭირვებით აიყვანა ხელში და /ში-ნისკენ წავიდა.

— ნახე? — მეუბნება გაბრიელი ხელში გზას მიიყვლევს.

ქალიშვილი საწოლზე დააწვინეს.

გოგონები გაოცებით, მამაკაცები უნ-დობლად უყურებდნენ უცნობ მოხუცს, რომელიც დაუკითხავიდ მივიდა გუგუ-ლასთან, ჯერ მაგა გაუსინჯა, მერე მუ-ცილზე დაადო ხელი.

ვიღაც ახალგაზრდამ, რომელმაც ავ-ტომანქანა კარებზე მოაყენა და კიბე-ზე ამოირბინა, გაბრიელს მკლავში ხელი წავლო. პაპიროსის ტარს ლეჭავდა, ისე ჩახედა გაბრიელს თვალებში.

— მოიცა! — გამოსცრა გაბრიელმა და მკლავი გაშვებინა.

ავადმყოფმა თვალები გაახილა, გააზ-მორა, მერე ისევ მილულა.

გაბრიელი მუცელზე ისევ დააწევა გა-შლილი თითებით. ქალი შეხტა და ამო-იკენესა.

— ადგილიდან დაძრა საშიშია, --- უთხრა გაბრიელმა მოხუცს, რომელიც მეპატრონედ ჩასთვალა, — არც დაყოვ-ნება შეიძლება. დაცალეთ ოთახი, --- ბრძანა გაბრიელმა, — მარტო ეს კაცი დარჩეს, — სახლის პატრონზე თქვა, --- და კიდევ ერთი ქალი.

საოცარი იყო, ყველა დაემორჩილა.

არ ვიცი, რა ესაუბრა იმ მოხუცს. ისევ მოდიოდნენ დედაკაცები კარებთან და უხმოდ დარტვინავდნენ.

— ელგუჯ, მომიტანე ჩემოდანი! — მომესმა გაბრიელის ხმა. მივიხედე. და-ბალ აიგანზე გადმომდგარიყო და მარ-ლას კეცავდა. დავაკირდი. გაბრიელი ლელავდა, ჩემოდანი ფრთხილად გამო-მართვა, ოდნავ წინ წამოიხარა, თვალებ-ში ჩამხედა. სახის ყველა ნაკვთი უთრ-თოდა.

— ხუთი წელია ავადმყოფს არ გავეკა-რებიგარ, ხეთი წელი, — ჩაილაპარაკა. ჩემოდანი დაბლა დადო და ხელები მო-იფშვინიტა. პიჭაკის ჯიბეში სათვალე მო-ისინჯა, არ კი ამოიღო. აწრიალებული შევარდა ოთახში, ჩემოდანიც შეიტანა.

რამდენმა ხანმა გაიარა, ვერ გეტუვით.

მე კი საუკუნედ მომეჩვენა. შეჯგუფებული ხალხი ჩოქოლებდა, ნერვიულობდა.

როცა ოთახიდან გამოვიდა გაბრიელი, უფრო აღელვებული მომეჩვენა, კადევ უფრო გაფითრებულიყო.

— ექიმებისაგან აქრძალული მქონდა, — ამოიხინია მან, — ახლა ყველა-ფერი... — და აღარ დაამთავრა. ეზოში ხელის ცეცებით მოსინჯა მოლი, მძიმედაეშვა. ერთხანს მთელი ხალხი მას უყურებდა. ის კი უაზროდ მიშტერებოდა სივრცეს და აბს თუ სიგარეტს ექებდა ჭიბეში. ერთმა პაპიროსი მიაწოდა, მაგრამ უარის ნიშნად თავი გააქნია. ისევ იჩხრეკდა ჭიბეებს. ბოლოს სიგარეტი ამოიღო, თითებში მოსრისა.

— რა გქონდათ აქრძალული? — ვკითხე მე.

გაოცებულმა შემომხედა. ალბათ უკვე დაავიწყდა, რაც მითხრა.

სახლის პატრონი ღიმილით გადმოდგა აივანზე. გაბრიელმა დაინახა, სინათლის სხივმა გადაურბინა სახეზე, სიგარეტი ხელიდან გაუვარდა...

„ქოლხოზნიკი“ თბილისისაკენ მიჰქინის. გაბრიელი მანქანაში წევს. მისი მაფა ხელში მიტირავს.

საღლაც, ორწოხებში მომწყვდეული ხევი ხმაურობს.

„ვაითუ ვერასდროს ნახოს შატოლი“, — ვფიქრობ მე.

ღრუბლის ნაფლეთებს შორის მოქცეული გარსკვლავები ოდნავ ასცილდენენ მთის ლანდს, მერე მათ ქვევით მუქ-

ლურჯი - სივრცე ამოიზარდა.  უდელტეხილზე გადავდიგართ.

შოფერი ისევ პაპიროსის ტრამულებას და უკან მოუხედავად მეუბნება:

— შენი ხმალი და ჩემი კისერი, ოღონდ ამ მოხუცს რამე ვუშველოთ.

სავადმყოფოში მიიყვანეთ, გაბრიელის სახლის ახლოს რომ საავადმყოფოა, იქ. თეთრხალათიანმა კაცმა ყველა-ფერი მომისმინა, ავადმყოფს მაფა გაუსინჯა და თავისიქნევით გავიდა.

გათენდა. პალატაში ლუსია დავიდოვნა შემოვიდა. გაოცებული დააშტერდა გაბრიელს, მერე — მე. მას უკვე გაეკო გაბრიელის ამბავი.

გაბრიელმა თვალები გააჩილა, უაზროდ მომამტერდა, მერე ლუსიასკენ გაიხედა. ლუსია დაიხარა და მზრუნველად ჰქითხა:

— წყალი გინდათ?

მოხუცის ნიღაბივით ცივ სახეზე არაფერი შეცვლილა, ოღონდ რაღაც ჩაილულლულა. ყური ახლოს მიეუტახე. მეორედ ჩაილაპარაკა და მგონია, სწორედ გავარჩიის:

— მოვკალ?

— გადარჩა! — ყვირილით გამომივიდა ნათქვამი.

ვან ამოიოხრა და შემომხედა:

— ჩემოდანი სად არის?

— აგრე! — სკამიდან ავიღე და ვაჩვენე.

გაელიმა, გვერდი იცვალა.

ფანჯარასთან მივედი. ქალაქს ნისლა დასწოლოდა. შორს, ძალიან შორს, მკრთალად მოჩანდა ცაში აზიდული მთები.



# კულტურის მინისტრი

## გიორგი ქობულია

საქართველოს სარ მედიორაციისა და  
ფულთა მიურნობის მინისტრი

## ზეალი ჩვენი არსობისა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენურმა განიხილა ჩვენს ქვეყანაში მიწების მელიორაციის საკითხი და კონკრეტული საბრძოლო ამოცანებიც დაგვისახა.

თითოეული ბეჭტარი მიწის ფართობიდან უნდა მივიღოთ მაქსიმალური მოსავალი, მასზე გავლენას არ უნდა ახდენდეს უამინდობა. მცენარე ხომ ნიადაგიდან იღებს საზრდოს, რომლის გადასამუშავებლად მას წყალი სჭირდება. ნიადაგის წყალთა ნაკლებობაც და სიჭრაბეც ხელს უშლის მცენარეს მოიპოვოს მისთვის საჭირო საზრდო.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან სამელიორაციო ღონისძიებების გატარებას დიდი ყურადღება მიექცა, პირველ რიგში შეა აშინას და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობები, აშენდა მრავალი სამელიორაციო ობიექტი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვნად გაიზარდა სარწყავი და დაშრობილი მიწების ფართობები, აშენდა მრავალი სამელიორაციო რაიონებით. მაგრამ ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის საჭირო გახდა სამელიორაციო სამუშაოთა მასშტაბის მეცნიერო გაზრდა.

სარწყავი მიწების ფართობი უნდა გადიდეს 7-8 მილიონი ჰექტარით. უნდა

ამოვაშროთ 15-16 მილიონი ჰექტარი დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწები. ამის შედეგად 1975 წლისათვის გამოსაყენებელი მიწის საერთო ფართობი საბჭოთა კავშირში 37-39 მილიონ ჰექტარს მიაღწევს. ეს ჰექტარითად გრანდიოზული ამოვანაა, რომლის გადაწყვეტა სამიედო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შექმნის სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

დიდი სამელიორაციო სამუშაოებია გათვალისწინებული ჩვენს რესპუბლიკაშიც. წინა შეიდწლებში მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა წყალსამურნეული რბილებების მშენებლობაზე. დაიწყო მშენებლობა ქვემო სამგორის, თელეთის, კავთისხევის, საგურამოს და სხვა სარწყავი სისტემებისა. პირველად განხორციელდა ჩაის პლანტაციების მოწყვეტა დასაგელეთ საქართველოს რაიონებში, გაძლიერდა სამელიორაციო სამუშაოები კოლხეთის ზონაში, ფართო მასშტაბით წარიმართა საძოვრების მოწყვეტის საქმე. ამის შედეგად ექსპლოატაციაში შევიდა 35 ათასი ჰექტარი ახლად გასარწყავებული, 16 ათასი ჰექტარი დაშრობილი ფართობები, რაზედაც 78 მილიონი მანეთი დაიხარჯა. ყოველივე ამან საგრძ-

ნობლად გააძლიერა მეურნეობების საწარმოო ბაზა, გააუმჯობესა მათი ეკონომიკა.

დღისათვის სარწყავი მიწების რაოდენობა რესპუბლიკაში 370 ათას ჰექტარს შეადგენს, დაშრობილი მიწებისა კი — 126 ათას ჰექტარს. გარდა ამისა, მეცხოველეობისათვის განკუთვნილ 478 ათას ჰექტარიან საძოვრებზე ყველგან არის სასმელი წყალი.

სიონის წყალსაცავის აგების შედეგად საბოლოოდ და საიმედოდ გადაწყდა ივრის აუზში მოქმედი მიწების წყლით უზრუნველყოფის საქმე.

ახალი ხუთწლედის გეგმა კაპიტალური მშენებლობის ხაზით სამჯერ მეტ თანხებს ითვალისწინებს წინა ხუთ წლითან შედარებით. ნავარაუდევია ჩვენი ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯოს 240 მილიონი მანეთი.

პროგრამაშია შეტანილი 60 ათასი ჰექტარი ახალი მიწების გასარწყავება, ძირითადად ზემო აღაზნისა და ქვედა სამგორის სარწყავი სისტემების მშენებლობის ხარჯზე, სამელიორაციო ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ჩატარება კოლხეთში (90 ათას ჰექტარ ფართობზე) და საძოვრების წყლით უზრუნველყოფა (60 ათას ჰექტარზე).

დიდი მოცულობის სამუშაოებია გათვალისწინებული ქვედი სარწყავი სისტემების წესრიგში მოსავანად.

უნდა აშენდეს წყალსაცავები აღეთსა და ლიახვზე, რომელიც ზაფხულის პერიოდში ვერ უზრუნველყოფენ მათზე დამკიდებული სარწყავი სისტემების ნორმალურ კედას. მრავალი წვრილი არხის მშენებლობა გათვალისწინებული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

1970 წლისათვის სარწყავი და დაშრობილი ფართობები რესპუბლიკაში 580 ათას ჰექტარს მიაღწევს, წყლით უზრუნველყოფილი საძოვრების ფართობი კი — 540 ათას ჰექტარს.

ამ ჭრიანიტად გრანდიოზული სამუშაოების შესრულება მიმდინარე ხუთწლედში მოითხოვს დიდ მოსამზადებელ ღონისძიებათა ჩატარებას, მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

ყველაზე დიდ ობიექტს წარმოადგენს ზემო აღაზნის სარწყავი სისტემა, რომელიც გახეთის რაიონების 110 ათას ჰექტარზეათ თობს მორწყავს. პირველი რიგის სამუშაოები შიდა კახეთის რაიონებში 41 ათასი ჰექტარი მიწის მორწყავს ითვალისწინებს. მის განხორციელებას შარშან შევედექით და მუშაობა მიმდინარე ხუთწლედში იმ ვარაუდით წარიმართა, რომ მშენებლობა 1972 წლისათვის დამთავრდეს და მეორე რიგის სამუშაოები დაიწყოს გარე კახეთის მიწების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად.

ზემო აღაზნის სარწყავი სისტემა სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარების სამუშალებას იძლევა. ფართობების დიდ ნაწილზე გაშენდება ვენახები, ხეხილის ბაღები, შირაქისა და ტარიბანის ველებზე მარცვლეული კულტურების მყარი მოსავლის მიღების საუკეთსო პირობები შეიქმნება. საკვები კულტურების მყარი მოსავალი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეცხოველეობის პროდუქტულობის ზრდას.

ქვედა სამგორის სარწყავი სისტემა (იგი ზედა სამგორის სარწყავი სისტემის გაგრძელება) ითვალისწინებს საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების 39 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვას. ივრის აუზის ნაყოფიერი მიწები სულ მაღლე ბალ-ვენახებად გადაიქცევა.

ამავე ხუთწლედში დამთავრდება საგურამოს, თელეთის, კავთისხევისა და სსვა სარწყავი სისტემების მშენებლობა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

კიდევ უფრო მაღალი ტემპით წარიმართება ჩაის სარწყავი სისტემების მშენებლობა დასავლეთ საქართველოს რაიონებში. 1970 წლისათვის ჩაის პლანტაციების საერთო სარწყავი ფართობი 20 ათას ჰექტარადმდე გაიზრდება. ეს სამუშაო ხელს შეუწყობს ყოველგვარ კლიმატურ პირობებში მყარი მოსავლის მიღებას.

ამ როული საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, ასევე მათი ექსპლოატაცია, მაღალ ტექნიკურ დონეს მოითხოვს.

სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩვენი წინაპრებისათვის უბრალო არხებიც

კი სანატრელი იყო. მათი მოვლა-პატრონობის საკითხი დიდ პრობლემას წარმოადგენდა. აი როგორ გულანგლიანად აღწერდა ილია ჭავჭავაძე მაშინდელ მდგომარეობას:

„გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს გულმომწვარ დედამიწას მოაკლდა ცხრველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი, გავერანდა მდიდარი მამულები, ათხრდა და იქ, სადაც ქვეყანა წალკოტიყით ჰყაოდა, დღეს მჭლე ძეგი ძლიერს და მოდის. ამათ ჩაიარა ამოდენა შრომაზ, ამოდენა ჯაფამ და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენი მამაპაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი გულსაკლავად გვანიშვნებს — რანი ვყოფილვართ უწინ — რანი გართ დღეს“.

სერიოზული სამუშაოები ჩატარდება კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწების დაშრობისათვის. ამ დაბლობის ჰავა, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების გამო, სუბტროპიკული კლიმატის ზონას მიეკუთვნება; ასეთი თავისებურება განპირობებულია უპირევლესად ყოვლისა იმით, რომ კოლხეთის დაბლობი შემოსაზღვრულია მთავარი კავკასიონის ქედით, რომელიც იცავს მას ციფი ჰაერის შემოჭრისაგან ჩრდილოეთის მშრიდან, ღია შავი ზღვის მხარე კი ხელს უწყობს თბილი ჰაერის გავრცელებას.

მაღალი ტემპერატურული რეჟიმი, ნაყოფიერი ნიადაგი და კლიმატის თავისებურება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის. მაგრამ ამ ხელსაყრელი პირობების გამოყენებას ხელს უშლიდა დაჭაობება და წყლის რეჟიმის მოუწესრიგებლობა-კოლხეთის ზუნებრივი შესაძლებლობანი საუკუნეების მანძილზე გამოუყენებული რჩებოდა, რადგან სამელიორაციო სამუშაოები დიდ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვდა.

გარდა იმისა, რომ ეს მიწები სოფლის მეურნეობისათვის გამოუყენებული რჩებოდა, დაჭაობებული ადგილები მაღარისა და სხვა დაავადებათა გავრცელების ქერა იყო.

აი რას წერდა ფრანგი მოგზაური შარდენი XVII საუკუნეში კოლხეთის თაობაზე: „წვიმა მოდის თითქმის განუწყვეტლივ. მცხუნვარე მზით გახურებული ნესტიანი ნი-

ადაგი ზაფხულში სწამლავს ჰაერს და წარმომობს მრავალგვარ სნეულებას, უშიშროების შირსაც კი“.

მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგე დაიწყო სამელიორაციო სამუშაოები კოლხეთში. სახელმწიფომ ამისათვის გამოჰყო სახსრები და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი. შეიქმნა საგანგებო სამშენებლო ორგანიზაცია — „კოლხიდმშენი“, რომელმაც დაიწყო მუშაობა საუკუნეების მანძილზე დაჭაობებული მიწების გასაჯანსაღებლად.

პირველ რიგში დაშრობის სამუშაოები ჩატარდა ფოთის, ხობის და ცხაკაიას რაიონების მიწებზე, რომლებიც მაღარის წარმოშობის ძირითად კერებს წარმოადგენდნენ. მოისპო კოლო, მაღარია — ეს დიდი მტერი მოსახლეობისა და კოლხეთის მიწის თვალსაჩინო ნაწილი ხალხის სამსახურში ჩადგა. დაბლობის 220 ათასი პეტარიდან დღიერისათვის 70 ათასი პეტარიდაში დაშრობილი.

ამ მიწებზე შეიქმნა ახალი საბჭოთა მეურნეობები (ტეხურის, ინგირის, ფოთის, და სხვა), რომლებიც კარგად იყენებენ მიწებს და ტექნიკური კულტურების მაღალ მოსახლე იღებენ.

კოლხეთის დაშრობილი მიწების ზოგიერთი ფართობი ჯერ კიდევ გამოუყენებელია იმის გამო, რომ არ განსორციელდა მთლიანად ათვისებისათვის ყველა საჭირო ღონისძიება (ტყებურქებანარების ამოძირვა, ფართობების მოშანდაკება, მოსახლეობის სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფა და სხვა).

დაშრობილი ფართობების სრულყოფილად ათვისების მიზნით მიმდინარე ხეთწლიანი გეგმა ითვალისწინებს არსებული სისტემების რეკონსტრუქციას. პიდროტექნიკური მელიორაციის სამუშაოებთან ერთად განსრახულია გზების მშენებლობა, მეურნეობების სასმელი წყლით და ელექტროენერგიით მომარაგება, ფართობების გაწმენდა-მოშანდაკება და სხვა საჭირო ღონისძიებათა გატარება. გარდა ამისა, 24 ათას პეტარ დაჭაობებულ ფართობზე ჩატარდება სამელიორაციო სამუშაოების მთლიანი კომპლექსი. ყველაფერი ეს კოლ-

ხეთის ნაყოფიერ მიწებზე ჩაის, ციტრუსების, დაფნის, ეფერზეთოვანი და სხვა ძეირფლასი გულტურაბის განვითარების საჭირო პირობებს შექმნის. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება უახლოეს წლებში დავაგმაყოფილოთ სატოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილება ჩაისა და დაფნის ფოთოლზე.

წყლით უზრუნველყოფისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდება საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე; 60 ათას პეტრარზე დაიგება ახალი წყალმიმყვანი ქსელი, 200 ათას პეტრარზე კი გაუმჯობესდება არსებული სისტემები.

წყალსამუშაოერნეო მშენებლობის ასეთი დიდი პროგრამის მოითხოვს მძღავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა წარმოების ობიექტების აშენებას; მშენებლობაში, განსაკუთრებით სარწყავი ქსელის მოწყობის საქმეში, მექანიზაციისა და ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვას.

განზრახულია საირიგაციო მშენებლობაში ასკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება. ამიტომ, გარდა არსებული საქართოებისა, გათვალისწინებულია ახალი ქარხნებისა და პოლიგონების მშენებლობა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

ასე მაგალითად, თელავში წელს დაიწყო რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მშენებლობა. ასეთივე ქარხანა ნავარაუდევია აშენდეს კოლხეთის ზონაში, რომელიც მოემსახურება დასავლეთ საქართველოს მშენებლობებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე დიდი რაოდნეობითაა მიღებული მიწისმთხოველი მექანიზმები. საგრძნობლად გაიზარდა მანქანა-იარაღების არსებული პარკი, რომლის ნორმალურ ექსპლოატაციას მძღავრი შემკვეთებელი ბაზებიც სჭირდება.

ამ მიზნით თელავში დაიწყო დიდი სარემბო-ტექნიკური ქარხნის მშენებლობა. შედგენილია ტექნიკური დოკუმენტაცია ასეთივე საწარმოო ბაზის ასაშენებლად დასავლეთ საქართველოში. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ნავარაუდე-

ვია შემკვეთებელი სახელოსნოების მოწყობა და მათი სათანადო დანადგარებით უადგინდება უკურვა.

მექანიზაცია და სამუშაოთა ინდუსტრიალიზაცია წყალსამუშაოერნეო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელების ძირითადი ფაქტორებია და ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეცეს.

კაპიტალური მშენებლობის დასახული პროგრამის განხორციელების შედეგად სარწყავი და დაშრობილი მიწების ფონდი რესპუბლიკაში 1970 წლისათვის 580 ათას პეტრარზე გაიზარდება, 1975 წლისათვის კი — 800 ათას პეტრარს მიაღწივს. მათი სწორად გამოყენება მყარი და უხვი მოსავლის მიღების პირობას შექმნის; ამიტომ მშენებლობასთან ერთად უპირველეს ამოცანად მიწების რაციონალურად ათვისების საქმე უნდა იქნეს მიჩნეული. ამ მიწებიდან მიღებულმა პროდუქციამ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აანაზღაუროს სახელმწიფოს მიერ დახარჯული თანხები.

მიწების რაციონალურად გამოყენების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. შევეხებით ვარკეთილის მეურნეობის საპტოთა მეურნეობას, რომელიც ზედა სამგორის სარწყავი ფართობის ბაზაზე შეიქმნა 1957 წელს. ამ მეურნეობამ უკანასკნელი თხის წლის მანძილზე მიღებული მოგების სასით აანაზღაურა სარწყავი ქსელის მოწყობაზე გაწეული ხარჯები. მიუხედავად რთული რელიეფური პირობებისა, აქ სარწყავ წყალს საუკეთესოდ იყენებენ. მეურნეობის ხელმძღვანელობა თავიდანვე ყურადღებით მოეკიდა შიდასამეურნეო ქსელის მოწყობისა და მისი მოვლა-პატრიონობის საქმეს, ამის შედეგადაც შეიქმნა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად რწყვის დაწესებულ ვადებში და ნორმების დაცვით ჩატარების მტკიცე ტრადიცია.

1965 წელს სარწყავ მიწებზე რესპუბლიკაში საშუალოდ მიღებული იყო 347 ცენტრერი შაქრის ჭარხალი, ხოლო გორის რაიონში 895 პეტრარი შაქრის ჭარბლის ნათესიდან — 466 ცენტრერი. ეს სანაქებო მაჩვენებელია, მაგრამ ამ რაიონში ცალკეულ კოლმეურნეობებს კიდევ უკეთესი, სარეკორდო მონაცემები აქვთ. მაგალითად,

სოფელ ფლავის კოლმეურნეობამ ყოველ პეტარზე საშუალოდ 912 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყანა.

აქ კარგად ებრძვიან სარეველებს და ჭარხლის მანებლებს, დროულად ამუშავებენ ნიადაგს და იცავენ რწყვის წესებს. ამ კოლმეურნეობაში რწყვისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად გატარებით ხილის, სიმინდის, ორბითს და ბოსტნეულის მაღალ მოსავალს იღებენ.

რესპუბლიკის ზოგ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რწყვის საქმეს სათანადო ყურადღება არ ექვევა. დროულად არ ამზადებენ შიდასამეურნეო სარწყავ ქსელს, მრწყველებს. ამის გამოც შედარებით დაბალია მოსავლიანობა.

რწყვა მეტად საპაუზისმგებლო და შრომატევადი საქმეა. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საჭიროა მეურნეობაში საგანგებო ბრიგადები არსებოდეს. მრწყველთა ბრიგადა მეტად მნიშვნელოვანი რგოლია მიწათმეტებაში და ამიტომ მისი როლი უნდა ამაღლდეს.

მრწყველთა მუდმივი კადრების მომზადების, მათი შრომითი ანაზღაურებისა და წახალისების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიერცეს. შრომის ანაზღაურებაში ფართოდ უნდა შემოვიდოთ სანარდო სისტემა და წახალისების ყველა სახეობა.

გარდა ამისა, საჭიროა ყველა მეურნეობას ჰყავდეს კვალიფიციური სპეციალისტები — მელიორატორები, რომელიც უხელმძღვანელებენ სარწყავი ქსელის მოვლა-პატრონობას და რწყვის ჩატარებას წყალსარგებლობის დადგენილი წესების მიხედვით; მეურნეობის აგროპერსონალთან ერთად უზრუნველყოფენ რწყვისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის ერთობლივ გატარებას.

ახლანდელ პირობებში მიწების მეღლი-რაცია გახდა ჩვენს ქვეყანაში მყარი სასტატისტიკური მომენტის შექმნის ძირეული პრობლემა. იგი ემყარება მეცნიერებისა და პრაქტიკის ოეალურ შესაძლებლობებს. სამელიორაციო სამუშაოების განხორციელების ეს პროგრამა მოითხოვს დიდ შრომას, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებას, მცნიერებათა მიღწევების გაძლიერებად დანერგვას.

ყოველივე ეს ასე დაწვრილებით იმიტომ მოვუყევით „ცისკრის“ მკითხველებს, რომ გვინდა ქართული მწერლობაც, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩავაყონთ საქმის კურსში. წყალთა მეურნეობის მუშაკთა დიდი არმია ჩუმად, უხმაუროდ, მაგრამ გმირულად შრომის თავის უბანზე, თავისი ნათელი წყლილი შეაქვს საერთო-სახალხო საქმეში. ჩვენი სურვილია მხატვრული სიტყვის ისტატები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა პროზაიკოსები და პოეტები, საფუძლიანად გაეცნონ წყალთა მეურნეობის ფრონტის მოწინავე ადამიანებს, მთელ ქართველ ხალხს გააცნონ მათი შთაგონებული, საშეიძლიშვილო შრომა, გაამხნევონ და წაახალისონ ისინი.

ბუნებრივია, ჩვენს საქმიანობაში საკმაოდ ბევრი ნაკლოვანებაცა გვაქვს. თუ ამ ნაკლოვანებზეც ვიღლაპარაკებთ ჩვენს ლიტერატურულ პრესაში, უთუოდ მისასალმებელი საქმე იქნება.

ორივე შემთხვევაში გულითადად მაღლობელნი ვიქნებით ჩვენი საყვარელი მწერლებისა.

ჩვენი აზრით, ქართველი მწერლებისა და წყალთა მეურნეობის მუშაკთა მტკიცე, შემოქმედებითი მეგობრობის თაოსანი უზრნალი „ცისკარი“ უნდა გახდეს.

# საქართველოს კულტურული მუზეუმები

საბჭოთა კავშირის მცხადათა IV ყრიელის შესახებ

ოგი აკაკი გოგია

## «ჩემი მეგობარი ნოდარი»

„ქალაქ აიას შესანიშნავი გეოგრა-  
ფიული მდებარეობა აქვს. იგი გაშენე-  
ბულია მდინარე ფაზისის ორივე მხა-  
რეს. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან ას  
ოცდახუთიდან სამას მეტრამდე მერ-  
ყეობს. — „ჰავითა და წყლითა მშენენ,  
თვალთა ქვეშე შევნიერი ადგილი, ზაფ-  
ხულ გრილი. ზამთარ თოვლიანი და  
იოლ გასაძლიოს“.

მეოთხეულს აღბათ არ გაუჭირდება  
მიაგნოს რუქაზე აიას. ეს ძევლთაძვე-  
ლი ქალაქი კვლავ იქ დგას, საღაც  
ოდითგანვე იდგა.

ქალაქ აიას ისტორიას ახლახან ერ-  
თი მცირე ზომის, ლამაზ ყდაში ჩამოუ-  
ლი წიგნი შეემატა; უპრეტენიო და  
საღა, ირონიული და მოცინარი. წიგნი  
ჰვავს ქალაქ აიას — იყით და კარგით,  
სევდით და სიცილით, სტილით.

ჩეზო ჭეიშვილის რომანზე „ჩემი მე-  
გობარი ნოდარი“ კიდევ დაიწერება,  
მას აღბათ დაიწუნებენ და ხოტბასაც  
შეასხმენ, რადგან იგი შემოქმედის და-  
წერილია და არ არის მათემატიკური

ფორმულა, რომ მხოლოდ ერთი ამოხუ-  
ნა ჰქონდეს.

ჩეზო ჭეიშვილს საოცრად უყვარს  
თავისი აია, უყვარს მწერლის სიყვა-  
რულით, უმირაჟოდ. მას მხოლოდ აიას  
პროსპექტები და ბაგრატის ტაძარი რო-  
დი აღაფრითოვანებს, უპირველეს ყოვ-  
ლისა, აიას ხასიათი იზიდავს; ოდნავ  
იღუმალი, დამცინავი და თეატრალუ-  
რი, მაგრამ მშრომელი და შემოქმედი  
ქალაქის ხასიათი.

თუკი შეიძლება ქალაქზე ასე ითქვას,  
აია თითქმის პერსონიფიცირებულია,  
მწერალი ჯერ მასთან ამყარებს ემცი-  
ურ კონტაქტს, შემდეგ მის მკვიდრთა  
შესახებ გვიამბობს, როგორც ქალაქის  
ხასიათისა და სახის კომპონენტებზე.  
ამიტომაა რომანში პარალელური სიუ-  
ჟეტები, ბევრი პერსონაჟი და ფრაგ-  
მენტი.

აიაში ჩადიან რომანის გმირები —  
უყვართ, მარცხდებიან, იმარჯვებენ.

აია (გმირებთან ერთად) ელის ვინმე  
მეთოდეს, თითქმის მითიურ პიროვნე-

ბას, რომელიც აუხდენელ ოცნებას ჰევის — მოდის და ვეღარ მოსულა.

აიში ჩამოდის საშემოდგომოდ სოსკი წითლიძე. რათა ერთხელ კიდევ გაიაროს ბალახვანზე, დალიოს ბალდადის ლეინ, იწუწუნოს სიბერის გამო და მშობლიური ქალქის სითბოთი, სავსე კვლავ დაუბრუნდეს შორეულ მხარეს.

აიში გაიზარდა ულამაზესი ასულა ია, გაიზარდა და საკუთარმა სილამაზემ დაბნია, იქნებ სწორედ აიას ბრალია, ქალმა თავისი შვევნიერება მეშეჩანბის საკურთხეველზე რომ მიიტანა.

და აიში ეძებს ნოდარ პირველი თავისი ინტერესების გასაქანს; ირონიული და მომლიმარე აია სულ მალე დარწმუნება ჭაბუქს მისი პრეტენზიების უსაფუძვლობაში.

ქალაქი ცხოვრობს, ზოგჯერ წვიმების გულისწამლებ ბურუსში იძირება, ხანაც სააბალწლო სათამაშოსავით ირთვება ვეება ფარტელებით.

ქალაქი ამაყობს შრომისაგან ხელებდაკოურებული აღამიანებით, საავტომობილო ქარხნით, უმაღლესი სასწავლებლებით, ტექნიკუმებითა და საწარმოებით. აიღლებსაც ღრმად უყვართ თავისი აია; ძევლთაძეველი და ახალგაზრდა, თავისებურად პერიანი და დარღიმანლი, მომლენი და მშრომელი, ხშირად გესლიანიც და მაინც კეთილი, სამართლიანი, „თვალთა ქვეშ შვენიერი“.

## ●

პირველი მოულოდნელობა პროლოგია. ასეთი პროლოგებით სარაინდო და სამოძღვრებო რომანები იწყებოდა ოდესლაც. ეს იყო ერთგვარი დაპირება-წინათქმა, მიმართვა მფარველი-საღმი, ლიტერატურული პოზიციის დადგვნა, პოლემიკა და ა. შ. კომპოზიციური „სიძეელე“ ახლებურად აქლერდა. რეზო ჭეიშვილი მიმართავს აიას და აიას მქვიდრთ, მისი დაპირება გარკვეულია და არავითარი ორაზროვნება არ ახლავს: „რადგან ყველაფერი

სუფთა, გულწრფელი, უკვე განცცილებული, გადატანილი, მაგრამ გულის ჭარბობის სათუთად შენახული, წარსულმაჲვეულებას ნის და მის გაცოცხლებას, მით უფრო, სააშვარაოზე გამოტანას არ ცდილობენ, ამიტომ გასაგები იქნება. თუ რატომ ატექნის გულს ბევრს ეს წიგნი, ბევრს ირონიულ ღიმილსაც მოჰკვრის. ...პატივცემული ავტორი მიინც გაკადნიერდება და იტყვის, თუნდაც ამისთვის თეთრი ხილიდან გადაგდება დაუპირონ ისევე, როგორც ერთხელ ეს ერთ პატიოსან მწერალს მოუნდომეს“.

პროლოგში რეზო ჭეიშვილი ნათლად აყალიბებს თავის დამოკიდებულებას თემისადმი, თავის იუმორისტულ თვალსახრისს.

ბოლო დროს ჩვენ იუმორს ფრიად თავისებურად ვეპყრობით. მახვილ-სიტყვაობას, ხუმრობასა და ქილიკულიტერატურულ იუმორად მიგიჩნევთ. ვეძებთ მხოლოდ გაცინების საბაბს და თუ სხვა მოსაზრება წარმოიშვა, თვითვე დაკინით, როგორც უნიადაგო პრეტენზიასა და პოზიორობას.

ასე კი?

პერბერტ უელსის სიტყვებია — ირსებობსო ე. წ. საოჯახო იუმორი. მიხვალ სტუმრად ოჯახში, სუფრასთან მიგიგვევნ... ვინმე ერთ სიტყვას იტყვის ან რაიმე საგანს მიუთითებს და ყველა სიცილით კვლება. შენ კი გაოგნებული ზიხარ და ვერაფერი გაგიგია, რადგან ეს იუმორი ოჯახურ მოვრნებებთანა დაკავშირებული. ამდენად მხოლოდ ოჯახის წევრებისთვისაა გასაგები.

ჩვენც ზოგჯერ ასე ვვემართება, ოჯახური იუმორის ლიტერატურულ ფაქტად გამოცხადება გვსურს.

რეზო ჭეიშვილის იუმორის ლიტერატურული ღირებულება უდავოა (თუმცა ისიც უხდის ხარჯს ანეკდოტსა და იაფედასიან ეჭვეტს). მწერალი ხშირად ხუმრობს, ქმნის სასაცილო სიტუაციებს, მაგრამ ეს მაინც არ განსაზღვრავს მისი იუმორისტულ თვალთახდევას. იუმორი მოვლენათა შეფასებისას, უფრო სწორად, მოვლენათა მსვლელო-

ბაში იჩენს ხოლმე თავს და უიმედო ვითარებაშიც კი იმედის ნაპერწყალი შეაქვს. ამავე დროს იგი სევდიანია, სავსეა წუხილით ადამიანების ბეღზე, მათ ნაკლა და სისუსტეზე, ოღონდ ეს წუხილი ნაკლის შელამზების სურვილურიდი იშვევს, პირიქით, მწერალს აღიზიანებს ადამიანური სისუსტე და მის სატრუტ გაზვიადებასაც არ ერიდება. მისი წუხილი ლრმაა, მისივე სიტყვებით რომ ვთქავთ, „გულის ფსკერზეა შენახული“, მისი დამოკიდებულება გმირებისადმი (სასაცილონი არიან ისინი თუ არა) ყოველთვის გულისხმობს მოქალაქეობრივი მოვალეობის პრინციპებს. რეზო ჭეიშვილი ან უარყოფს, ან მხარს უჭერს, ოღონდ ყოველთვის იღმება გამგები, სევდიანი, ხშირად გესლიანი და დაუნდობელი ღიძილით. მას ეს ღიძილი შველის შეინარჩუნოს ურუევა პოზიცია, თუ გნებავთ, ხალისიც.

●

სასაცილო რომანის მთავარი გმირა ნოდარ პირველი და იმიტომ კი არ არის სასაცილო, რომ ხშირად უხერხულ შველმარეობაში ვარდება, სასაცილოს მისი სურვილებისა და შესაძლებლობების შეუსაბამობა ქმნის.

ამ ჭებუებს უამრავი რამ სურს: სპორტული დიდებაცა და ხელოვანის სახელიც, ღონ უუანის გვირგვინიცა და მეცნიერების მწვერვალების დაპყრობაც... ერთი ჩვეულებრივი ბიჭია და მაინც არ არის ჩვეულებრივი, რადგან სურს საკუთარ თავს გაეჭცეს და ყოველთვის დაუძლეველ სიმაღლეებს ეტანება. იგი რომანტიკოსია (ღონ კიხოტიცაა, აივლი ღონ კითოტი), არაორგანიზებული კაცია, მაგრამ შრომაც იცის, სიყვარულიც და გულისხმიერი მეგობრობაც.

იგიც წითლიძის შეკითხვაზე — აქეთებს თუ არა ნოდარი ქარხანაში რამეს — მთავარი ინჟინერი ბაზად უპასუხებს:

— „კი აეთებს, საქმეც ესმის, ნიჭიერი კაცია, თუმცა...“ —

სწორედ ეს თუმცაა ყოველ სიავე-

თა სათავე. გამოცდილი ბაზაძე ხვდება, თუ რა დგას ამ სიტყვის მიღმა, მათთვის ლა, იგი ფრჩხილებს არ ხსნდს, შეგროვება იგრძნობა, რომ ნოდარს ბოლომდე არ ენდობა. ეს „თუმცა“ აწვალებს ნოდარ პირველს, კედლებს ანარცხებს, ხელს უცარავს...

რ. ჭეიშვილი თანმიმდევრულად, ცოტა არ იყოს თვითმიზნურადაც კი, ვაყუება თავისი გმირის ფათერაკიანი ცხოვრების ამბავს. ჯერ იყო და ნოდარ პირველი ფეხბურთის მატჩის „გმირი“ გახდა, მალე სატრფოც გაუთხოვდა, ვერც ლომიშალაზე ისახელა თავი მაინც დამაინც — შუაგულ სცენაზე დაეცა. ბოლოს ქარხანაში ხანძარი გააჩინა, თვითონვე ჩააქრო, მაგრამ ყბა და ხელი მოიტეხა...

ერთი სიტყვით, მწერლის მიერ საღულდაგულიდ შედგენილი პროგრამა სრულად ამოწურა. ეს ხაზი თუმორისტულია, რამდენადმე თვითმიზნურიც. მეორე მოულოდნელობა ფინალია, საღაც ჩანს, რომ ნოდარ პირველი ცოცხალი აღარა. მოულოდნელობაა იმპოტომ, რომ მიუხედავად ამდენი მარცხისა, იგი თითქოს მაინც არ უნდა დაღუპულიყო, არ იყო მის ხასიათში არა-ფერი ტრაგიული. ცხოვრებაში, რასაკვრეველია, ასე ხდება, მაგრამ რომანი მაინც მოითხოვს წინასწარ მკითხველის შემზადებას, ფაქტის გამართლებას.

თუმცა რ. ჭეიშვილი ამ გამართლებას ხედავს, რაც საკმაოდ რთულ ფსიქოლოგიურ კომპლექსთანაა დაკავშირებული. ნოდარ პირველი სასაცილო, მაგრამ იგი „მშენიერია“ (პრაქტიკული უსუსურობისა და სულიერი სილამაზის ასეთი გაერთინება დოსტოევსკის ეკუთვნის — „იგი (ღონ კიხოტი) მშენიერია მხოლოდ იმიტომ, რომ იმავე დროს სასაცილოა“). თუ რამდენად ტრაგიულია ასეთი შერწყმა, ამის გარჩევას ნუ შევუდგებით. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მწერალი წინასწარ აღებული ფორმულით ხელმძღვანელობდა, მაგრამ იგი უდავოდ გრძნობდა ამ როუ-

ლი კავშირის ლოგიის, სწორედ ამიტომ გადადგა ეგზომ გაბეღული ნაბიჭიც.

ავტორი თავის დამოკიდებულებას ვმირისადმი ბოლოსიტყვაში აყალიბებს:

— „ხომ არ მოეჩენება ვინმეს, რომ შეცდომა იყო რაც შენ გააკეთე? რატომ მოინდომე ყველაფრის თავიდან დაწყება? ახლა ვის შეუძლია იმის თქმა, რომ ამას სხვებიც შეძლებენ. იქნება მხოლოდ შენს გულში შემონახულ სითბოს და სიკოცხლეს შეეძლო სიყვარულისა და ცხოვრების განმეორება? თუკი ყველაფერი ასე დასრულდა, მერე რა?! შენ ხომ არ იცოდი, რომ ეს შეუძლებელი იყო. გამსჯის დრო ახლა აღარაა, ყველაფერი დამთავრებულია... რაც მიდის, ის აღარასოდეს ბრუნდება.

სამწუხაროა, რომ საყველურსაც ვერ მეტყვი.

მე დავწერე ის, რაც გამახსენდა... ვიცინ მე თვითონ, მაგრამ ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ სხვებმა დაგვცინონ... ჩვენ არც შეპრალება გვინდა ვინმესი“.

●

ალიოშა გუბელაძე რომანის კიდევ ერთი „სასაცილო“ პერსონაჟია — ალექსოლიკი, დაავადებული დიოცისმანით, ქელექებისა და გასვენებების ხშირი სტუმარი, კაცი, რომელიც დღო-თადღე კარგავს სახელსა და პატივს.

აქ უკვე სხვა მოტივი, სხვა ფსიქოლოგიური არგუმენტაცია მოქმედებს. ალიოშა გუბელაძე დიდი ისტორიული და სოციალური მოვლენების მონაწილეა და მისი პირადი ბედიც ამ მოვლენებმა განსაზღვრეს.

ერთ დროს გუბელაძე სასიქადულო ვაჟაცი ყოფილა და თავის საქმესაც თურმე წარმატებით უძლოდა. მერე ფრონტზე მოხალისედ წასულა, მრავალგზის დაჭრილა, უნახავს ტყვეობისა და საკონცენტრაციო ბანაკების საშინელება. მაინც დაბრუნებულა გაუ-

ტეხელი ვაჟაცი და კვლავ თავის // ქმეს შესდგომია.

მერე კი ალიოშა გუბელაძე / ნიათ“. უგზო-უკვლილდ დაკარგული რამდენიმე წლით, ისევ დაბრუნებულა, ოლონდ ახლა მოტეხილი და დაბატუნებული.

გარეგნულად ალიოშა ჩვეულებრივი აიელია, ქეიფის მოყვარული და ენაკეიმატი. სხეულში გამჯდარი ალფონსო არ ასვენებს, აქეს „რემისიის“ დღეები და მაშინ უღვთოდ იტანჯება. ესაა და ეს. მაგრამ ალიოშა გუბელაძის დრამა უფრო ღრმაა და რთული, იქნება ეს თავიდან მოუცილებელი გაოცების კრძნობაა, თავსდამტყუდარი უსამართლობა რომ იწვევს. იქნება ალიოშა იმან გატება, სიმართლე რომ დაუკარგეს. ყოველ შემთხვევაში, დაბრუნების მიზე პროცესი ამ კაცმა ვერ გადაიტანა. სხვა იყო ფრონტი და ტყვეობა, მაშინ ალიოშამ იცოდა, რისთვის იბრძოდა და რისთვის იტანჯებოდა. სულ სხვა იყო ის უაზრო წლები, სამშობლოს რომ მოწვევიტეს, უმიზეზოდა და უმიზნოდ ამარტვილეს. ამას კი ვეღარ გაუძლო ვაჟაცაცმა. მართალია, ბოლოსიდაბოლოს შაინც დაბრუნდა აიაში, მაგრამ სწორედ ამ დაბრუნების ახასიათებს ერთი თავისებურება, უფრო სწორად, სიძნელე. კაცი ჩამოვიდა, დაბრუნდა ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად კი იგი ასე უცებ ვერ დაბრუნდებოდა. ფიზიკურ ჩამოსვლასა და წარსულის მოვონებებიდან განთავისუფლებას შორის ჩინდება შუალედი, დროის მონაკვეთი. კაცს პასუხეულები კითხვები აწუხებენ, იგი თითქოს ინერციით ცხოვრობს. ეს კრიზისია და სწორედ ამ დროს ჭირდება მას დიდი გულასხმიერებითა და ტაქტით მოცკრობა, რათა არ გაუჩნდეს უნდობლობის გრძნობა აღამიანებისადმი; არ იფიქროს, რომ იოლად გაწირეს და უკან დასაბრუნებელი გზა გადაუღობეს; არ დაკარგოს შექმნილი ვითარების საღად შეფასების უნარი. მან არ უნდა დაიგვიანოს და დროშე ალიფინოს სულიერი წონასწორობა, რწმენა

და იმდენი. ალიოშა გუბელაძეს, როგორც ჩანს, სწორედ ამ ძნელ უაშს და აკლდა მხარდაჭერა და შეძახება. იგი ოლი გზით წავიდა, ჯერ ერთი უფიქრო დამე დასტუუა ცხოვრებას, მერე მეორე, შემდეგ კი ბურანში ყოფნა მოთხოვნილებად გადაეჭერა, რადგან დაუფრთხა ფიქრს, შეუშინდა ადამიანებს. და მანც, ალიოშა არ არის ოლად გასაჭირი კაცი, მისი ბუნების საფუძველი საღია და გამძლე. ალიოშა ოვითონ პოულობს ხსნის გზის. შეილი — ის ის ძალა, რამაც იგი ნორმალური ცხოვრებისკენ უნდა შემოაბრუნოს და ალიოშა გუბელაძეც წვალებით, ნებისყოფის დიდი დაძაბვით ბრუნდება უკან. ბრუნდება ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად. მას კიდევ ელის მყარი და საიმედო ადამიანური ბეღნიერება.

•

გივი წითლიძეს წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (ჩვენ გმირებზე საუბარს დაახლოებით იმავე პრინციპით ვიწყებთ, როგორითაც ავტორს შემოჰყავს ისინი რომანში, შეუშიადებლად, რემარკების გარეშე, უცებ, — „ამისობაში ალიოშა გუბელაძეც მოვიდა“, „ქუჩაში ია წითლიძე და მისი მეცობარი გოგო გამოჩნდნენ“ და ა. შ. ამ შემოსელასა და გამოჩნას არავითარი ექსპოზიცია არ უძღვის. ავტორი პირველად რამდენიმე პორტრეტულ შტრიხს ან დაზიანისათვებელ მოძრაობას გვიჩვენებს, შემდეგ კი უშუალოდ მოქმედებაზე გადადის. პეტონაცეცხის ასეთი დრამატურგიული გამოჩენა არავითარ უხერხელობას არ ქმნის. რომანი მცირე მოცულობისაა, რაც მოქმედების რიტმისაც განაპირობებს).

რეზო ჭეიშვილის ყველა გმირის მკითხველი კარგად ხედავს, ყველაზე ძნელი „დასანახია“ გივი წითლიძე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებისა და მსჯელობის ხაზი მასთანა დაკავშირებული. ფაქტორად გივი პირველი პირის, მთხოვნელის ფუნქციებითაა აღჭურვილი, იგი ყველაზე უფრო ახლოს დგას ავტორთან (იქნებ ამის გამოცაა

ნაკლებ პლასტიკური). გულწრფელად რომ ითქვას, გივი ნაკლებად იწვევს მსჯელობის სურვილს. ამ სახის განვითარება ხორცი და სისავსე, როგორც ხასიათი, იყი თითქოს მომავალში უნდა დასრულდეს, ჯერჯერობით კი ერთგვარი სექმატური დადგებითობის იერი დაპკრავს.

•

ტიტე ვაჩაძის ოჯახი გარკვეულ სოციალურ „ფენას“ ეკუთვნის. აიაში არსებობს ასეთი „ფენები“: ნონიკო რიკრიკაშვილი და მისი მეზობელები, ტრიპოლისკი ამფსონებით, ტიტე ვაჩაძე...

ტიტე ვაჩაძის ოჯახის ისტორია ცალკე თემაა და საქმაოდ დიდი თემაც. რ. ჭეიშვილი მას თითქოს გაეცრით ეხება, მაგრამ ძნელი არ არის გამოყოფა იმ ხაზისა, რომელიც ჩვენს ყოფაში ჭერკიდევ არსებულ ზოგიერთ მოვლენას საქმაო სიცადით ასახავს.

მანც რაა ის დამახსიათებელი, რაც ტიტე ვაჩაძის ოჯახსა და მის შრეს ცალკე გამოჰყოფს? მესაკუთრული სიხარულე და მომხევეჭელობა, ეგოიზმი და საქმოსნობა, რომლის ეკონომიკური და მორალური საშეისიც ბურუსითაა მოცული..

ტიტე ვაჩაძე და მისთანანი კანონს ისე არ აღღვევვი, რომ უცებ გამოიყვანო სააშეარაოზე. რომანში არაფერიანითქვამი ტიტეს საქმიანობაზე, არც ის წყაროა მითითებული, რისი მეოხებითაც ტიტეს ოჯახი ეკონომიკურად ასე მოძლავებრდა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ვაჩაძისა და მის ახლობელ („სულიერად“ ახლობელ) ოჯახებს კასტროვი ინსტინქტებიც კი გაჩენიათ; ერთმანეთისკენ იწვდიან ხელს, ნათესავდებიან, მეობრდებიან... ერთი სიტყვით, აიელი ფარსაიტები ბრძანდებან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფორსაიტების საკუთრებას კანონი იცავდა, ვაჩაძის საკუთრება ასე ხელშეუხები როდია, რაც კარგად იცის, მაგალიდათ, ტრიპოლისკი და თამაშად დასცინის ვაჩაძეს.

რ. ჭეიშვილი არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რა გზით, რა „მანქანე-

ბით“ დაგროვდა ვაჩაძეების დოკუმენტი. იგი მხოლოდ სხვათა შორის ისტენებს, რომ ერთ დროს ტიტესთვის კაცის მოქვლაც არ იყო დიდი პრობლემა (აյგ სიკვდილის წინაც წამოიძახებს ვაჩაძე: სიკვდილო, მე სხვას ვკლავდი და შენ მე მკლავო!). ეს საკამარისი დეტალია იმისათვის, რომ მკითხველმა კარგად წარმოიდგინოს ტიტეს ოჯახის მორალური და ეკონომიური „ისტორია“.

ამ ოჯაშში გაიზარდა ია წითლიძე — ულამაზესი ქალი აიაში, ამ ოჯახმა განაბირობა მისი ბედი. იას ცხოვრება ტრადიციულია და ნაცნობი, თავისითავად იგი არც კიკობზიკა და არც გამომწვევი. თავშეკავებული და სათნო ქალია, მაგრამ მას საკუთარი სილამაზე აწევს მძიმე ტვირთად, თუნდაც იმიტომ, რომ ვაჩაძეებისა და, თუ გნებავთ, თორნიერს (იას ქმრის) მორალით სილამაზე ის ღირებულებაა, რასაც შეიძლება ნივთივით ფლობდე. ეს თვალსაზრისი ორიგინალური და ახალი როდია, თლითგანვე ასეთი იყო მესაკუთრული ინსტინქტი, იგი არ არჩევდა ნივთსა და სულიერ ფასეულობას, სწორედ მითომა სახიფათო და, თუ გნებავთ, ტრაგიკულიც. მწერალი თანაუგრძნობს იას, რომლის მომავალიც გარევულია, რადგან კანონზომიერების ურყევი ხაზით ვითარდება და მწერალი ამ ხაზის ხელოვნურ გაწყვეტას ან გახრას არც ცდილობს.

ჭრვიანი და ფრთხილი ვაჩაძე არავის არასოდეს არ ატანს ძალას, მაგრამ ტიტეს ძალა სწორედ ისაა, რომ თავისთვის სასურველ ატმოსფეროს ქმნის და პასიური იაც, თითქოსდა შეუმჩნევლად, თავისი ნებითაც კი ემორჩილება ოჯახის სურვილს.

იას პორტრეტი ავტორმა რამდენიმე ფრაზით დასრულდა.

„ია შესამჩნევად იყო შეცვლილი, თითქოს დაქალებულიყო. თბა ოქროს-ფრად შეეღება და ზევით აეკრიფა. ლამაზი თითები ბეჭდებით გაეცსო, მაგაზე მსხვილი ოქროს სამაფური კეფითა“. ქალი ზის თეატრის ლოჟაში, მეუღლე მის

გვერდით მოდარაჯესავით მოკალოთუ ბულა. ნაცნობია ეს სცენა და ნაცნობია მისი შინაარსიც. ამ მორალური და დამატებული ცხების (და ეკონომიური „გამარჯვების“) ლიტერატურული განსაზიერებაც არ არის ორიგინალური და ახალი. მიუხედავად ამისა, იგი ჩვეულებრივი რემინისცენცია როდია. ამ გამეორებას ძვეს გამართლება, იგი ამძაფრებს მხილების, პროტესტის ტონს.

ცხოვრობდა ოდესაც პატარა ბიჭი, მწყემსავდა თავის კუჩას და ალმასას. სუვში ჩაკარგული, ქვევიდან შესცეროდა მთაზე მიმავალ მატარებლებს და ოცნებობდა გზებზე, მატარებლებზე...

მერე ცხოვრების გზას დაადგა, თამაშად, გარკვეული პრაქტიკული მიზნით. თითქმის ყველა სურვილი აისრულა ამ ქვეყნად. ბოლოს მის ცხოვრებაშიც დარჩეკა „გლოვის ზარებმა“ და ახლა, სიკვდილის წინაშე, ბურანში ღრმად ჩაფლული კარგად გრძნობს, — რის-თვისაც ცხოვრობდა, ახაფერი არ ყოფილა: მან მხოლოდ თავისი სურვილები დაიკმაყოფილა, თავისი ცხოვრებით იცხოვრა, სხვებისთვის არაფერი გაუკეთებია.

ტიტე ვაჩაძე კვდება და სიკვდილის წინ ახსენდება, „როგორ აღწევდა მიზნებს; თანდათან, თანდათან ისრულებდა ყველა სურვილს. ჰეონდა სახელი, ავტორიტეტი და ფული. ფული არც იმდენი, როგორც სხვებს ეგონათ, მაგრამ იგი მაიც მისი იარაღი იყო. ტიტე ვაჩაძეს ჰეონდა კარგი ბანი და მოლხენაც იცოდა... როგორ იფიქრებდა თუ მოკლებოდა. ეგონა, მისი ცხოვრება სულ პატიობის მიდიოდა. არც უფიქრია, არც იცოდა სად, როდის შეწყდებოდა ეს გზა.

„ამისათვის, ამისათვის! რა მოვიპოვე? რა შევიძინე? რა მიმაქვს? სად მივდივარ?!”

რა დატოვა ამ ქვეყნად ტიტემ? სასადილოს გმიგისა და აშოღლარი ტრიპოლის ცინიზმი — ვაჩაძის ოჯაში გასუქებული გოჭი მყავსო, ბატონო! —

დასევდიანებული და დაბნეული მეულე, ერთი-ორი ამფსონი, დუღუებით რომ გააცილეს ამ ჭვეუნიდან და შეტი არაფერი.

კითხულობ და გჯერა, გჯერა თითქმის ყველაფერი, რასაც ავტორი მოგოთხობს და რაა ის მთავარი, რის მეოხებითაც რეზო ჭეიშვილი ამ დამაჯერებლობის აღწევს?

აქ შეიძლებოდა რამდენიმე დეტალის ჩამოთვლა, რაც ბელეტრისტული ოსტატობის დასაბუთება იქნებოდა. შეიძლებოდა ენობრივი ლაფსუსების, კომპოზიციური სიმყიფის, ხელოვნური სიტუაციების მითითებაც, რაც სწორედ ოსტატობას გახდიდა საკამათოს. ნაწარმოების ყოველმხრივი ანალიზიც არ იქნებოდა ზედმეტი, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს რეზო ჭეიშვილი საქმაო გულგრილობით ეკიდება (მაგალითად, ენას), მაგრამ ნაწარმოების შეფასებასაც აქვს თავისი ეტაპები, ამ წიგნის ენასა და სტილზე ალბათ კიდევ იტყვიან. ჩვენ ამჯერად ამას შეგნებით უკვლით გვერდს, რადგან ძირითადად იმ „მთავარს“ გვინდა მივაკვლიოთ, რაც ამ წიგნის ღირსებათა დამადასტურებელია.

იქნებ სისადავე და ლირიზმი, იუმორი და უშუალობა ქმნის იქვმიუტანი რეალობის, დამაჯერებლობის შთაბეჭდილებას? რასაცირველია, ქმნის, მაგრამ ამის გარდა არსებობს ერთი პრინციპიც, რომელიც რეზო ჭეიშვილის შემოქმედების უპირატესი თვისებაა და ე. წ. „შინაარსის პრობლემას“ უქვშირდება (ერთ-ერთ ყველაზე უფრო მტკიცნეულ პრობლემას ქართულ პროზაში). დავარჩვით ამ პრინციპს პირობითად — თემის ლოკალიზება. რეზო ჭეიშვილმა იცის თავისი „ცოდნის“ საზღვაოი (ეს პარადოქსი როდია, ამ ცოდნას, თვითშეზღუდვის მტკიცნეულსა და საჭირო პროცესს ყოველთვის როდი აღწევენ ახალგაზრდა მწერლები) და ცდილობს არ გასცდეს მას, არ შეიჭრას

ლიტერატურიზებული წარმოდგენის იმ სფეროში, სადაც ბუნდოვანი ემსეუბის გარდა არაფერი შერჩებოდა.

ნოდარ პირველი, ტიტე ვაჩაძე, გოგია დავლაძე, ტრიპოლსკი თითქმის ზუსტად იმეორებენ რეალურად არსებულ პროტოტიპებს, მათ ბიოგრაფიას, ხასიათს, ბედს. ყოველივე ეს, ჩვეულებრივი ემპირიზმის ჩარჩოში მოქცეული, რასაცირველია, ნაკლი იქნებოდა, რეზო ჭეიშვილს ფაქტის ლიტერატურული გარდაქმნის, ამბის გაცხრილვის, „კონდიციამდე დაუკანის“ უნარი რომ არ შესწევდეს.

ხშირად წარმოსახული, მწერლის მიერ შექმნილი ქვეყანა მხოლოდ გამონაგონს ეფუძნება, რისი შემცნებითი ღირებულებაც ლიტერატურული წარმოდგენებიდან ან დოგმად გადაქცეული წინასწარ აღებული ფორმულინან მომდინარეობს. ასეთ სამყაროს აქვს თავისი ფაქტურა, ინვენტარი. თავისი გარემო, მაგრამ ძირითადად იგი მხოლოდ ლიტერატურული აქსიომების კომპლექსია. იგი არ არის ნამდვილი, იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც ზუსტად არაა მითითებული საფოსტო განყოფილების ნომერი, იმიტომ, რომ ამ ქვეყანას ერთი და იმავე დროს შეიძლება იონაპატოფიც დაერქვას, ბლეფუსკუცა და სალხინებელიც. იგი იმდენადა დაცილებული სულიერ და მატერიალურ რეალობას, რომ იქ მიმდინარე სოციალურ და ფსიქოლოგიურ პროცესებს არავითარი მისამართი აღარ აქვთ (ჩვენს პროზაში ამის მაგალითები საკმაოდ მოიპოვება).

რეზო ჭეიშვილი ცდილობს შექმნას თავისი სამყარო, ეთნოგრაფიულად და სოციალურად ზღვარდადებული ჭვეყანა, ოლონდ იგი სულ სხვა, რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას. იგი თავისუფალია წინასწარგამიზნული თეორიული აქსიომებისაგან. თამამად, უშუალოდ მიდის მოვლენებთან, რადგან სჯერა, რომ რეალური ფაქტი ყოველთვის მოიცავს მნიშვნელოვან პრობლემას.

აია არსებობს (სინამდვილეშიც და მწერლის წარმოდგენაშიც) და რაკი არსებობს, არ შეიძლება მორალური, ზნეობრივი და საზოგადოებრივი პრობლემები არ გააჩნდეს.

ბოლოს ჭაბოლოს აია მხოლოდ პატარა რა ქალაქია, მაგრამ ჰყითხეთ ერთი იყელებს, პატარაა კი იგი?! ჰყითხეთ ერთი ადამიანებს, — რა სივრცე უჭირავს პატარა კუთხეს, სადაც ისინი ცხოვრობენ, რომელიც საკუთარი გამრჩე ხელებით შექმნეს და რომლის მეობებითაც გარე სამყაროს დაუკავშირდნენ.

რეზო შეიშვილი არაფერს იგონებს, მას სჭერა თავისი გმირების ცხოვრების სირთულისა. სჭერა, — მათი ყოფა დიდი ცხოვრების ყველა თვისებას გამოჲატავს, მათვის ბუნებრივია საუკუნის ზნეობრივი იდეალებიცა და პრაგმატისტული გადაპრებიც. მათ შევნებაში ისევეა შეკრილი კოსმიური ხილვები, როგორც ვინმე „წიგნიერი“ მწერლის ცნობიერებაში.

ოღონდ უბრალოა ამ წიგნის გმირთა ცხოვრება, მათი მეტყველება, მათი ოცნებები. ისინი არც ბალახვანში მოსეირნ ღმერთს ესაუბრებიან და არც სახარებიდან ამოღებული ღოვტრისების კომენტარებით იტყივებენ თავს. მაგრამ უბრალოა კი, მაგალითად, ნოდარპირველისა და ალიოშა გუბელაძის სულიერი დრამა ან თუნდაც ია წითლიძის ხვედრი?! ჩვენ მათი ცხოვრების მაბავი უმნიშვნელოდ არ გვეჩვენება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მწერალი მას საზოგადოებრივ პროცესებს უკავშირებს. შემთხვევითი როდია, რომ ტიტე განახე და ალიოშა გუბელაძე დაფიქრებისა და მსჯელობის უფრო მეტ საბაბს იძლევიან, ვიდრე ზოგიერთი სხვა პერსონაჟი, რომელთაც წიგნში მეტი ადგილი აქვს დათმობილი.

მოსალოდნელია, რომ რეზო შეიშვილის წინაშეც დადგება პრობლემა ასალი თემის, თემის შესატყვისი ახალი ფორმის ძიებისა, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს არ იქნება უსაგრო ძიებისა და „ქვეცნობიერი მოღვაწეობის შედეგი“.

რეზო შეიშვილის ლიტერატურული პოზიცია საკმარისად ჩამოყალიბებულია და გარკვეული. შეიძლება გრამატიკულთვის ჩინებულ მოთხრობას ვერ წერდეს და ვერც ყველა კომპონენტს ფლობდეს ერთნაირად. მაგრამ მისი მხატვრული და ზნეობრივი მრწამისი ყოველთვის ნათელია და საკმაოდ რთულიც. ჩვენთვის, მაგალითად, გაუგებარია, რის საფუძველზე დასკვნა კრიტიკოსმა გ. ხუხაშვილმა, რომ რეზო შეიშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია სტიქიურობა. ის, რაც შემოქმედებითი პროცესის „ქვეცნობიერ მოღვაწეობას“ განეკუთვნება, ან კიდევ, აზრის საღად და უპრეტენზიოდ გამოიწმა, რეფლექსის უარსაყოფად არ გამოდგება. ხომ არ იქნებოდა უფრო მართებული. რეზო შეიშვილის შემოქმედებითი პრინციპების სათავე „ობიექტურ სერიოზულობაში“ გვეძება. ეს თვალსაზრისი ყოველთვის გულისხმობს მოაზროვნე პერსონას, მაგრამ ვერ ეგუება ოჩოვებებზე შემდგარ პერსონაებს, რომელთა განსწავლულობაც ავტორის „განსწავლულობის“ უცვლელი და პირდაპირი გამოოჩება. ამ დროს გიჩნდება სურვილი სთხოვო მწერალს, — ნუ შეუშლის ხელს პერსონას იცხოვროს და იყიქროს თავისი ცხოვრებითა და ფიქრით, თუნდაც ამისთვის პრიმიტივიზმა და სტიქიურობაშიც დაძღვნ პრალი.

ერთი რამ უცნაურია, ქართულ პროზი მომრაცლდ ე. წ. უპროფესიონერსონაები, უფრო სწორად, გმირები. რომელთა სულიერ ცხოვრებასა და პრაგტიკულ საქმიანობაში პროფესია არავითარ მონაწილეობას არ იღებს, არ განაპირობებს მათ მოქმედებას, არავითარ დაღს არ ამჩნევს მათ ფსიქიკას. ავტორები უმეტეს შემთხვევაში კმაყოფილდებიან ერთგვარი რემარკით: მხატვარი, რეციდივისტი, კალატოზი... სანამდგილეში ამ მხატვარს შევენირად შეუძლია იყოს კალატოზი, კალატოზს კომპოზიტორი და ა. შ. რადგან მისი აზროვნება და ქცევა საკუთარ პროფესიასთან არავითარ კავშირში არ არის,

იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსალური პრეპარატივითა და მისგან ნებისმიერი იარღიყის მიწებებით ნებისმიერი პროფესიის კაცის მიღება შეიძლება. ამის გამოა, რომ მოუხედავად ფსიქოლოგიური დატვირთვისა, ისინი, უმეტეს შემთხვევაში, უსიცოცხლონი, რაღაცნაირი არანამდეინი არიან.

დადებით მოვლენას, თუკი ზომიერების ზღვაზი დაირღვევა, უკვე უარყოფითი ხსიათი ეძლევა. ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რ. ჭეიშვილი ენდობა ფაქტებს, სჯერა მათ სიღრმეში დაფარული შესაძლებლობებისა, მაგრამ ზოგჯერ ფაქტის ზედმეტი ნილა ერთგვარ ბალასტს წარმოშობს. სამშუხაროდ, ეს ნაჯლი რომანს ჯერ კიდევ ეტყობა. ჩვენ აქ წინააღმდეგობაში როდი ვვარდებით, მწერალმა იცის თავისი ცოდნის (თავისი თემის) საზღვრები, მაგრამ დროდადრო ზუსტად ვერ აფასებს ამ საზღვრებში მოქცეული ყველა მოვლენის ლიტერატურულ ღირებულებას. მან მიზნად დაისახა ქალაქ იას ხასიათისა და კოლორიტის სრული განსახიერება, მაგრამ ზოგი მძავი, ანედოტი თუ დეტალი უკვე თავისთავადი, ზედმეტი და დამამიმებელი შტრიჩია. მაგალითად, რაფიოსა და გოგია დავლაძის თემა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ერთგვარი ანეკდოტური ჩანართების შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, უნდა ითქვას, რეზო ჭეიშვილი აქაც აგნებს საინტერესო ფსიქოლოგიურ მოტივს.

გოგია მოწოდებით არ არას მილიციის თანამშრომელი, მას საამისოდ არც თავდაჭერა და არც ტაქტი გააჩნია, არც დეტექტივის მაღლი მიუტჩია მისთვის განვებას. მაშინ რაღასთვის მოხვდა ეს კაცი მილიციაში? თურმე ბავშვობისას გოგიას შინ და გარეთ ყველა ჩაგრავდა, მას კი თავის დასაცავად ხასიათის სიმტკიცე არ ყოფნიდა. გოგიას სურდა რაღაც უფლების, უპირატესობის მოპოვება და ასეთი „უპირატესობა“ მილიციის თანამშრომლობაში დანახა. ბუნებით თვინიერი და დამყოლი, უნეში და უტაქტო კაცი გახდა. მაგრამ

ვერც ეს „უპირატესობა“ შეიძინავთ, ცალმხრივი სიყვარულით გატელებულშა შეუ აიაში ერთი შედლუბი გამოაგდეს სამასურიდან. ახლა გოგია დავლაძეს იღარც იარღია აქებს, არც იმდენ უფლება, რომ საკუთარი მამა დაპატიმროს. მუშაობს ქარხანაში, მღერის თვითმოქმედ გუნდში და თავისი მსუყე, დაგუდული ბანით ლოტბარს აოცებს.

რეზო ჭეიშვილი აქაც თავისი პრინციპების ერთგული რჩება. სასაცილოა გოგია დავლაძე, რომლის ხასიათიც გულუბრყვილო იუმორისა და გონებრივი სიჩუნუნების მიჯნაზე ირყევა. სასაცილოა, მაგრამ კვლავ სითბო, სევდა და შეკავებული სარკაზმი ახლავს ამ სიცილს. ვინ იცის, იქნებ უფრო ბეღნიერიც კი იქნებოდა ია წითლიძე გოგიას გრძნობა რომ გაეზიარებინა. მაგრამ სად შეეძლო გოგიას შესაფერი ვარაყი (ოქროს სამაჭური და ბეჭდები ლამაზითობებზე) გამოენახა ლამაზი ქალისთვის და აღშეფოთდა დავლაძე, ქვეცნმიერიად აღაშეფოთა ამ დიდმა უსამართლობამ, გაჯიქდა, დადგა შეუ ქუჩაზე და აიას თავისი არსებობა სასოწარკვეთოდ „სალუტით“ შეასენა.

ექვს ამ წიგნს ერთი თვისებაც — გამარჯვებებისა და დამარცხებების ლოგიკა.

ნორარ პირველის დამარცხება როტული სულიერი დისპარმონის კანონზომიერი შედეგია, ტიტე გაჩაძის დამარცხება უკვე ზნებრივი კრახია იმ ადამიანისა, ვინც თავისი არსებობიდან სულიერი ცხოვრება საერთოდ გამოთიშა. ტიტე ჯერ კიდევ სიყვლილმდე დამარცხდა, მაშინ, როცა შეძენილმა საკუთრებამ მისი ნაცადი ვაჟყაცობა გაუყდა. როცა ტრიპოლისკის, ტიტეს აზრით ამ არარაობას, შეუძლია მასხრად აიგდოს, ხოლო მიღწეული „წარმატებით“ მოღწეულებული, უფრო მეტიც ლამაზად ქცეული ტიტე უდრიტვინველად იტანს შეურაცხოფას.

არსებობს კიდევ თორნიერი (იას მეულე), რომელიც ცხოვრებაში ვერც

გამარჯვებს და არც დამარცხდება, რაღაც იგი იმ გულგრილთა რიცხვს ეკუთვნის, ვისი „ჩუმი თანხმობითაც ამ ქვეყნად ჭერ კიდევ ბოგინობს ანგარება და უსამართლობა“.

რეზო ჭერიშვილი მეცენატად განსაზღვრავს თავისი გმირების გამარჯვებათა და დამარცხებათა სოციალურ და ზეოთბრივ საფუძვლებს.

ნოდარ პირველს უნდა ეცხოვჩა, რადგან იგი ოცნების, კეთილი სურვილების კაცი იყო, მაგრამ დაირღვა მისი ხასიათის შინაგანი პარმონია, შესაძლებლობათა და მისწრაფებათა წონასწორობა და ცხოვრებიდან წავიდა კაცი, ვისი წასვლაც ჭეშმარიტად გულდასა-წყვეტია.

თუმცა აქვე ერთიც უნდა ითქვას, ნოდარ პირველის დაღუპვა ნაწარმოების გარეთ, პერსპექტივაშია გატანილი, რაც შემთხვევითი არ არის. თუ ზუსტად გავყვებით სიუკეთურ ხაზს, ივი ნოდარის ცოლ-შვილთან დაბრუნებით მთავრდება. ამას სიუკეთის ლოგიკაც მოითხოვს, სწორედ ამიტომ უტოვებს ავტორი მეითხველს საშუალებას, გმირის სიკვდილი რეალობად არც აღიქვას.

მაგრამ რა მსჯავრი ელის თორნიკებს, რომლის ეპიზოდური გამოჩენაც აიზინდა და შეშფოთებას იწვევს. რ. ჭერიშვილი სულ რამდენიმე აზხატუმობს ამ პერსონაებს, მაგრამ მთლიანად აღწევს მისთვის სასურველი განწყობილების შექმნას. თუ მხოლოდ მოქმედებას გავყვებით, მაშინ გაუგებარიც კია, რატომ გაარტყა გივი წითლიძემ თორნიკეს. თუ მხედველობაში მივიღებთ ინტონაციასა და შექმნილი ვითარების შინაგან სიმართლეს, არამც თუ ხელის გარტყმა, ისიც კი დასანანია, რომ გივიმ თორნიკე ერთი შაგრად არ მიძევთა.

ამ ბუნებრივ სურვილს აქვს საფუძვლი, ულირსმა ხელი სილამაზისკენ

გაიწოდა და უფრო მეტიც, ფაქტურული კიდეც მას. განა ამ აღმფოთებული შექმნა ან ეგოიზმი? ეს რეაქციაა, გამოწვეული იმ უსამართლობით, რაც, სამწუხაროდ, ულირს ზოგჯერ იტენიული გაღიმების, თავისი უპირატესობის მტკიცების უფლებას ანიჭებს.

ია გრძნობს, კვლავ უნდა დაუბრუნდეს ნოდარს, გივის, ბუსტტის. მართალია, ეს ჭერიშვილი მხოლოდ ბზარია და არა კონფლიქტი. ია თავისი წრის მორალური „კოდექსით“ შებორევით, თავმაქინდრული მიყვება ცხოვრების გზას, მაგრამ ცხადია (ბოლო თავების ინტონაციით, საერთო განწყობილებით), რომ ია ამ უზახე ბოლომდე არ ივლის.

\* \* \*

ცხოვრება გრძელდება...

ისევ ჩამოვიდა აიაში თავდგირიძე. სოსო წითლიძეც კვლავ ესტუმრა აიას.

დარჩა აიაში ბუსტტი თავისი იიური ფილოსოფიით — ეს ქვეყანა ტირია და ყველა თავისი ბედის ვარსკვლავის ჩამოვდებას ლამობსო...

დარჩა ალიოშა გუბელაძეც, რათა განაგრძოს მძიმე და დიდი ბრძოლა ჟაკუთარ თავთან.

ვივი წითლიძემ და ლიამ დატოვეს აია, ვინ იცის რა ელის მათ, იქნებ „ალიონიზმი ვარჯიში“ ან ახალი, მათთვის უცნობი და განუცდელი სულიერი ცხოვრება.

მოგონებათა რიგს შეუერთდა აია — „თვალთა ქვეშე შვენიერი ადგილი“.

ძელი სათქმელია, რა ბედი ექნება ამ წიგნს.. იქნებ „დიდად პრაქტიკული და დიდად მეოცნებე აიელები“ მართლაც აღმფოთდნენ და მწერალს „თეთრი ჩიდიდიან გადაგდება დაუპირონ“. მერე რა, არსებობს წიგნები, რომელთაც მხოლოდ მამაცი ადამიანები წერენ.

## კობა იმედაშვილი

### ზურიკელა, ცოცოია და თეიმურაზ გარამიძე

მინდა გაეცხსენო ქართული სატკოთა იუმორისტული პროზის კარგი ნიმუშები, მაგრამ მიქირს. იყო რამდენიმე შესანიშნავი ნაწარმოები, რომელთაც დრო ვერ გაახუნება. მაგრამ ჩვენი ღლევანდელი ცხოვრება: ნუთუ არ ვიცინოდით? შეიძლება არსებობდეს სიცილის ვაკუუმი? ალბათ შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სინამდვილეში კარგახანს იგრძნობოდა ეს ვაკუუმი და ქართული პროზა, თუ შეიძლება ასე თქვას, ზედმეტად სერიოზული გახლდათ.

არ მინდა დავიწყო ფრაზა ასე — „და აი, მოვიდა ნოდარ დუმბაძე და ვაკუუმი შეიცსო“, — რადგან ვაკუუმი არ შევსებულა და არც ნოდარ დუმბაძეს სჭირდება ასეთი განცილება. ფაქტი მაინც უდავოა: ვინც ერთხელ წაკითხა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, მეორედ და მესამედაც დაუბრუნდა მას. არანაკლები პოპულარობით საჩერებლობს „მე ვხედავ მზეს“, ახლა დაიბეჭდა „მზიანი ღამე“. შემდეგ ისინი გადაკეთდა პიესებად, სცენარებად, დაიდგა ერთი ფილმი, მეორე...

საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნა და საჭირო სიტყვის თქმა ნიჭია და არა იღბალი. ეს ნოდარ დუმბაძეს ახა-

სიათებს. მაგრამ დუმბაძის, როგორც მწერლის, რაობას მაინც იუმორისტის ნიჭი განსაზღვრავს. მან განაპირობა დუმბაძის მოულოდნელი და უკომპრომისო აღიარება.

არ მეგულება საჭართველოში კაცი, რომელიც ვერ მიხვდება, რომ ილიკო და ილარიონი გურულებია — ეს მათ ყოველ სიტყვასა თუ ხსიათის ამა თუ იმ გამოვლენაში ჩანს. მაგრამ მათი შესანიშნავად ესმით არა მარტო ქართველებს. „ბებია“ ლონდონში „გაემგზავრა“ (ჯერომ ჯერომის თანამემამულებმა იქნება იცნეს უდროოდ დაღუპული მურადა).

ნოდარ დუმბაძე თავის ყოველ ნაწარმოებში ისეთ ზოგად ადამიანურ გრძნებებზე ლაპარაკობს, რომ არ შეიძლება იგი ყველასათვის გასაგები არ იყოს. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს — ადრე ნოდარ დუმბაძე ლექსებით იყო გატაცებული და საგულისხმოა, რომ მათში უკვე ჩანდა მისი პროზის შორეული კონტურები.

ახლა, როდესაც ნოდარ დუმბაძის გმირზე ვფიქრობ, ყველაზე მეტად ერთი მისი თვისება იკვეთება, უფრო სწორად, მისი ხსიათის განმსაზღვრელი —

მას უნდა, რომ ყველას მიმართ კეთილი და სამართლიანი იყოს, მას უნდა, რომ ყველა უყვარდეს და ყველას უყვარდეს. ესაა სოციალური ჰარმონიის ორგანული გრძნობა, რითაც იგი აღჭურავს როგორც თავის გმირს, ასევე მკითხველს.

და აი, ჩვენ მოწერი ვართ ადამიანის დაბადებისა. ეს დაბადება არაა მხოლოდ ერთი ადამიანის გმირული გაბრძოლება, ეს არის ადამიანების ბრძოლა ადამიანისათვის. ზურიველას, სოსოიას, თემურის დედ-მამა არა ჰყავთ. მათ ბევრი ტკიფილი ხვდათ წილად და ცოტა სიხარული, მაგრამ ცხოვრებას არ გაუბორობებია არც ერთი მათგანი, რადგან ქვეყანაზე იყო ბებია და მამიდა, ილიკო და ილირიონი, ართა აზა და ბაბილო ბიძია, მერი, ხატია, ლია და სხვანი და სხვანი. ადამიანი განსაცდელის უამს მაინც არ დარჩენილა მარტო. მართალია, იქვე იყო აბიბოც და დათიკო ბრიგადირიც, მაგრამ სიკეთე მაინც განუხომლად ძლიერია, რადგან მას სიმშვიდე მოაქვს და თუ დაამარტებ შენში რაიმე ბოროტი ზრახვა, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა.

თემურ ბარამიძეს სურს მოკლას აბიბო თოლდრია. აბიბომ თემურის დედ-მამა დააღუპვინა, მისი მთხანავი რამაზ კორსაველი დაამატირებინა. იგი გულცვი, ცინიკოსი და ბნელი სულის ადამიანია. ეს იცის თემურ ბარამიძე და სწორედ ამიტომ უნდა მოკლას აბიბო. და აი, იგი თავზე აღდას მომაკვდა აბიბოს: „ეს მე ვარ, სიკვდილი, თავზე რომ ვაღვინარ და მე მოკვლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიყანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა, ათასი ურო მირტყამდა საფეხქლებში და მებახდა მოპკალი, მოპკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან.

— აბიბო! — ვთქვი მე ისეთი გამოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა.

აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემომხედა.

— ეს მე ვარ, აბიბო, — ვუთხარი მე.

— მიშველე, — მთხოვა მან! — და თემურ ბარამიძე, აბიბოს მოკლოს განხრანებით უინანთებული, ჰელერთმა სიტყვამ განაიარადა. „მიშველე“, — ითხოვს ადამიანი და ადამიანს არა აქვს უფლება ამ ძახილს არ გამოექცას უხოს. ადამიანს სკირდება მეორე ადამიანი — ეს დიდი კანონი ცხოვრებისა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვა ყველაფერი. და თემურ ბარამიძეშიც იმარჯვებს ეს ადამიანისათვის. ზურიველას, სოსოიას, თემურის დედ-მამა არა ჰყავთ. მათ ბევრი ტკიფილი ხვდათ წილად და ცოტა სიხარული, მაგრამ ცხოვრებას არ გაუბორობებია არც ერთი მათგანი, რადგან ქვეყანაზე იყო ბებია და მამიდა, ილიკო და ილირიონი, ართა აზა და ბაბილო ბიძია, მერი, ხატია, ლია და სხვანი და სხვანი. ადამიანი განსაცდელის უამს მაინც არ დარჩენილა მარტო. მართალია, იქვე იყო აბიბოც და დათიკო ბრიგადირიც, მაგრამ სიკეთე მაინც განუხომლად ძლიერია, რადგან მას სიმშვიდე მოაქვს და თუ დაამარტებ შენში რაიმე ბოროტი ზრახვა, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა.

„დილით ექიმი მოვიდა, აბიბოს კვლავ ჩეგინა და მე სახლში ივედი. ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი, რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დაგროვე წუხელ აბიბოს ოთხში თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კილევაც და მის სანაცვლოდ რაღაც საოცარად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამიცხო სხეული“.

ერთი ადამიანის სიმალლე მეორეშიც იწვევს საპასუხო რეაქციას, მეორეშიც იწვევს წმინდა გრძნობებს. ასე დაემართა აბიბოსაც. სიძულვილის სტიქია დაამარცხა თემურის დიდსულოვნებამ. აბიბოშიც გაიღოია ადამიანურმა. მისი აცრემლებული თვალები თემურის გამარჯვებაა.

„მე ვხედავ მზეში“ არის ერთი პერსონაჟი — დათიკო ბრიგადირი — მშიშარა ობივატელი. საკუთარი ტყავის გაფრთხილებამ იგი დეზერტირობამდე მიიყვანა. დათიკო ტყავშია, მისივე სიტყვით, „პოლიტიკურ ფირალად“ გავარღნილი და ელოდება დამპურობთა გამარჯვებას, რომ ტყიდან გამოვიდეს. საღლაა ძველი ფირალების რომანტიკა! ჩამოხეულ-ჩამოძნებილი, მშიერი — იგი ყველასათვის უცხოა და არც ერთი კარი არ არის მისთვის ღია. ნაწარმოების ბოლოს იგი ხატიას მდინარეში დახრისინბისაგან გადაარჩენს. სოფლისათვის ყველაზე საყვარელ ადამიანს — ხატიას, ყველაზე საძულველი ადამიანი სიკვდილს გამოსტაცებს. თითქოს მოვიდა

დათიკოსთვის შენდობა, მაგრამ ხალხის  
სამართლი უმკაცრესია.

„დათიკო შეა წრეში გავიდა და დად-  
გა. გამხდარი, წვერგაუპარსავი, თვა-  
ლებდასისხლიანებული და ტანსაცმელ-  
შემოგლეჭილი. მან ხალხს მოავლო თვა-  
ლი მერე ყველას სათითაოდ და ვისაც  
იგი შეხედავდა, ყველა უკან იხევდა,  
უხერხულად იშმუშნებოდა და თავს  
ხრიდა. დათიკო ელოდა როდის ამოი-  
ლებდა სოფელი ხმას, მაგრამ მისი  
სოფელი სდუმდა, როგორც ც  
სამარე და მე შემეშინდა  
ამ დუმილის, ისე როგორც  
ომის დაწყების პირველ  
დღეს შემეშინდა მისი (ხა-  
ზი ჩემია. კ. ი.)“.

და ხალხმა შერისხა იგი, ტყვიაც არ  
გამეტა მისთვის. აღამიანები „უხმოდ,  
თოთო თითოდ გადიოდნენ წრიდან და  
სტრეგებდნენ შეა მინდორში ქრისტეს  
გლახასავით ვედრებად დავარდნილ და-  
თიკოს“ („ამოილოთ, ხალხო ხმა!..“ „და-  
მიშირე“... „ამიყვანე პატიმრობაში,  
აღარ შემიძლია მეტი“... — აი, მისი ვე-  
დრება).

„მერე მან თვალებზე აიფარა ხელე-  
ბი; მუხლებზე დაცა და ბავშვივით აქ-  
ვითინდა. მე ვუყურებდი დათიკოს და  
ვფიქრობდი, რა ბედნიერი იყო ამ წუთ-  
ში ხატია, რომ ვერ ხედავდა, როგორ  
ტიროდა იგი და როგორ ხდებოდა თან-  
დათან ეს მთასავით ვეებერთელა კაცი  
შეშტრისხელა“.

მილიციისა და უშიშროების თანამ-  
შრომლებმა ზურგი შეაქციეს დათიკოს,  
არ დაიჭირეს, მაგრამ მწერალი ამართ-  
ლებს მათ მოქმედებას.

დანაშაული თვით დათიკოს სულშია  
დამარცხებული, საკუთარი დანაშაულის  
სიმძიმემ გაჟყლიტა იგი. ხალხი, ურომ-  
ლისოდაც მას ცხოვრება არ შეუძლია,  
შერისხავს მას. ეს ყველაზე დიდი სას-  
ჭელია. სხვათა შორის, არც ვაჟას „ბახ-  
ტრიონში“ წაურთმევია ვისმეს სიცოც-  
ხლე მოღალატე წიწოლასათვის, იგი  
ხალხმა არ მიიღო და ყველასაგან უარ-  
ყოფილმა თავი ჩამოიხრჩო (თუმცა ვა-

ჟას გვერდით ყაზბეგი ამბობს მომართ  
მოღალატე სიკვდილის ღირსიაფ).

აი, ასე ესმის ნოდარ დუმბაშის გმირის  
სიკეთე და ბოროტება, აქ იღებს სათა-  
ვეს მისი კაცომოყვარეობა — საეუთარი  
ამაღლებით სხვისა ამაღლება.

რატომ არის უსინათლო გოგონა ხა-  
ტია სოფლის თვალი?

ხატია ყველაზე ფიქრობს, ყველას სა-  
ტკივარსა და სურვილს ხდება. იგი  
ძლიერია იმიტომ, რომ წმინდა მისი  
სინდისი. იგი მართალია სხვებთან იმი-  
ტომ, რომ მართალია თავის თვათან.

ნოდარ დუმბაძე თავისი ბიოგრაფიით  
დაკავშირებულია იმ თაობასთან, რომ-  
ლის ბავშვობა დაემთხვა 1937 წელსა და  
დიდ სამამულო ომს. ეს ბევრის მნახვე-  
ლი და ბევრის გადამტანი თაობაა. ნო-  
დარ დუმბაძეც თავის რომანებში „მე,  
ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვე-  
დავ მზეს“ და „მზიანი ლამე“ ამ თაობა-  
ზე მოგვითხრობს და მნიშვნელოვანწი-  
ლად ისინი ბიოგრაფიული ხასიათისაა.  
ამდენად გასავირი არცა, თუ დუმბა-  
ძე ხშირად უახლოვდება თავისი თაო-  
ბის პროზაიკოსებს თემების შერჩევისა,  
პრობლემათა დაყენებისა თუ მათი გა-  
შუქების დროს, მაგრამ იგი არასოდეს  
არ კარგავს თავისი ინდივიდუალობას.

„ბებია“ თითქოს მხოლოდ სასამოვ-  
ნოდ საკითხავი წიგნია, სადაც ავტორი  
გულთბილად გვესაუბრება ადამიანთა  
სიკარგესა თუ სიცუდეზე, იცინის მათ  
სისუსტეზე, ეშმაკობაზე, მოფიქრებუ-  
ლობაზე, ენაკეიმატობაზე და ჩვენც გვა-  
ცინებს. „ბებია“ წინასწარ განზრახუ-  
ლიდ რაიმე პრობლემაზე არ იწერებო-  
და. ვფიქრობ, მწერალს იგი თვედაპირ-  
ველად მხოლოდ სასაცილო სცენებად  
ჰქონდა გაზრებული, მაგრამ შემდეგ,  
როდესაც იგი დაიწერა, მან მოიტანა თა-  
ვისი პრობლემაც, ადამიანთა ურთიერთ-  
სიყვარულისა და ურთიერთგაფრთხი-  
ლების ჰქონანური პრობლემა, რაც შემ-  
დეგ მისი შემოქმედების არსი გახდა.

„ბებიაში“ იქნებ ზოგჯერ მელოდრა-  
მატიზმი შეინიშნება, იქნებ ზედმეტი



გულისაჩუყებაც არის და ზედმეტი სიტკბო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ პირველი ვრცელი პროზაული ნაწარმოებია მწერლისა.

სად უნდა ვეძებოთ ამ იუმორის ძარები? ვერბალური კომიზმის თვალსაზრისით შეიძლებოდა გაგვეხსნებია პოლიკარპე კაკაბაძე, მაგრამ ეს ღრამატურგია და არა პროზა. საერთო ხასიათით კი უფრო სატირაა, ვიღრე იუმორი. ნოდარ დუმბაძის იუმორის უშუალო წყარო უფრო ფოლკლორია—ანეკლოტები და მოსწრებული თქმანი.

„ბებია“ ამ სამი რომანიდან უველაშე მეტს გაცინებს, რომანში ჯერ კიდევ არის ადგილები, რომლებიც მხოლოდ კომიკური სიტუაციის შესაქმნელად არის დაწერილი (მაგალითად, „განძი“. სხვათა შორის, ჯერომ კ. ჯერომს თავისი გმირები მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ ისინი სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენოს და კომიკურ სიტუაციაშე გაამახვილოს ყურადღება). შემდეგ რომანებში მწერალი ცდილობს სიცილით ყოველთვის რაღაც საყურადღებო გვითხრას. იუმორი მისთვის არ ჩერება თვითმიზნად და იქნება ამიტომაც კომიკური სიტუაციები მეორე რომანში შედარებით ნაკლებია, მესამეში კიდევ უფრო ნაკლები და სიცილს უკვე მხოლოდ ვერბალური კომიზმი იწვევს.

ერთი მაგალითი — „ვირი მაშინ ისე-თივე უცხო მოვლენა იყო გურიაში, როგორც უცხოელი ტურისტი ჩვენს ქვეყანაში ომაძღე“ („მე ვხედავ მზეს“). ეს წინადადება სასაცილოა თავისი კონტრასტული დაპირისპირებით, მწვავეა და ჩვენი ცხოვრების ნაკლებ ლაპარაკობს, თანაც შესანიშნავად არის დათარიღებული.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხომ იმ ხუმრობაზე ვიცინით გულით და ის ხუმრობა თუ ანეკლოტი გვამახსოვრდება, რომელშიც სიმართლეა ნათქვამი, პიროვნება ან ცხოვრება არის ზუსტად დაკარგი.

სამი რომანი... ამ შესიტყვებზე მათ მათ განვითარება და განვითარება კიდეც, რატომ მივმართავ ამ ტერმინს, რატომ ვნათლავ მათ რომანებად, როდესაც თვით ავტორმა აარიდა თავი მათი უარის განსაზღვრას? ვიქტორ შელოვსკის თქმის არ იყოს, „ლიტერატურათმცოდნება მათემატიკა არაა“ და მისი კანონებიც საკმაოდ ბევრ გამონაკლისს შეიცავს, მაგრამ ვიქტორმა, კეშმარიტებასთან ახლოს იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე რომანის ერთ-ერთ მთავარ თვისებად ხასიათის ჩამოყალიბების ჩვენება იქცა. ზურიკელას („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), სოსოიასა („მე ვხედავ მზეს“) და თემურის ჩამოყალიბება პიროვნებებად, ინდივიდუალობად, ხასიათად ჩვენს თვალწინ ხდება.

აქვე, ამ სამი გმირის ზედმიწევნითი მსგავსების შესახებაც უნდა შევნიშნოთ. ნუთუ ამ სამ ტყუპს კიდევ დაემატება მეოთხე? სხვადასხვა ნაწარმოებების გმირთა ასეთი მსგავსება ჩვენი ახალგაზრდა მწერლების განუკურნებელ სენად იქცა.

ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკოსები ჯერჯერობით მხოლოდ საკუთარი ხასიათის ასახვით არიან გატაცებულნი, მაგრამ როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ეს ასახვა, მისგან თავის დაღწევა მინც საჭიროა. სხვაგვარად მრავალფეროვნება ვერ შეიქმნება.

ნოდარ დუმბაძეს კი ნამდვილად შეუძლია მკეთრიად განსხვავებული სახეების შექმნა. საქმარისია პერსონაჟის ერთი გამოჩენა, რომ იგი მაშინვე დაგამახსოვრდეთ ორიგინალური უსტით თუ სიტყვით. გაიხსნეთ თვალის ექიმი („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ნაყვავილარი კაცი ნაბეღლავიდან, ბაბილოн („მე ვხედავ მზეს“), უშნიგი, ბატონი დავითი, ბატონი გიორგი („მზიანი ლამე“) და სხვანი.

მართალია, ძნელია კარგად მონახულ გმირთან დამშვიდობება, მაგრამ თვით

ამ გმირის სასიკეთოდ ეს დამშვიდობება აუცილებელია.

სხვათა შორის, ნოდარ დუმბაძის მე-სამე რომანში — „მზიანი ღამე“ უკვე არის ცდა ნაცნობ თემებთან თუ გმირებთან გამოთხოვებისა და თუ მთავარი გმირი თემური მაინც ზურიელას და სოსოის მსგავსია თემებისა თუ პრობლემათა სიახლით, ეს რომანი მნიშვნელოვნდ განსხვავდება წინა ორისაგან.

„მზიანი ღამე“ ჩვენი ცხოვრების უახლეს ხანებს ეხება — ეს არის 1949-53 წლები. ექვე მშერალი ბევრს ფიქტობს 1937 წლის პრობლემაზე.

აქ არის დედა და შვილი, რომელიც ერთმანეთს ვეღარა სცნობენ, ისინი თორმეტი წლით დააცილეს ერთურთს.

აქ არის მამა, რომელიც არ ახსოეს შვილს და ეს მამა ომში არ დაღუპულა და ეს მამა ხალხის საკეთილდღეოდ არ დაკარგულა.

აქ არის ადამიანი, რომელიც დაბრუნდა გადასახლებილან, მაგრამ რომლის-თვისაც ცხოვრება დამთავრებულია.

აქ არის ადამიანი, რომელიც ბავშვობაში დარჩა მარტო, მოსწყდა ადამიანებს და რომელიც შემდეგ მაუგლივით ისევ დაუბრუნდა თავის ბუდეს.

აქ არის ადამიანი, რომელსაც ეშინა თავისი მსხვერპლისა, მას ვერ სძინავს მშვიდად, მას ეშინა...

აქვე მარტობა და სიკვდილის შიში, სიმრტე და სიყვარული, დათრგუნვა ბორტებისა და გამარჯვება სიკეთისა, სიკვდილის სიცოცხლედ შეცნობა, ადამიანების მიერ ადამიანის გადატჩნა და მაუგლის დაბადება ადამიანად.

და ეს ყველაფერია ერთ პატარა რომანში, სამი წელი რომ იწერებოდა, პატარა რომანში, რომელიც ზოგან გვაცინებს, ზოგან გვატირებს, ზოგან კამარება. მწარე სინამდვილეს გვეუბნება.

\* \* \*

გამარჯობა, თემური. ეს შენ დარჩი ჩვა წლისა მარტომარტო, უდედმამოდ ბედისა და თბილისის ქუჩების ანაბარა და კლასში რამე რომ დაიკარგებოდა,

გურამს ეშინოდა, შენ წალებული, არ ყოფილიყო; გავეთილს რომ გრაფები, ეშინოდა, სკოლაში აღაშენებოდა დებაო; თავერა რომ ქურდობაზე დაიპირეს, გურამს ეგონა, შენც დაგიშერდნენ, ათწლედი რომ დაამთავრეთ, ეშინოდა, უმაღლესში არ შემოვაო. ეს შიში არასოდეს არ მართლდებოდა და გურამს რცხვენოდა — თავისი ურწმუნებისა რცხვენოდა.

ახლა ყველაფერი უკან არის, მაგრამ მე მაინც მეშინია იმ წლებისა, თემური. განა ართავაზა ყოველთვის იყო, განა გულიკო და გურამიც ყოველთვის იყვნენ?

ვინ იცის, რამდენი მაუგლი გაყვა მგლების ხროვას, თემური, ვინ იცის, მაგრამ შენ დაუბრუნდი ადამიანებს, შენ გაიმარჯვე და მე მაღლობას გიხდი შენ, თემურ ბარამიძე, ამ გამარჯვებისათვის.

„ქალარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანკალებდა, იგი საოცრად ჰგავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთაში თორმეტი წლის წინ, ლამის ოთხ საათზე გამაღვიძია, პირჯვარი გადამსახა და მერდზე მაყოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა... „ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გვაცილებდა. იგი მოღილდა ჩემენ ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე მესმოდა მისი სუნთქვა, მინდოდა შევპრუნებულიყვავი და გავქცეულიყვავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრალოდ დაგხუჭე თვალები და ველოდი რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარჩე და გავიგონე ჩემი ჩერჩული:

— გამარჯობა, შვილო...

გამარჯობა, შვილო, და ასე განუწყვეტლივ, დიდხანს, ძალიან დიდხანს გამარჯობა, შვილო.. მე მიგხვდი, რომ იგი ელოდა პასუხს, — გამარჯობა, დედა, — მაგრამ მე ვერ შევძელი.

— გამარჯობათ, ქალბატონო! — ვთქვი და ტირილი დავიწყე”.

თორმეტი წლის უნახავ დედას შეილმა ვერ უთხრა „დედა“ იმიტომ რომ გადაეჩვია. იმიტომ რომ თორმეტი წლის

မანძილზე „არსად არ იყო დედა, ვიყავი ან მარტო, ან სხვასთან, ვიყავ ყველგან ან ყველსთან, და არსად არ იყო დედა“.

თემურმა იმ ღლეს უნივერსიტეტის ეზოში პატარა ბიჭი და გოგო ნახა. გოგონას ბიჭის „ჩარგვა“ დაემთავრებინა და მის „მორწყებზე“ გადასულიყო. „უნდა გაიზარდოს“; — უთხრა გოგონამ თემურს. თემური ბარამიძეც ამ ბიჭივით იყო. ისიც, ოცი წლის ბიჭი, უნდა გაზრდილიყო, წყალი კი — მარტო ერთი გოგონა ვერ მოზიდავდა სამყოფელ წყალს, — ადამიანს ბევრი სჭირდება.

თორმეტი წლის მანძილზე, ვინ იცის, რამდენი გაჭირვება ნახა თემურმა, რამდენჯერ დასჭირდა დედა ან მამა, მაგრამ ისე არასდროს არ მოსდომებია ვინმე ხმის გამცემი, როგორც იმ ღამეს, დედა რომ ჩამოუვედია. აკი ეუბნება კიდეც ართავაზას, ღამის დარაჯს: „ვიღაცას მინდოდა დავლაპარაკებოდი და შენთან მოვედი“. და ის, ართავაზა, ერთი უბირი კაცი, უცნობი და პირველი შემხვედრი უთანაგრძნობს თემურს. მერე დილით, მთვრალი ართავაზა კუკის სასაფლაოზე მიდის, დედის საფლავზე, თემური კი ბრუნდება შინ, სადაც მას ელოდებიან და იგი ამბობს — „გამარჯობა დედა“, მაგრამ უნდა გავიდეს კიდევ ხანი, რომ მართლა იძოვოს დედა, რომ მის გულში ისევ აღდგეს გრძნობა, ურომლისოდაც ადამიანი ვერ იარსებებს.

მაგრამ არის კიდევ ბევრი რამ, ურომლისოდაც ადამიანს არ ჰქვია ადამიანი; ბევრი რამ, რასთანაც ყოველი ჩევენგანი თვითონ უნდა მივიღეს და... მასწავლებელი მხოლოდ ცხოვრებაა. თუმცა, კაცა შეიძლება ნახოს ბევრი რამ, ბევრი რამ განიცადოს და დურსუნად იქცეს — გზადაკარგულ ციხიკოსად: ქვეყანაზე „არ არსებობს არაფერი, რისოცისაც სიკვდილი ღირდეს“.

„სიყვარული, სიკეთე, სიმართლე, მეგვობარი, დედა?... ამ ყველაფერთან მისვლაა საჭირო, მისვლა და შენარჩუნება, თორემ „რამდენი კაცია, ხელიც აქვს, ფეხიც, ყურიც, თვალიც, ყველაფერი თავის ადგილზე, მაგრამ კაცი არ

არის; უყურებ ადამიანია, ნამდვიწლი ადამიანი, გაიცნობ და არ არის ადამიანი, რაღაც აქლია, ამიტომ ცხრილის პირუტყვია“.

თითქოს მოვიდა თემურთან სიყვარული — გულიკო, მისი „ტკივილისა და სიყვარულის ბადალი, სიყვარულისა და ტკივილების მატარებელი“, მაგრამ დედა ამბობს: „ჯერ თქვენ არ იცით, რა არის სიყვარული და დიდხანს ვერ გაიგეთ“. საკმარისია თემურის ცხოვრებაში ლია შემოვიდეს, რომ გულიკომაც და თემურიმაც იგრძნონ — მათი ლტოლვა ერთმანეთისადმი არ იყო სიყვარული. გულიკოს ჩენ უფრო კარგად ვიცნობთ, კარგად იცნობს თემურიც და მან იცის, რატომ უყვარს გულიკო. ლიაზე თითქმის არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ ლამაზია. მაგრამ თემურის ლია უყვარს. რატომ? გაიგებ, რატომ ხედება ორი უცნობი ადამიანი და ერთმანეთისადმი ისეთ ლტოლვას გრძნობს, რომლის დაძლევაც შეუძლებელია? გაიგებ, რატომ არსებობს ერთი დანახვით შეყვარება? ასე მოვიდა სიყვარული თემურთან.

კაცი არ არის მამაკაცი, თუ მან არ შეიცნო ქალი და სიყვარული არ არის სრული, თუ იგი არ დაუპირისპირდა სიმრუშეს. ეტყობა, ამისათვის შემოიყვანა ნაწარმოებში მწერალმა ლიდა, გაბზარული ბედის „ძალიან კარგი ქალი“. სხვათა შორის, იმავე მოტივით თავი იჩინა ჯერ კიდევ მეორე ნაწარმოებში „მე ვხედავ მზეს“, გახსოვთ ქმარდაკარგული ცუცა („შენ იცი, რა არის მარტოდ დარჩენილი ჩემის ხნის ქალი, სოსოია!“) და დამფრთხებალი, შეძრწუნებული სოსოია? და თუ იმ მოთხრობაში ეს გამზოდი ფსიქოლოგიურად მოტივირებული იყო, „მზიან ღამეში“ თითქოს ხელოვნურის შთაბეჭდილებას სტრიკებს.

გაქრა მარტობა (თუმცა, განა იგი დროდადრო არ ეწვევა ხოლმე ადამიანს და ჩევნი ცხოვრება განა ამ მარტობის მუდმივი დაძლევა არ არის?) მოვიდა სიყვარული, მოვიდა ქალი, მაგრამ სანამ არ შეიცნობ სიკვდილს, მანამ სიცოც

ხლეც შეუცნობელია. „გვინია, ცხოვრება ბოლოსდაბოლოს სასაფლაოების ბაღებად გადაკეთების დაუსრულებელი პროცესია, მეტი არაფერი. სასაცილოა, ღმერთმანი“. სანამ სიკვდილი არ გაიღლის შენს გვერდით, მანამ იგი სასაცილოა, მაგრამ როცა შენ იგრძნობ მისი სუნთქვას, მხოლოდ მაშინ გახდება მისი დიდი და შემაძრუნებელი აზრი შენ-თვის ნათელი.

და უნდა მომქვდარიყო თემურის დედა, რომ თემურს თვით სიკვდილში და-ენახა სიცოცხლის უკვდავება.

„ეს მე ვარ, შენი შვილი, შენი სისხლი და ხორცი, შუაღამისას ვდგავარ საფლავებს შორის და არ მეშინია. არ მეშინია, რადგან ის, რისაც ყველაზე უფრო მეშინოდა, უკვე მოხდა. ეს იყო შენი სიკვდილი და რადგან სიკვდილის არ მეშინია, აღარც სიცოცხლის მეშინია“.

— „ეს მე ვდგავარ შენს საფლავთან. ბედნიერიც, უბედურიც, მტყუანიც, მართალიც, სუსტიც, ძლიერიც“.

თემური მზად არის ცხოვრებისათვის, მაგრამ როგორი იქნება მისი პირველი არჩევანი — სიკეთე — თუ ბოროტება? სწორედ აქ ჩნდება მისი ხასიათის ძირითადი თვისება — ბოროტის დამარცხება სიკეთით შეიძლება. ზევით მე შევეცადე მეჩვენებინა ეს სულიერი მერყეობა და დიდი გამარჯვება თემურისა.

მართლაც რომ „აესა და ცუდსა საქ-მესა ბოლო მოკლე და საწყენი აქვს და კარგსა და სამადლოსა — დაულეველნი უკუნისამდის“ (სულხან-საბა არბელი-ანი).

ზურიკელია და სოსოიმ იქნება ბევრი რამ ნახეს, მაგრამ მაინც სიჭაბუქესთან შეჩერდნენ, მათ არ განიცადეს ქალის სიყვარული, სიკვდილი, ისინი არ შებრძოლებიან ბოროტებას (არ ჰქონიათ ამის შესაძლებლობა), თემურაზ ბარა-მიძეგ კი ეს ყველაფერი ნახა.

ზურიკელი კეთილი იყო იმიტომ, რომ არ იცოდა რა არის ბოროტი. თემურიმ კი თვითონ უნდა გაარჩიოს კეთილი ბო-

როტისაგან, ნახოს, სად იშეუძალერთ და სად თავდება მეორე.

ზურიკელი, სოსოია და თემურაზული რამიდე ტყუპები არიან, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ თემურაზი მამაკაცია, რომელმაც შეიცნო ცხოვრება, შეიცნო თავისი თავი.

თემურაზი გაიზარდა.

\* \* \*

„მზიან ღამეში“ არის ერთი მხატვრული სახე, რომელიც ქართული პროზისათვის ახალია და საყურადღებო. ეს არის თემურის დედა — უდანაშაულო მსხვერპლი (თუმცა, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რამდენიმე წლის წინათ არჩილ სულავაურმა „აბელის დაბრუნება-ში“ სცადა შევემნა სახე ოცდაზეიდმეტი წლის მსხვერპლისა. ამავე პრობლემას მიუძღვნა გრიგოლ აბაშიძემ მოთხრობა „ცხოვრება წინ არის“). თემურაზი! დედის სახე სრულია და მრავლისმთქმელი. მის ხასიათში ძირითადი ორი ზრტინია: ერთი — „მე ჩემი სიცოცხლე ჯერ არ დამიმთავრებია. გზა კი, მგონი, დავამთავრე, ბოლოში გავედი“ და მეორე — „შიში, ყველაფრისა და ყველასი, უსახო შიში, იქნებ დაბნეულობაც, მაგრამ არა, მან შესანიშნავად იცის — „ზოგი ისე ჩადის ბოროტებას, სიკეთეს აკეთებს ჰერნია“.

ადამიანი ძლიერია, მაგრამ გამოუცნობისა და ამოუხსნელის წინაშე იცი ხშირად საოცრად უსუსურია.

— დავილუპე, შვილო, სტალინს დამბლა დაეცა! — თქვა დედამ და ცოცხალმკვდარი მაგიდას მიუჭდა.

— გაგიდი, ქალო? — ვკითხე მე და ურუანტელმა დამიარა.

... — ნუ იტყვი, შვილო, რომ სტალინს დამბლა დაეცა.

— რატომ, დედა, რადიომ თუ თქვა, ალბათ, მოელმა მსოფლიომ იცის.

— შენ ნუ იტყვი, შვილო, რადიომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გიყვარს“.

რა იქნება შემდეგ? რა იქნება თემურმა რომ გაიმეოროს რადიოს ნათქვამი?

რა იქნება რომ... სად იშევება და სად თავდება სიმართლე, რა ფასი აქვს სიმართლეს და განა ყველა სიმართლეს აქვს ერთიდაიგივე ფასი?

„მე მინდოდა მივმხვდარიყავი, რას ვანიციდა, რა აშუხებდა, რა სტკიოდა, რაის ეშინდა, ან რას სტირლი დედა-ჩემი, მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს მივხვდები და ვერ აგხსინი ამ სათხოებით სავსე, ჰატარა, შეშინებული, შეძრუნებული, ჭალარა ჭალის ცრემლების მიზეზს, იმ მისთვის საშინელ დღეს“.

ეს დღე საბედისწერო დღე განდა ამ ჭალისათვის. საღლაც, ტეინში გაწყდა ძარღვი და ოც ერთ ექიმს არ ილუნიშნავს: „თეთრპერანგიან ჭალარა ჭალს, გაშამებულ და შეგინებულ ღმერთს დაეცა დამბლა“.

თემურმა თავისი ხელით გაუთხარა სამარე, თავისი ხელით ჩაწევინა შიგ და თავისი ხელით დაადო გულზე ლოდი.

არავის, თითქმის არავის არ გაუგია მისი სიკვდილი.

ორივე ერთ დღეს გარდაიცვალა. ორი ადამიანი, რომელთა ბედი ისტორიაშ დაუკავშირა ერთმანეთს.

ასეთ პარალელს ავლებს მწერალი.

აქ კიდევაა სხვა პარალელიც.

ადრე, ჩამოსვლის პირველ ხანებში მზის სიღიადით აღფრთოვანებულ შეილს დუმილისა და რალაცის მოგონების შემდეგ ეუბნება დედა:

„ — მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი, უსაზღვრო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამხმარი ხანა, გამხმარი ტვინი. არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გიხარია მისი ჩასვლა, რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს, ასეთი ულმობელი, როგორიც გუშინ, გაიგე, შეიღო?“

მესამე პარალელი კი თვით სათაურია — „მზიანი ღამე“.

ეს ნაწარმოები, საერთოდ, გმირთა პარალელიზმზე აგებული. ერთი გმირი

თითქოს მეორე გმირის ფონია ან კონტრასტი. მაგალითად: დურსუნი და მური, ლია და ლიდა, ბატონი და ბატონი დავითი და ასე შემდეგ. მაგრამ ეს პარალელიზმი არსად არ იქცევა ნაძალადევ სქემად, რადგან ცხოვრების მრავალფეროვნება ჩანს. ამ დაპირისპირებით მწერალი მარტო ხასიათებს კი არ აძლევს რელიეფურობას, არამედ ჩვენი ცხოვრების ნაკლსაც ააშეარავებს, კარგს კი ხაზს უსვამს. ერთი მაგალითი: გალაკტიონი და ქიტუაშვილი გოგია, მოჟიდავე, ჩემპიონი, „რომელმაც პატარა საქართველოს სახელი მსოფლიოს ასპარეზზე გაიტანა, გააჭირითა“. ისინი რესტორანში სხედან, პირველი — მარტო, უცნობი, მეორე — თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული. გალაკტიონი ელოდება საჭმელ-სასმელს — ოფიციანტი მივა მაშინ, როდესაც ქიტუაშვილი-საგან განთავისუფლდება.

სატირიკოსის თვალით არის დანახული დემაგოგი და ურწმუნო ლექტორის გიორგისა და მომავალი ბატონი გიორგის, კომკავშირის კომიტეტის მდივნის უშანვას სახეც. ამ სახეთა მონახვა, ვფიქრობ, მეტაც მნიშვნელოვანია არა მარტო ნოდარ დუმბაძისათვის, არამედ თანამედროვე ქართული პროზისათვისაც — მოქალაქეობრივი გამბედაობის გარეშე მწერლობა ვერ შეიქმნება. ნოდარ დუმბაძე, კეთილი და ლმობიერი, კი არ იცინის ამ გმირებზე, არამედ დაცინის მათ, აქ კი უკვე ჩხუბობს. გახსოვთ, ბატონი დავითი რომ ამბობს „იჩხუბოს ბარამიძემ, ოლონდ იჩხუბოს საქმისათვის“...

მაგრამ სიცილი? ნუთუ ნოდარ დუმბაძეს ხუმრობა დაავიწყდა?

მე, ცოტა არ იყოს, ბევრი ადგილი დავუთმე იმ პრობლემებს, რომლებსაც ავტორი თავის შემოქმედებაში და „მზიან ღამეში“ აყენებს, მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რასაც იგი სიცილით გვეუბნება. სათქმელი კი ნოდარ დუმბაძეს აქვს. და თანაც, მას სულაც არ დავიწყნია ხუმრობა. მას შეუძლია ისევე ცრემლებამდე გაცინოს და ამ სიცილით

შვება და სიხარული მოგანიჭოს. ამ თვალსაზრისით შესანიშნავია ეპიზოდები „პარნასი“, „ბერლინის აღება“, „ქიროვის ბაღი“.

— გაპონ, რამე ახალი ამბავი გეცო-ლინება! — სთხოვა გოგია დემეტრაძემ.

— გუშინ ამერიკის ხმამ გადმოსცა, ესპანური ჭიანველის წვენს თმა ამოჰყავსო, — არ გაშებილა გაპონამ.

— ამის დედა ვატირე, ჩვენი რომ ჭიანველაც არ ვარგა! — გადაისვა მელოტ თავზე ხელი გოგიამ.

იუმორის არსებობა ნაწარმოებში ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის იუმორისტულობას. „მზიანი ღამე“ არაა ნ. დუმბაძისათვის დამახასიათებელი იუმორისტული ნაწარმოები, ეს ვერ ამცირებს მის ლირსებებს, მაგრამ, ვფიქრობ, ნოდარ დუმბაძეს წმინდა იუმორის უანრში უფრო მეტი წარმატებები ელის.

\* \* \*

კიდევ ბევრი რამის თქმა მსურდა. მინდოდა, დაწვრილებით მომეთხრო ხატიაზე, საოცარი სულის გოგონაზე, ილიკოზე, ბაბილო ბიძიაზე და კიდევ სხვებზე და სხვებზე, უცნაურად კეთილ ადამიანებზე, და გამეგო საიდანაა ეს უანგარიბა და ძალა სიკეთის ქმნისა. თუმცა ამას არც უნდა ბევრი რევევა — ეს თვით ხალხის ხასიათია, ხალხის ხა-

სიათის გამოხატვაა, მთავარისა და მახასიათებლის ნახვა, ეროვნული ხელი-ათის გახსნა.

\* \* \*

შაგრამ სიღან არის ეს ყოვლისმომცველი სიკეთე, გაება და პატიება ყველაფრისა?

შეიძლება ბევრი რამ მოგვწონდეს ამ შეხედულებათაგან, შეიძლება ბევრ რამეს არ ვიზიარებდეთ — ბოროტებასთან ბრძოლა ძნელი საქმეა და ფორმაც... ამ ბრძოლისა მრავალგვარი, შაგრამ... სიცილის სახელით შევუნდოთ ნოდარ დუმბაძეს, იუმორისტ მწერალ უმნიშვნელო პროფესიონალური შეცოდებანი.

\* \* \*

თემური, დღეს შენი დაბალების დღე და შენ სტუმრებს ელი. დღეს ლია მოვა შენთან და გურამი, ნაცნობი და უცნობი. დღეს თბილისის ქუჩები მოვლენ შენთან, რაღაც მათი შვილი ხარ, მათ თვალწინ გაიზარდე და დავაუკაცი. დღეს მეც მოვალ შენთან და მოვილოცავ. ბევრს არაფერს გეტყვი: გაგიმარჯოს, შენს სიკეთეს და შენს ბრძოლას გაუმარჯოს, შენს ფიქრს გაუმარჯოს, მეგობარი გიცოცხლოს ღმერთმა, ოჯახი და მამული...

## აკოდონ ჟოგანია

### ცაგუთარ ნიადაგზე

რევაზ ინანიშვილის პირველი მოთხოვები ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გამოკვეყნდა. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ მათი ავტორის სახით ქართულ მწერლობას უაღრესად საიმედო ახალგაზრდა პროზაიკოსი შეემატა. პოზიორობისა და ცრუ პათეტიკისაგან თავისუფალი თხრობა, ენის სიმდიდრე და სისადავე, უბრალო, კეთილი ადამიანების ხასიათების ოსტატურად გამოკვეთა, ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა, — აი ის თვისებები, რის გამოც შეიყვარა მკითხველმა მწერლობის ძნელ გზას ახლადშეჭიდებული მწერალი.

ახალგაზრდა პროზაიკოსმა „შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავა და დახვეწა ეს თვისებები. პირველ წიგნს მოჰყვა მეტად საინტერესო საბავშვო კრებულები, შემდეგ კი მწერალი კარგა ხანს დუმდა. შეიძლება ეს იყო ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისიც. რევაზ ინანიშვილმა ბოლოს დაარღვია დუმილი — გამოაქვეყნა მოთხოვა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. ეს არა მარტო ყველაზე მოზრდილი ნაწარმოები იყო რევაზ ინანიშვილის მანამდე დაწერილ მოთხოვათა შორის, არამედ ყველაზე უფრო საინტერესო და პრობლემურიც. მოთხ-

რობა მწერალმა შეიტანა თავის საუკეთესო კრებულში — „წვეთები ფოთლებზე“.

„ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ ამ წიგნის ნამდვილი მშვენებაა. მოთხოვაში, ურთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი ხდება, მაგრამ დღევანდელობის მძაფრი განცდა, მართალი განწყობილება თავიდან ბოლომდე გასდევს და არაჩვეულებრივ მიმზიდველობას ანიჭებს ამ ნაწარმოებს.

ახალგაზრდა თბილისელი ქალი რაიონში მუშაობს. იგი დროდადრო ჩამოდის ქალაქში, სადაც დედა და უმცროსი და ცხოვრობენ. ავტორი გმირის სულის უმცირეს ჩხევასაც კი იქერს, დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით აგვიწერს ელენეს თვალით დანახულ ქალაქს. ქალაქში არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ისეა, როგორც ადრე იყო. ქუჩა და სახლები. ადამიანები ქუჩებსა და მანქანებში; თავიანთ საქმებზე დაფიქრებული ადამიანები, — ყველა და ყველაფერი აქ ელენეს თვალით არის დანახული, ოდნავ ნერვიული, საქმიანი და ჰქვიანი ქალის თვალით. ამ ქალს ოცდაშეიდი წელი უსრულდება და ჯერ მამაკაცის ალერსი არ უგრძენია. მისი სევ-

დაც ლამაზია და ოცნებაც, გმირის გან-  
ცდების გაღმოცემისას ავტორს არსად  
არ ლალატობს ზომიერების გრძნობა,  
ყოველთვის მართალი და უშუალოა.

„ვინ დაიჭერებს, რომ მამაკაცის ხე-  
ლი არ მიჰყარებია ჩემს ძუძუს? ოცდა-  
შვიდი წლისა კი უნდა გავხდე საცაა. გა-  
ნა არა მაქეს საამაყო?“

აქ ადვილი შესამჩნევია ნერვიული  
ტონი საკუთარ თავზე გაფავრებული ქა-  
ლისა, რომელსაც დიდი და წმინდა  
გრძნობები აქვს; იგი მაღავს ამ გრძნო-  
ბებს, მაგრამ ყოველთვის ვერ ერევა,  
ელენეს სულში დაგუბებული მოკრძა-  
ლებული სიყვარული გამოსავალს ეძებს.  
ელენეს სულ მცირე რომ ყოფნის, რომ  
მისი არსება გარდაიქმნას, სულხანის  
უბრალო დანახვაც კი ყველაფერს ურ-  
ჩენია მშობელ ქალაქში ერთი დღით  
ჩამოსულს.

რამდენი კეთილშობილებაა სულხანის  
სახლისაკენ მიმავალი ელენეს ფიქრში.  
„თუ ახლა შინ დამხვდა, მერე ყოველ-  
თვის იმედით შევხედავ ჩემს ბედს. ვნა-  
ხავ და წამოვალ იმშამშივე. მოვიძიე-  
ზებ რამეს და წამოვალ. რომ გამომყევს?“  
არა, ვეტყვი, რომ აბანოში ვარ წასა-  
ვლელი. ოლონდაც შინ დამხვდეს ახლა.  
რა ვუთხრა, დედამისი რომ იყოს მარ-  
ტო? რა სისულელა. სულხანის ნახვა  
მინდა და დამხვდება კიდევც. თუ ძალიან,  
ძალიან მოინდომებ რამეს, ძალიან, ძა-  
ლიან — უეჭველად შეგისრულდება: იო,  
რატომ არ გაგეცინება, ღმერთო! ათას  
ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის ოც-  
დაექვეს ნოემბერს წელში მოხრილი მი-  
დის ქალიშვილი გაის სანახავად. ნახავს  
ერთი წუთით და მერე კმაყოფილი იქნე-  
ბა მთელ თვეს. სიყვარულით მოეკიდება  
საქმეს, კოლეგებს, მეზობლებს... იმ ერ-  
თი თვის შემდევ ისევ ნახავს ერთი წუ-  
თით და კმაყოფილი იქნება კიდევ ერთ  
თვეს... მერე... მერე აღარ ვიცი. მე ჯერ  
ეს მშენდება მხოლოდ. მაჩვენეთ ერთი  
წუთით და წაიყვანეთ მაშინვე. დაარ-  
ქვით ამას, რაც თქვენ გინდოდეთ, ის.  
მე კი ერთი წუთით მაჩვენეთ და წაიყ-  
ვანეთ მაშინვე. თქვენი იყოს დიდ-დიდი

სიამენი ამა ქვეყნისა. მე მარტო ქადა-  
წაწინა სურვილი ამისრულეთუროველი  
გმირის დიდი შინაგანი მღულევოუჩა-  
ჩანს. ამ სტრიქონებში. ელენე მაინც  
სტუცის, როცა ამბობს — „თქვენი იყოს  
დიდ-დიდი სიამენი ამა ქვეყნისა. მე მარ-  
ტო ეს პაწაწინა სურვილი ამისრულე-  
თო.“

მასაც უნდა დიდი სიამე და იდამია-  
ნური სიყვარული, მაგრამ გზა, რომლი-  
თაც ამ სიყვარულის მოპოვება შეიძლე-  
ბა, ეწინააღმდეგება ელენეს ბუნებას.

ყველაფერი, რაც ამ ქალის გარშემო  
ხდება, ყველა, ვისაც მასთან ურთიერ-  
თობა აქვს; თვით სულხანიცა და მისი  
მეტოქე ესმაც კი, მხოლოდ ფონია ელე-  
ნეს სახის გამოსაკვეთად.

ელენე ჭიკვიანია, საქმიანი და უზო-  
მოდ კეთილი. იგი ფიქრობს თინაზე,  
რომელსაც პერანგი უნდა უყიდოს, დე-  
დაზე, რომელსაც ფეხები სტკივა და  
თბილი წინდები სჭირდება, მეზობლის  
უვადშეოფ ბაგშეზე, ჩამონგრეულ ალ-  
აკაფზე, საკუთარ მოსწავლეებზე, რო-  
მელთაოვისაც წიგნები მიაქვს.

ესმა გაუნათლებელი და ხეპრეა, მაგ-  
რამ ლამაზი და, რაც მთავარია, მოხერ-  
ხებული. იგი სულხანს ისე ექცევა, რო-  
გორც პატარა ბაგშეს, თავის ნებაზე ათა-  
მშებს.

ელენეც ცდილობს, რომ სულხანი მი-  
სი გახდეს, მაგრამ მხოლოდ ფიქრში. იგი  
ბევრს ფიქრობს და ცოტას მოქმედებს  
ან სულაც არ მოქმედებს, ესმა კი ცო-  
ტას ფიქრობს ან შეიძლება სულაც არ  
ფიქრობდეს, მაგრამ მოქმედებს.

ელენე მეოცნებეა; ესმას ოცნებისათ-  
ვის არა სცალია, ყველაფერს პრაქტი-  
კული თვალით უყურებს.

სულხანი არც ელენესადმია გულგრი-  
ლი. რას იზამს, ვის უთანაგრძნობს იგი?

სულხანმა იცის, რომ ელენე დილით  
შვიდ საათზე მიპყება ავტობუსს.

„ავტობუსი დაიძრა. გარეთ ისევ ბნე-  
ლოდა. ერთი ააყოლა თვალი ელბაქიძის  
იღმართს. იქ, ბნელში, ვიღაცა მოჩბო-  
და, სპორტსმენის გრძელი ნაბიჯებით  
ვიღაც მოჩბოდა, „საწყალი, როგორ

მორბის, ალბათ რომელიმე ავტობუსზე დააგვიანდა“, — ეს გაიფიქრა და მერე ცივ მინას მიყერდნო საფეხქელით. მიყერდნო და გაუხარდა. ასე ნაკლებად სტყიდა თავი“.

ავტორი არ ამბობს, რომ ის, ვინც სპორტსმენის გრძელი ნაბიჯებით მორბის, სულხანია; ამას არც უნდა თქმა, ამის თქმით არაფერი შეიცვლება. სულხანს ავტობუსზე დააგვიანდა. ნუთუ საბოლოოდ დარჩა იგი ესმასთან. ნუთუ ესმა ამჯობინა ელენეს?

ავტორი არ აკეთებს დასკვნებს. დასკვნის გაცეთება არაა მწერლის მოვალეობა, დასკვნა მკითხველმა უნდა გამოიტანოს; მან უნდა შეავსოს ის, რაც მწერალმა უთქმელი დატოვა.

კრებულში შეტანილი ორი პატარა მოთხოვნა („ჩემი მეგობარი“ და „ჩემი საყვარელი დეიდა“) თემატურად ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ სრულიად სხვადასხვა განწყობებს აღძრავს.

პირველ მათგანში ავტორი ფიქრობს და ფიქრით ხედავს მეგობარს. მეგობარი სოფლად ცხოვრობს, მთაში. ქვეს ოჯახი, ჰყავს ცოლი, ბავშვები და იგი კმაყოფილია. მას ქვეს ცველაფერი, რაც ბეღნიერებას ანიჭებს ადამიანს.

აյ არ არის ფსიქოლოგიური წიაღსველები, მაგრამ უბრალო აღწერითაც შვევნიერად არის გაღმოცემული ადამიანის სული, შექმნილია განწყობილება.

ეს მოთხოვნა კონტრასტს ქმნის და ამავე დროს ერთგვარად ექმიანება მეორე მოთხოვნას.

არავინ იცის მოხუც დეიდაზე უკეთ მარტოდ, უფასოდ დარჩენილი ადამიანის მწარე ხედრი. სწორედ ამიტომ აგვიწერს ავტორი ასე დაწვრილებით ძეველ ალბომებში ჩალაგებულ სურათებსა და ბარათებს; მათთან არის დაკავშირებული დეიდას ახალგაზრდობა.

ახალგაზრდობის გახსნება სევდის მომგვრელია, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნოც, რადგან მოგონებათა წუთებში ადამიანი დროებით მაინც ივიწყებს სიბერეს. მარტოდ დარჩენილი მოხუცი-

სათვის ასეთი მოგონება განსაკუთრებული ნუგეშია.

აյ კი, მეგობრის სახლში, ზურგის დაკაბიწებული შრომობენ მწერლის მეგობარი და მისი მეუღლე.

საღამოთი ყველაზე შინ არიან, ოჯახში ბევრი საქმეა: მეუღლე საჭმელს ამზადებს, მეგობარი ბავშვის ფეხსაცმელებს აკერძოს, ცამეტი წლის გოგონა აუთოებს, ბიჭები ბუღრაობენ, დათვის ბელებს ჰგვანან და იატაზე ბელებივით გორაობენ.

ხოლო დეიდას ოჯახში...

ავტორი არც აյ გვახედებს გმირის სულის ხევულებში, სიტყვიერად არაფერს ამბობს მის დიდ ადამიანურ სევდაზე, მხოლოდ საგნებს აღწერს და ამ აღწერით გაღმოგვცემს მის მარტობას: „მის ოთახში თითქოს ყველაფერი დამუნჯებულია. საათიც კი უხმაუროდ ითვლის წამებს“.

რამდენი რამა ნათქვამი ამ ორ პატარა წინადაღებაში. რა უბრალოდ დაზუსტად არის გაღმოცემული საჭირო განწყობილება. რევაზ ინანიშვილი თვითმიზნურად არასაღროს აღწერს საგნებსა და ნივთებს; ამით იგი ყოველთვის გმირის შინაგან სამყაროს ხსნის. მწერალი ერიდება ზედმეტსიტყვაობას, მისი ფრაზა მოქნილია და ტევადი. დიალოგი — მსუბუქი და ზედმიწევნით უშუალო.

დეიდა ეკითხება მას, თუ რატომ გაებუტა სატრტოს.

„მე უუყვები, რომ ასე და ასე იყო მეორე.“

დეიდას სიამოვნებით ეღიმება და თვალებში შემომყურებს.

მერე იმან რა თქვა?

ამასაც ვეუბნები.

შენ რაღა უთხარი?

ამასაც.

იმან?

ამასაც“.

ეს უბრალოება, ეს პატარა საუბარი იმდენს ამბობს, რასაც ალბათ რამდენიმე გვერდი დასჭირდებოდა, მაგრამ მწერ-

რალი არ აქიანურებს სათქმელს და ამით  
ნაწარმოები იგებს.

საუბრის შემდეგ ავტორი აკვირდება  
ფიქრში წასული მოხუცი დეიდის ფერ-  
მერთალ სახეს და ყველაფერს კითხუ-  
ლობს ამ სახეზე — „ვატყობ — მისი  
ოცნებით სავსე თვალები რალაც ბურუ-  
სით იბინდება. ვატყობ, რომ ის აქ აღარ  
არის“.

მეითხელმა იცის, რომ ამ დროს ეს  
მარტოხელა ქალი გემზეა შავ კაპიტან-  
თან, მხიარულ, გაფრენილ დღეებთან,  
ოცი წლის წინათ უაჩყოფილ სიყვა-  
რულთან.

მშვენიერია ლადო ასათიანზე დაწე-  
რილი მოთხრობა. გაგებულიც რომ არ  
გეონდეს ლადო ასათიანის სახელი, მიხ-  
ვდები, რომ ამ მოთხრობის გმირი პო-  
ერია.

მოთხრობას წინ უძღვის პატარა მო-  
გონება „ცხოვრება პოეტისა“. მეგობა-  
რი — ამ კრებულის ლირიკული გმი-  
რი — უყვება შერალს, თუ როგორ ნა-  
ხა ერთხელ მან ლადო ასათიანი. ეს მცი-  
რე მოგონება ნათელს ჰქონდება ასათიანის  
პიროვნებას. აქ არაფერია ნათქვამი მძი-  
მე სეწნე, პოეტის რომ ტანჯავდა, მაგრამ  
პორტრეტი საოცარი სიზუსტით და ოს-  
ტატობით არის დახატული. პატარა-პატა-  
რა, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი დე-  
ტალები ჩვენს თვალშინ აცოცხლებენ  
„ადრე წასულ კაცს“.

— შენ თვითონ გინახავს? — ვკითხე  
მე.

— ერთხელ ვნახე, მეექვს კლასში  
რომ ვიყავი, — თქვა ჩემმა მეგობარ-  
მა, — იცი როგორ?

წამოდგა, ღიმილით გაიარა, ხელები  
გაშალა, შემობრუნდა და აღტაცებით  
განაგრძო:

— როგორ ვნახე, იცი? ქუთაისში,  
ჩვენი სკოლის წინ მიდიოდა წვიმიან  
დღეს — დიდი, გამხდარი, ნალვლიანი.  
უცებ, თითქოს რაღაცა იპოვნაო, შედგა.  
მერე გაშეშებულივით, აი, ასე წამოილო  
მარცხენა ფეხი, შემოდგა ქვის ყორეზე,  
მოჰქიდა ცერი და საჩვენებელი თითო  
წვრილ მავთულს, რომლითაც ფეხსაც-

მლის არღვეული ძირი ჰქონდა მიმიწერ-  
ბული; გადაგრიხა, მოკეცა ისე რომ არ  
გამოხეხილიყო, გასვრილი თითების სიჭრა  
ვიულად გადაიწმინდა ქათქათა ცხვირ-  
სახოცით და წავიდა... წვიმაში, დიდი,  
ნალვლიანი...

ლადო ასათიანზე ვლაპარაკობდით“.

რამდენი ადამიანური სითბო და პო-  
ეზიაა ამ სიტყვებში. აქ არის უსაზღვრო  
მწუხარებაც იმ კაცის გამო, ვინც ბო-  
ლომდე ერთ თქვა თავისი წარმტაცი სიმ-  
ღერა სიცოცხლესა და სიყვარულზე,  
სამშობლოს ლეთაებრივ სილამაზეზე.

თვით მოთხრობაში მწერალი დიდი  
სიცხადით ავვიწერს იმ რამდენიმე  
დღეს, რაც ლადო ასათიანმა კახეთში  
გაატარა. ფერწერული სიმკეთრითა  
დახატული ლოვლათიანი კახური შე-  
მოღომა და დაუვიწყარი ლხინი კახე-  
ლებთან. მოთხრობის ბოლო ნაწილი ამ  
ნათელი შთაბეჭდილებებითა სავსე:

„აუ, რამდენ რამეს ფიქრობდა ლადო  
იმ ღამის შემდეგ! რამდენ რამეს პპირ-  
დებოდა იმ ღრუბლებს, ალაზნის ველზე  
რომ იწევნენ ხოლმე დილდილობით, იმ  
ნათელ მზეს, დაღესტნის მხრიდან რომ  
ამოღილა ზეიმით, იმ გლეხეცაცებს,  
რომლებსაც ესოდენ დიდად სჭირდებო-  
დათ მისი სევდა, მისი სიხარული. მაგ-  
რამ ერთი პატარა ლექსის მეტი ვერა  
დაუწერა რა ვერც ერთს. დანარჩენი  
დრო სხვა ღრუბლებმა, სხვა მზემ, სხვა  
ადამიანებმა წაიღეს. ისინი უთვალავნი  
იყვნენ. ლიცლიცით გამოდიოდნენ ია-  
სამნისფერ ბურუსიდან. მლოცველები-  
ვით მორჩილად ჩერდებოლნენ პოეტის  
შორიახალო და იცდიდნენ. იცდიდნენ და  
ბოლოს ყველას მიპქონდა თავ-თავისი  
წილი. მიპქონდათ მანამდე, სანამ ოცდა-  
ექვსი წლის შაბუქმა გაზაფხულის წვი-  
მას არ გატანა თავისი არსებობის უკა-  
ნასკნელი წუთი...

შეუნდეთ, კახელებო!“

აქ უნებურად გვასესნდება ის თაობა,  
რომელიც ლადოსთან ერთად მოვიდა  
და რომლის ბევრი წარმომადგენელი  
უკრწანისის ყაყაჩოების“ ავტორივით  
აღრე წავიდა ამ ქვეყნიდან (მათი ცხოვ-



რების მივიწყებული ფურცლები შესანიშნავად გააცოცხლა მწერალმა ნიკა აგიაშვილმა!).

ციკლში „ცხოვრება პოეტისა“, ლადო ასათიანზე დაწერილ მოთხრობასთან ერთად შეტანილია მოთხრობა ფიროსმანზე. ეს შემთხვევითი არ არის. მწერალმა იცის, რომ ნიკო ფიროსმანი ფერების პოეტია და ლადო ასათიანის უსაყვარლესი მხატვარი. გავიხსენოთ ფიროსმანისადმი მიძღვნილი მისი საუკეთესო ლექსი.

ეინც კალამს ჰყიდებს ხელს, უნდა ახსოვდეს, რომ ხელოვნების შუბლი ყველაზე ძლიერაა დადალული ეროვნულობის ნიშნით. ედისონის გამოგონება ყველგან ერთნაირ თვისებას ამეღავნებს, მაგრამ შექსპირი სრულყოფილად მხოლოდ ინგლისელებისათვის აჩსებობს


ისევე, როგორც რუსთაველი — თვის.

რევაზ ინანიშვილის ნაწერებში ქართული ჟურნალის სისველესა და ქართული ბელტის სუნს. იგი მტკიცედ დას ეროვნულ ნიადაგზე და დიდი წინაპრების გზას აგრძელებს.

მე არაფერი მითქვამს კრებულში შესული მოთხრობების ნაკლოვანებებსა და, საერთოდ, სუსტი მოთხრობებზე. რა თქმა უნდა, სუსტი ადგილები და ზოგიერთი შედარებით სუსტი მოთხრობა გვხვდება ამ წიგნში. მაგრამ რევაზ ინანიშვილს არა აქვს არც ერთი ყალბი ნაწარმოები. ამიტომ მიყვარს მე იგი, როგორც მკითხველს.

მწერალი მოვალეა მტკიცედ იდგეს საკუთარ ნიადაგზე, გრძნობდეს და სეისმოგრაფივით აჩვენებდეს იმ ძვრებს, რასაც ჩვენი ხალხის გული გამოსცემს.





აევაზ მიმვეღადე

## აკაკის საზორალი ქურნალი

„თუ კი გაშინ, როდესაც ცხოვრების გრძელი გზა  
მეორეა გასამლელი, არ ზოგინებია, დღის, როცა კუ-  
ბის კარამლი ბიგრი აღარა დამრჩა-რა, ვიდას უნდა უ-  
ცუშინდე?”

ა კ ა კ ი.

1905 წლის რევოლუციამ ლიტე-  
რატურული ინტელიგენციის უმრავლე-  
სობა გაიყოლია, ზოგი „მორცხვი და გა-  
უბედავი“ შუაგზაზე დატოვა, ხოლო ერ-  
თი ნაწილი სინანულით გააცილა მისტი-  
კიზმისა და სიმბოლიზმის გზაზე. ამი-  
ტომაც ლიტერატურის ისტორიაში რე-  
ვოლუციისა და რეაქციის პერიოდი საკ-  
მაოდ პრავალწახნაგოვნი და ხშირად  
იდეურად პარადოქსალურია.

იმ პერიოდის რუსეთისაგან განსხვა-  
ვებით, ქართული მწერლობის სარჩიელ-  
ზე ჯერ კიდევ ანათებენ ეროვნულ-გან-  
მათვისუფლებელი მოძრაობის დემო-  
კრატიული პერიოდის წარმომადგენელ-  
ნი — ქართველი რევოლუციურ-დემო-  
კრატები. მათს იმდრიონდელ მოღვა-  
წეობას ხალხისათვის თავდადების, რე-  
ვოლუციის მხარდაჭერისა და თავისუფ-  
ლებისაკენ მოწოდების უტყუარი ბეჭე-  
დი აზის: მართალია, რევოლუციურ-დე-  
მოკრატები ვერ ამაღლდნენ პროლეტა-  
რიატის დიქტატურის გაგებამდე, მარ-  
თალია, უპირველეს საქმედ ეროვნული  
საკითხის მოგვარება მიაჩიდათ და საქარ-  
თველოს განთავისუფლებისათვის ზოგ-

ჯერ „შინაურ შერიგებასაც“ დასიშვებად  
თვლილნენ, მაგრამ მათი 1905-7 წლების  
საქმიანობა მაინც არ ქცეულა რევოლუ-  
ციის ინტერესების ხელისშემშლელ ბა-  
რიერად. პირიქით, აკაკი წერეთელმა თა-  
ვისი მებრძოლი, სატირული ჟურნალე-  
ბით დროულად აღიმაღლა ხმა თვით-  
მშერლებელობის წინააღმდეგ და რევო-  
ლუციას მხარში ამოუდგა.

ბოლშევკებმა სწორად გაიგეს და  
შეაფასეს რევოლუციურ-დემოკრატია  
ლიტელი და დასაშვებად ჩათვალეს მათ-  
თან თანამშრომლობა, მათი დიდი ივტო-  
რიტეტის გამოყენება მიმდინარე რე-  
ვოლუციაში: „რევოლუციურ-დემოკრა-  
ტებთან, რომელთაც ვაკურობა კი არა  
სურთ მთავრობასთან, არამედ ბრძოლა,  
რევოლუციის შეკვეცა კი არ უნდათ,  
არამედ ბოლომდე მიყვანა, — ასეთ ადა-  
მიანებთან ჩვენ ხელისხმავიდებულმა  
უნდა ვიაროთ, თუმცა არ უნდა გავით-  
ქვიფოთ მათში“, — წერდა ვ. ი. ლენინი  
(თხზ., ტ. 10. გამოც. IV, სახელგ. 1950,  
გვ. 46).

საქართველოში 1905-7 წ.წ. რევოლუ-  
ციის პერიოდის პირველი სატირული

უურნალები რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის მეთაურობით შეიქმნა. მებრძოლმა პროლეტარიატმა არა-საკმარისი ლიტერატურული გამოცდილების, ეკონომიკური სივიწროვისა და პოლიგრაფიული ბაზის უქონლობის გამო პრიორიტეტი რევოლუციურ-დემოკრატიას დაუთო. რა ურთიერთობა იყო რევოლუციურ-დემოკრატიულ სატირულ უურნალებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, ამის დანახვა კრიგად შეიძლება აყავის სატირული უურნალების გაცნობით.

\* \* \*

... 1907 წლის 11 თებერვალს, ნაშუა-დღეს, თბილისელი გაზეთის გამყიდველები დაატარებდნენ ქართული სატირული პერიოდიკის პირველი მეტცლის — „ხუმარას“ ნომრებს. „ყოველ კვირეული კარიკატურებიანი გაზეთი“ პირველ დღესვე მთლიანად გაიყიდა. უურნალისადმი ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ რედაქტორ-გამოცემლად ხელს აწერდა — აყავი წერეთელი.

აყავიმ „ხუმარას“ გამოცემის ნებართვა ორი წლით ადრე ითხოვა. 1905 წლის 17 მაისს მეფისნაცვლის სახელშე შეტანილ განცხადებაში იგი წერდა, იუმორისტული გამოცემა ქართულ ენაზე ჭერა არ არსებობს და საჭიროება კი დიდი არისო. ოთხ თვეს დაუგვიანეს პასუხი. მხოლოდ სამ სექტემბერს მოაწერა მეფისნაცვალმა ხელი საცენტურო კომიტეტისა და თბილისის გუბერნატორისადმი გაზიარებილ ბრძანებას „თ-დ ა. ჩ. წერეთლისათვის სატირული უურნალის გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ“. ბრძანებას თან ახლავს აყავის მიერვე შედგრინილი „ხუმარას“ პროგრამა. პროგრამა საკმაოდ ფართოა. თითქოს ზოგჯერ ს ცილდება კიდეც სატირული უურნალის ჩარჩოებს.

რა მიზეზით დააგვიანა აყავიმ უურნალის გამოცემა ორი წლით? რატომ გადასწია მან ქართული სატირული პერიოდიკის დაბადების თარიღი? ამ გარემოებას გააჩნია რამდენიმე ყურადსალები

და გამამართლებელი მიზეზი. გრიგორი, მოხუცი პოეტის ჯანმრთელობა ამ დროისათვის საკმაოდ შერყეულია დამდეგს აკავი უცხოეთში მიემგზაურება სამკურნალოდ და კიდევ უფრო ჯანგატეხილი ბრუნდება იქიდან. ამასთანავე იგი უკიდურეს ეკონომიკურ სივიწროვეს განიცდის, რაც ნათლად ჩანს ამ ხანგბში ცოლ-შეილისათვის გაგზაუნილი წერილებიდან. ბუნებრივია, მას არ გააჩნდა სახსრები სტამბის დაქირავებისა და უურნალის გამოცემასთან დაეკვირებული ხარჯების დასაფარავად. აყავიმ „ხუმარას“ გამოცემის ნებართვა მიიღო მაშინ, როცა კარზე იყო მომდგარი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, ხოლო თვით აჯანყების პერიოდში თბილისში შეუძლებელი იყო სატირული უურნალის გამოცემაზე ლაპარაკი.

„ხუმარას“ დაგვიანებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. როგორც ვიცით, 1906 წლის 5.იანვარს აკავიმ კოტე მესხის „პატარა გაზეთში“ დაბეჭდა „ინტერნაციონალის“ თარგმანი. ლექსის მთარგმნელი და გაზეთის რედაქტორი მაშინვე პასუხისმგებაში მისცეს. გაუთავებელი გამოძიება, დაკითხვები და სასამართლოში სირბილი თითქმის ექვს თვეს გაგრძელდა. ჯანგატეხილ წერალს მეტეხი ემუქრებოდა და, ბუნებრივია, მას „სახუმაროდ“ არ ეცილა.

უურნალის პირველ ნომერში რედაქცია აცხადებდა, რომ „ხუმარა“ „ერთ რომელიმე პარტიის ორგანო არაა, ისაა კარ-ლია გაზეთი; აზრთ შეფახება — აი, რა კეშმარიტების გამოყვესელი. დევ, დაეჭახონ სხვადასხვა მიმართულების შეხედულებანი ერთმანეთს — ეს საჭიროა და კარგი. „მოყვარეს პირში უძრავე“ თუ ზნეობრივი სიბრძნეა, „მტერს რომ პირში უძრავი“ ეს კიდევ მეტი ხარისხის ზნეობრივი სიბრძნე იქნება“ („ხუმარა“, № 1, 1907). მართალია, „ხუმარა“ არ იყო ერთი რომელიმე პარტიის ორგანო, რადგან ქართველ რევოლუციურ-დემოკრატებს თავიანთი პარტია არ დაუარსებიათ, „იდეური ერთობა ორგანიზაციულ

ერთობაში არ გამოუხატავთ“ (ლ. გორგოლაძე) — „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში“, 1963, გვ. 16), მაგრამ ამ უზრნალის ერთადერთი ნომრის გულდასმით ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი „სხვადასხვა შეხედულებათა და მიმართულებათა საწყობს“ კი არ წარმოადგენს, არამედ გამსჭვალულია ერთიანი გლეხურ-პატრიოტული რევოლუციური დემოკრატიზმის მსოფლმხედველობით. ეს მსოფლმხედველობა დროული და დიდმინიშვნელოვანი იყო მეცხრმეტე საუკუნის საქართველოში და საუცხველი შეუქმნა დემოკრატიულ ნიადაგზე მარქსიზმის დამკიდრებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ხუმარას“ წოთელ ზოლად გასდევს დაუფარავი სიმპათია და თანაგრძნობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიმართ. ეს თანაგრძნობა და სოციალ-დემოკრატ პოლიო ირეთელის (-ე ლი) გამოსვლა უზრნალის ფურცლებზე ერთხელ კიდევ გვისაბუთებს აყავის დამკიდებულებას ჰეშმარიტი მარქსიზმისადმი.

„ხუმარაში“ გამოქვეყნდა აყავის ფერონი — „ბენია და ბეშტია“. თუმცა ფელეტონი ხელმოუწერელია, მაგრამ მხატვრულ-სტილისტური ანალიზით ძნელი დასადგენი როდია, რომ იგი აყავის ეკუთვნის (რატომდაც აყავის ოხულებათა თხუთმეტ ტომეულში ეს ფელეტონი შეტანილი არ არის).

„ხუმარაში“, როგორც აღვნიშნოთ, „ელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილია პოლიო ირეთელის (პოლიექტოს ანტონის ქე კალანდაბის) ფელეტონი — პაროდია „ლექცია“. პ. ირეთელის ამ ნაწარმოებში მოცემულია გაბედული მხილება სოციალ-ფედერალისტთა თვალთმაქცური პოზიციისა.

„ლექციამ“ აღმოფოთა ფედერალისტები. პავლე აკობიამ გაზეთ „ისრის“ რედაქციას მიმართა თხოვნით, დაებეჭდათ მისი პასუხი: „ბ-ნო რედაქტორო, — წერს პ. აკობია „ისრის“ რედაქტორს, — გაზეთ — „ხუმარას“ რედაქციამ, მიუხედავად იმისა, რომ მან საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი გაზეთის უპარტიობა,

აღიარა, რომ ყველა მიმართულების წერილებისათვის იქნება „ხუმარაში“ გარები ღიაო, ამ დაბეჭდა ეს პატირებული იმ დროს, როცა მან ამ გაზეთის გვერდებზე გამოსჭიმა აბდაუბლით სავსე „ლექცია“: გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ ამ მცირე ლექსს თქვენს გაზეთში“. თავის სატირულ ლექსში — პასუხად „ელის“ პ. აკობია ცდილობს დამტკიცოს, რომ „ხუმარა“ კარლია გაზეთი კი არ არის, არამედ სოციალ-დემოკრატიული ორგანოა.

„ხუმარამ“ არც სომხური ბურუაზიულ-ნაციონალისტური პარტია — დაშნაცუტუნი დატოვა უყურადღებოდ. ცნობილია, რომ რეაქციის მიერ განებივრებული ეს უკიდურესად შოვინისტური ხროვა შელლს აღვივებდა ქართველთა, სომეხთა და თათართა შორის დაიყო უშუალო ინიციატორი იმხანად არაერთი სისხლისმლერელი შეტაკებისა ავლაბრელ სომხებსა და ხარფუხელ თაორებს შორის.

„ხუმარას“ სატირიკოსმა საბაბად აიღო დაშნაცუტუნის დამარცხება მეორე სათათბიროს არჩევნებში და საქმაოდ ვრცელი ლექსით მეთხევლისათვის ნათელი გახადა სომეხი ბურუაზის ამ პარტიის „დამსახურება“ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ავტორი დაშნაცუტუნს დაცინვით „ავლაბრის ლომს“ უწოდებს.

ის ხომ ლომია ძლევამოსილი, ბრძოლაში ასეურ ნავეშ, ნაწილობის მისთვის ქალაქის წილიერია და გასართობია. „პუსტიაკია“ და გასართობია: „ავლაბრის ლომი“, რომელსაც მხოლოდ „თათრებთან ბრძოლა ასულდგმულებს“, არჩევნებში დამარცხდა:

დღეს აღბათ ნაღვლობს გამოლიდებას, რაღვენაც „ლომის“ დაპატირება ტყავი და საარჩევნო ასპარეზიდან კატა ააბრუნდა და ისიც შევი. ...

... ამ სიტყვებით ამთავრებს ლექსს ავტორი. მის სატირას სიმახვილეს შატებს გ. ზაზიაშვილის კარიკატურა — გაძვალტყავებული ლომი, რომელსაც ქვემოთ იქვს მინაწერი — „ძალლი არ გეგო-

ნოთ — ლომია". საყურადღებოა, რომ ამ ლექსში საარჩევნო ბრძოლაში სულ-სწრაფობისა და სიხარბის გამოჩენისათვის დაშავებთან ერთად გაყიცხული არიან ფედერალისტები, „რადიკალები" და კადეტები, მხოლოდ სოციალ-დემოკრატია ნახსენები ყველგან მოწინებოთა და სიყვარულით. ასე რომ პ. აკობიას და იმდროინდელ პერიოდულ ორგანოებს პერიოდის საკანონო მტკიცე საბუთი „ხუმარას“ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთად გამოცხადებისა.

უზრნალის ამავე წომერში ვეითხულობთ აკაკის გამოცანებს სახელმწიფო საბჭოს დეპუტატებზე. „ხუმარას“ რედაქტორი მისთვის დამახასიათებელი სიმახვილით მიგანიშნებს დეპუტატთა შშიშარა, გაუტედავ გამოსვლებზე სახელმწიფო საბჭოში. მხოლოდ ერთ გამოცანაშია მოწონებული დეპუტატის პოზიცია:

ბერი რამ შემონდა სათქმელი,  
არ მათქვენენ, არაო!  
შემომბლობნენ, როგორც მგელს  
შეშინებული ფარაო.

ჩვენ ვფექტობთ, ამ გამოცანის ადრესატი ილა ჟავაშვილი, ილია, რომლის ცეცხლოვანმა გამოსვლებმაც სახელმწიფო საბჭოში თავზარი დასცა ცარიზმის ძილდამზრთხალ ბიუროებრივისა და რომელმაც პეტერბურგში პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩი თავად-აზნაურობამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე-იქ აზნაურთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ აქაური რესთა აზნაურნი, ეს დიდი შეცდომაა" (უზრ. „განათლება“ № 3-4, 1908 წ. გვ. 108).

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ „ხუმარა“ სატირულ-იუმორისტული უზრნალია, მასში ცოტა რამაა ნათქვამი შეფარვით, გადატანით, არაპირდაპირ. უზრნალი მეამბოხე სულისკეთებით ეხმაურება ყოველდღიურობის აქტუალურ პრობლემებს და დაუნდობლად ამათრახებს საყველთაო წინსვლის შემფერხებელ ყოველგვარ მოვლენას. ასეთი დიდი მოქალაქეობრივი

გაბედულების გამო რეაქციამ უწყება „არ დაინდო. 17 თებერვალს გაშემოტებული“ მკითხველებს აუწყებს: „ავტომატის, 11 თებერვალს ტფილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი თავად აიავი წერეთლისა — „ხუმარა“. გაზეთი მეორე დღესვე დაკეტეს და მოხუცი პოეტიც დააბატიმრეს“...

„ხუმარას“ დახურვის და აკაკის დაპატიმრების საბაბი გახდა უზრნალის პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული თბილისის გუბერნატორის რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგის კარიკატურა და მის ქვეშ მინაშერი აკაკის ლექსი:

დიდურაანთ ყროყინას  
ჩვენები ეჭავრება;  
სიდანც მოსულა  
იქით მიეჩქარება....

თავადაზნაურთა მარშალ გ. ა. ბაგრატიონ-დავითაშვილსა და თბილისის გუბერნატორს შორის მომხდარი ინციდენტის გამოძხილით დაწერილ ამ ლექსში, როგორც ვხედავთ, აკაკი რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგს „დიდურაანთ ყროყინას“ უწოდებს და კინტოს პირით მოწონებით მიმართავს თავადაზნაურთა მარშალს, რომელიც ქალაქის მეუფეს „ნიშაურს ულესავს“,—„ამოუსევით; რაუშიავს“. გ. ზაზიაშვილის მიერ დახატულ ეპლეტებიანი ვირის სახეში გუბერნატორის ამოცნობა ისედაც შეიძლება, „რაუშა“ შავი კორპუსითაც რომ არ იყოს აწყობილი.

... საქართველოს ბულბული მეტების ციხეში ჩასვები! — ელევასავით მოედო ქალაქს. ყველა შეშფოთდა. მეტების ქვემოთ, მოედანზე, უამრავი ხალხი შეგროვდა და პოეტის განთავისუფლება მოითხოვა. ხალხის მღელვარებით შეშინებული სამხედრო გუბერნატორის ტიმოფევის განკარგულებით იგი მეორე დღესვე გაანთვისუფლეს.

ასეთი ბედი ეწია პირველ ქართულ სატირულ უზრნალს და მის რედაქტორს.

პოლიგრაფიის იმდროინდელი შესაბალებლობის ფარგლებში, „ხუმარას“ ტექნიკური გაფორმება ყურადღებას იპყ-

რობს მასალათა ორიგინალური განლა-  
გებითა და შრიიფტის სტატური შერ-  
ჩევით. უურნალი იძეჭვდებოდა სტამბა  
„სორაპაში“ მაღათვის გორახე. სტამ-  
ბის მეპატრონენი იყვნენ მიხეილ გაჩე-  
ჩილაძე და ზაქარია ჭიჭინაძე. სტამბა  
1906 წელს გაიხსნა და ქართული სატი-  
რული პერიოდიკის დიდი ნაწილი იქ-  
დაიბეჭდა. „სორაპანი“ ხშირად არალე-  
გალურ ლიტერატურასაც ბეჭდავდა და,  
ბუნებრივია, უანდარმერია მისი ხშირი  
სტუმარი იყო.

\* \* \*

გუბერნატორი იძულებული გახდა ან-  
გარიში გაეწია აკაკის დიდი იეტორიტე-  
ტისათვის და 18 თებერვალს ნება დარ-  
თო განეგრძო „ხუმარას“ გამოცემა, მხო-  
ლოდ იმ პირობით, თუ გაზეთი ერთხელ  
და სამუდამოდ ხელს იღებდა თანამდე-  
ბობის პირების დაცინვა-გამასხარავება-  
ზე. ბუნებრივია, ასეთ პირობას პოვტი  
ვერ დაეთანხმებოდა და მან ტიმოფეევს  
უარი განუცხადა „ხუმარას“ განახლება-  
ზე. ტიმოფეევსაც დიდად არ სწყენია  
ურჩი რედაქტორის უარი.

მაგრამ — „ხუმარა“ სრულებითაც არ  
მომკვდარა. აკაკი ცენზურის თვალის  
ასახვევად „კულისებში“ მიიმალა და გა-  
ნაგრძო სატირული უურნალების გამო-  
ცემა. „ხუმარას“ კვალდაკვალ გამოვიდა  
მთელი წელი უურნალებისა „მასხარას“,  
„ეკალის“, „ბზიკის“, „ოხუნჯის“ („მას-  
ხარა“ ორგერ გამოვიდა. პირველს  
რედაქტორობდა რახილ კალანდაძე,  
მეორეს — კ. ვენეცია), „ზურნას“ და  
„ცეცხლის“ სახელშოდებით. ამ უურნა-  
ლებს, კონსპირაცული მოსაზრებით, რე-  
დაქტორ-გამომცემლებად ხშირად ხელს  
აწერდნენ ისეთი პირები, რომლებსაც  
მწერლობასთან კოტა რამ ჰქონდათ სა-  
ერთო. ფაქტიური რედაქტორი კი აკაკი  
იყო. ბრძოლის უინით ანთებული პოვტი  
ახალგაზრდული გატაცებით შრომდა.  
როგორც კი იგრძნობდა უურნალისათვის  
მოსალოდნელ საფრთხეს, თვითონ შე-  
აჩერებდა გამოცემას და ან სახელს შე-

უცვლიდა, ან გამომცემელს. აუქ რომ,  
ყველ არ კვირაში ერთიმეტრეტე-  
მოცემული სატირული უურნალების შეა-  
ტიურად „ხუმარას“ ახალ-ახალი ნომ-  
რები იყო. ზოგჯერ ამ გამოცემებს აეკი  
ცენზურის თვალის ასაკევეად აღმანახს  
უწოდებდა, ზოგჯერ საოხუნჯო წერი-  
ლების კრებულს, რადგან მათი გამოცე-  
მისათვის სპეციალური ნებართვა არ  
იყო საჭირო — მისი გამოცემის უფლება  
ჰქონდა ყველას, თუ სასიგნალო ცალშე  
იქნებოდა ბეჭდვით საქმეთა კომიტეტის  
ბეჭედი.

„ხუმარას“ პირველი მემკვიდრე იყო  
„საოხუნჯო მასალების კრებული“ —  
„მასხარა“, რომელსაც რედაქტორ-გა-  
მომცემლად ხელს აწერდა რახილ კა-  
ლანდაძე. „მასხარაში“ ზუსტად იმავე  
ავტორებს ეხვდებით, „ხუმარაში“ რომ  
თანამშრომლობდნენ. „მასხარაშივა“  
დაბეჭდილი „ხუმარაში“ დაწყებული  
ერთი განცხადების გაგრძელება.

უურნალმა „მასხარამ“ კვლავ აალაპა-  
რავა ბენია და ბეშტია. იქვე უურადლებას  
იპყრობს ერთი უსათაურო ლექსი, რო-  
მელშიც საუბარია იმის თაობაზე, თუ  
ვინ უნდა იყოს ხალხის დეპუტატი სა-  
თაბიროში. ავტორი ამბობს:

თუ გულით გენატრება  
პროლეტარიზაცია  
და ქვეყნის იდეალათ  
გწამს ცენტრალიზაცია.  
იცოდე, რომ გახდები  
შენ ღუმის დეპუტატი,  
რადგან ცხადად ჩანს რომ ხარ  
სოციალ-დემოკრატი.

თუ მოიგონებთ ბოლშევიკთა ტაქტი-  
კას მეორე სახელმწიფო სათათბიროსად-  
მი და ცენტრალიზაციის ბოლშევიკურ  
პრინციპს, დარწმუნდებით, რომ ეს  
სტრიქონები საქმეში ჩახდულ და იმ  
პერიოდში ბოლშევიკთა უშუალო თა-  
ნამეგრძნობ პიროვნებას ეკუთვნის. „მას-  
ხარას“ მეორე ნომერში კი დაბეჭ-  
დილია ლექსი, რომელშიც ავტორი ხაზს  
უსვამს, თუ ვინ ვერ გახდება ხალხის  
დეპუტატი:

სოფლად არც კი გვიღლია,  
ვლეხ-კაცთა დახმარება  
შულშიც არ გაგველია...  
თუ საჭმელი გვინია  
პროლეტარზაცია,  
ქვეყნის დამამხობელათ  
გვაძეს ცენტრალიზაცია,  
ილოდევერ განდეგი  
ჟენ ხალხის დეპუტატი...

„ვასხარას“ მეორე ნომერი მარტის პირველ რიცხვებში გამოვიდა. „დღეს, 10 მარტს, — იუწყება უურნალი „ახალ ამბებში“, — ღილის რვა საათზე, თბილისში არავინ არ დაუხვრეტიათ, ნაშუადღევის ორ საათზე არც ერთი სტამბა არ დაუბეჭდიათ. საღამოს 8 საათზე არც ერთი გაშეთი არ დაუხურავთ, საღამოს 10 საათზე არც ერთი რედაქტორი არ დაუჭერიათ — სწორედ საგანგებო დღეა“. ასეთივე გაბედული და რევოლუციურია უურნალის განყოფილება — „დუმა და ხალხი“; სოციალ-ქრისტიან-ხულიგანთა ფრაქციის ლიდერს პოვოლაკი კრუშევანს დეპეშით აცნობებს გრაფი კონვნიცინი, რომ „დღეს მხოლოდ 47 სტუდენტი გავლახეთ და 23 ურისი დუქანი გავლარცეთო“. აქვეა ქუთაისის ბაზრის ბოჭაულთა დეპეშაც: „გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მინისტრ-პოლიციებისტის წინაშე, რომ იმ სამასი მანეთის მათრახებიდან, რომელიც ახლა უნდა შეიძინონ, ასიოდე ჩვენც გვარგუნონ. აგრეთვე გთხოვთ გვაცნობოთ, როვორ აწყობდით ხოლმე ქ. კიშინევში და სხვაგან თქვენს სანაქებო პოვრომებს. ურიები ჩვენც გვყვანან და რატომ არ უნდა ვცადოთ ბედი?“.

„მასხარას“ მეორე ნომრის გამოსვამ, როვორც ჩანს, შეაშფოთა ბეჭდვით საქმეთა კომიტეტი. უურნალის გამოსვლის მეორე დღეს „სორაპანი“ გაჩხრიეს. პოლიციელები დამტარებლებს ხელიდან სტაცებულენ უურნალის ნომრებს. „მასხარას“ თავზე რეაქციის შავი ღრუბელი ჩამოწვა და აკაკიმაც „დროულად“ შეწყვიტა მისი გამოცემა.



ცოტა ხნის შემდეგ, მარტის ბოლო რიცხვებში, გამოვიდა იუმორისტულია წერილების კრებული — „ეკალი“. „ეკალის“ გამომცემლად თინა ბაქჩიად გვევლინება. ფაქტიურად ეს უურნალი „ხუმარას“ მეოთხე ნომერს წარმოადგენს და გარეკანზეც ასევე აწერია; ხოლო მეოთხე ნომრის შემდეგ გამოსული „ეკალი“ მეორე ნომერია. ეს გარემოება ღლემდე გაუგებრობას იწვევდა. რაკი ხელთ ქვინდათ „ეკალის“ მეოთხე და მეორე ნომრები, ბუნებრივია, დაეძებლენ უურნალის ბირველ და მესამე ნომერსაც, მაგრამ სინამდვილეში „ეკალის“ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. „ეკალის“ პირველ ნომერს კი მეოთხე იმიტომ აწერია, რომ გამომცემლებმა „ხუმარას“ ნუმერაცია იგულისხმეს. „ხუმარას“ მეოთხე ნომერი რომ „ეკალის“ პირველი ნომერია ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეოთხე ნომერში იწყება და მეორეში გრძელდება ე შმაკის (ნესტორ კალანდაძე) — ცნობილი ქართველი იუმორისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შემდგომში მენშევიებს მიემხრო) მოთხრიაბის — „შიშველი ბუხრის“ ბეჭდვა.

„ეკალის“ პირველ გვერდზე ჩვენს ყურადღებას იყრინებს აკაკის ლექსი „გამოთხოვება“. მთლიანად მოვიტანთ ამ ლექსს:

ჩემი სცენაზე გამოსვლის,  
ღმერთმანი. ღრი აღარ არის;  
ზეთი რომ გამოელეა,  
რაღას ანათებს ლამპარი!  
სიყმაწვევილეა ლამპარი  
და ზეთი სიყარულია;  
მე კი ორივე დავარევ  
და მით სიცოცხლე ქრულია.  
ეხლა სცენაზე გამოსვლა  
აღარ შემტევრის, აღარა  
და გთხოვებათ ამიტრ  
ჩემი საბრალო ჭალარა.

რომელ გამოთხოვებაზე ლაპარაკობს ქართული პოეზიის თლიმპიელი, რომელმაც „ეკალის“ შემდეგ კიდევ ოთხი ალმანახი („ოხუნჯი“, „ბზიეი“, „მასხარა“, „ცეცხლი“) გამოსცა და რომელსაც 1915 წლამდე — სიკვდილის უკანასკნელ

\* \* \*



„დუმის მემარჯვენ დეპუტატურული შეიძლება ასე ითქვას) ამ ტერიტორიაზე — თავაღ-აზნაურობას, საუფლისწულო უწყებას, ხაზინას და მონასტრებს რომ აღგილ-მამული ჩამოვართვათ და გლეხებს დაუტურივოთ, გლეხი კიდევ უფრო გადატაცდებაო, მეტი მიწა მეტს სიღარიბეში ჩაგდებსოთ...

კალეტები ამბობენ: „გლეხს მიწა მაშინ შეერგება, თუ ფასით გამოისყიდის მემამულეთაგანო“.

მემარცხენენი კი ამტკიცებენ: „ჩვენი აზრით გლეხს უფასოთ მიღებული მამული უფრო მოუხდებაო“ — რომელია მართალი? კათელობს „ოხუნჯი“ და ამით „მემარცხენეთა“ მიმართ თავის სრულ თანაგრძნობასაც გამოხატავს.

ერთომჯედებიან სატირულ სცენაში — „ახალი ჩამოსული“, ბესარიონ ბრეგვაძე აცხადებს, რომ გას სოციალ-დემოკრატიული პარტია ძალიან მოსწონს, რაღვანაც იგი რევოლუციონერების პარტიაა და ბრძოლას ქადაგებს. „ბიჭო... ახალი ზაკლები წყდება თუ? ეს მუდრევი „პოლევორი სუდი“ ყოველდღე მთელ რუსეთში რამდენს უსაობს დღეს. ... ამის გარდა კი ქვეყნებში რამდენს არუციებენ თავს? პო და ამდენი ხალხი ხომ მაინც გვაყლდება და ბარემ ნელნელა ამდენის დაკლებას ერთად მისკრომა არ ჭობია?!“ — ამბობს ბესარიონი.

აკაკის ბენია და ბეჭტია „მოდად ქცეულ“ გაშუშობაზე გულისწყრომით საუბრობენ და საიდუმლო სამსახურში მყოფი კონკრეტული პირების დასახელებასაც არ ერიდებიან. „ოხუნჯის“ ფურცლებზე განსაუტორებით „პროვინციის ამბები“ გამოიჩინა. „ამბები“ რამდენიმე სტრიქონით სხარტად და მოხდენილად გაღმოსცემენ რეაქციის თვითნებობის კურიოზულ ფაქტებს:

„ქუთათის ა. ადგილობრივი თავადი ვახშტი ჩიპურტანიძის ბავშვებმა თამაშის დროს ქუჩაში ერთი ფანჯარა გასტეხეს. საქმეს მსვლელობა მიეცა და მოსალოდნელია საალყო წესები ხელახლა შემოილონ.

დღეებამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია? ჩვენი აზრით, „გამოთხვება“ აკაკიმ სპეციალური მოსაზრებით დაწერა; სურდა გზა-კვალი იერია „დაინტერესებულ“ პირთათვის, გაფაციცებით რომ ეძებდნენ აკაკის მიერ სატირული უურნალების რედაქტორობის დამამტკიცებელ ფაქტებს.

„ეკალის“ პირებელ ნომერს საგრძნობლად ეტყობა ცენზურის მარწუხები. იგი წინანდებურად ხელაღებით არ გამოთქვამს მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს, მაგრამ „ბოკაჩიოს ნოველისა“ და წვრილმანი, საყოფაცხოვრებო ხუმრობების გვერდით მაინც ახერხებს გააპაროს რეაქციის საწინააღმდეგო ეშვაკის ლექსი „ჭოჭოხეთისაკენ“, რომელშიც გამოთქმული სურვილი: დროა ბნელმა ძალებმა ერთხელ და სამუდამოდ მიაშურონ ჭოჭოხეთს და ამჟვეყნიურ ძალებს ასპარეზი დაუცალონო.

„მთავრობას გაუგია, რომ დუმის სოცდემოკრატიული ფრაქციის წევრებია ს. დ. პარტიას ეკუთვნიან და თურმე ეს პარტია მიზნად ისახავს თანამედროვე წეს-წყობის დანგრევას და მის ნანგრევებზე ახლის აშენებას. საოცარია, საიდნ გაიგო იუსტიციის მინისტრმა ეს ამბავი?“ ამ განცხადებით უურნალი ორმაგ საქმეს აკეთებს, ჯერ ერთი, მკითხველს აგებინებს სოციალ-დემოკრატთა კეთილშობილურ მიზნებს და, მეორეც, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის ესახლება. ეს ის ფრაქციაა, რომლის ბოლშევიკი დეპუტატები სათათბიროს ტრიბუნიდან რევოლუციურ ცეცხლს ანთებდნენ და რომლებიც მეფემ სათათბიროს გარეკვისთანავე ციმბირში გადასახლა.

ცოტა არ იყოს, მწვავე ეკალი შეიქმნა მეორე ნომერი. მსგავსი ეკლისთვის კი თვითმყრობელობას ჯერ კიდევ შეეძლო მოველო ამოფესიერების ნაცადი ხერხებით. სულ მალე გამომცემლებმა „ეკალს“ სახელი შეუცვალეს. მას ერთი შეხედვით უწყინარი სახელი — „ოხუნჯი“ შეარქევეს. ვნახოთ, რა უწყინარიც არის იგი.

ნიჩბისი. ვიღაცამ თავადის ცხენს ძუა მოაჭრა. სოფელში დამსჯელი რაზმი მოვიდა. თხოულობენ ან ძუა განუახლონ ან 3.000 მან. გადაიხადონ; ან დამნაშავენი აღმოაჩინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს ჯარს შეუსევენ".

უნდა შევნიშნოთ, რომ ო. მაგმაძის მოთხოვაში — „ქარაგმული ამბავი“ ჩართულია ლექსი, სადაც გაიყლა წოდებათა თუ პარტიათა შერიცების პრინციპება:

დადასა ქვაბში მძიმე ხუფს ქვეშ  
სულს ვერ ვითვამო, ვაუდებით...  
მის ნაცელად რომ თავს იქნაროთ,  
კრთულ ვერწლავთ, ზედ ვაკედებით!

მსგავსი მოსაზრება აკავის რევოლუციურ-დემოკრატიულ სატირულ ჟურნალებში აღარ გატანებულა.

„ოხუნჯის“ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. ამ სატირული ჟურნალის შემდეგ ნომერს აკავიმ და გამომცემელმა თინა ბაქრაძემ „ბზიკი“ უწოდეს.

\* \* \*

„ბზიკი“ რომ „ხუმარას“ უშუალო გაგრძელებაა, ეს ჩანს პირველ ნომერში მოთავსებული ერთი განცხადებიდანაც, რომლის ბოლო სტრიქონები გვაუწყებენ: „ჩვენ უნდა მივსცეთ უპირატესობა უბინაო და თფილისში უმამულო მუშა ხალხს — ასე გვექნდა გამოცხადებული „ხუმარაში“.

„ბზიკის“ ბოლშევეიკი ლიტერატორების ხელი ეტყობა. მასში გამოქვეყნებული მასალების უმეტესობა „მიმინოს“ ეკუთვნის. განსაკუთრებით საინტერესოა ძეველ-ქართულით დაწერილი პოლიტიკური პამყლეტი: „სჯულდება დიდისა მის სტრიქონისა ზღუდესა მას პეტრეს ქალაქისასა“. სჯულდებაში სტრიქონთან ერთად გამასხარავებულია ორგანიზაციისტები, მემარჯვენე პარტიებიც.

ჟურნალის მოთხოვე ნომერში გამოქვეყნებულია ლექსი „ჩემი იღსარება“, რომელსაც ხელს აწერს — „ბზიკი“. ლექსი აკავი წერეთელს ეკუთვნის. როგორც ჩანს, მენშვეიკ ნესტორ კალანდაძეს (ეშმაკი) არ მოეწონა აკავის ჟურნალებ-

ში ბოლშევეიკ ლიტერატორთა (ან მთანამგრძნობთა) გაბატონება და დატოვებული რედაქცია. ამის შესახებ აკავი ამჟამინდებული სარებაში<sup>1</sup> წერს:

ამგვარად დასთმო ეშმაკია  
ჩეენი სახლი და კრია,  
ეგონა ვითომ ამითი  
დღე მომაყენა მშარია.

მაგრამ მე მაინც ვიძრობოლებ, „ძირს არ დავუშვებ ფარხმალსაო“, — წერს „ბზიკი“.

საინტერესოა მიმინოს ფელეტონი „ვინ რას ფიქრობს — ღამე ძილი რომ გაუქროება?“ — სტოლიპინი ფიქრობს: „... ი გავრჩევ მეორეს, მოვიწვევ მესამეს; ვატრაიალებ ჩემს ნებაზე და ისე დავაშორებ ხალხს რევოლუციისთან, როგორც სამოთხეს ჯოკოსეთისაგან“. კრუშევანს კი ძილშიც მემარცხენები ელან-დება და მზად არის „პოგრომები“ გაიხალოს.

„ბზიკის“ მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ (იგი აპრილის მეორე ნახევარში გამოვიდა და გამომცემლად ხელს აწერს პლატონ გაჩერილაძე, შემდგომში სტრიქონ-დემოკრატიული ჟურნალის „ეკალის“ რედაქტორი) სატირული ჟურნალის გამოცემას ცუდი ამინდი დაუდგა. როგორც უკვე აღნიშნეთ, ჟურნალი დატოვა ისეთმა ძლიერი სატირიკოსმა, როგორიც იყო ნესტორ კალანდაძე.

„ბზიკის“ ნაკენით შეწუხებული პირები აკავის მოყვლით ემუქრებიან. „ისრის“ რედაქტორმა გრიგოლ დიასამიძემ თინა ბაქრაძე სამედიატორო სასამართლოში გაიწევა. სასამართლომ საქმე რატომლაც „ისრის“ რედაქტორის სასარგებლოდ გაღაწყვიტა. ბეჭდვით საქმეთა კომიტეტში ეჭვის თვალით უყურებდნენ ყოველკვირეულ „ალმანახს“, რომელიც ფაქტიურად პერიოდულ ორგანოს წარმოდგენდა, საკმაოდ ორთოდოქსალური მიმართულების ორგანო იყო, სახელი კი ყოველი ორი ნომრის შემდეგ ეცვლებოდა და რედაქტორ-გამომცემლებიც სხვადასხვა ჰყავდა.

1 ლაპარაკია სახელმწიფო სათათბიროშე.

ერთი სიტყვით, „ხუმარას“ გამოცემა მდგრადაც აიკრძალა, მაგრამ აკავიდ გამოსავალი მაინც იპოვა.

\* \* \*

ადელხანოვის ფეხსაცმელების სახელისნოში გამომჭრელად შუშანბლა 26 წლის კონსტანტინე ვასილის ძე ვენეციი. „ხუმარას“ რედაქციის მუშაკებმა გადაწყვიტეს ამ ახალგაზრდა რუსის უბრეტენშით სახელს ამოფარებოდნენ და იგი კადეც დაიყოლიეს, რომ გუბერნატორისთვის სატირული უურნალის გამოცემის ნებართვა ეთხოვა.

1907 წლის 25 აპრილს კ. ვენეციიმ განცხადებით მიმართა თბილისის გუბერნატორს, მიეცა მისთვის „ყოველგვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი უურნალის — „მასხარას“ გამოცემის ნება. როგორც ჩანს, გუბერნატორი და ეპებულა ვენეციის პიროვნებით და პოლიციისტერისთვის დაუვალებია, გაეგო „მასხარას“ მომავალი რედაქტორ-გამომცემლის ეინაბა. 11 მაისს პოლიციებისტერი ატყობინებს გუბერნატორს, მართალია, კ. ვენეციის არსად არ უსწავლია, მაგრამ, როგორც დედამისი ამბობს, იგი საყმაოდ განათლებული ყმაწვილია. გუბერნატორის დაეცვების საბაბი იქნებ ისიც იყო, რომ კ. ვენეციის განცხადებაზე (რომელიც სხვისი დაწერილია) ხელს აშერს თითქმის წერა-კითხვის უცოდინარი ფეხსაცმლების სახელოსნოს გამომჭრელი.

9 ივნისს კ. ვენეციიმ მიიღო უურნალის გამოცემის ნებართვა და ამით კადეც მოიწურა მისი, როგორც „მასხარას“ რედაქტორ-გამომცემლის, როლი. მტკიცება არ უნდა იმ ფაქტს, რომ უურნალში, რომლის ფაქტიური რედაქტორიც აკავი იყო, კ. ვენეციი არავითარ როლს არ ასრულებდა.

ივნისის შუა რიცხვებში გამოვიდა „მასხარას“ პირველი ნომერი. იგი იხსენდა მიმინოს ლექსით „ხულიგანი დედის ნანა“. ეს ლექსი აკავის „იმერული ნანინას“ ლიტერატურულ გარდასახეას წარმოადგენს და რეაქციის დამჯაშების წინააღმდეგაა მიმართული. თუ შედეველო-

ბაში მივიღებთ გარემოებას, რომ სამი ივნისის კონონი ეს-ესაა გამოვიდა, მეორე სახელმწიფო სათათბირო უურნალში და რეაქცია მძინვარების ზენიტში იმყოფება, — „მასხარას“ პირველი ნომერი თვითმებურობელობის წინააღმდეგ კიდევ ერთ უშიშარ შემართებად წარმოგვიდგება. უურნალი იმეორებს რუბრიკას „ვინ რას ფიქრობს — დამე ძილი რომ გაუკროთება“. ჩვენთვის ვანსაკუთრებით საინტერესოა „გლეხთა ფიქრები“, რადგან ამ ფიქრებში ხაზგასმულია მუშათა და გლეხთა კავშირის ბოლშევკიური ლონგუნგი. მთლიანად მოგვაქვს ეს მინაწერი:

„გლეხები“ — არა ბიძიაე! თურმე ძალა ჩვენში ყოფილა, ისევ ჩვენ თუ მოვულით ჩვენს თავს, თორემ ჩვენ მოერთიც კი ველარ გვიშველის, არამც თუ დუმა და მთავრობა. კაცო? წავიღნენ ი დალცვილიშვილები და ლაბარაკის მეტს არაფერს აღარ ფიქრობენ. ღვთის წინაშე კი უნდა სიმართლე ესთქვათ, რომ კა სიტყვებს კი ხარჯავდენ, მაგრამ რა გამოვიდა? მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და არიქა, მთაზე ცხვარი აიშალაო! სწორედ ისეა ჩვენი საქმეც-რამდენიც გვინდა გვეჩიჩინონ და გვიყვირონ, ჩვენ მაინც ხელს არ გავანძრევთ. მაგრამ მგონია რომ ახლა კი დროა ჩვენც ამოვილოთ ხმა: ეე! ისევ მუშები. თორემ ჩვენი საქმე წასულია“.

„მასხარას“ პირველ ნომერში 3 ივნისის გამოხმაურებაც გვხვდება; ო. შემელინგის კარიკატურაზე წარმოდგენილია სტოლიპინი, რომელსაც სახახვროდ უკვე ჩაუყლაპავს სათათბიროს შენობა.

„მასხარას“ მეოთხე ნომერი ივნისის ბოლოს გამოვიდა. ეს ნომერი უკანასკნელი აღმოჩნდა. გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა 30 ივნისს უურნალი დასურა „უაღრესად მაენ მიმართულებისათვის“.

„მასხარას“ დახურვის საბაბად იქცა ფელეტონი „გოგის ჩივილი“. ამ ფელეტონში ამბოხებულ გლეხთა და მუშათა მრისხანე მუქარა გამოსჭვივის.

„ტო. გენ-გუბერნატორის განკარგუ-

ლებით, დაკეტეს ყოველკვირეული გა-  
ზეთი „მასხარა“. წაიღეს შრიფტი და რე-  
დაქტორს კ. ვენეციის გადაუწყვიტეს ერ-  
თის თვით დაპატიმრება“, — სიხარულით  
აუწყებდა თვის მკითხველებს 1907  
წლის 4 ივნისს ფედერალისტების გაზე-  
თი „ისარი“.

\* \* \*

როგორც ჩანს, ვერ კიდევ „მასხარას“  
დახურვამდე მოელოდნენ რედაქციის  
თანამშრომლები მის ასეთ ბეჭს და წი-  
ნასწარ შეარჩიეს კიდევ უურნალის ახა-  
ლი გამომცემელი. კ. ვენეციის დაპატიმ-  
რებამ ცოტა არ იყოს შეაშინა თბილი-  
სელი გამომცემლები და სტამბა „სორა-  
პანიც“ მობოლიშებით ამბობდა უარს ამ  
„სახითათო“ უურნალთან ხელშეკრულე-  
ბის დადგებაზე.

„მასხარას“ დახურვისთანავე, 9 ივ-  
ნისს, გლეხ კონსტანტინე ლაზარეს ძე  
სალუქვაძეს შეიცვს განცხადება ყოველ-  
კვირული ილუსტრირებული უურნალის  
„ცეცხლის“ გამოცემის თაობაზე. აკაკი  
და მიმა თანამოკალმეებმა კარგად იცო-  
დნენ, რომ გუბერნატორს გული ჰქონდა  
გაშუალებული სატირული უურნალები-  
საგან და კიდევ ერთი სესო ორგანოს  
გამოცემაზე შეიძლებოდა არც კი და-  
თანხმებულიყო. ამიტომ კ. სალუქვაძეს  
შეუდგინეს უურნალის ისეთი პროგრამა,  
რომელშიც სატირა და იუმორი სრულე-  
ბითაც არ იყო ნახსენები. როცა გუბერ-  
ნატორი დაარწმუნეს იმაში, რომ კ. სა-  
ლუქვაძე რევოლუციისაგან შორს მდგო-  
მი საიმედო გლეხი იყო, თავს რუსეთის  
ერთგულ ქვეშევრდომად თვლიდა და  
„სერიოზული“ სალიტერატურო-სამეც-  
ნეო უურნალის გამოცემას აპირებდა,  
მან ბოლოსდაბოლოს 11 ოქტომბერს (4  
თვის დაგვიანებით) მოაწერა ხელი „ცე-  
ცხლის“ გამოცემის ნებართვას.

სანგრძლივი იძულებითი შესევნების  
შემდეგ 1907 წლის 30 დეკემბერს, სა-  
ახალწლოდ, მყითხეველმა კვლავ მიიღო  
რევოლუციურ-დემოკრატიული უურნა-  
ლის ახალი ნომერი — „ცეცხლის“ სა-  
ხელწოდებით. გუბერნატორ-პოლიცე-

ისტრის გასაოცრად, კ. სალუქვაძის უურ-  
ნალი „სერიოზული“ კი არა, საჭიროებული  
იუმორისტული იყო და ყდაზეც „ლიტე-  
რატურულ-სამეცნეო“ უურნალის ნაც-  
ვლად „კარიკატურებიანი უურნალი“  
ეწერა. „ეს ნომერი სხვადასხვა მიზეზე-  
ბის გამო დღემდის ვერ გამოვიდა, თუმცა  
ნახევარი უურნალისა თოხი თვის წინეთ  
არის დაბეჭდილი“, — იუწყებოდა „ცე-  
ცხლის“ რედაქცია.

ალექსანდრე კვაჭაძის საახალწლო  
ლექსში ავტორს უნდა რომ:

სიმართლის თქმისთვის არ ისჯებოდე.  
მოვნიქვებოდეს მეტი უულაბა,  
და არ გვადეს დამნაშვის სკამს  
ტანჯულ ჩაგრულის გამოსარჩევება.

„მიმინა“ სკოლაში გამეფებული სიბ-  
ნელისა და ბიუროკრატ ჰედაგოგთა წი-  
ნააღმდეგ ილაშერებს,<sup>1</sup> ხოლო მკითხვე-  
ლისათვის სრულიად მოულოდნერად  
„ცეცხლში“ უცვლელად გაღმიბეჭდი-  
ლია „გოგიას ჩივილი“. სწორედ ის „გო-  
გიას ჩივილი“, „მასხარას“ დახურვის სა-  
ბაბად რომ იქცა. რა გარანტია ჰქონდა  
კ. სალუქვაძეს, რომ მის უურნალს პირ-  
ველსაევ ნომერზე არ დახურავდნენ?  
მართლაც, ბეჭდვით საქმეთა კომიტეტმა  
კ. სალუქვაძე პასუხისმგებაში მისცა. „ცე-  
ცხლი“ კი რატომლაც არ დაუხურავთ.  
29 იანვარს გამოსულ მის მეორე ნო-  
მერს უკვე ხელს აწერს ვ. კვინტრაძე.

„ცეცხლის“ მეორე ნომერი დიდად  
განსხვავდება „ხუმარას“ შთამომავალ-  
თაგან. მის გამოცემაში აკაკი მიუღია:<sup>2</sup> სადღაა რევოლუ-  
ციურ-დემოკრატიული სატიროს მებრ-  
ძოლი ხასიათი და მოურიდებელი, მამ-  
ხილებელი ტონი. მის ნაცვლად უურნა-  
ლი სახესა წერილმანი, მსუბუქი თემე-  
ბით და პორნოგრაფიული ხუმრობებით.  
თვით ისეთ მეტი სატირიკოსსაც კი, რო-  
გორიც „მიმინა“, საქმაოდ ვტცელი  
ლექსი მიუღონდა, „ახობაძის სპერმატი-  
ნისათვის“. არაფერს გამბობთ ბოკაჩიოს

1 ლექსი „შესევნები“. ცეცხლი № 1.

2 1908 წლის 15 იანვარს აკაკი პეტერბურგში  
ვამგზარა.



ვრცელი ნოველის თარგმნაზე უწიგნური კომენტარებით ურთ და საქორწინო განხანაშე გვიჩვენებთ, რომელთაც უურნალი ასე ვრცელ ადგილს უთმობს. რა მოუვიდა „ცეცხლს“, ჩეთუ საბოლოოდ დააფრთხო და დააჩინქა იგი ცენზურამ ან ნუთუ ასე დიდი გავლენა მოახდინა მასზე აკაკის პეტერბურგს გამგზავრებამ? ვიფიქრობთ, ამის მიხეზი ერთიც იყო და მეორეც.

კიდევ უფრო უინტერესოდ გამოიყურება „ცეცხლის“ მესამე ნომერი, რომელსაც „ზურნა“ ჰქვია და გამოცემულია დ. აბდუშელის (დ. აბდუშელიშვილი) მიერ.

„ზურნაზე“ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან იგი მხოლოდ სინაულის გრძნობას ბალებს უურნალის წინა ნომრებს გაცნობილ მკითხველში.

მაგრამ „ზურნასაც“ კონფისკაცია უყვეს, 28 მარტს წაიღის მისი 2.000 ეგზემპლარი, ოლონდ ის დაისაჭა არა მამზალებელი, რევოლუციური ხასიათისათვის, არამედ უწმიტური ტონისა და პორნოგრაფიის აპოლოგიისათვის.

შემდგომში კ. სალუქევაძემ თავისი უურნალის პროგრამა გაათაროვა; დაუშატა სავაჭრო-სამრეწველო და სოფლის მეურნეობის განყოფილებანი, თანაც სახელი შეუცვალა, „ახალშენი“ დაარქვა და სატირულ-იუმორისტული ელფერი სრულიად დაუკარგა.

რევოლუციურ-დემოკრატიული სატირული უურნალისტიკა ჩაკვდა. აკაკის თანამშრომლები დაიფანტნენ. ზოგი სოციალ-დემოკრატებს გადატრით მიექმნონ და წმინდა სოციალ-დემოკრატიული ორგანოების გამოცემას მიჰყო ხელი, ზოგმაკი რევოლუციაზე ხელი ჩიიქნია და საბოლოოდ დატოვა მებრძოლი პუბლიკისტის პოზიციები.

\* \* \*

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აკაკის მეთაურობით 1907 წელს გამოსული სა-

ტირული უურნალები გაბეღულად მომდენი რევოლუციური აზრების უკანასკნელი ჯოზე.

რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ეს უურნალები საკმაოდ ფართოდ მიმოიხილავდნენ რეაქციის პერიოდის რუსეთის ცხოვრებას და თანაუგრძნენ რა სოციალ-დემოკრატიას, დაუფარავად აკრიტიკებდნენ სხვადასხვა ბურუუზიულ-ნაციონალისტურ და პორტუნისტულ პარტიებს.

ეს უურნალები ფართოდ ულებდნენ კარს სოციალ-დემოკრატ ავტორებს და ცდილობდნენ ამ პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის პროპაგანდას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო რეაქციის პერიოდში.

აკაკი წერეთელი, როგორც უბადლო სატირიკოსი და რედაქტორი, ოსტატური მანევრირებით ახერხებდა თავისი სატირული უურნალების არსებობის შენარჩუნებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ უურნალების ფურცლებზე არ დამტულა რევოლუციაში პროლეტარიატის პევემნიისა და პროლეტარიატის დიქტატურის საყითხი. უურნალების ფურცლებზე არ ჩანს პროლეტარიატი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლევე და მთავარი ყურადღება გლეხობისაღმია მიბყრობილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რევოლუციონერ-დემოკრატი უურნალისტები მკაფიოდ ვერ ხედავენ სოციალ-დემოკრატიაში ორი მიმართულების (ბოლშევკური და მენშევკური) არსებობას. ამავე დროს ამ უურნალების ფურცლებზე ზოგჯერ გაიელვებს შინაური შერიგების ნაციონალურ დემოკრატიული პრინციპი.

მიუხედავად ამისა, 1907 წლის საქართველოს რევოლუციურ-დემოკრატიული სატირული უურნალისტიკა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ სასახლო ფურცელს წარმოადგენს.



## მანანა გვეგაპი

### რაჭლენ გვეგაპის პროზის თავისებურებანი

„უცნაურობა და საზარლობა მისი სტილია და მისი ხასიათი, ის მას სინამდვილეში პოულობს და თავისებურად მხატვრულად ხარშიას, ამას საყვედურად ნურავინ მიიჩნევს, ვინაიდან ხელოვნებას სინამდვილის გაუცნაურება სწავლია, ეს რომ ასე არ იყოს, ხელოვნება გაშიშვლებული ფოტოგრაფია იქნებოდა, მეტი არაფერი“, — თქვა მიხეილ ჯავახიშვილმა „ლაშაური საღამოების“ გარშემო გამართულ დისკუსიაზე 1935 წელს. სხვათა შორის ამავე გამოსვლაში მიხეილ ჯავახიშვილმა აღნიშნა რაცდენ გვეტაძის, როგორც პროზაიკოსის, დამასახიათებელი არსებითი თვისებები: მკვრივი ფაბულა და უცნაური ამბავი, დახვეწილი სტილი და პოეტური თვალთახედვა, ხოლო „ლაშაურ საღამოებს“ „ლირიკული რომანი“ უწოდა.

პოეტის ხელშერა რ. გვეტაძის არაერთ პროზაულ ნაწარმოებში გამომედავნდა. ეს სავსებით კანონზომიერი იყო, რადგან იგი პროზაში მოვიდა, როგორც უკვე ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ბიოგრაფიის შენონე პოეტი. უკან დარჩა „ცისფერი ყანწების“ წლები, რომელთაც ბევრი რამ შესძინეს მას — მწერალსა და პიროვნებას. ამ

დროისათვის იგი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია: „დაბინდული ქარვები“, „ღამეები“, „ვირების მესია“... ამიტომაც პირველსაც დიდ ბელეტრისტულ ნაწარმოებში („თეო“) მკვეთრად გამოვლინდა პოეტური თვალთახედვა. დღეს, როცა ლირიზმი ძალუმად შეიძრა ქართულ პროზაში, შესაძლოა მის ხაზგასმა ზედმეტიც იყოს, მაგრამ იმ დროისათვის გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა და უთულ მოწმობდა რ. გვეტაძის წერის თავისებურ მანერას.

„თეოში“ ხშირად შეხვდებით მეტაფორული აზროვნების ნიმუშებს. ხანდახან ნივთები მწერალში ერთი შეხედვით უცნაურ ასოციაციებს ბადებლენენ: „...მარცვლავდა გიშრის კრიალოსანს, რომელიც მთვარის შუქზე ისე ჭვიოდა და კიაფობდა, თითქოს გაუხედნავი ზაქების თვალთა გუგები ყოფილიყო ყათანზე ასხმული“. ეს მაგალითი პოეტური აზროვნების ნიმუშია. იგი ჯერ კიდევ არ მოწმობს ლირიზმის არსებობას „თეოში“, მაგრამ მისი ნიშნები ამ ნაწარმოებში უთულ შეიმჩნევა. თვით ნაწარმოების ტონი, თავისებური რიტმი ლირიულია. ეს რიტმულობა თავიდან ბოლომდე გასდევს „თეოს“, რაც საქმაოდ

რთული განსახორციელებელია ასეთ დილტანიან ნაწარმოებში. ისიც უნდა ითქვას, რომ „თეო“ პრობლემური ნაწარმოები იყო თავისი თემაზეკითაც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში მწერალმა ასახა თავისი გმირების ცხოვრების ფონზე. ყველა-ფერი, რაც კი „თეოში“ ხდება, იქნება ეს ყაფლანის ცხოვრების აღწერა, თუ მენშევიკების დროინდელი თბილისის სურათები, მოქცეულია ერთ რიტმულ ჩანახატში. მაგალითად: „ომი დაიწყო. სოფელი იცლებოდა ახალგაზრდობისა-გან. ხაშურის სადგურზე მოელი დღე-ლომე იძმოდა ხმაური, იყო განგაში, აქა-იჯ სიმღერა.“

სიმღერით მოღიოდნენ ახალი გუნდე-ბიც. მათ უხმოდ მოჰყვებოდნენ ხურჭი-ნით და ხის პატარა ყუთებით დატვირ-თული მამები, დედები ან ახლობელი ნა-თესავები.

ვაგონები სკებს ჰეგის ჰეგის განვითარი ბზუილის გამო, ყურთან ტუჩიმიტანილნი ეუბნებოდნენ ერთმანეთს საალერსო და სანუგეშო სიტყვებს“....

შეიძლებოდა მრავალი მაგალითის მოტანა „თეოდან“, სადაც სრულიად სხვადასხვა ამბები ერთიანი რიტმით არის გადმოცემული.

ყაფლანი და მირზა, ნაბატონარი და ნამოგამაგირალი, განსახიერებენ ორ საწყისს „თეოში“. პირველი დრომშე-მულია და განწირული, მეორე მზარდია და პერსპექტიული. არსებითად ეს ორი ხსიათი თავისი ბედით, დამარცხებითა თუ გამარჯვებებით, თავისი სიხარულით თუ ტკივილებით წარმართავს მოელი ნაწარმოების იდეას, სადაც ერთის და-ცემისა და მეორის აღზევების მოწმენა ვხდებით. თეო ყაფლანის ქალიშვილია და მირზა უყვარს. იგი ან ერთის, ან მე-ორის გზას უნდა დაადგეს, მესამე გზა არ არსებობს. დიდი მერყეობისა და სუ-ლიერი ტკივილების შემდეგ თეო მირ-ზასთან რჩება, რადგან მის მხარეზეა ცხოვრების სიმართლე, რაც ყაფლანმა ვერ შეიგნო.

რ. გვეტაძის ნაწარმოებთა სიუჟეტე-

ბი აღსავსეა თავისთავად სამოწმენო და პერიპეტიებით. ამიტომაც მცირდებოდა ეფექტურია (ამ სიტყვის საუცხავეს სა-გებით). მიუხედავად იმისა, რომ რ. გვე-ტაძე უპირატესდ მძაფრი სიუჟეტების და უცნაური ამბების მოყვარული მწე-რალია, მასთან ხასიათები არ იჩრდილე-ბა. ამას მოწმობს თუნდაც ყაფლანის სა-ხე. რელიეფურად არის გამოძერწილი-ზევადი მებატონის თავისებურად ტრა-გიცული სახე, მებატონისა, რომელიც თავის ცხოვრებას მექუბოვესთან სამსა-ხურში ამთავრებს. გვიხსენოთ თუნდაც ხოსრო ან ანუსი („ჭიათურნა“, საზა-რელი მამინაცვალი („ლაშაური სალა-მოები“).

მკვრივი ფაბულა და უცნაური ამბავი: პოეტური ხედვა, მკითხველის ინტერ-სის დაძაბვის უნარი განსაზღვრავენ. რ. გვეტაძის, როგორც პროზაიკოსი, შემოქმედებით სახეს. ყოველივე ეს გან-საკუთრებით სრულად გამოვლინდა „ლაშაურ საღამოებში“. ძნელია „ლა-შაური საღამოების“ უანრული ჩარჩო-ების დადგენა. ცხადია, ეს არ არის რო-მანი, თუმცა იგი მრავალპლანოვანი ნა-წარმოებია. „ლაშაურ საღამოებში“ ძი-რითადი სამი ხაზია: მოქმედება, რომე-ლიც უშუალოდ ვითარდება, „უცნობი-ქალის დღიური“ და ნაწარმოებში ჩარ-თული სრულიად სხვა თემაზეკის ნოვე-ლები (გმირთა მიერ ნაამბობი ამბები ან ვეტორის მოგონება).

„ლაშაური საღამოები“ პირველი პი-რითაა დაწერილი. ეს ჩვეულებრივი ლი-ტერატურული ხერხია. მიუხედავად იმისა, რომ მთხოვნებელის სახელი—რიბული ავტორის ნამდვილ სახელთანაა სოცირებული, ბევრი რამ ამ ნაწარმო-ებში გამონაგონია, დაწერილი გარკვე-ული მიზნით, გარკვეული იდეას გასა-ტარებლად. მაგრამ ბევრი რამ ავტობი-ოგრაფიული ხსიათისა თუ არა, რეა-ლურად მოხსდარია. ასე მოხვდა „ლა-შაურ საღამოებში“ მირზა გელოვანის-ლექსი „თეთრი მიწა“; ფაქტიურად ეს იყო პირველი პუბლიკიაცია ახალგაზრდა-პოეტისა, რომელსაც რ. გვეტაძე მხო-

ლოდ სახელი შეუცვალა და რეზო გელოვანი დაარქვა. მ. ჭავახიშვილი, უკვი მოხსენიებულ გამოსვლაში უსაყვედურებდა აეტორს ნოველაში „ზღვა და სიუკირული“ ცნობილი მმაის გამოყენებას, რაც ილია წინამდებრიშვილს გადახდა თავს (ნოველის მთავარ მოქმედ პირსაც ილია ჭვია). ძალიან ხშირად რ. გვიტაძის ნაწარმოებებში ნახსენები არიან რეალური პირები, თავისი ნამდვილი სახელით და გვარით. ასე მაგალითად, „ჭიათურნაში“ მოხსენიებულია კიტა აბაშიძე, „ლაშაურ საღამოებში“ — ვიორგი ლეონიძე და სხვ.

მწერლის შემოქმედებითი ლაბორატორიის გაცნობისათვის ბევრი რომ საგულისხმოა „ჭიათურნას“ ეპილოგში: „დასასრულ „პარმის მონასტერში“ სტენდალის ნათქვამი, თითქოს მხატვრულ ნაწარმოებში პოლიტიკაზე ლაპარაკი ისეთი უნდა იყოს, როგორც კონცერტში თოფის სროლა, არა მართებული, მიუხედავად მმაის, „ჭიათურნაში“ ევრაა პოლიტიკური მოვლენები სათანადოდ გაშექებული, არც თუ ახალი ქუთაისი და სოფლად მომხდარი ძერები დამიხატავს მკვეთრი ფერებით: ეს იმიტომ მოხდა, რომ მე თითქმის უცვლელად დავჭრე როინ ზაუტაშვილის, ჩემი სახლიყაცის — ბოჩი გეტაძის და აშ მისი მეუღლის — ირმას მიერ სხვადასხვა დროს და ცალ-ცალკე ნაამბობი.

ქვე უნდა ვალიარო, რომ ნამდვილი გვარებით სენებულ პირთა ცხოვრების ასე საქვეყნოდ გამომზეურება, ჩემი მხრით უთუოდ კადნიერებაა. რისთვისაც ბოლოშს ვიხდი მათ წინაშე“.

ზემოთქმული მოწმობს, რომ ის უცნაური ამბები, რომელთაც რაჟდენ გვიტაძე თხზავდა, ხშირად არ არის მოკლებული რეალურ საფუძველს.

„ლაშაური საღამოების“ კონსტრუქცია რთულია. მაგრამ უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ნაწარმოებში რამდენიმე პირი ჰყვება ამბავს. მოსალოდნელი იყო, რომ მათ მონათხრობში გამოჩნდებოდა მთხოვნებლის ინდივიდუალობა, ხასიათი. მაგრამ რაჟდენ გვიტაძე შეგნებუ-

ლად გაურბის მას. ყველგან „ვართ“ „უცნობი ქალის დღიურისა“, ჩვენს კულტურულ რევლეს ყოვლისა, თვით პატივითა მთხოვნებლთა გამოყვანა სამოქმედო ასპარეზზე მხოლოდ პირობითობაა. სხვათა შორის, იგივე ითქმის ნოველების კრებულად აღიარებულ მსგავსი კონსტრუქციის კლასიურ ნაწარმოებებზე: ბოქაჩიოს „დეკამერონზე“, საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაზე“ და სხვა. მიუხედავად კლასიურ კონსტრუქციის და სქემის გამოყენებისა, „ლაშაურ საღამოებში“ მაინც ერთგვარად დარღვეულია ტრადიცია. ამ ტრადიციის მიხედვით, მთავარი ამბავი, ე.წ. „ჩარჩო“, უმეტეს შემთხვევაში, მართლაც, მეტად პირობითია, „ლაშაურ საღამოებში“ კი არსებითია, ხოლო ჩართული ნოველები მეორე ხედზე გადადის. ჩართულ ნოველებში ამბავი ისე გულდაგულ არის დამუშავებული, ისე გათვალისწინებული მხატვრული ნაწარმოების ავების ყველა ნიუანსი, რომ ისინი საესპერით დამოუკიდებელ ნაწარმოებებს წარმოადგენენ თავიანთი მხატვრული ღირებულებით. გავიხსენოთ ნოველები „ტატაშ სვარი“, „ზღვა და სიყვარული“, „ოქროს მამალი“.

ხანდახან საოცარი, სრულიად არაეს-თეტური მოვლენები რ. გვეტაძის ნაწარმოებში ასახულია რაფინირებული ესთეტიკისათვის მისაღები ფორმებით. იქ, სადაც სიტუაციის სიმძაფრის გამო, თითქოს აღვილი არ უნდა რჩებოდეს მრავალი ტყვაობისათვის, სადაც მაქსიმალური ლაკონიურობაა საჭირო, რ. გვეტაძე თავს ვერ იყავებს შედარებებისაგან, ლამაზი ფრაზებისაგან. უფრო სწორად, მას არ შეუძლია არ შეამჩნიოს დეტალი და ორიგინალურად არ გაიაზროს იგი. აი როგორ აღწერს მწერალი ზღვას, რომელშიც საცაა ბავშვი უნდა დაიღუპოს; „ზღვა უკვე ღელავდა. ზეირთები ჭოგად გაქცეულ ქლემების კუზებივით ხტოლნენ და ნაპირს ზედიზედ იწყდებოდნენ“. „ლაშაური საღამოების“ თითქმის ყოველ სცენაში, ყოველ გვერდზე უხვად გვხვდება მსგავსი

ნიმუშები. მაგალითად: „გვიანაა, ნისლიანი ლამეა და თქორი. ელექტრონის შექმენი წვიმის წვრილი ძაფები ისე ჩანან, თითქოს ცისა და მიწის შუა ობობას ქსელი იყოს გაბმული. ეტყობა მალე გადაიკარებს. ოდნავ სველი, ცარიელი პროსპექტი მოძოვილ მინდოოს ჰერცეს, რომელზედაც ხანდახან ავტომობილი დამფრთხალი შევლივით გაქროლებს ან პარკში მიმავალი ტრამვას გაგონი დაკოდილი დათვის მსგავსად ზათქით გაირბენს თითო-ოროლა მგზავრით და კვლავ სიჩუმე დგება“. ეს ამონაწერი შეიძლებოდა მაქსიმუმმადე ლაკონიური ყოფილიყო, მაგრამ რ. გვეტაძეს არ შეუძლია მანქანა არ შეაღაროს დამფრთხალ შევლს, ცარიელი პროსპექტი მოძოვილ მინდოოს, ეს მისი ბუნებაა, მისი სტიქია.

ტრადიციული ნოველის ბუნება მძაფრი სიუკეტით, მოულოდნელი ან ეცექტური დასასრულით კარგად ეხამება რ. გვეტაძის ხასიათს. მას არა მარტო ნოველები, არამედ რომანზებიც და მოთხოვნებიც ნოველათა პრინციპზე აქვს აყებული. აქ წმინდა ტექნიკიზმთან როდი გვაქვს საქმე. „ბელორუსული ნოველები“, აღრე დაწერილი „ჭიაკოკონა“ და ბოლო პრიზაული ნაწარმოებიც „ცხოვრება იშვება თავიდან“, სრულიად სხვადასხვანი არიან თემატურად, სხვადასხვა პრობლემებს ეხებიან, სხვადასხვა ზომით ებამურებიან თანადროულობას, მაგრამ ისინი კომპოზიციურად ერთი პრინციპითაა აგებული.

არ იქნება გადაჭირება, თუ ვიტუვით, რომ „მართალი ნოველები“ ქართულ ლიტერატურაში სამამულო ომის თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის თვალსაჩინო ადგილს იმკვიდრებენ. ეს ნოველები დაწერილია გაცალებით უფრო გვიან, ვიღრე „ლაშაური სალამოები“, აქ სრულიად სხვა სამყარო, სხვა ცხოვრება, სხვა წლებია ასახული. მაგრამ რ. გვეტაძე ერთგვლა დარჩა თავისი პრინციპის — არაბანალური სიუკეტების ეფექტებისა. თუმცა-და ისიც უნდა ითქვას, რომ, ისევე

როგორც „ლაშაურ სალამოებში“, ამ ნოველებშიც მართლაც ბევრია ჩართული, რეალურად მომხდარი ამჭერებული ცილის ყველა ნოველის მთავრულებულია რია სამხედრო ექიმი ნოდარი. ასე განდა ლიტერატურული გმირი ავტორის ვაკე. ორგორც ვბედავთ, რ. გვეტაძე კვლავ ექებს ისეთ რეალურ ფაქტებს, რომელიც მას, როგორც შემოქმედა, გამოიდგება. ნამდვილი ამბავი დაედო საფურდლად რაედენ გვეტაძის მოთხოვნასაც „ცხოვრება იშვება თავიდან“. ვიმეორებოთ, არა პირდაპირ, არა ზუსტად.

„სკირგაილო“ და „მახრა“ ოდნავ განსხვავებული ნოველებია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბელორუსული შთაბეჭდილებებით არიან შთაგონებულნი, არამედ იმიტომაც, რომ ეს ნოველები არსებითად ლეგენდებია. ამიტომაცა „სკირგაილოს“ დაასწყისში დაწარული სამოქმედო ასპარეზი დეკორაციულ, თეატრალურ შთაბეჭდილებას რომ სტოკებს და თავიდანვე გვაცევს ლეგენდის ატმოსფეროში. თუ „სკირგაილოს“ დაასწყისი წყნარ, ეპაურ ტონშია დაწერილი, ნოველა „ბოთეს“ დაასწყისი ლაკონიურია და ფერადოვანი: „შემოდგომაა. პარასკევი. მზე სანთიობოდან გამოსული ქალივით გაცრეცილია. ყაფანი საესეა ხალხით და ხორავით. ჰაერი გაპონხიერებულია მაჭრისა და მწიფე ხილის სურნელით. არის ყაფანი და გაუთავებელი ვაჭრობა“.

„ბოთეში“ ბაზრობის აღწერას რამდენიმე გვერდი უკირავს. ეს აღწერა იმდენად დეტალურია, რომ გარემოს თითქმის ფიზიკურ შეგრძნებას იწვევს. შეიძლება მოვევეწენოს, რომ ასეთი დეტალიზაცია არც იყო საჭირო, მაგრამ ეს მცდარი აზრი იქნება, რადგან ზემოსხენებულ ნოველის მთავარი გმირი არის არა ჭიუაზე შემცდარი უბედური ქალი, რომლის ამბავსაც ვინდე ნიკოლა ჰყვება სამიკიტოში, არამედ ყველა, ვინც ვაჭრობს — ყიდულობს და ჰყიდის (დალაქი, მიკიტანი, პორფილე, ნი-

კოლა) — მთელი ბაზარი თავისი ხმაურითა და სურნელით. ნოველა სწორებასეა ჩაფიქრებული. ამიტომ ბაზრობის ასეთი დეტალური აღწერა სავსებით კანონზომიერია. ნოველა „ბოთე“ ხომ უფრო ვიზუალურ პლაშია გადაწყვეტილი.

„ჭიაკოკონა“ რ. გვეტაძის ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანია. მწერალი შესანიშნავად იცნობს იმ გარემოს, რომელსაც ნაწარმოებში აღწერს — იმერეთის სოფელი, ქუთაისი... „ჭიაკოკონას“ გმირები შმინდა იმერული კილოთი მეტყველებენ. ეს ლამაზი იმერული კილო. თუმცა ავტორი გულუხვად იღებს დალექტიზმებს, იყენებს მათ მეტად ლიტერატურულ კონტექსტში და კარგი მუსიკალური სმენით, ისე რომ ხანდახან ძნელდება კიტეც მათი შემჩევა.

ავტორისეული ტექსტი და მოქმედ პირთა დიალოგებიც, მოუხედავად მათი ვანტვავებული ლექსიური ქსოვილისა, ერთ რიტუალულ ყალიბშია მოქცეული.

„ჭიაკოკონაშიც“ ავტორი დიდ და რთულ პრობლემებს შეეხო: მენევევიზმის წლებს საქართველოში, რევოლუციური პრძოლების სტრიუქტასა. ჩვენი წერილის პროფილის გამო, „ჭიაკოკონას“ ამ მხარეს არ შევეხებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ „ჭიაკოკონაშიც“ მკვერთად გამოჩნდა რ. გვეტაძის პოე-

ტური აზროვნება. ნაწარმოების /შეეღლი ფაქტურა, თუ შეიძლება ლიტერატურაში ვიხმაროთ სახვითი შეღლოვების ტერმინი, სავსეა შეგარებებით, მეტაფორებით და ა. შ. მაგალითისათვის: ქარი „ზოგ სახლს თუნუქის სახურავისაგან ლეღვივით ფცევნიდა, ზოგსაც ერთბაშად ხდიდა სარქველს“. ამ ფრაზას მოსდევს სავსებით სადა, „მიწიერი“ წინადაღება, მაგრამ აუცილებელი მხატვრული სახის დასრულებისათვის: „ქარისაგან ჩალეჭირილი მინების ალაგის ფანჯრებში ბუზბლის ბალიშები გამოეჩარათ“.

ერთ-ერთ თავის ადრეულ ლექსში რაუდენ გვეტაძე წერდა: „ვეძებ ქვეყანას არნახულს და ჯერ არ გავინილს“. შემდეგ, დასთმო რა ქიმერების და მისტიკის სამყარო, მან იპოვნა სავსებით რეალური ქვეყანა, დასახლებული ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანებით, მაგრამ ეს მაინც მისი საკუთარი ქვეყანა იყო, სადაც ყველაფერი მისი ფანტაზიის და გამონაგონის შესაბამისად ლაგდებოდა. ჩვენ არ გვინდა გადავჭარბოთ, შესაძლოა ზოგი რამ რ. გვეტაძის შემოქმედებაში ხდავო იყოს, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად სასარგებლო, მაგრამ ის, ვინც კარგად გაიცნობს მის სამყაროს, მის ქვეყანას, უთუოდ მაღლიერი დარჩება მწერლისა.





ნებრ მაჭარაშვილი

## ვარსკვლავების სიცილი

„იყო ადამიანი, ნიშნავს გრძნობდე პასუხისმგებლობას“. ეს სიტყვები ეკუთვნის ფრანგ მწერალს ანტუან დე სენტ ეგზიუპერს. სწორედ ამ სიტყვებით განისაზღვრება მწერლის შეხედულება ადამიანის მოვალეობაზე, მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან.

ეგზიუპერს სწამს ადამიანის სიდიადე, სკერა, რომ შეიძლება განთავისუფლდეს იგი ყოველგვარი სისუსტისა და მანქიერებისაგან და ავიდეს თავისი ნამდვილი მოწოდების სიმაღლეზე.

ეგზიუპერმა უბრალოება და სისადავე შეიტანა გმირობისა და მამაცობის ცნებებში, ახალგაზრდა პილოტმა მისოვის ასე მახლობელი, ვარსკვლავებიდან მოტანილი ნათელით გაფანტა ბურუსი, რომელშიც ფრანგმა სიურეალისტებმა ადამიანის სახე გაახვიეს.

30-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურაში შემოტრი ჰეროიული ნაკადი. მოვიდნენ მწერლები, რომელთა ნაფიქრისა და ნააზრევის წყარო მოქმედებაა, უშუალოდ გარესამყაროდან მიღებული შთაბეჭდილებაა. ამ ნაკადის წარმომადგენლები იყვნენ მალრო, კამიუ, სარტრი, სენტ ეგზიუპერი. მართალია, ეგზიუპერისათვის მოქმედება შთაგონე-

ბის ერთადერთი წყაროა, მაგრამ იგი უ. ი. მოქმედება, თვითმიზანი როდია. მისი მოქმედება კეთილშობილური მიზნების განხორციელებაა. მოქმედება სსნაა სიკვდილისაგან. მას შეუძლია გადაარჩინოს ადამიანი შიშს, ყოველგვარ სისუსტეს, თვით სიცივესა და ვადმყოფობასაც — წერს იგი. მისი გმირები მოქმედებენ და ფიქრობენ. ავილოთ თუნდაც ფაბიენი, გმირი რომანისა „გაფრენა ღამით“. იგი ფიქრობს თვითმფრინავის საჭესთან, რომლი აპარატების შეკეთებისა და სახიფათო რეიდების დროსაც.

ეგზიუპერმა ლიტერატურაში შემოტანა ახალი ცნებები: სამყაროს კოსმიური აღქმა, კოსმიური ჰუმანიზმი. ამ შემთხვევაში თავს იჩენს მისი პროფესიის ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „ხელობის“ გავლენა. ცის სამყაროსთან სიახლოებები მწერალს გამოუმუშავა სივრცის შეგრძნება, სამყაროს კოსმიური აღქმა, დიდი მასშტაბებით ხედვა. აქედან გამომდინარეობს მისი უშუალო დამოკიდებულება ჩვენს პლანეტასთან, მთელ სამყაროსთან. ეგზიუპერის კოსმიურ აღქმაზე მეტყველებს ის ადგილი მისი თხზულებიდან „ადამიანთა მიწა“,

სადაც პილოტი იქარება ცივ, მიუკარებელ ციურ სხეულებს შორის, ერთადერთი ნამდვილი პლანეტის, ჩვენი პლანეტის ძებნაში, რომელზედაც არის „ნაცნობი პეიზაჟები, ჩვენი თბილი კერები, ჩვენი ნაზი გრძნობები“.

მისთვის წარმოუდგენელია, რატომ უნდა იყოს „ადამიანთა მიწაზე“ შულლი, რატომ უნდა ხდებოდეს ამ პატარა პლანეტის შვილებს შორის სისხლის მღვრელი ომები. ამიტომ მიმართავს იგი ომის საფრთხის წინაშე მდგარ კაცობრიობას: „ჩვენ ყველანი ერთი პლანეტის შვილები ვართ, ერთი გემის მგზავრები“.

„ადამიანთა მიწაში“ ეგზიუპერი ეხება აღზრდის პრობლემებსაც. იგი აღზრდას განათლებაზე მაღლა აყენებს. მისი აზრით, სწავლების მიზანი განათლების მიღება კი არ უნდა იყოს, არამედ სწორად დანახვის, განსაზღვრის და შესწავლის უნარის შეძენა. ეგზიუპერის აწვალებს აზრი, რომ მრავალი ადამიანი სწორი აღზრდის გარეშეა დარჩენილი და ამისათვის მიწა მათ მკაცრად სჭის. ეს აზრი აწვალებს მატარებელში, როცა პოლონერ მუშათა სახეების ქაოსში შესცეკრის მძინარე ბავშვს. ბავშვის სახე მოცარტს აგონებს, „რა ცოტაა გამოშეურებული ადამიანთა საუნგიდან. დიახ, ეს ნამდვილი ტრაგედია“, — წერს იგი. რაც უფრო ღრმად ეცნობა ეგზიუპერი ცხოვრებას, მით უფრო გრძნობიერი ხდება, მით უფრო აწვალებს სურვილი „მზესავით ნათელი პატარა გოგონას გადარჩენისა“. მით უფრო აფექტებს ყველ ადამიანში „მოკლული მოცარტი“.

ეგზიუპერის აქვს განსაკუთრებული ნიჭი ადამიანში სიდიადის დანახვისა, სიკეთისა და სილამაზის გამოცნობისა. ამაზე მეტყველებს ის დიდებული პიმნები, რომლებსაც ეგზიუპერი ადამიანს უძღვნის. ავილოთ თუნდაც ცნობილი პიმნი ადამიანის სიკეთეზე „ადამიანთა მიწიდან“. ლიბიის უდაბნოში, თვითმფრინავის კატასტროფის შემდეგ, ეგზიუპერი და მისი მექანიკოსი პრევო სამ

დღე-ღამეს დაეხეტებოდნენ მშიგი მწყურვალნი. ალბათ, ცხელი ქვიშის მსხვერპლიც განდებოდნენ, შემოწვევით გამვლელ ბედუინს რომ არ გადაერჩინა ისინი. ლიბიელი ბედუინის სიკეთემ მწყერალს სიცოცხლესთან ერთად რწმენაც აჩუქა. „შენ კი, ჩვენი მხსნელო ლიბიელო ბედუინი, სამუდამოდ წაიშლები ჩვენს მეხსიერებაში, აღარსოდეს არ მომაგონდება შენი სახე. შენ ხარ ადამიანი, მე შენ დაგინახავ ყველა ადამიანში“. ეგზიუპერი განაზოგადებს ლიბიელი ბედუინის სიკეთეს და იგი ყველა ადამიანზე გადააქვს: — „მთელი ჩემი მეგობრები და მტრები შენში ერთიანდებიან და მე აღარ მყავს ამქვეყნად მტრი“.

ეგზიუპერი ის ადამიანია, ვისაც პოეზიით ივსებია სული და უბრალო, შეუფერადებელ სტრიქონებად გადმოუღვრია იგი ფურცელზე. სიყვარული სილამაზისადმი იგრძნობა ყოველ მის ნაწარმოებში. იგი სილამაზესა და სიდიადეს პოულობს ადამიანში, ცის სივრცეში, უსიცოცხლო უდაბნოშიც კი. მის პოეტურ თვალს არც შინისავენ მიმავალი არგენტინელი ქალიშვილების იდუმალი სევდა გამოეპარება და არც ქვაფენილის ნაპრალებს შორის ჯიუტად ამოსული ბალახი. თვითმფრინავის საჭესთან მჯდომი მწერალი, როული მექანიზმის მართვასთან ერთად, ცის ლაქვარდით ტკბობასაც ასწრებდა. „მე ვხედავ სინათლის ცრუმლებს, ჩემკნ რომ მოცურავენ დუმილის ზღვაში“, — წერდა იგი.

ეგზიუპერის სტილი ძალიან სადაა. მისთვის დამახასიათებელია აზრების ზუსტი ფორმულირება, დებულებების ლაქონიურ და სხარტ წინადადებებში ჩამოყალიბება.

პოეტური სახეებით ყველაზე მდიდარი მაინც მისი „პატარა უფლისწულია“. ეს პატარა ზღაპარი, რომელიც გასაცრად დიდ სინამდვილეს იტევს, ეგზიუპერის ფანტაზიისა და მისი ცხოვრებისეული გამოცდილების სინთეზია. ამ წიგნის მთავარი თემა არის სწრაფვა მარტობის დაძლევისაკენ ნამდვილი

მეგობრობის საშუალებით. პატარა უფლისწულის სახე მარტოხელა ადამიანის „ლირიული მეა“, რომელიც მეგობარს დაექება. ამ მიზნით ჩამოვიდა ადამიანთა მიწაზე 612-ე ასტეროიდიდან. აეტორი პატარა უფლისწულს მეგობრის საძებნელად ერთი პლანეტიდან მეორეზე დაატარებს და გვაჩვენებს ადამიანთა მანკიერებას.

ეგზიუპერს ისეთი სიყვარულითა და დამაჯერებლობით აქვს გაღმოცემული ოქროსთმანი უფლისწულის სახე, რომ უნებურად ეპვიც კი დაგებადებათ, საჰარის უდაბნოში, თავის დამტვრეულ თვითმფრინავთან მართლა ხომ არ შეხვდა პილოტი ლეგენდარულ უფლისწულს, — სამართლიანად აღნიშნავს საბჭოთა კრიტიკოსი ლაქშინი.

იდუმალებით მოსილი მოევლინა პილოტს პატარა უფლისწული. განშორებისას ლამაზი საჩუქარი დაუტოვა დაღვრემილ მეგობარს—ვარსკვლავების სიცილი. 500 მილიონი ვარსკვლავის სიცილი ერთად, „როცა ღამის ზეცას ახედავ, კველა ვარსკვლავი შემოგცინებს, რადგან გეცოდინება, რომ ერთ-ერთ მათგანზე მე ვცხოვრობ და ვიცინ. მხოლოდ შენ გეცოლება ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც იცინიან“, — ამბობს პატარა უფლისწული.

პატარა უფლისწული თავის ავტორს წააგავს — სენტ ეგზიუპერიც ხომ მასავით გაქრა ცაში. ორივემ ძალიან ლამაზი საჩუქარი დაგვიტოვა: პატარა უფლისწულმა — ვარსკვლავების სიცილი, ხოლო სენტ ეგზიუპერმა — მაღალი, ადამიანური გრძნობებით აღსავს წიგნები.

პასუხისმგებლობის გრძნობითაა გამსვალული ეგზიუპერის მთელი შემოქმედება. მისი ძირითადი დებულებაა — „იყო ადამიანი, ნიშნავს გრძნობდე პასუხისმგებლობას“. ცხადია, მხოლოდ ერთი მორალური კატეგორია ვერ განპირობებდა ადამიანს. ეგზიუპერისეული პასუხისმგებლობის გრძნობა მოიცავს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა, პირ-

ველ რიგში, „ხელობა“, სიყვარული, მოქმედება, კოლეგიურობა. 

ეგზიუპერის გმირებს ისევე დამატებული მათ ავტორს, გატაცებით უყვართ თავიანთი საქმე ანუ „ხელობა“. კველა მათგანი თავგანწირულია საერთო საქმისათვის, ამხანაგებისათვის, ადამიანებისათვის. მათი მოქმედება შეგნებულია და განპირობებულია პასუხისმგებლობის გრძნობით ადამიანების მიმართ. ეგზიუპერი წინააღმდეგია უმიზნო თავგანწირვისა, სიკვდილთან თამაშისა. მხოლოდ კეთილშობილური მიზნები უბიძებენ ეგზიუპერს და მის ამხანაგებს საგმირო საქმეებისაკენ. „მიმიფურთხებია სიკვდილთან სითამარეზე. მისი საფუძველი თუ პასუხისმგებლობის გრძნობა არ არის, მაშინ ის მხოლოდ ახალგაზრდული აღმაფრენის დაწნინებაა“, — წერს იგი. ეგზიუპერისათვის მამაკობა „ძლიერი განცდების სიყვარული კი არ არის, არამედ ხალხის საერთო საქმისათვის მოქმედების ნებისყოფა“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ეგზიუპერისეული პასუხისმგებლობის ცნება, პირველ რიგში, გულისხმობს „ხელობის“ სიყვარულს. საინტერესოა, რატომ ანიჭებს იგი ხელობას ასეთ დიდ მნიშვნელობას პასუხისმგებლობის ცნებაში. ეგზიუპერის აზრით, ხელობა ანუ საერთო საქმე ადამიანებს უსახავს საერთო მიზნებს, აკაშირებს ერთმანეთთან. „ადამიანთა მიწაში“ იგი წერს: „ხელობის სიღიადე, ალბათ, პირველ რიგში, ადამიანების შეკავშირებაშია. არსებობს ერთადერთი ნამდვილი ბედნიერება და იგი ადამიანთა ურთიერთობაშია“.

პასუხისმგებლობის გრძნობა ამაღლებს ეგზიუპერის გმირებს, აჟყავს ისინი, პირობითად რომ ვთქვათ, ადამიანის აბსოლუტის სიმაღლემდე, ათავისუფლებს მათ ინდივიდის ჩარჩოებიდან და აქცევს ნამდვილ ადამიანებად. ეგზიუპერის მსოფლმხედველობის განსასაზღვრავად მთავარია დავადგინოთ განსხვავება ინდივიდს, ადამიანსა და ადამიანის აბსოლუტის შორის. განსხვავება მათ ხარისხშია. სწორედ პასუხისმგებლობის

გრძნობაა გზა ადამიანის აბსოლუტი-საკენ.

განვიხილოთ ეს გზა ეგზიუპერის რო-მანის „გაფრენა ღამით“ მთავარი გმი-რის ფაბიენის მაგალითზე.

ჩვენ ვხედავთ ფაბიენს, როგორც ინ-დივიდს, ინდივიდუალურ სიტუაციაში, ახალშერთულ მეულლესთან, ვხედავთ სითბოს „თეთრი სუფრის მყუდროების“ ფონზე.

შემდეგ ჩვენს წინაშეა ფაბიენი, რო-გორც პილოტი, შუალამით მას გამოიძა-ხებენ აეროდრომზე. ფაბიენი ტოვებს ოჯახურ მყუდროებას. მისი მოვალეობა მეტად მნიშვნელოვანია; ფოსტის გადატანა პატაგონიდან ბუენოს-აირესში. ჩვენ ვეცნობით ფაბიენს, როგორც ადა-მიანს, საზოგადოების წევრს, საერთო საქმეს რომ ემსახურება.

მესამე ეტაპი, ის დიდი დაბრკოლებე-ბია, რომელთა გადალახვის ფაბიენი მი-ყავს ადამიანის აბსოლუტამდე. ფაბიენი ებრძვის სტიქის, იჩენს არაადამიანურ სიმტკიცეს, ნებისყოფს, ვინაიდან მის მისიას აქვს მიზანი (ეს ეტაპები ავტორს თანმიმდევრობით არა აქვს მოცემული).

ფაბიენი იღუპება, მაგრამ მაინც გა-მარჯვებული რჩება. ადამიანის აბსოლუ-ტის დონეს აღწევს ამ წიგნის მეორე გმირიც — რივიერი, აეროდრომის უფ-როსი. რივიერის პროტოტიპია ეგზიუპე-რის სათავანებელი შეფი დიდიე დორა. ავტორს მისი სახე დიდი სიყვარულით აქვს დახატული. საქმისათვის თავდადე-ბული რივიერი უამრავი ადამიანის ბედ-ილბალს განაგებს. მისი მიზანია შეაკავ-შიროს მფრინავები საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობით, აამაღ-ლოს ისინი იმ დონემდე, რომ ყველა მათგანმა შეძლოს საგმირო საქმის ჩა-დენა, რაც უკვდავყოფს მფრინავებს, რადგან ადამიანს თავისივე ნამოღვაწარი აზიარებს უკვდავებასთან. რივიერმა გა-დაარჩინა ხაზის პილოტები დავიწყებას. იქნებ რივიერის ხვედრი უფრო მძიმეა, ვიდრე მისი პილოტებისა. ადვილი რო-დია მოთხოვო ადამიანებს სიცოცხლის გაწირვა. ამისათვის საჭიროა დაძლიო

ადამიანური სისუსტე. რივიერი ფანატი თავის გრძნობებს, რაღაც ამას მოით-ხოვს საერთო საქმისადმი პასუხისმგება-ლობა. რივიერი დახატულია, როგორც მყაცრი, პირქუში ადამიანი, მაგრამ ავ-ტორი ორიგინალური ხერხებით გვახე-დებს მის შინაგან სამყაროში, რომელიც სავსეა ადამიანური განცდებით. რივიერ-მა კარგად იცის: იმისათვის, რომ თავი შეაყვაროს თავის პილოტებს, საქმარი-სია დაიწყოს ჩივილი, რომ უჭირს მათი გამეტება სახითათო რეილებზე გასაგ-ზავნად, მაგრამ ეს რწმენას დაუკარგვ-და პილოტებს. რივიერი ამჯობინებს, მყაცრი და პირქუში დარჩეს საყვარელი ადამიანების თვალში. ეს მსხვერპლია, გაღებული საერთო საქმისათვის.

ეგზიუპერის გმირები არასოდეს არ იყინებიან ერთ დონეზე, ისინი სულ უფრო სრულყოფილი ხდებიან. მათი მოქმედება განპირობებულია პასუხის-მგებლობის კეთილშობილური გრძნო-ბით. ექდან გამომდინარეობს დებუ-ლება: „ადამიანი უნდა ვითარდებოდეს სრულყოფამდე“. სწორედ ამაში ჩანს მწერლის უდიდესი ჰუმანიზმი.

ალფროთვანებული მწერალი ნამდვილ ჰიმნს უძღვის ადამიანის მაღალ ღირსე-ბებს. მოვიგონოთ ცნობილი ჰიმნი ადა-მიანის სიკეთეზე „ადამიანთა მიწიდან“, რომელსაც ეგზიუპერი უძღვის ლიბი-ელ ბედუინს ანდა ჰიმნი გიომეზე ან-დებში, ამავე წიგნიდან. გიომე ეგზიუპე-რის უახლოესი მეგობარი იყო. ეგზიუ-პერი დიდი მოწიდებით მოვეითხობს მის მამაკობაზე „ადამიანთა მიწის“ იმ თავში, რომელსაც „ამხანაგები“ ეწო-დება. სამხრეთ ამერიკაში მუშაობის დროს, ანდებზე გადაფრენისას გიომეს ივარია შეემთხვა. მან მაღალ მოწიდებში და-ტოვა დამტკრეული თვითმფრინავი და ხუთი დღე-ღამე იარა თოვლში მშეერ-მწყურვალმა, რომ ცოტათი მაინც მიახ-ლოვებოდა დანიშნულების აღვილს, რა-თა მისი გვაძი ეპოვათ და მუშაობის დროს დაღუპული პილოტის ცოლისათ-ვის სადაზღვევო პენსია დაენიშნათ. მე-სამე დღიდან გულმაც უმტყუნა, მუხ-

ლები აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ ერთი აზრი არ შორდებოდა თავიდან: „არამხადა ვიქნები თუ არ ვიკლი“. გიომებ იცოდა, მის ცოლს, მის ამხანაგებს სწამდათ, რომ იგი ივლიდა, სანამ ცოცხალი იქნებოდა. მისი მოვალეობა იყო არ ელალტა მათი ნდობისათვის. პასუხისმგებლობის გრძნობამ, დიდმა რწმენამ გაამარჯვებინა გიომეს სიკვდილზე. შემდეგში გიომემ გაანდო ეგზიუპერს: „რაც მე გავაკეთო, გეფიცები, ვერც ერთი ცხოველი ვერ შეძლებდა იმის გავთებას“.

შწორედ აქ არის ეგზიუპერის ძირეული განსხვავება მისი თანამედროვე მწერლებისაგან. მალროს აზრით, ჰუმანიზმი არ ნიშნავს მტკიცებას, — „იმას, რაც მე გავაკეთო, ვერც ერთი ცხოველი ვერ შეძლებდა“, მაშინ, როდესაც „ადამიანთი მიწის“ ავტორი მტკიცებს: „ეს ფრაზა ცველაზე უფრო კეთილშობილურია, ეს ფრაზა ადგილს მიუჩენს სამყაროში ადამიანს“.

ეგზიუპერს არ სწამს ლაპარაკი სიცოცხლისა და სიკვდილის უაზრობაზე. მისთვის მთავარია სიცოცხლეს ჰქონდეს აზრი, რადგან ადამიანი მხოლოდ მაშინ იწყებს არსებობას, როდესაც აზრი აქვს სიცოცხლეს. ეგზიუპერის ამ ჯანსაღ პრინციპებს ეწინააღმდეგება ზოგიერთი მისი თანამედროვე მწერლის შეხედულებანი. ეგზისტენციალისტების მთხელვით, ადამიანის ცხოვრებას არ შეიძლება აზრი ჰქონდეს. მართალია, ეგზისტენციალისტები ექცევნ გამოსავალს: ისინი მოქმედებენ საზოგადოებისათვის, სხვა ადამიანებისათვის. მათ ესმით, რომ ადამიანმა არ შეიძლება იმოქმედოს, იცხვოროს მარტო თავისი თავისთვის, მაგრამ მათ არ სჯერათ თავიანთი ნამოქმედარის შედეგი, მაინც ვერ აღწევენ თავს ცხოვრების ყალბ გაგებას. მაგალითად, თანამედროვე ფრანგი მწერალი კამიუ „სიზიფის მითში“ წერს: „არსებობს ერთადერთი, ნამდვილად სერიოზული პრიბლემა ფილოსოფიაში: ეს არის თვითმკვლელობა. გაგება იმისა, ღირს თუ არა სიცოცხლე წვალებად, აი ეს

არის პასუხი ფილოსოფიის ფუნდამენტალურ საკითხზე“. განა ეს გამოსაზალია? ამავე მწერლის მეორე ნაწარმომებში „შავი ჭირი“ მთავარი გმირი ექიმი რიე იბრძვის ადამიანთა სიცოცხლისათვის, არ ზოგადს თავს, ჯანმრთელობას, მაგრამ მას არ სჯერა, რომ თავგანწირვით კეთილდღეობას მოუტანს ადამიანებს. ის ფიქრობს, რომ ეპიდემია როგორც გავრცელდა, ასევე თავისით ჩაქრება, მისი როლი ძალიან პატარაა ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან ისიც იცის, რომ შავი ჭირით დაავადებულებს ვერ გადაარჩენს. მაში რისთვის მოქმედებს, რა მიზანი აქვს მის თავგანწირვას? იგი მოქმედებს იმიტომ, რომ ადამიანია და არ შეუძლია გულხელდაკრეფილმა უყუროს სხვების სიკვდილს. თუმცა მან იცის, რომ ცველაფერი ამათა, ადამიანი უძლეურია ბედასწერის წინაშე. კამიუს მოქმედება და პასუხისმგებლობა პესიმისტურია. იგი ვერ პოულობს გამოსავალს ცხოვრების აბსულობის დასაძლევად.

ჯერ კიდევ პასკალი ამბობდა, ადამიანის ძალა იმაშია, რომ მან იცის თავისი სისუსტეო. ეგზიუპერი უპირისიპირდება პასკალს დებულებით, რომ ადამიანის ძალა სისუსტის დაძლევის უნარშია. ნათლად ჩამოყალიბებული, მისთვის ჩვეული, ზუსტად ფორმულირებული, ლოგიკური და გამართლებული პრინციპებით უპირისიპირდება ეგზიუპერი ცველა იმას, ვინც ჩრდილს აყენებს ადამიანის იდიადეს.

თანამედროვე მწერლობის ცველაზე მწევავ პრიბლემა — როგორ უნდა იცხოვოს ადამიანმა, ცხოვრების როგორი სახე არის გამართლებული? უან კლოდ იბერის სიტკით რომ ვთქვათ, „სენტ ეგზიუპერმა ამ კითხვას ასე უპასუხა, იმოქმედეთ თქვენს დარგში (სფეროში), ეცადეთ, კარგად გააკეთოთ თქვენი საქმე და თქვენი ცხოვრება მიიღებს ფორმას“. ეგზიუპერი ამ კითხვას უპასუხებს, როგორც პრიგრესულად მოაზროვნე ადამიანი. მას სჯერა, რომ თუ ადამიანი ემსახურება კეთილშობილურ მიზანს,

ქმნის მომავალს, მაშინ მის ცხოვრებას აზრი აქვს. „მომავალის შენება — ეს აწ-მყოს შენებაა. ეს არის დღეის სურვილის წარმოშობა, დღეის სურვილის, რომელიც მიმართულია ხვალინდელი დღისკენ“, — წერს ეგზიუპერი. ეს ნამდვილად მოქმედების ადამიანის მოწყდებაა, რომლის აზრით მხოლოდ მომავალის შენება აძლევს სიცოცხლეს აზრს, ფორმას, ხოლო „ის, რაც აზრს აძლევს სიცოცხლეს, აზრს აძლევს სიკ-ვდილსაც“, — ამბობს იგი „ადამიანთა მიწაში“. საინტერესოა, როგორ ესმის ეგზიუპერის სიკვდილის ცნება. როდე-საც ამბობს: „სიკვდილსაც აზრი აქვს“. ეგზიუპერისათვის ადამიანის არსი განი-საზღვრება ადამიანის სინდისით, იგი თანახმა სიკვდილზედაც. როცა ამას მოითხოვს გარემოება. სიკვდილის თან-ხმობა თითქოს ეწინააღმდევება სიცოც-ხლის ინსტიქტს, მაგრამ ეგზიუპერი გან-მარტავს: „ცხადია, არსებობს სიცოც-ხლის ინსტიქტი, მაგრამ ის მხოლოდ ერთი ასპექტია უფრო ძლიერი ინსტიქ-ტისა. უმთავრესი ინსტიქტი, ესაა მარა-დიულობის ინსტიქტი“. ჩვენ ვიცით, რომ ეგზიუპერისათვის მარადიულობა, უკვდავება დაკავშირებულია ადამიანის ნამოღვაწართან. ადამიანს თავისი საქმე უკვდავყოფს, ე. ი. მის სიკვდილს აზრი აქვს. ბურუუაზიული საზოგადოების კრიტიკოსები კი დაიღმიენ ეგზიუპე-რის „მუდმივობის ინსტიქტი“, ადამია-ნის უკვდავებისაკენ სწრაფა დაუკავში-რონ მის რელიგიურობას, მისტიკურო-ბას.

ეგზიუპერი ცდილობს ამოხსნას კა-ნონზომიერებანი, რომლებიც ცხოვრე-ბაში აწესრიგებენ ადამიანთ ურთიერ-ობას. თავგანწირვას ეგზიუპერი უწო-დებს გაცვლას. მისი აზრით, ადამიანი, რომელიც თავს სწირავს ტაძრის მშე-ნებლობას, თავის სიცოცხლეს ცვლის ამ ტაძარზე. ჩვენ დავინახავთ, რომ გაც-ვლის მა თეორიასაც საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანი თავს სწირავს საერთო მიზანს, საერთო საქ-

მეს: „სიკვდილი ხარჯს უხდის სიყვა-რულს“. ეგზიუპერის წინაშე ჩა- პრობლემა, გამართლებულია ათასობის ადამიანის თავგანწირვა? რომანში „გაფ-რენა ღამით“ ხიდის მშენებლობაზე და-შავებული მუშის ტრაგიკულ სურათთან იგი სვამს კითხვას: „ჩვენ ისე ვიცევით, თითქოს რაღაც ადამიანის სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ რა?“ ამ „ადამიანთა მიწაში“ ის ამომწურავ პა-სუხს აძლევს მის მიერვე დასმულ კით-ხვას: „თქვენ რომ შექმათებოდით მერ-მოს, როდესაც ჩილიში მიფრინავდა ან-დების ფერდობების გასწვრივ, გამარ-ჯვების რწმენით გულში, რომ ის ცდე-ბოდა, რომ ვიღაც ვაჭრის წერილი იქ-ნება არც ლირდა მისი სიცოცხლის გან-საცდელში ჩასაგდებად, გაეცინებოდა. მისთვის მთავარი იყო ადამიანი, რომე-ლიც იბადებოდა მასში ანდებზე გადაფ-რენისას“. ადამიანთა ურთიერთდამკი-დებულებას აწესრიგებს სიყვარული, პა-სუხისმგებლობა. სიყვარული, საქმე, სა-ზოგადოება ხარჯს ითხოვს. ვინც ამ ხარჯს გაიღებს, იგი იხვეჭს ადამიანურ ლირსებას.

ეგზიუპერის გმირებს სჭირდებათ სა-ზოგადოება, სადაც ყოველი ადამიანი ამდიდრებს დანარჩენებს საერთო საქ-მის სამსახურით. „იმისათვის, რომ შეიგ-რძნო საზოგადოება, საჭიროა მიიღო ყველა მისი პირობა, ურომლისოდაც ცხოვრება მოსაწყენი იქნებოდა“, — წერს იგი ერთ წერილში.

როგორც ვხედავთ, ეგზიუპერის შე-მოქმედებაში პასუხისმგებლობა ძალიან ფართო, თითქმის ყოვლისმომცველი ცნებაა. იგი საერთო საქმისადმი თავდა-დების, შეეგნებული გმირობისა და თავ-განწირვის საფუძველია. ყოველივე ეს კი შთავინებულია კეთილშობილური მიზნებით და არა მწვავე განცდებისა და ხიფათების სიყვარულით. ეგზიუპერის ადამიანი მოქმედებს, ცხოვრობს საზო-გადოებისათვის, რადგან „ადამიანი თუ მხოლოდ მატერიალური კეთილდღეო-ბისათვის მუშაობს, თავისივე ხელით იშენებს ციხეს. მარტოდმარტო იკეტება

შიგ თავის ფერფლადქცეულ მონეტებთან ერთად, რომლითაც ვერაფერს შეიძენს ისეთს, სიცოცხლედ რომ ღირდეს“.  
მისი პასუხისმგებლობა გულისხმობს წმინდა, ამალებულ სიყვარულს, „სიყვარულს, რომელიც არ ნიშნავს ერთმანეთის ოვალებში ყურებას, არამედ ერთი მიმართულებით ხედვის“.

## II

პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ცნებები ეგზიუპერის შემოქმედებაში მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. მართალია, თავისუფლების ცნება არ არის მკაფიო განსაზღვრების სახით ჩამოყალიბებული, მაგრამ ერთი-ორი დებულება ნათელს ხდის თავისუფლების ცნების ეგზიუპერისეულ გაგებას. თავისუფლების არსი ეგზიუპერისათვის მოქმედების თავისუფლებაა, ხოლო მისი აზრით, ადამიანის მოქმედება, როგორც ალვინშენეთ, უნდა იყოს შეგნებული და ემსახურებოდეს საზოგადოების კეთილდღებას. ადამიანი თავის მოქმედებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე. აქედან შეიძლება დავისკვნათ, რომ ეგზიუპერისეული თავისუფლების ცნება არ გამორიცხავს საზოგადოების არსებობას, პირიქით, იგი ემყარება ადამიანთა მტკიდრო ურთიერთობას, სულიერ კავშირს. უფრო მეტიც, ეგზიუპერის სურს ააშენოს სამყარო, რომლის საფუძველი იქნება ადამიანთა სულიერი კავშირი.

„ადამიანთა საყუდარო, ვინ დაგაარსებს გონების სამყაროში? ვინ შეიძლებს ლოგიკის ძალით აგაშენოს?“ — კიოთხულობს ადამიანთა სულიერ კავშირზე მეოცნებე მწერალი.

ადამიანთა ურთიერთობის, სულიერი კავშირის დარღვევა მასში იწვევს დანგრეული ტაძრის ტრაგიკული სურათის ასოციაციას. ეს სურათი წარმოადგენს „ქვების, კრამიტებისა და აგურების გროვის, რომელთაც არც სული იქვთ და არც გული, რომლებიც მათ ფლობენ და ცვლიან“. ამ ქვებს არა აქვთ ურთიერთკავშირი და ამიტომ აღარ წარმოადგე-

ნენ ტაძრის დიდებულ სახეს. მწერალისურს გავვაფრთხილოს, რომელსაც ტრაგიკულ სურათს მოგვცემს წლიშინთა საზოგადოება, თუ მის წევრებს არ ექნებათ სულიერი კავშირი, ურთიერთობა.

თანამედროვე მწერლების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დგას თავისუფლების პრობლემა. თავისუფლება ესმით სხვადასხვანიარია. უან პოლ სარტრის მიხედვით თავისუფლების ცნება დაკავშირებულია ინდივიდის თავისუფლებასთან, ინდივიდისა, რომელიც მოწყვეტილია საზოგადოებას, რადგან შეუძლებელია საზოგადოებაში მისი თავისუფლება. საზოგადოების აზრი ზღუდავს, აშნებს ადამიანს. საზოგადოებაში ინდივიდი თავისუფალი არ არის. სარტრი გამოყოფს თავის ინდივიდს „სხვებისაგან“, „სხვები“, ე. ი. ადამიანები თავიანთი შეხედულებებით, წესებით, ნორმებით ზღუდავენ ინდივიდს, ამიტომ ინდივიდისათვის „სხვები“ წარმოადგენენ „ჯოჯოხეთს“.

ეგზიუპერი ეწინააღმდეგება თავისუფლების ცნების ამგვარ გაგებას. სარტრისათვის „სხვები“ თუ „ჯოჯოხეთს“ წარმოადგენენ პიროვნების მიმართ, ეგზიუპერის ადამიანისათვის საზოგადოება და მის მიერ დაკანონებული წესები სასიცოცხლო და აუცილებელი პირობაა. მისი აზრით, „არსებობს ერთადერთი ბედნიერება და იგი ადამიანთა ურთიერთობაშია“.

„ისინი“ ეგზიუპერის გმირებისათვის ნიშნავს „მთელი დედამიწის ხალხებს თავიანთი პარლამენტებით, სენატებით, საზღვაო ფლოტებით, არმიებით და სახელმწიფოებით“. ეგზიუპერისათვის თავისუფლებას არა აქვს აზრი საზოგადოების გარეშე. იგი უარყოფს ინდივიდს და მის უაზრო თავისუფლებას, ბურჟუაზიულ კეთილდღეობას. „ბებერო ბიუროკრატო, — მიმართავს ეგზიუპერი „ადამიანთა მიწაში“ ინსპექტორს, — ჩაბუდებულხარ შენს ბურჟუაზიულ უზრუნველობაში, აგივია საბრალო ჯებირი ქარებისაგან, ტბებისაგან, ვარსკვლა-

ვებისაგან დასაცავად. შენ არასოდეს ლაინტერესებულხარ დიდი პრობლემებით, დავვიწყებია, რომ ადამიანად გაჩნდი. შენ არა ხარ მოძრავი პლანეტის მცხოვრები. შენ არასოდეს არ მიგიცია შენი თავისითვის ისეთი შეკითხეა, რომელზედაც პასუხი უკვე გაცემული არ ყოფილა. შენ ხარ პატარა ტულუზელი ბურჟუა“. ასეთი მწარე ირნიით დასცინის ეგზიუპერი ტულუზელ ბურჟუას, მის ჩაკეტილ ინდივიდს, რომელსაც ვიწრო ინტერესების გამო „ჩაუკლავს თავის თავში მუსიკისა, პოეტი, ასტრონომი“. ჩაუკლავს ადამიანი. ეგზიუპერი იბრძეს თავისუფლების ვიწრო, ინდივიდუალური გაგების წინააღმდეგ. იგი იბრძეს ადამიანისათვის, რომელიც საზოგადოების წევრია, რომელიც თავისუფალია მოქმედებაში, თავისუფალია მოქმედების ასპარეზის არჩევაში. სულერთაა, რა სფეროშიც იმოქმედებს ადამიანი, იქნება იგი მიწის მუშა, მებაღე, მალარელი თუ მფრინავი. მთავარია, იგი მოქმედებდეს ადამიანის საკეთილდღოდ. ეგზიუპერი ცდილობს ჩახაშოს ადამიანში ინდივიდის მანქირება, გამოიყანოს იგი ინდივიდის ჩარჩობიდან. „სამხედრო პილოტში“ ეგზიუპერი წერს: „მე ვიბრძოლებ ადამიანის აბსოლუტისათვის მისი მტრების წინააღმდეგ, ჩემი საკუთარი თავის წინააღმდეგაც“.

ეგზიუპერს ესმის, რომ ადამიანის მიერ მეორე ადამიანისათვის მსხვერპლის გაღება სიყვარულის დასაბამია, ხოლო სიყვარული იმ უძრავი ურთიერთობის საფუძველია, წყაროა, რაც მას სულდგმულებს. ადამიანი, რომელსაც არაფერი აკავშირებს ადამიანებთან — არა-რაობაა. მოვიგონოთ მოხუცი ბარქის ისტორია „ადამიანთა მიწიდან“. საპარას უდაბნოში მდებარე კაპჭუბში მუშაობის დროს ეგზიუპერმა გაიცნო მავრების მონა მოხუცი მოპამედი, რომელმაც თავისუფლებასთან ერთად სახელიც და ცველა მოხუც ბარქს ეძახდა. მარაკელი იყო მოხუცი მონა, იქ მუშაობდა მეჯოგელ, იქ ჰყავდა დატო-

ვებული ცოლ-შვილი. არაბებმა მოკუკებით წამოიყვანეს და მავრებს მიყიდვები იყო. აუტანელი იყო მოხუცი მავრების ცხოვრება მავრებთან, მას თავისიანებზე ფიქრი სტანგავდა. ეგზიუპერი ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობოდა ბარქს, ალბათ, ამიტომაც შესტედა მან, თვითმფრინავში დამალული გამაპარეო. ფრანგ პილოტს ამის გაკეთება არ შეეძლო, რადგან მავრებთან ამდენი ტაქტიანი და საზრიანი დიპლომატით ჩამოგდებული მშვიდობის დარღვევა არ უნდოდა. ეგზიუპერმა შეაგროვა ფული ბარქის გამოსასყიდლად, ხოლო როდესაც მავრებმა იცოტავეს მის მიერ შეთავაზებული თანხა, იგი იძულებული გახდა ამხანაგებისაგან ეთხოვა ფული და ისე გამოესყიდა მონა.

განთავისუფლებული მონა თვითმფრინავთ ჩაიყვანეს აგალირში და ეგზიუპერმა ფულიც მისცა მას პირველ ხანებში სახარჯოდ. ჩვენ ვხედავთ თავდაპირველად რა თავბრუდამხვევი სიხარულით არის მოცული განთავისუფლებული ბარქი, მაგრამ იგი მაღლ იგრძნობს, რომ ყველასათვის უსარგებლოა, არაეს არ სჭირდება, არაფერი არ ავაშირებს ადამიანებთან. „იგი თავისუფალია არარაობამდე, მას თითქმის წონაც აღარა ქვევს ამ ქვეყანაზე“. ეს თავისუფლება მას ექვენება საზიზრად. მოხუცი მოპამედი უბრუნდება თავს ოჯახს. მან კარგად იცის, რომ სიღატავე ელის თავის წვრილ-შვილში, მაგრამ მოვალეობის გრძნობა უბრუნებს ადამიანურ ღირსებებს და მასთან ერთად ბედნიერებასაც, რადგან როგორც ეგზიუპერი ამბობს: „არ შეიძლება ერთ და იმავე ღრის გრძნობდე პასუხისმგებლობას და სასოწარვეოლებას“. აქაც ერთხელ კიდევ ერწმუნდებით, რომ პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ცნებები ეგზიუპერს არა აქვს ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოყოფილი. ეს ცნებები ერთმანეთს შეიცავენ, გულისხმობენ.

პასუხისმგებლობას გულისხმობს ეგზიტენციალისტების თავისუფლებაც.

„არსებობისა და თავისუფლების თავის თავში აღმოჩენას მოსდევს რამდენიმე განცდა (მდგომარეობა), რომელიც ტი-პიურია ეგზისტენციალისტებისათვის. ეს არის შიში, კაეშანი, პასუხისმგებლობა, უიმედობა, და მიტოვებულობა“ (მზია ბაქრაძე: „ე. პ. სარტრის მსოფლმხედველობის ევოლუცია. მისი ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით“). ეგ-ზისტენციალისტების აზრით, სწორედ ეს პასუხისმგებლობა იწვევს ისეთ განცდებს, როგორიცაა უიმედობა, კაეშანი, მარტობა, ეს პასუხისმგებლობა აქციებს თავისუფლებას ტრაგიულად. ეგზიუპერის თავისუფლების და პასუხისმგებლობის ცნებები კი ამართლებენ, აზრს აძლევენ ერთმანეთს.

მართალია, ეგზიუპერის წიგნში ვერ ვხვდებით ტერმინ „თავისუფლებას“ ისე ხშირად, როგორც „პასუხისმგებლობას“, მაგრამ იგი ყოველთვის იგულისხმება. მყითხველი გრძნობს, რომ ეგზიუპერის გმირები თავისუფლები არიან მოქმედების არჩევანში. მათ არჩევანს რაღაც გარეგანი პირობები კი არ განსაზღვრავს (მოვიგონოთ გიორგეს, შერმოს, რივიერის მაგალითები), არამედ გმირის სულიერი სამყარო, მისი შინაგანი მოთხოვნილება, ხოლო მისი გმირების სულიერი სამყარო ყოველთვის სუფთაა, რადგან ავტოს სწამს ადამიანის სიდიადე, მისი სიკეთე. ამიტომაც ეგზიუპერის გმირების მოქმედების არჩევანი ყოველთვის თავისუფალია და ამავე დროს გამართლებულია, ადამიანურია. ეგზიუპერის გაგებით, თავისუფლება არ არის ინდივიდუალურ ჭირვეულობათა შესრულება, ინდივიდის ბატონობა. მისი აზრით, თავისუფლება არის ადამიანის კეთილი ნების გამოვლენა მოქმედებით, მისი სრულყოფა. როგორც მოხუცი ბარკის მაგალითზე დავრწმუნდით, ეგზიუპერისათვის თავისუფლება ბედნიერების წყაროა. ეგზისტენციალისტების მიხედვით კი თავი-

სუფლება საბედისწეროა ადამიანსათვის.

რა არის თავისუფლება ეგზისტენციალისმის მიხედვით? „ადამიანი არ არის განსაზღვრული რაიმე არსებით: არც ღმერთით, არც ბუნებით. არ არსებობს რწმენა, რელიგია, ავტორიტეტი, კანონი, არ არის ცხოვრების აზრი. ადამიანები წარმოადგენენ აბსოლუტური სამყაროს თოვინებს, უძლურებსა და სუსტებს, სამყარო თავისი გრანდიოზულობით ჰყულეტს ადამიანს. ერთადერთი კეშმარიტება არის სიკლილი. ადამიანს შეცნობილი აქვს თავს შესაძლებლობათა ზღვარი. მან იცის სიკლილის გარდაუვალობა. ადამიანი, რომელმაც ეს ყველაფერი იცის, განთავისუფლებულია ყველაფრისაგან და ეს თავისუფლება ტრაგიულია“ (მ. ბაქრაძე, იგივე ნაშრომი).

ეგზიუპერისეული თავისუფლების ცნების გაგება ისევე, როგორც ყოველი მისი დებულება და, საერთოდ, მისი მრწამსი, გამოირჩევა ჰუმანურობით. მისი გმირები არ არიან სუსტები, უძლურები. ისინი არ წარმოადგენენ თოვინებს. ეგზიუპერის ადამიანი არის ძლიერი, თავისუფალი (ამ სიტყვის სწორი გაეგებით), მისი ადამიანი შეგნებულია და თავისუფალია მოქმედების არჩევანში. ხოლო ვინაიდან ეს ადამიანი საზოგადოების წევრია და არა ვიწრო, პირადი ინტერესების ჩარჩოში ჩაკეტილი ინდივიდი, ამიტომ მისი თავისუფალი არჩევანი ყოველთვის ემთხვევა საზოგადოების ინტერესების სამსახურს, ადამიანთა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას.

ჰუმანისტმა მწერალმა ადამიანთა გულებისაკენ გზა მონახა თავისი რწმენით ადამიანის სიდიადეში. მეტად პროგრესული იდეებისა და ამაღლებული გრძნობების გამო, რომელთაც უხვად ვხვდებით მის წიგნებში, ეგზიუპერი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია მსოფლიოში.

## პირი მაღუდარია

### პ ა ი ნ რ ი პ ბ ი რ ი

არც ერთი შევი ხაზი, არც ერთი წი-  
 ფელი წერტილი, მთლიანად უმარტულით  
 შეღებილი, ქვასავით უძრავი და მძიმე  
 სახე. ოთორ ნიღაბს ზემოთ მუქი თემბი  
 პარიკის შთაბეჭდილებას ტოვებს, შეუ-  
 ღებავი ტუჩები მუქი ლურჯი და ორმო-  
 სავით ბნელია, ხოლო ღია ცისფერი  
 თვალები იმ კარდინალის თვალებივით  
 ცარიელი, რომელმაც რწმენა დაკარგა  
 და ეს ამბავი საკუთარი თავისთვისაც  
 ვერ გაუმხელია.

ასე გამოიყურება კომფორტაბელურ  
 ბინაში მარტოლმარტო გამოკეტილი, მე-  
 ლანქოლიით, შაკიეთა და მონოგამიით  
 დაავადებული კლოუნი. მისი სახე გაქვა-  
 ვებული და შემზარვია, მაგრამ კიდევ  
 უფრო შემზარვია ის, რაც მის სულში  
 ხდება, რაც მას შინაგანად არვევს და  
 აცარიელებს. მშობლებისაგან განკიცხუ-  
 ლი, საყვარელი ქალისაგან მიტოვებული,  
 კათოლიკე ქრისტიანთა კავშირის აღმი-  
 ნისტრატორისაგან მოტყუებული ხელო-  
 ვანი დამწყვდებული ნადირივით დაძრწის  
 საკუთარ ბინაში და მხოლოდ ტელეფო-  
 ნის მეშვეობით უკავშირდება გარესამყა-

როს. ფეხნატკენი, ჭიბეცარიელი მთელ  
 ქალაქში ეძებს ადამიანს, რომელიც  
 ღრმებით მაინც დაეხმარება, თბილი სი-  
 ტყვით ანუგეშებს და დააიმედებს ხელ-  
 მოცარულს, მაგრამ ამაღლ. იგი ყველა-  
 სათვის უცხოა.

ასეთია ცნობილი დასავლეთგერმა-  
 ნელი მწერლის ჰაინრიხ ბიოლის მოთხ-  
 რობის გმირი. მოთხრობას ჰქვია „ქლო-  
 უნის თვალით“. და იგი ღრმოს მხრივ  
 ისევე შეკავშულია, როგორც ბიოლის  
 სხვა ნაწარმოებები. პროგრესული იდე-  
 ების გამავრცელებელი, კეთილსანდი-  
 სიერი, მორალურად სპეტაკი მწერალი  
 დიდი ხანია ებრძვის ფაშიზმს, ძალადო-  
 ბასა და რელიგიურ ფარისევლობას.  
 ბიოლს არ გადაუსვამს ხაზი წარსული-  
 სათვის, არ უპატივებია ჯალათებისათვის  
 ჩადენილი დანაშაული, არ შერიგებაა  
 სათნოების მქადაგებელ და ბინძური პო-  
 ლიტიკის გამტარებელ „წმინდა“ მა-  
 მებს. მართალია, მისი სტილი ერთგვარ  
 „თალხ სამოსელს“ ატარებს, მაგრამ იგი  
 შეცნობიერ და ცნობიერ ზრახვათა მხი-  
 ლების, გარემოს ზემოქმედებით გამოწ-  
 ვეული ემოციების მართებულად გაღმო-  
 ცების და ღრმა ფსიქოლოგიური ანალი-  
 ზის ჩინებული რსტატია. ჰაინრიხ ბიოლი  
 უხვად იყენებს პროზაიზმებს, ეპიგრა-  
 მული სიუხვითა და სიმახვილით აღწერს

ამასწინათ საქართველოს ესტუმრა ცნობილი  
 გერმანელი მწერალი ჰაინრიხ ბიოლი, ვბეჭდვთ  
 წერილს მის ერთ-ერთ უკანასკნელ რომანზე  
 „კლოუნის თვალით“.

უნიშვნელო დეტალებს და ქმნის დრა-  
მატულად დაძაბულ, მაღალმხატვრულ,  
რეალისტურ ნაწარმოებებს. ბიოლის  
გმირები უმეტეს შემთხვევაში უბრალო  
ადამიანებია, ომის საშინელებით და ხან-  
გრძლივი, სასტიკი ტერიტორიაზე  
ბული ადამიანები, რომელთაც წონას-  
წორობის აღსადგენად სითბო, ადამია-  
ნური ალერსი, სულიერი საზრდო და  
მორალური სისპეტაჟე ესაჭიროებათ.

მართალია, ინდივიდუალიზმისა და  
რელიგიური გრძნობებისაგან ისინი ჯერ  
კიდევ ვერ განთვალისფლებულან, მაგ-  
რამ ისეთ ბიურგერულ ატმოსფეროში  
უხდებათ ცხოვრება, იმდენ თვალობაქ-  
ცობას, უტიფრობას და უსამართლობას  
ხედავენ ირგვლივ, რომ საკუთარი შეხე-  
დულებებისა და ადამიანობის შესანარ-  
ჩუნებლად დიდი გამძლეობა და ვაჟკა-  
ცობა სჭირდებათ. პატიოსან ადამიანს  
უჭირს ცხოვრება მათთან, ვინც მთლია-  
ნად უგულებელყოფს ყოველგვარ მო-  
რალურ პრინციპს, სამართლიანობას,  
ადამიანთა შორის სოლიდარობას და  
მხოლოდ ხელისუფლებისა და გამდიდ-  
რებისაჟენ ისწრაფვის. ყველაზე სავა-  
ლო კი ისაა, რომ ისინი აღწევენ კი-  
დეც თავიანთ მიზანს. მოძალადებმა  
მხოლოდ ტანსაცმელი გამოიცვალეს, სა-  
ხეზე ნიღაბი აიფარეს, მაგრამ მათი ბუ-  
ნება არ შეცვლილა. რასაც უწინ მოუ-  
რიდებლად იტაცებდნენ, იმას ახლა თა-  
ვაზიანი ღიმილითა და ერთმანეთის ხელ-  
შეწყობით ისაკუთრებენ. პაინრიც ბიოლი  
დიდად თანაუგრძნობს „ღვთის კრა-  
ვებს“, დაუნდობლად ამხელს იმათ, ვინც  
„კამეჩის ზიარება“ სცნდ და მიიღო. გარ-  
და ამისა, მის ადრინდელ ნაწარმოებებ-  
შიც შეიძლება ერთი, ჯერ კიდევ გაუმ-  
ხელელი აზრის ამოკითხვა: თუ უბრალო  
ადამიანებისათვის ასე ძნელია კაცომუ-  
ვარებისა და პატიოსნების ტვირთის  
ზიდვა, მაშინ რას უნდა განიცდიდეს კა-  
ცი, რომელიც ბუნებამ ძლიერი ინტე-  
ლექტულითა და შემოქმედების უნარით  
დააჯილდოვა.

ამ ნაწარმოებამდე მწერალი მხოლოდ  
ერთხელ შეეხო ხელოვანის ბედს („უპა-

ტრონი სახლი“) დასავლეთ გვრმანის  
ბიურგერულ სამყაროში, სადაც ვიწრო  
ეგიოზმს, სიხიარებესა და სიძულეებს მე-  
თილშობილური — პუმანური პიზით და  
მაღალფარდოვანი სიტყვებით ნიღბავენ.  
სადაც ყოფილი ფაშისტები იმ კულტუ-  
რის სახელით ლაპარაკობენ, რომელსაც  
სპაბდნენ და ანაღვურებდნენ. ეტყობა,  
მწერალს დიდახანს აწუხებდა ეს პრობ-  
ლემა და აი, თავის მცირე მოცულობის  
რომანსა თუ მოთხრობაში ჯერ გმირის  
ემოციური განცდებისა და ინტელექ-  
ტუალური წიაღსვლების კონცენტრაცია-  
მოახდინა, შემდევ კი დაშალა, დაარღვია  
და დიდი დრამატიზმით გადავგიშალა  
თვალწინ ნიკიერი ხელოვანის, პროფე-  
სიონალი კლოუნის მძიმე ხევდრი.

პაინრიც ბიოლი არა თუ უაღრესად-  
მიშვნელოვან დეტალს, უბრალო სიტყ-  
ვასაც არ იყენებს უაღვილოდ და ამი-  
ტომ არც ის უნდა მივიჩნიოთ შემთხვე-  
ვითად, რომ მან ხელოვანისა და შემოქ-  
მედის მძიმე ტეირო კლოუნს დააკისრა. მწერლის აზრით, შემოქმედი ხელოვნე-  
ბის რა მაღალ სფეროებსაც არ უნდა  
ეჭიდებოდეს, გარეგნულად აბსოლუტუ-  
რად სერობზული მანც არაა. მისთვის  
უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს  
შთაბეჭდილებას, ზემოქმედების ეფექტს.

სწორედ ეს უახლოვდება ერთმანეთს  
სასაცილო და სამწუხარო: ტრაგიკული-  
იძენს ფარსის მსუბუქ იერს, კომიკურს-  
ტრაგიკულის მძიმე ფორმები ზღუდვებს.  
ამიტომ ბიოლის გმირის ხელოვნება  
ზოგჯერ გამაღიზიანებელი ან დამაშვი-  
დებელი საშუალება უფროა, ვიდრე ძა-  
ლა და ამ გარემოებას ყველაზე ცხა-  
დად კლოუნი უნდა გრძნობდეს. ნაწარ-  
მოებებში ბევრია ამის დამაღასტურე-  
ბელი ეპიზოდი. საკმარისია სევდისა და  
უიმედობისაგან სულშეეხუთულმა ჰანსმა-  
თვითმაყოფილი, თავდაჯერებული მა-  
მის წინაშე უეცრად დაბრძმავებული ადა-  
მიანის როლი გაითამაშოს და მაშინვე  
ირღვევა დრამატული დაბაბულობა, სა-  
ფუძველი ეცლება სერიოზულ ურთი-  
ერთდმოკიდებულებას, ფარსი ფარდა-  
სავით ეშვება მათ შორის და დაბრძმავე-

ჰაინრიხ ბიოლმა საფუძვლიანად განა-  
ზოგადა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გა-  
რემოება, რაც მის გმირს დეკადენტები-  
საგან ანსხვავებს. თანამედროვე ხელო-  
ვანს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი,  
თუკი სინდისი გააჩნია, აღარ შეუძლია  
განზე დგომა, წარმოსახვით შექმნილ  
საყიდო ჩატარება, გულგრილი მჭვრე-  
ტელის როლით შემოფარგლა. უდანა-  
შაულო მსხვერპლთა გოლებამ საფუძ-  
ველი გამოაცალა მის ესთეტიზმს, ხო-  
ლო ცხოვრების მეცაცრმა კანონზომიე-  
რებამ ჩაითრია და იმათ შორის გადაის-  
როლა, ვინც უსამართლობით, უფლო-  
ბითა და უცურობით იტანჯება. ხელოვანი  
თვითონ აღმოჩნდა ცხოვრების მძლავრ  
მარწყებში. ახლა მას უკვე აღარც ეს-  
თეტრობის თავი აქვს და ვეღარც იუმო-  
რისტული მსოფლმხედველობა და სნო-  
ბიზმი შეელის. ყოველგვარი თვალთმაქ-  
ცობა, სიყალბე და ბურუუაზიული კე-  
თილდღეობა გულს ურევს გრძნობაგმა-  
ხვილებულს. ჭირის დღესავით სძულს  
უცელა, ვინც ხელოვნებას მძორად აქ-  
ცევს და მის ხარჯზე ცხოვრებას ფიქ-  
რობს. ხელოვანი თვით გახდა ამა ქვეყ-  
ნის ძლიერთა საშიში მტერი და მამხი-  
ობიერო.

ჭეშმარიტი ხელოვანი, ბიოლის აზ-  
რით, არასოდეს არ გაურბის სინამდვი-  
ლეს, არ ცდილობს გვერდი აუაროს მახ-  
ვილ კუთხეებს, ამიტომ შემოქმედებითი  
პროცესი მისგან მეტისმეტად მძიმე  
შრომას მოითხოვს. ხელოვნებაზე გაუ-  
თვებელი ლაპარაკი მხოლოდ მას უყ-  
ვარს, ვინც თვითონ არ ქმნის, ვისთვი-  
საკეთ ხელოვნება ჯასართობი საშუალება

ჰაინრიხ ბიოლი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნივთიერ სამყაროს, აღამიანზე მისი ზემოქმედების ძალის. შინაგანი მონალოგები და ასოციაციები რომ უფრო მძაფრი და დამაჯერებელი იყოს, ჰაინრიხ ბიოლი, უკერძეს შემთხვევაში, მჩხვარებული პირების მოვლით მოვლით რობის და ამ ტრადიციისათვის არც ამჯერად უთარადნია.

სულიერი კრიზისი ჰანს შნირისათვის უცხო სენი არ იყო. მან ჯერ კიდევ ბავ-შვებაში იგრძნო, თუ რა თხელია ყინული, რომელზედაც ფეხი შედგა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საყვარელმა ქალმა მიატოვა კრიზისი მეტისმეტად გაჭიანურდა და ბოლოს სულიერ აგონიაში გადაიზარდა. ტკივილის დასაყუჩებლად მან ჩევულებრივ საშუალებას მიმართა, სვამდა თვეების მანძილზე, სვამდა უმოწყალოდ, ვედარ ვარჯიშობდა, სცენაზე ხშირად მთვრადი გამოიდიოდა, ბოლოს წინასწორობაც დაკარგა და ერთ-ერთი წარმოდგენის დროს დამარცხდა. ფეხის ტკინის შემდეგ იძულებული გახდა შეუწყვიტა გასტროლები და ბონში დაბრუნდა. მარცხი მოულოდნელი არ იყო მისთვის, მან მანამდეც კარგად იცოდა, რომ შემოქმედებითი პროცესი მოითხოვს ფხიზელ გონებას, ხელოვანი არა-სოდეს არ უნდა ქმაყოფილდებოდეს იმით, რაც შექმნა, რადგან ყოველგვარი ხელოვნური აგზნება, პროფესიული თავ-დაჭრებულობა ხელოვანს ჯერ ამდაბიურებს და ბოლოს კლავს კიდეც. როგორც კი ჰანსი დარწმუნდა, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ღალატობს, სცენაზე განგებ წაიქცა და ფეხი იტკინა.

ბონი მისი მშობლიური ქალაქია. აქ მას შშობლები, ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები ჰყავს, საკუთარი ბინა აქვს, უფრო სწორად, აქვს და არცა აქვს, რადგან ბინა მდიდარმა ბაბუამ აჩუქა და პირობის თანახმად, ამ ბინის არც გაყიდვა შეუძლია და არც გაქირავება.

ჰანს შნირში ბონში სევდისაგან შეკუმშული გული, გესლი და ერთი მარკა ჩამოიტანა. ფულის შოვნის ყველა გზა მას დროებით მოჭრილი აქვს. მან ქალალდის ერთ მხარეს ჩამოწერა იმ ამხანაგების გვარები, რომლებსაც ფულს დაესხება, ხოლო მეორე მხარეზე ჩამოწერა სია იმ ადამიანებისა, რომლებსაც დასახმარებლად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა. პირველ სიაში მოხვდნენ სკოლის ამხანაგები და მამის საყვარელი, მეორეში კი მშობლე-

ბი, ძმა და პოლიტიკანი კათოლიკების რელიგიური „წრის“ წევრების ფლობითხოვნა მისთვის მხოლოდ ფლობისლურებული საბაბია: მან კარგად იცის, რომ ხელს არავინ გაუმართავს. სინამდვილეში იგი ბონში იმისთვის ჩამოვიდა, რომ ყველას დაანახოს მათი ნამდვილი სახე, დაიბრუნოს მარი და სამუდამოდ გაწყვიტოს კავშირი ნათესავებთან. პირველად იგი დედას ურკვავს და ანგარიშის გასწორებაც აქვდან იწყება.

ერთხელ მას აზრად მოუვიდა შეექმნა პარტომიმა ყინულის გასაღებების შეშვეობით. როგორც კი გასაღები ბუდეში ხვდება, მაშინვე დნება და კარის გაღება არ ხერხდება. ბონში მან ასეთი გასაღებების მოელი აცმა ჩამოიტანა. პირველი გასაღები საკუთარი ოჯახის კარის გასაღებებად მოიმარჯვა, მაგრამ სანამ გადაბრუნებდა, ამ ოჯახის ერთ-ერთი წევრის, მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანის, უდროოდ დალუპული დის სახე მოავინდა.

ომი თითქმის დამთავრებული იყო, როცა ფაშისტებმა გამოაცხადეს, სამშობლოს დაცვაში ქალიშვილებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობათ. ჰანს შნირი მაშინ თერთმეტი წლის იყო, მისი ძმალეო—რვა წლისა, ხოლო მათ უფროს დას ჰენრიეტას თექვესმეტი უსტულდებოდა. შვევნიერი, ცხოვრებაში გამოუცდელი ქალიშვილი ადვილად დაიყოლია უგუნურმა დედამ მონაწილეობა მიეღონ ბრძოლაში და ეს სწორედ მაშინ, როცა მსხვერპლს არავითარი აზრი არ ჰქონდა. ჰენრიეტა დაიღუპა. მალე ომიც დამთავრდა: მას შემდეგ ჩიიდმეტი წელიწადი გავიდა და ახლა ის ქალი, რომელმაც ნაცისტების მოწოდებისთანავე ასე გულარხენიად გაზიავნა შვილი სასაკლაოზე, „რასობრივ წინააღმდეგობათა მომრიგებელი გაერთიანებული კომიტეტის“ თავმჯდომარევა.

ჰანსს ტელეფონში დედის ხმის ნაცვლად კომიტეტის თავმჯდომარის საქმიანი ხმა მოესმა, ბოლმა ყელში მოაწვა და დედას გულის მოსაკლავად მოურიდებლად უთხრა:

— დამალაპარაკეთ თუ შეიძლება  
თქვენს ქალიშვილთან.

ყურმილში გაისმა მოხუცი ქალის ტა-  
რილი, მაგრამ ჰასმი იცის, რომ დედას  
ცრემლები ისევე ყალბია, როგორც მისი  
პრინციპები. როცა ჰენრიეტას დალუპვის  
ამბავი გაიგეს, ყველა ჰენრიეტას ხელ-  
სახოცს მიაჩერდა, საერთო სახელსახო-  
ცეში რომ იდო. ერთადერთი ადამიანი,  
რომელმაც კოვზი აიღო და ჭამას შეუდ-  
გა, დალუპული შეილის დედა იყო. ამით  
მას იმის თქმა უნდოდა, რომ ცხოვრება  
გრძელდება, მაგრამ თერთმეტი წლის  
ბავშვმა დედას ხელიდან კოვზი გააგდე-  
ბინა, შემდეგ საყვარელი დის ოთახში  
ავარდა, მთელი მისი ნივთები ფანჯრი-  
დან ეხოში გაღმოყარა, არ დატოვა არც  
ერთი ჩვარი, არც ერთი ქაღალდის ნაგ-  
ლეჭი, ყველაფერს თავი მოუყარა, ბენ-  
ზინი გადასხა და ცეცხლი წაუკიდა.  
თერთმეტი წლის ბავშვმა გუმანით იგრძ-  
ნო, რომ სიცოცხლე კი არ გრძელდება,  
არამედ გრძელდება სიკვდილი, ჰენრიე-  
ტას სიკვდილი. სწორედ ამაზე მეტყვე-  
ლებს ყოველი მისი ნივთი და, ეს რომ  
სხვებსაც ცხადად ეგრძნოთ, ნივთებს  
ცეცხლი წაუკიდა და ერთხაშად მოსპო.

უურმილში ისევ გაისმის დედის ხმა,  
მაგრამ ახლა უკვე ცივი, საქმიანი, შუ-  
რისმაძიებელი.

— შენ თურმე ისევ განიცდი პროფე-  
სიულ მარცხს, — ეუბნება იგი შვილს  
ლვარძლიანად, ნიშნისმოგებით.

ყინულის გასაღები გადნა, კარი კი  
ისევ დახურული დარჩა, მაგრამ ჰასმის ეს  
ამბავი არ ადარღებს. მას მიაჩნია, რომ  
ზოგიერთი ცოცხალი მკვდარია, ზოგი  
მკვდარი კი — ცოცხალი, მაგრამ არა რე-  
ლიგიური ან ისტორიული თვალსაზრი-  
სით, არამედ მათი ადამიანობის მიხედ-  
ვით. მკვდარია მისთვის დედა, ეს ძუნ-  
წი, უგუნური, ყველა დროისა და ყველა  
ხელისუფლების მაამებელი დედაკაცი  
და ცოცხალია ის პატარა ბიჭი, რომელ-  
საც რვა წლის ასაქში იარალის ხმარე-  
ბას ასწავლიდნენ და ხელში ყუმბარა  
აუყერტდა.

ჰასმი შნირი ოჯახთან შესარიგებლად

ან ნათესაური გრძნობების გასაღვიძებ-  
ლად არ დაბრუნებულა ბონში. მას უერ-  
დებ, რაც პოლიტიკური მიზნების მიხედვით  
რელიგიური გრძნობების გამოყენებაში  
დახელოვნებულმა სპეცულანტებმა, ყა-  
ხაღებივით ერთ წრეში გაერთიანებულ-  
მა კათოლიკებმა, საყვარელი ქალი წაარ-  
თვეს, იგი, როგორც ხელოვანი, მმუ-  
ტავ ნაკვერჩხალს ჰგავს, ცეცხლის გასა-  
ღვივებლად კი მარის დაბრუნება საჭი-  
რო. სხვა ქალი მისთვის არ არსებობს.  
ჰასმი შნირი თავად აღიარებს, რომ ის  
მონოგამია, მაგრამ ეს არაა რამე ორ-  
განული დაავადება; მონოგამიის მიზე-  
ზი მისი სულიერი სამყაროა.

ჰასმი შნირმა იცის, რომ რაც უფრო პა-  
ტიოსანია ადამიანი, რაც უფრო მეტი პა-  
სუხისმგებლობის გრძნობა გააჩნია, მით  
უფრო ძნელია მისთვის ზერელე და  
დროებითი დამოკიდებულება ქალთან. ჰასმი  
შნირი რომ გაქნილი საქმოსანი,  
ეგოისტი და ექსპლატატორი ყოფილ-  
იყო, მაშინ ქალი მისთვის მხოლოდ სია-  
მოგნების წყარო იქნებოდა და მონოგა-  
მიაზე წარმოდგენაც არ ექნებოდა. მაგ-  
რამ მას სიამოვნების გარდა მახლობელი-  
ადამიანიც სჭრდება, ქალიც და ადამია-  
ნიც ყოველგვარი პირობითი დაყოფის  
გარეშე, რადგან მისთვის არ არსებობს  
ზღვარი ფიზიკურსა და სულიერს შო-  
რის. მისი აზრით, რაღაც ადამიანური-  
ელემენტი მეძავი ქალისა და გრძნობა-  
დახლუნებული მმაკაცის ურთიერთო-  
ბაშიც კი აუცილებელია. ამიტომ არ გა-  
უფრთხილდა თავის გრძნობებს ჰასმი  
შნირი. ხორცი და სული ნაწილ-ნაწილ-  
რომ არ გაეფლანგა, არაფერი არ დაი-  
ტოვა თავისთვის, ყველაფერი ერთ ქალს  
მისცა, მხოლოდ ერთ ქალს დაეყრდნო-  
და როცა საფუძველი გამოეცალა, საში-  
ნელი მარტოობა და სიცარიილე იგრძ-  
ნო. მან მარტო ქალი კი არ დაკარგა, არა-  
მედ საკუთარი თავიც, რადგან ერთხაშად  
გაფლანგული გრძნობების აღდგნის  
იმედი აღარა აქვს.

ჰასმი შნირის მონოგამია თვით მის-  
მიერ არჩეულმა ცხოვრების გზამ განა-  
პირობა. ოჯახთან და საზოგადოებასთან

კონფლიქტმა იგი მარტოობის საცალ-  
ფეხო ბილიქზე დააყენა, ხოლო შემოქ-  
მედებით პროცესს იმდენი ენერგია შეა-  
ლია, რომ გარე სამყაროში არაფრის გა-  
დაკეთების და ძიების თავი აღარ ჰქონ-  
და. მარი იყო მისი ერთადერთი საზო-  
გადოება, ერთადერთი მახლობელი ადა-  
მიანი, ერთადერთი ქალი. მის მონოგა-  
ზიას ერთი ვიწრო-პიროვნული ხასიათიც  
აქვს.

ოჯახთან და საზოგადოებასთან კონ-  
ფლიქტი განსაკუთრებით მას შემდეგ  
გამოვავდა, როცა მან მარისთან პირვე-  
ლი ღამე გაათავა. ოჯახმა ვერ აპატია და-  
მოუკიდებლობა და რამდენიმე თაობის  
მიერ დაგროვილი მილონების უგუ-  
ლებელყოფა, საზოგადოებამ კი, უფრო  
სწორად, ფილისტერებმა და რელიგიას  
ამოფარებულმა პოლიტიკანებმა, — ერთ-  
ერთი ლამაზი და მათი გავლენის ქვეშ  
მყოფი ქალის მითვისება და მასთან ხელ-  
მოუწერლად ცხოვრება. ფაშისტური რე-  
ჟიმის დროს ჰანსს ამდენს არ მოუთმენ-  
დნენ, შინ მიუხსტებოდნენ, დააპატიმ-  
რებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკში  
ამოაყოვინებდნენ თავს. მაგრამ ახლა  
მისითვის სპირითა პროვერბორის სანქ-  
ცია, რია სასამართლო პროცესი და ამი-  
ტომ სულ სხვა მეთოდებით ებრძვიან.

ოჯახი არ სცნობს ჰანსს, არავითარ მა-  
ტერიალურ დახმარებას არ უშევს. დე-  
დამისი იმასაც კი წერს, რომ სამუდა-  
მოდ ამთივგდო გულიდან, ხოლო ფაშიზ-  
მის ყოფილი მქადაგებლები, კარიერის-  
ტები და რენეგატები მის წინააღმდეგ  
საყოველთაოდ ცნობილ იარაღს — სა-  
ზოგადოებრივ აზრს იყენებენ. ასეთი მო-  
რალური ღოგმებით სწორედ ის ადამია-  
ნები ებრძვიან მას, რომლებიც ბონში  
მეძავების ნაკლებობას უჩივიან. საქმა-  
რისია ჰანს შეირჩა სცნობს მდიდარი ოჯა-  
ხის პრივილეგიები, არსებული საზოგა-  
დოებრივი წყობის კანონიერება და მას  
ყველვან სიხარულით მიიღებენ, მაგრამ  
იგი არავითარ დათმობაზე არ მიდის და  
არც შეუძლია წავიდეს, რადგან მისითვის  
ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლი-  
ანი პროცესია. მარის სწორედ ეს არ ეს-

მის, არ ესმის, რომ ამ პროცესის გულ-  
მენტებად დაშლა ჰანსში ხელოვანსაც  
მოკლეს და აღამინისაც. სანამ ურთმოსი-  
თი უყვარდათ, მათ წინაშე ძლევამოსი-  
ლი მტრებიც კი უძლურნ აღმოჩნდნენ,  
მაგრამ როგორც კი მათ ურთიერთობაში  
კრიზისმა იჩინა თავი, მტრებიც მაშინვე  
გაქტიურდნენ.

მარი ჩვეულებრივი ქალია. საშუალო  
ადამიანებისაგან იგი არც ჭიუით გამო-  
ირჩევა და არც ემოციურობით. სიღარი-  
ბეში გაზრდილი მუდამ სხვისი გავლენის  
ქვეშ იმყოფებოდა. კათოლიკური ეკლე-  
სიის მოღვაწეებმა ბავშვობიდანვე და-  
იპყრეს მისი გონება. ჰანს შეირჩა მოწი-  
ფული ქალიშვილი მხოლოდ გაბედული  
მოქმედებით გამოგლივა ხელიდან „მო-  
რალური პრინციპების“ მქადაგებლებს,  
მაგრამ როცა მისი გავლენა შესუსტდა,  
მარი ისევ კათოლიკებმა გადაიბირეს.  
ჰანსი თავდაუზოგავად შრომობდა, რა-  
საც შოულობდა, ხელგაშლილად ხარჯავ-  
და, საყვარელ ქალს ბავშვივით ანებივ-  
რებდა და მისგან მხოლოდ ადამიანურ  
თანაგრძნობასა და ალერს მოითხოვდა.  
მაგრამ როცა ადამიანებს ერთმანეთის  
არ ესმით, მაშინ არავითარი მნიშვნელო-  
ბა არა აქვს, ვინ ვისგან რას მოითხოვს.

მარი ხედავს, რომ ცხოვრება მიდის,  
ისინი კი არც მატერიალურად არიან უზ-  
რუნველყოფილი და არც მყარი საზოგა-  
დოებრივი მდგომარეობა აქვთ. ქალი,  
რომელიც ერთ დროს შეურაცხყოფილა-  
დაც კი გრძნობდა თავს, როცა ლაპარა-  
კი ჰანსის მშობლების სიმდიდრეზე ჩა-  
მოვარდებოდა, ახლა „უმაღლესი მორა-  
ლური პრინციპების“ და „მეტაფიზიკუ-  
რი შიშის“ მაღალფარდოვანი სიტყვე-  
ბით ნიბიავს საკუთარ მისწრაფებას მყა-  
რი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და  
ბურჟუაზიული კეთილდღეობისაკენ. მა-  
თი ურთიერთობა იმდენად გამწვავდა,  
რომ ეს კათოლიკური „წრის“ წევრებ-  
მაც კი იგრძნეს და მაშინვე ჰანსის წი-  
ნაღმდევ დაირჩიმნენ. სანამ ჰანსი წარ-  
მოდგენებს მართავდა, კონფერენციაზე  
ჩამოსული „წრის“ წევრები სასტუმრო-  
ში მარტო დარჩენილ მარის შეუჩნდნენ

და ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა, ციუპ-ფნერმა, ცოლობაზეც კი დაიყოლია. ჰანსმა სასტუმროში დაბრუნებისთავავე იგრძნო, რომ მარი სხვისი სიტყვებით ლაპარაკობდა, რომ მის მაღალფარდოვან ფრაზებს ბონის, ზომერვილდების და ციუპნერების სუნი უდიოდა. მას არც გაპკირვებია, როცა მეორე დილით მაგიდაზე ბარათი იპოვა, სადაც მხოლოდ ერთი უაზრო ფრაზა ეწერა: „მე უნდა წავიდე იმ გზით, რომლითაც უნდა ვიარო“.

ჰანს შნირი ბონს ფანჯრიდან გაჟყურებს და ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მთელი ქალაქი მისდამი მტრულადა განწყობილი. ამ დროს ტელეფონით რეკავს მისი ანტრეპრენიორი ცენერერი. ხელოვნებით მოვაჭრე საქმისანმა კარგად იცის, რომ ჰანს შნირის შემოქმედებითი პოტენციალი არ ამოწურულა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მისი ტალანტის ექსპლოატაცია და ამიტომ შემდეგ პირობებს სთავაზობს: დაანებოს თავი სხას, მონახოს ქალი, რომელიც ექვს თვეს მაინც შეინახავს, ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე რვა საათი მაინც ივარგიშოს და ამის შემდეგ კვლავ გამოიშვებს მას სცენაზე. „მათ შესანიშნავად იციან, რომ ყველაზე უსინდისონ მსახიობი ყველაზე კეთილსინდისიერ ანტრეპრენიორზე ათასჯერ უფრო პატიოსანია, მაგრამ, გარდა ამისა, ისიც შესანიშნავად იციან, რომ ჰეშმარიტ მხატვარს არ შეუძლია არ გააქთოს ის, რასაც აკეთებს, სულერთია სურათებს ხატავს თუ კლოუნიეთ დაძრწის ამქეცვნად“, — ფიქრობს ჰანსი თავისთვის. იგი ანტრეპრენიორისა და სუტენერს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს. მათი სუბარი ჰგავს კიდეც ფასდაკარგული მებავი ქალისა და სუტენიორის საუბარს.

ყინულის გასაღებები თანდათან დნება, მაგრამ ჰანსს დასაკარგავი აღარაფერი აქვს და ამიტომ ცდილობს ყველა მოსინჭოს. გამწარებული ურეკავს კათოლიკური „წრის“ თითქმის ყველა წევრს, სურს სიტყვიერად მაინც გაუსწოროს ანგარიში მათ და გაიგოს, სად არის მარი.

„განათლებული კათოლიკები“ გაუჩინდნ ჰანსთან საუბარს, მაგრამ თუ მაინც უკავშირდებათ მასთან ლაპარაკი, ურჩევდებოდნ ეგულს ცხოვრებას, დაემორჩილოს ბედს. ჰანსს ყველაზე მეტად სწორედ ამგვარი რჩევა აღიზიანებს, რადგან ადამიანი ბუნებით უნდა იყოს შეზღუდული, ყოველგვარი ხელოვნური შეზღუდვა სხვა არაფერია, თუ არა სიყალბე, პოზა და ფარისევლობა. „განათლებულ კათოლიკებს“ შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, „წრის“ სულიერი მამი, ერუდინობული რენეგატი და ესთეტი, პატივმოყვარე, მჭევრმეტყველი ზომერვილდი. იგი სხვებზე უფრო თვალთმაჯიც და კვიანია და ამიტომ თვითონ ურეკავს ჰანსს. ესაუბრება სათხო კაცის თავმდაბლობით, ხუმრობს, დახმარებასაც კი სთავაზობს, რადგან დაჩრუნებულია, რომ ჰანსი გათავებული კაცია და ახლა მისი უფსკრულში გადაგდება მათ ვნებას უფრო მოუტანს, ვიდრე სარგებლობას. მთელი საუბრის მანძილზე ქადაგების მოყვარულ სულიერ მამას ერთხელაც არ აუმაღლება ხმა, მაგრამ ორჯერ მაინც მწარედ დაგესლა ისედაც განადგურებული აღმიანი. ერთხელ, როცა მარის როში გამგზავრება აცნობა, ხოლო მეორედ მაშინ, როცა მიხვდა, რომ ჰანსი მონოგამია. თავად კათოლიკებს ასეთი რამ არ ემართებათ. ისინი აქეთ-იქით ისერიან დოგმებისაგან გამოჩინებილ პრინციპებს, მაგრამ როცა თვითონ სცოდავენ, ამას „ადამიანური სისუსტით“ ხსნიან.

ჰანსი კარგად იცნობს ზომერვილდს და ყველაზე მეტადაც იგი სტულს, მაგრამ ამ სიძულვილს კიდევ უფრო ამძაფრებს ზომერვილდის ესთეტობა. ესთეტების ანუ დეკადენტების შინაგანი სივიწროვე, ეგოიზმი, ყალბი პათოსი და პიროვნული სიმხდალე მან ჯერ კიდევ ბავშვობაში იგრძნო. მათ ოჯახში ყოველთვის ცხოვრობდა რამდენიმე დეკადენტი მწერალი და პოეტი, რომელთაც დედამისი თავს ევლებოდა და გულუხვად უმასპინძლდებოდა. ფაშისტები მაინცდამანც დიდ ანგარიშს არ უწევ-

დნენ მათ. ფრანგული ღვინოების ჭაშნიკისა და ფერთა ნახევარტონების მცოლენ მწერლები თვითონ ელაქეცებოდნენ ფშისტებს. ასეთი მწერლებისათვის შემოქმედება, ხელოვანის მოწოდება და ცხოვრება ერთმანეთისაგან განცალკევებული იყო. ქალბატონ შინის სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა ესთეტმა ურჩია ჰერიეტას ოში გაგზავნა. ახლა კი იგი საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს და თავი ფაშისტების ძროს დევნილ კაცად მოაქვს, რადგან ნაცისტებმა ერთ-ერთი წიგნი არ დაუბეჭდეს. „ასეთ პირობონე ადამიანს ტყუილის თქმა არც ჭირდება, იგი ყოველთვის იპოვის ცხოვრებაში თბილ აღილს“, — შენიშვნავს ჰანსი გესლიანად. მას არ სწამს ესთეტიზმი, რომელიც ადამიანს პასუხისმგებლობისა და ზნეობრივი მოვალეობისაგან ანთავისუფლებს.

ინტელიგენტ კათოლიკებთან საუბრის შემდეგ ჰანსი ორმხრივ გულისრევას გრძნობს: ფიზიკურს, იმიტომ რომ დილიდან პირში კონიაკის მეტი არაფერი ჩაუშვია და სულიერს იმის გამო, რომ მარი ციუპფნერთან ერთად გაემგზავრა რომში. მისი წარმოდგენა ნათლად ხატავს მათი მომავალი ცხოვრების სურათებს. კომფორტაბელური კერძო სახლი, თანაბრად შეკრეპილი გაზონები, გარაჟი, გამტვრიანებული „მერსედესი“, ტელევიზორის მკეთრი შუქი, მეზობლის ეზოში გადავარდნილი ბურთი, ერთი სიტყვით, ბურუუაზიული კეთილდღობა, ბურუუაზიული კეთილმეზობლობა და კერძო საკუთრების ხელუხლებლობა. მუდამ მოხდენილად ჩაცმული ციუპფნერი ყოველ დილით ცივ შხაპს იღებს და „ისე გულმოღინედ იხეხავს კბილებს, თითქოს რეკორდი უნდა დაამყაროს“. კბილების ხეხვაში მას არც მარი ჩამორჩება, მაგრამ ახლა იგი სახელმწიფო მოხელის მორჩილი ცოლი და პატივცემული ოჯახის დიასახლისია. ამ ოჯახის წევრები მხოლოდ მაშინ იმაღლებენ ხმას, როცა მათ გაერიალებულ მანქანას ბავშვი კენჭებს ესვრის ან მეზობელი ახალგარეცხილ თეთრეულს შემთხვევით

დასვრის, ხოლო სიცრუეს, ღალატსა და ავკაციობს უხმოდ უვლიან გვერდს.

შიმშილით გორწვევული ჭრულებულა რომ დაიწყნაროს, ჰანსი სამზარეულოში საჭმელს იმზადებს, მაგრამ ამ ძროს მამა ეს ტუმრება. შთამომავლობით მილიონერი, უნაკლოდ ჩაცმული, გაარისტორატებული ბიურგერის ესთეტურ გრძნობას შეურაცხყოფს შვილის გრძელი ხალათი, ყვავაგადასხმული ფეხსაცმელი, სველი წინდები. იგი შვილს ჯენტლმენური თავაზიანობით სთხოეს — ტანსაცმელი გამოიცვალეთ. მას ეგონა, შვილის ბინაში მოდერნისტულ სურათებს, „ბოპემურ“ სტილს აღმოაჩენდა, მაგრამ ჩვეულებრივი, უგემოვნოდ შეჩერებული ნივთების მეტი ვერაფერი დაინახა. ამის გამო ჰანსი კიდევ უფრო დაეცამის თვალში. ბინის მოწყობილობა არ შეეფერებოდა ტრადიციულ წარმოდგენას ხელოვანის ცხოვრებაზე. უფროსი შინირი ცხოვრებას კომერციული თვალსაზრისით უყურებს და საქონლის ხარისხს მისი ღირებულების მიხედვით აფასებს. მას სჭირდება საუკეთესო ექიმი, საუკეთესო მედრავი, საუკეთესო შამპანური და ახლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საუკეთესო თეატრალური კრიტიკოსის ფასი. ჰენეპოლმი უაღრესად ერუდინებული, გონგბამახვილი, კულტურას ნაზიარები კაცია, მაგრამ იგი მხოლოდ სპეციალისტია და ხელოვანის არაფერი სკეითა. ხოლო ჰანსის აზრით, სპეციალისტი ისე ესმის ხელოვანის, როგორც მოსამართლეს ბრალდებულისა. გარდა ამისა ჰანსს არ სჯერა სქესობრივად და ზნეობრივად მანკიერი ადამიანებისა. ჰენეპოლმი კი პომოსეჭსუალისტი და ფილისტერია.

ჰანსი ყოველთვის გაურბის ხელოვნებაზე ლაპარაკს იმ ადამიანებთან, რომელთაც ხელოვნების არაფერი ესმით. მამას რომ დაუმტკიცოს, თუ რამდენად

მომწიფებულია როგორც ხელოვანი, მის წინ უცრად დაბრმავებული ადამიანის როლს გაითამაშებს, და იმდენად დამაჯერებლად, რომ მამამისი ფიტჩდება, ხელი უკანქალებს და ეჭვი არ ეპარება, რომ შეიღილი მძრთლაც დაბრმავდა. მაგრამ ამის გამო იგი აზრს არ იცვლის. მას მხოლოდ სახელმოხვეჭილი ავტორიტეტებისა და საზოგადოებრივი აზრისა სჭრა, რაღაც ყოველი ახალი და უცნაური მოვლენა მისგან დაფიქტებასა და დაკანონებულ ნორმებზე უარის თქმას მოითხოვს. მამამისი ისევე, როგორც ბევრი ხელოვნებათმცოდნე, ვან-გოგის სურათში ნახევარ კოლოფ თამბაქოსაც არ მისცემდა.

ჰანის უარს ამბობს სწავლის გასაგრძელებლად პარიზსა ან ბრიუსელში გამგზავრებაზე. მას მხოლოდ დასვენება და დროებითი ფინანსიური დაბმარება სჭირდება, სულ რაღაც ათასი მარკა თვეში, მაგრამ მამამისი ამ წინადადებამ ისე შეაშინა, რომ ტუჩები აუკანკალდა. მილიონერს, რომელმაც საყვარელს სახლი უყიდა და წლების მანძილზე ინახავს, შეილისათვის თვეში ათასი მარკაც კი არ ემეტება. მაგრამ ამის მიზეზი მარტო სიძუნწე როდია. ჰანის რომ დაეთმო, შერიგებოდა არსებულ სინამდვილეს, ამერიკასა ან საფრანგეთში გამგზავრებულიყო, მაშინ მამამისი მეტ ხელგაშლოლობას გამოიჩნდა, მაგრამ მისი გულგრილი დამოკიდებულება ფულისადმი, ოკაზური ტრადიციებისადმი, საზოგადოებრივი აზრისადმი ძირს უთხრის მამის კეთილდღეობას. ჰანისმა და მარიმ ჯვარდაუწერლად დაიწყეს ცხოვრება და ამის გამო მამამ მარტ უარი უთხრა დაბმარებაზე. ამავე დროს თვითონ კანონიერი ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, მაგრამ როცა შეიღილს წერილს სწერს და საქციელს უწუნებს, საბუთად სწორედ მორალური მოსაზრებები მოჰყავს.

მააბ ისე გამოეთხოვა ფიზიკურად და სულიერად ტრავმირებულ, ერთი მარკის ამარა დარჩენილ შეიღილს, რომ ჯიბისაკენ ხელი არც წაუღია.

მარტო დარჩენილი ჰანის ურეკავს მა-

მის საყვარელს, ძმას, მეგობარ ჭალა მონია სილვის, ყველას სთხოვს და მომიტებას და თანაგრძნობას, მაგრამ შემსიმაგრებული საგამოდ ცბიერი აღმოჩნდა, ძმა სასულიერო სასწავლებლის კედლებში ვამოკეტილი, მონია სილვის კი სტუმრები ჰყავს და ჰანის ხედება, რომ ერთ-ერთი მათგანი ზომერვილდია. დროებით ხელმოცარულ ხელოვანს სწორედ მიძებ მატერიალური და სულიერი კრიზისის დროს განუდგა ყველა.

უმარულით სახეშეღებილ კლოუნს დარჩა მხოლოდ ერთი გასაღები და მცირე იმედი. მარი ჭერ კიდევ არ უნახავს, მარი რომშია და მალე დაბრუნდება. უმარულის სქელი ფენა ალაგ-ალაგ დასკადა და დაიბზარა, თმა ნამდვილ პარიჟს ჰგავს. ერთხელ მარის არ მოეწონა ჰანის სურვილი გიტარაზე დაკვრა და სიმღერა ესწავლა, მაგრამ ჰანის სურს სწორედ გიტარითა და სიმღერით შეეგებოს მარის. ბონის სადგურის კიბეგებზე ჩამოჯდება, ქუდს წინ დაიდებს, გიტარის სიმებს ჩამოპერავს, იმღერებს და იმათხოვრებს მანამდე, სანამ მარი არ დაბრუნდება. და თუ საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებული მარი ქმარს მიატოვებს და მისენ გამოიქცევა, მაშინ იგი ცოცხალია, ხოლო თუ გულგრილად ჩაუვლის გვერდით — ისრა დარჩენია, რომ საკუთარი თავი დაიტრიროს.

ასე ჰარაგზაზე ტოვებს ჰაინრიჰ ბიოლი თავის გმირს. ჰანის უბედურების მიზეზი მარტო მარის დალატი არ არის. მარი რომ დაბრუნდეს კიდეც, იგი მაინც გზის პირს, თხრილში დალევს სულს. ჰაინრიჰ ბიოლის გმირების უიმედობისა და უპერსაქტიონის ძირითადი მიზეზი მათი ინდივიდუალიზმია. ერთადერთ ნუგეშად შეიძლება მორალური გამარჯვება მივიჩნიოთ, მაგრამ ფილისტერები მემბონე ინდივიდის მორალურ გამარჯვებასაც თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ.

სანამ ჰაინრიჰ ბიოლის მრწამსს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა თვით ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებაზე უნ-

და ითქვას. ეს პატარა წიგნი ლოგიკური თანამიმდევრობის, უფაქიზესი სულიერი ძერების, ფსიქოლოგიური ანალიზისა და შეუფერადებელი რეალიზმის კარგი ნიმუშია. ყოველწუთიერად მზარდი დინამიკა ამ ძირითადი ელემენტების მეშვეობით საპროექციო აპარატივით აშუქებს. ცხოვრებას და უზარმაზარ ეკრანზე ნათლად მოსჩანს ნიჭიერი ხელოვანის სულიერი ტრაგედია. წიგნის მოცულობას, რა თქმა უნდა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ნაწარმოების პერსონაჟთა სრულყოფისათვის, მით უმეტეს, როცა მათ ისეთი ნიჭიერი მხატვარი ასხამს ხორცის, როგორიც ჰაინრიჩ ბიოლია, მაგრამ მიუხედავად საღებავების სიუხვისა, მარის ხასიათი მაინც არაა ბოლომდე გახსნილი და სქემატურ შთაბეჭდილებას ტოვებს. უფრო რელიეფური და სიცოცხლისუნარიანია მეორე ქალის, მონიკა სილვის სახე. ჰაინრიჩ ბიოლი უაღრესად მორიდებულია ემოციური განცდების გამეღამებებისას. მისი გმირები პროზაზმებით, ლაქონური ფრაზებით, საყოფაცხოვრებო წვრილმანებზე ყურადღების გამახვილებით ცდილობენ სენტიმენტალური განწყობილებები ჩაახშონ. სიტყვის ძუნწად გამოყენება ეფექტური ხერხია და დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენს, მაგრამ ზოგჯერ ბიოლი უკიდურესობამდე მიღის და ზოგიერთ დიალოგს ხელოვნურობის დაღი აზის.

მართალია, ჰაინრიჩ ბიოლი თავგამო-

დებით ებრძევის თანამემამულების სულიერ გახტებილებას, უზნეობას და საბრძეს, მაგრამ იგი მაინც ბურუუაზიული სამყაროს შეილია და ამიტომ ვერ ხედავს განსხვავებას ბურუუაზიულ მორალსა და საერთოდ მორალს შორის. მორწმუნე მწერალი რელიგიის პოზიციებიდანევ ებრძევის კლერიკალურ კათოლიკიზმს. მისი აზრით, ცხოვრების გასაუმჯობესებლად, უპირველეს ყოვლისა, აღამიანის გაუმჯობესებაა საჭირო, ხოლო სოციალურ გარღვევების მეორეხარისხოვან როლს ანიჭებს. ჰაინრიჩ ბიოლი შეიძლება ბევრ სხვა საკითხსაც უდგებოდეს ინდივიდუალისტური პოზიციებიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც პროგრესული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ბიოლი არ სწამს ნიჭი, თუ მას კაცობრიობისათვის ზიანი და ტკივილი მოაქვს. არ სცნობს ანტიპუმანისტების ნიჭსა და სიდიდიდეს. ჰუმანიზმი მისთვის განცენებული ცნება, თეორიული მსჯელობის საგანი კი არ არის, არამედ მართლაც არსებობს და ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, ხელოვნებასაც, მორალურ ეთიკურ პრინციპებსაც და სოციალურ პოლიტიკურ პრობლემებსაც. ჰაინრიჩ ბიოლი თავმდაბალი, გულწრფელი, კაცომოყვარე მწერალია და მწერლის ნიჭის გარდა დიდი აღამიანური ღირსებებიც გააჩნია.





# ალექსანდრე



კოშე მახარაძე

## პირველი რეკორტაზი უმიგროფონოდ

როდესაც საფრანგეთის ნაკრები ბოლო მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებოდა, ფრანგი კომენტატორები ერთხმად გამოთქვამდნენ გულისტყივილს იმის გამო, რომ ნაკრებში აღარ იყო ერთი ან ორი ისეთი ვარსკვლავი, რომელთა გარშემო შეიძლებოდა დანარჩენების შემოკრება. ისინი სამართლიანად მისტიროდნენ ფრანგული ფეხბურთის „ოქროს ხანას“, როდესაც მოედანზე კოპა-ფონტენის სახელმომვერცილი ტანდემი იბრძოდა. მართალია, მაშინ არც სხვები თამაშობდნენ ცუდად, გუნდში იყვნენ სხვა გამოჩენილი ფეხბურთელებიც, მაგალითად, უონკე და პიანტონა, მაგრამ მთელი გუნდის თამაშის მანერას, მის სტილს სწორედ კოპა და ფონტენი განაპირობებდნენ.

გადაჭიმული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ ასეთსავე ამოცანას ასრულებდა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში პატაძე — ჯეფელავას დიდებული წყვილი. არავინ ითვიქროს, თითქოს დინამოელთა შორის არ იყვნენ სხვა ნიჭიერი სპორტსმენები. საკარისი იქნებოდა მარტო მიხეილ ბერძენიშვილისა და ვიქ-

ტორ პანიუკოვის, ან ბრწყინვალე ალექსანდრე ლოროხოვის დასახელება, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ სწორედ ბორის პატაძემ და გაიოზ ჯეფელავაშ ჩაუყარეს საფუძველი ქართული ფეხბურთის კომბინაციურ სტილს, მის მოაერიშე, შემტევ ბუნებას. ისინი იყვნენ მოედანზე აღგილების შეცვლის პიონერები საბჭოთა ფეხბურთში. ბორის პატაძეზე საუბარი არც კი ვიცი საიდან დავიწყო, რომელი ეპიზოდი მოგითხოვთ, მის მიერ გატანილ რომელ ბურთზე გესაუბროთ, რომელ შეხვედრას მივანიჭოთ პატაძის საუკეთესო მატჩის სახელი?

იქნებ ის დაუვიწყარი გოლი გავიხსენოთ, ბ. პატაძემ მოსკოვის „სპარტაკის“ შესანიშნავ მექარეს ა. ლეონტიევს რომ გაუტანა შეხვედრის მიწურულში (მარცხენა ფრთიდან, ზუსტად კარის ხაზიდან), იმ წერტილიდან, საიდანაც პრაქტიკულად კარის აღება თითქოს შეუძლებელია.

გინახავთ ან წაგიკითხავთ სადმე, რომ აღტაცებული, ყურებამდე ტუჩებგაპოზილი მექარე საჭარიმო მოედანზე დარ-

ბოდეს და ხმამაღლა ყვიროდეს: — გეყოფა, ბორია, ნამუსიც კარგი საქონელია!

ასე მოიქცა სტალინგრადის „ტრაქტორის“ მეკარე ვ. ერმასოვი, როცა ბ. პარძებე მეოთხე ბურთი გაიტანა მის კარში და ყოველ მორიგ შეტევას ისეთი ოსტატობით, ისე სწრაფად და ლამაზად აწარმოებდა, რომ მოწინააღმდეგის მეკარეს სხვა აღარაფერი დარჩენდა, დაუფარავად და ხმამაღლა ეთხოვა მისთვის, მიეღო მოწყალება და მეტი ბურთი აღარ გაეტანა.

ან ვინ დაგვავიშუებს 1939 წლის 18 ნოემბერს! გაიხსენეთ მოსკოვის „ცდეა“-სა და თბილისის „დინამოს“ ლეგნდად ქვეული მატჩი. გრ. ფედოროვი და ბ. პარძებე! მათი პირადი მეურვეობა ეკისრებოლათ ივანე კოჩეტკოვს და ბორის ფროლოვს, სწორედ იმ ორ ცენტრალურ მცველს, ვისთანაც თამაში სპორტული კარიერის დასასრულამდე „ეზიზ-ლებოდათ“ ერთსაც და მეორესაც.

მაყურებელი იმასაც ნატრობდა, რომ მსახურივე კარში დაენიშნა თერთმეტ-მეტრიანი საჭარიმო დარტყმა, რადგან ამ გუნდების შემადგენლობაში თამაშობდნენ „პენალტის მეცენები“: მიხეილ ბერძენიშვილი და ს. კაპელკინი. გულ-შემატეკივრებს აუსრულდათ ნატვრა. იმ დროს „პენალტისტთა“ უმრავლესობა თუ ჯგუფად იყოფოდა. ერთნი — გ. გლაზუროვი, ს. კაპელკინი და სხვები — თვლიდნენ, რომ თერთმეტმეტრიანი საჭარიმოს დროს სრულიად ზედმეტია უსარებლო „ტვინის ჟულეტა“ და ყოველგვარი ტექნიკური დარტყმის შესრულება. საკმარისია ძლიერად დარტყმული ბურთი არ ასცდეს კარს და მექარეს. პრაქტიკულად, არ ძალუქს მისი მოერიება. ამიტომ ბურთს ისინი ურტყამდნენ მთელი ძალით. მ. ბერძენიშვილისათვის კი თერთმეტმეტრიანი იყო ისეთი ვე ფინტი, როგორსაც თამაშის დროს უხვად იყენებდნენ ბ. პარძებე, გ. ჭველავა, თვითონ მ. ბერძენიშვილი და სხვები.

ამ დღეს კი, იმ მატჩში ორივემ და-

არტყა პენალტი. დაარტყეს ისე, // როგორც სწამდათ, როგორც ესმოდათ, როგორც ემარჯვებოლდათ. ბრწყინვალურებულების მქონე მექარე ა. დოროხოვი არც კი შერხეულა, როდესაც ვ. კაპელკინის მიერ უყმბარისებური ძალით გაგზავნილი ბურთი შეუილით გაეხვია ბადეში. ეს იყო პენალტის ამგვარად დარტყმის მომხრეთა სრული ზეიმი. უფრო მეტს რაოდას ინატრებდნენ? ა. დოროხოვმაც კი ვერ მოასწრო თითოს განძრევა. სხვა კი დევ რაღაა საჭირო? ეს მოხდა შეხვედრის პირველ ნახევარში, როცა ანგარიში არმიელებს მიჰყავდათ — 2 : 1. თბილისელთა კარში გატანილმა თერთმეტმეტრიანმა თამაშში სრული გარდატეხა შეიტანა და ინიციატივა დიდი ხნით ჩაიგდეს ხელში არმიელმა ფეხბურთელებმა. ხელო თბილისელები, თითქოს ვ. კაპელკინის „შუტისაგან“ ნოკვაუნში აღმოჩნდნენ, მთელი პირველი ტამის მანძილზე უაზროდ დალასლასებდნენ მოედნებ.

მსახმა შესვენების ნიშანი მისცა, პირველი ტამის ანგარიში 4 : 1 იყო მოსკოველთა სასარგებლოდ.

რაღაც გაურკვეველი ტრანსი დაუფლებოდა არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ მაყურებელსაც. შესვენების დროს სტადიონი სპორტული ასპარეზობის სანახავად მოსული, ხმაურიანი, შხიარული მაყურებლით საესე საჩიდელს კი არ ჰგავდა, არამედ უჩვეულო, ძალზე ხალხმრავალ მასობრივ პანზვიდს უფრო მოგაგონებდათ.

რა იყო მიზეზი თბილისელთა ასეთი მოდუნებისა? რა მოხდა? მე ვერ გავიხსენებ შემთხვევას, რომ დინამოელებს ამდენი ბურთი მიეღოთ მხოლოდ ერთ ტამიში. გუნდი ძალზე ლელავდა — მატჩი ფაქტიურად შეორე ადგილის ბერს წყვეტდა. მართალია, თბილისელებს ვიცე ჩემპიონის საპატიო სახელის მოსაპოვებლად, ამ მატჩის გარდა, კიდევ ორი, დარჩენილი შეხვედრაც უნდა მოეგოთ, მაგრამ ჩემპიონატის აუტსაიდერებთან (ლენინგრადისა და ოდესის „დინამოს“ გუნდებთან) გამარჯვება, ისიც საკუთარ

მოედანზე, ეპეს არ იწვევდა: „შემდეგ ასეც მოხდა. თბილისელებმა ანგარიშით 4 : 1 და 1 : 0, დაამარცხეს ლენინგრადელი და ოდესელი თანაკლუბელები. ამრიგად, უველაფერს წყვეტდა მატჩი ცდება-სთან. ამავე გუნდების პირველი წრის შეხვედრა თბილისში, დანამოელთა გამარჯვებით დამთავრდა, ანგარიშით 2 : 1 (ორივე ბურთი ბ. პაიჭაძემ გაიტანა). მოსკოველებს რევანში სწყუროდათ და, ამრიგად, ცხარე შრძოლა იყო მოსალოდნელი.

მეორე წრის შეხვედრა წესით მოსკოვში უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ წელს, ნოემბერში, მოსკოვში ყინვები დაიწირა, ტემპერატურა 20 გრადუსამდე მიაღწია. ფედერაციამ თავდაპირველად დაადგინა მატჩი ბათუმში გადაეტანა და მხოლოდ შეხვედრამდე სამიოთხი დღით ადრე, ორივე გუნდის შეთანხმების საფუძველზე, მატჩის ჩატარება თბილისში გადაწყვიტეს.

სხვათა შორის, 1938 წელს პირველად გამოქვეყნდა „55 საუკეთესო“ ფეხბურთელის სია. იგი, ჩეგნში, ახლა მიღებულ „33 საუკეთესოს“ შეესატყვისება, იმ განსხვავებით, რომ ყოველ ადგილზე ფედერაცია სამის ნაცელად ხუთ ფეხბურთელს ასახელებდა. პოდა, ამ სიაში მარცხენა გარემარბის ადგილზე, პირველ ნომრად, სახელმოქაებეჭილ სერგეი ილინზე წინ დასახელებული იყო გ. ფედოროვი. ახალგაზრდა ფეხბურთელის ასეთი სწრაფი და მოულოდნელი აღიარება იმ ხანად უპრეცედენტო ფაქტი იყო.

1939 წლიდან კი გ. ფედოროვმა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილი დაიკავა და თავისი სპორტული კარიერის დასასრულამდე წინ მიუძღვდა არმიელთა უბრწყინვალეს თავდასხმას. ამრიგად, შეიქმნა ცენტრალურ თავდამსხმელთა „დიდი სამეული“ — გ. ფედოროვი (ცდება). ბ. პაიჭაძე (თბილისის „დინამო“) და ა. პონომარიოვი (სტალინგრადის „ტრაქტორი“, შემდეგ — მოსკოვის „ტორპედო“).

როდესაც ჩეგნი ქვეყნის ახლანდელი ნაკრების მწვრთნელების „ტანკვა-წამე-

ბას“ უყურებ და ხედავ, დიოგენის სანთლით ხელში, კარდაკარ მავალი, როგორ ეძებენ თუნდაც ერთ ჭრულებული ტრალურ თავდამსხმელს, უნებლიერთ გახსნდება ეს „დიდი სამეული“ და ფიქრობ: მაშინ რომ საბჭოთა კავშირის ნაკრები შეედგინათ და ჩეგნს ფეხბურთს ისეთივე ფართო ასპარეზი ჰქონოდა, როგორც ახლა, რა დღეში ჩავარდებოდნენ ნაკრების ხელმძღვანელები, — ვინ უნდა აერჩიათ ამ სამი ბრწყინვალე ფეხბურთელიდან? მათ უკან კი ს. სოლოვიოვი, ა. ალოვი, ვ. სემიონოვი და კადევ რამდენი ჩინებული ცენტრალური თავდამსხმელი იდგა.

გ. ფედოროვი კი ამ დიდებული პლადის ოფიციალურად აღიარებული ლიდერი იყო. მე პირადად (ჩემი მოსახრება სუბიექტურია) ბ. პაიჭაძის თამაშის მანერა ყოველთვის უფრო მოწონდა, ვიდრე გ. ფედოროვისა. არც მას სოვეს ცდება-სა და თბილისის „დინამოს“ რომელიმე შეხვედრა, სადაც გ. ფედოროვს ბ. პაიჭაძეზე უკეთ ეთამაშოს. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩემს აზრს ძალზე ბევრი იმდროინდელი გულშემატკიცარი გაიზიარებს. მაგრამ აქ ლაპარაკია იფიციალურ აღიარებაზე და არა სუბიექტურ შეხედულებაზე. თუმცა ყოველგვარი აღიარება, აღბათ, თავდაპირველად სუბიექტური შეხედულების საფუძველზე ყალიბდება. ამ „დიდი სამეულის“ თითოეული წარმომადგენელი საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა. ისინი ჩეგნი ფეხბურთის „გრანდები“ იყვნენ. მაგრამ გ. ფედოროვს თუმცა ოდნავ, მაგრამ მაინც კაველაზე წინ აყენებდნენ. ამის უპირველესი მიზეზი, ცხარია, თვით გ. ფედოროვის უბადლო თსტატობა და თავდასხმის ლიდერისათვის სპირო ბრწყინვალე მონაცემები გახლდათ. იგი კომბინაციური სტილის შემტევი ცენტრალურვარდი იყო. იმავე 1939 წლელს მან 21 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში და საუკეთესო ბომბარდირის სახელი ჩამოართვა წინა სეზონში გამარჯვებულ ალ. პონომარიოვს (19 ბურთი). მეორე ადგილზე კი ბორის პა-

ჭადე გამოვიდა, იგი 2 ბურთით ჩამორჩა გ. ფედოტოვს და, თავის მხრივ, ერთი ბურთით გაუსწრო ს. კაპელკინსა და სპარტაკელ ვ. სემიონოვს. აი, ძირითადად ამ ფეხბურთოლთა შორის ნაწილდებოდა იმ შულგბში, როვორც საუკეთესო ბომბარდირის, აგრეთვე უძლიერესი თავდამსხმელის საპატიო წოდებები.

მაგონდება 1946 წელი. თბილისის დინამოელები, საკუთარ მოედანზე შეხვდნენ იუგოსლავის მაშინდელ ჩემპიონს, ბელგრადის პოდულარულ კლუბ „პარტიზან“. ისინი თბილისში ჩამოსვლამდე, მოსკოვში უკვე შეხვდნენ „დინამოს“, „დედა-სა“ და „ტორპედოს“. თამაშის შემდეგ, ფეხბურთის რამდენიმე გულშემატებას ვესაუბრეთ, იუგოსლაველთა ცენტრალურ მცველს და კაპიტანს იმ შეხვედრაში ჯურჯევიჩს. „იმ შეხვედრაში“-მეთქი იმიტომ ვწერ, რომ „პარტიზანს“ ერთი ძალზე თავისებური ტრადიცია ჰქონდა. მუდმივი კაპიტანი გუნდს არ ჰყავდა. კაპიტანს ლია ქენეის-ყრით ირჩევდნენ ყოველი თამაშის წინ. თბილისში გუნდმა ჯურჯევიჩი იარჩია.

— თქვენ შესაძლებლობა გქონდათ, — შევეკითხეთ იუგოსლაველთა ცენტრალურ მცველს, — საბჭოთა კავშირის ოთხი უძლიერესი ცენტრალური თავდამსხმელის წინააღმდეგ გთავაშათ — ფედოტოვი, პონომარიოვი, სერგეი სოლოვიოვი და დღეს პატაძე. ვის წინააღმდეგ უფრო გაგიძნელდათ თამაში, ვინ უფრო მოგეწონათ?

— ძნელი სათქმელია, თუმცა...

— ალბათ ფედოტოვი? — ჩაურთო ვიღაც სულსწრაფმა.

— ა, არა. ფედოტოვი ცოტას თამაშობს, ცოტას მოძრაობს. დღეს კი ბევრს ვეცადე, მაგრამ მაინც ვერ გავაჩერეთ ქვეენი დაუდგრომელი პატაძე და აკი პენალტიც ავიკიდე...

მეტი ჩვენ არაფერი გვაინტერესებდა, ალბათ არც კომენტარია საჭირო.

იმ დღეს კი ჩემპიონატის ორივე საუკეთესო „გოლეადორი“ — ასე უწოდებენ ლათინურ ქვეყნებში „ბომბარდირებს“ — თვითონ გაუძლვა თავის კო-

ლექტივებს მოედანზე. აქვე მდიდრულებიშნო, რომ გ. ფედოტოვის „ნატორობა“ კაპიტანის ადგილზე სწორედ აჭარელი იყო, ამ მატჩში მოხდა. გუნდის მაშინდელი კაპიტანი ლიასკოვსკი ივად გახდა და მის ნაცვლად გ. ფედოტოვი გამოვიდა მოედანზე კაპიტანის სახელშრით. ამის შემდეგ იგი ცდეა-ს უცვლელი კაპიტანი იყო. გუნდები მოედნის ცენტრში გავწერივდნენ.

ცდეა: მეკარე — ლეონოვი; დაცვა — შლიჩკოვი, კოჩეტკოვი, პინაიჩევი; ნახევარდაცვა — ვინოგრადოვი, მიხაილოვი; თავდასხმა — გრინინი, შეჩრბატენკო, ფედოტოვი, კაპელკინი, ორეხოვი;

„დინამო“: მეკარე — ლორობოვი; დაცვა — კინძევი, ფროლოვი, შავგულიძე (მინჯია); ნახევარდაცვა — გაგუა, ბერძენიშვილი; თავდასხმა — ჯველავა, გორგიკა, პაიჭაძე, ვ. ბერეენოვა, ხარბედია.

მსაჭი — ონიშენკო (ხარკოვი).

დაიწყო თუ არა შეხვედრა, მოსკოველთა მარჯვენა შუამარბმა ვ. შეჩრბატენკომ კუთხურიდან ჩამოშოდებული ბურთი, მოულოდნელი და ძლიერი თავური დარტყმით მარჯვენა მაღალ კუთხში გაგზავნა და ანგარიში გახსნა. პირველი თაობის ფეხბურთოლთა მატჩების მომსწრენი ახლა, იმ დღეებიდან დიდი ხნის გავლის შემდეგ, ხშირად იტუვიან ხოლმე:

— აბა, წინათ გაგეტანათ პირველი ბურთი თბილისელთა კარში და ნახავდით, რა ქარიშხალს მოიმკიდით?!

ან კიდევ:

— თბილისელები უკეთ თამაშობდნენ მიღებული ბურთის შემდეგ!

უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირადად არ მახსოვს შემთხვევა, რომ თბილისელებზე ცუდად არ ემოქმედოს საკუთარ კარში მიღებულ ბურთს. დინამოელთა ყველა თაობის ფეხბურთოლები მტკიცნეულად, ავადმყოფურად განიცდიდნენ პირველ გოლს საკუთარ კარში. თბილისის „დინამო“ ყოველთვის იყო (მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს) და ახლაც არის განწყობის გუნდი. ეს, ჩვენი კოლექტივის არც ლირსებაა და არც ნაკ-

ლი, ეს მისი თვისებაა და, — გვინდა თუ არ გვინდა, — ამას ანგარიში უნდა გავუ-შიოთ. არ შეიძლება ყოველგვარი, თუნ-დაც უმნიშვნელო წყენა, დაუსრულებ-ლად სასოწარკვეთილებას გვვრიდეს. აღმაფრენაც განწყობაა და ისიც ძალზე ხშირად დაუფლებია დინამოელებს, ისე ხშირად, როგორც ჩვენი ქვეყნის არც ერთ სხვა გუნდს. თუ ჩვენ წარუმატებ-ლობის შემთხვევაში ხშირად ვაკრიტი-კებო ჩვენს ფეხბურთელებს და ამას ხშირად ცუდ განწყობას, მიღებული ბურთის შემდევ ფარ-ხმალის დაყრას მივაწერთ, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ბევრი ბრწყინვალე და მოულოდნელი გა-მარჯვება ქართველმა ფეხბურთელებმა სწორედ აღმაფრენის, ძალთა უჩვეულო მოზღვების წყალობით მოიპოვეს. ამ მისაზრების საუკეთესო დადასტურებაა სწორედ ის მატჩი, რომელზედაც ახლა გვაქვს საუბარი. 4 : 1 — აგებდნენ დინა-მოელები შეხევდრის პირველ ნახევარში და მაინც... თუმცა შიგვეთ თანმიმდევ-რულად.

1 : 0 ცდკა-ს სასარგებლოდ ეს იმდე-ნად სწრაფად და ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ერთი შეხედვითაც ადვილად შეიმჩნეოდა, თუ როგორ დაეცა დინა-მოელთა ტონუსი, როგორ სწრაფად შე-ეცვალათ ფეხბურთელებს გუნდება და... ბ. პაიჭაძემ შორიდან დაუქნია ხელი ა. დოროხოვეს — ბურთი ბადიდან სწრა-ფად გამოიტანეო. თვითონ დაავლო ტე-ლი მექარის მიერ უხალისოდ გამოგო-რებულ ბურთს და ცენტრში დადო. მთელ გუნდს იმედიანი თვალებით გადა-ხედა, ბურთი მ. ბერძენიშვილს მიუგო-რა, მისგან სწრაფად მიიღო გადაცემა და... ამჟამადაც დინამოელთა მოტორი. არმიელთა დაცვა და მექანი ა. ლეონო-ვი, — აღბათ ყველაზე ტანკორჩილი მე-კარე, რომელიც კი ოდესმე მინახავს, — სრული დატვირთვითა და უშეცდომოდ მოქმედებდნენ. წინ დაცვის მძღვარი კე-დელი აღმიართა. ერთ-ერთი შეტევის დროს, როდესაც მოედნის შუაგულში, კარისა და ცენტრალური ხაზების გას-წვრივ ბურთით მოძრაობდა, ხოლო მოს-

კოველთა მცველები საჯარიმო შორის-თან განლაგდნენ და იქ უმზაფე მონაცემ „დაზეულ“. დახვედრას, თბილის შემონაბეჭდისა ფორვარდმა შორიდან, მარცხენა ფეხია მოულოდნელად, შემობრუნებით და-არტყა და ბურთი „ცხრიანში“ მოათავსა.

თუმცა, თავისთვავად, გოლი ძალზე ლამაზი იყო, მაგრამ მან მაინც ვერ შეი-ტანა თამაშში მონალოდნელი და სასურ-ველი გარდატეხა. უპირატესობა კვლა-ვინდებურად არმიელებს ჰქონდათ.

გ. ფროლოვის მიერ „ჩაკეტილ“ გ. ფე-ლოტოვის ნაცვლად, ისეთი ძალით ამოქ-მედდა ინსაიდებისა და ხავბეჭების ოთ-ხეული, — მიხაილოვის, ვინოგრადოვის, კაპელკინისა და შეერბატენკოს შემაო-გენლობით, — რომ მოედნის შუაგული და თბილისელთა კარის მისაღვიმები საიმედოდ და დიდი ხნით „დალაშერეს არმიელებმა“.

თბილისელებმა ამ „ძლიერ მუშტს“ ცენტრში ვერაფერი დაუპირისპირეს.

27-ე წუთზე არმიელთა სწორედ ამ ოთხეულმა გაითამაშა ლამაზი კომბინა-ცია, ვინოგრადოვმა სწრაფად გაიყვანა წინ ს. კაპელკინი და პანგარიშით 2 : 1 გახდა, ხოლო იმავე ს. კაპელკინის მიერ გატანილ თერთმეტეტრიანზე ჩვენ უ-კვენდა საუბარი. დავუშატებთ მხო-ლოდ, რომ ეს მოხდა პირველი ნახევრის 37-ე წუთზე, როცა მსაჯმა ონიშენკოვ ბენალტი დანიშნა მცველთა უხეში თა-მაშის გამო. ბურთი ზედა ძელთან, ა. დო-როხოვის თავს ზემოთ გავიდა კარში. საკმარისი იყო თბილისელთა მექანის ხელი ოდნავ ზევით აეწია და... მაგრამ ამის მოსწრება ს. კაპელკინის დარტყმის დროს შეუძლებელი იყო. ბურთი საში-ნელი სისწრაფით გაეხვია ბადეში.

კიდევ ხუთი წუთი და... იმავე ოთხე-ულის კომბინაცია, დაცვის შეუთანხმე-ბელი მოქმედება და შეერბატენკომ მე-ოთხე ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში.

აი, ასეთი ტაქტიკური ძალა და მნიშვ-ნელობა ენიჭებოდა ორი ინსაიდისა და ორი ჰავბეჭის ოთხეულს დუბლ-ვე-ს სისტემის დროს. სწორი და გააჩრებუ-

ლი თამაშის შემთხვევაში, ის ხდებოდა მოედნის შუაგულის ბატონ-პატრონი და, ამრიგად, ყოველი კომბინაციის წამომწყები.

თბილისში გამომგზავრების წინ არ-მიეღები შეხვდნენ მოსკოვის „სტალინეცს“ და დაამარცხეს ანგარიშით — 5 : 1. ამ შეხვედრაში 4 ბურთი გაიტანა გ. ფედოტოვმა და ერთი — გრინინმა.

თბილისში კი, სადაც ეს სამეული თა-მაშილან გამოთაშული აღმოჩნდა, სიმძი-მის ცენტრმა სხვაგან გადაინაცვლა და შედეგიც, როგორც ხედავთ, დიდებული აღმოჩნდა.

შეტევი თბერიციების სხვადასხვაგვა-რად წარმოება და ქცენტების ამგვარი გადანაცვლება ყველა გუნდს როდი შე-უძლია. 1938-39 წლებში ორმიერთა კო-ლექტივი მძლავრ აღმაცლობას განიცდი-და. უკეთ ყალიბდებოდა თამაშის ის სტი-ლი, რომელმაც გუნდი ომის შემდგომ წლებში ბრწყინვალე ტრიუმფამდე მიიყ-ვანა. არც მანამდე და არც მერე მე არ მინახავს არც ერთი საკლუბო გუნდი, რომელსაც ისეთი თავდასხმა ჰყოლო-დეს, როგორც ამ მაშინდელ ცდებას. თვითონ განსაჯეთ: გრინინი, ნიკოლაევი, ფედოტოვი, ბობროვი და დიომინი. ვი-საც ეს ხუთეული არ უნახავს, ის აღ-ბათ მხოლოდ თეორიულად თუ წარმო-იდგენს თავდასხმის აბსოლუტურად სინ-ქრონულ მოქმედებას. ქვე კი, პრატიკუ-ლად, პირდაპირ ხელშესახებად იგრძნო-ბოდა ყველაფერი: გრინინისა და ლიო-მინის ინდივიდუალური ოსტატობა და სისწავე, ფედოტოვისა და ნიკოლაევის უაღრესად გააზრებული, კომბინაციური თამაში და ბოლოს, ბობროვის ძალა და მჩქეფარე ენერგია.

შესვენების დროს სტალინზე სამ-გლოვიარო სიჩურე ჩამოწვა. ტრიბუ-ნებზე ხმა დაირჩა, არმიელებმა მოსკოვ-ში მისალოცი დეპეშა გაუგზავნესო. თი-თქოს თავისი სპორტული კლუბის ხელ-მძღვანელებს აიმედებდნენ, გამარჯვება და მასთან მეორე ადგილი უზრუნველ-ყოფილია, ხოლო ანგარიშის გაზრდა კიდევ ერთი-ორად შეგვიძლია. არ ვიცი

რამდენად მართალი იყო ტრიბუნზე დაბრული ეს ხმა, მაგრამ რა ცდის ფეხბურთელებს და გუნდის სტალინის ნელებს რომ ამის მორალური უფლება ჰქონდათ — ცხადზე უცხადესია. ვერც იმას მოგახსენებთ, რა უთხრა შესვენე-ბის დროს „თავის ბიჭებს“ მ. ბუტისოვ-მა, მაშინ მაყურებლის როლში ვიზექ ტრიბუნაზე. ერთი რამ კი ცხადია: წარ-სულში შეტევის ბრწყინვალე ოს-ტატს და დამაგვირგვინებელს, უცხოეთ-ში „რუსულ დათვად“ მონათლულ, ტა-რანის ტიპის ცენტრალურ თავდამსხ-მელს, ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ბომ-ბარდირს მ. ბუტუსოვს, რომელიც იმ წელს ჩამოვიდა თბილის, არ შეეძლო ასეთ სიტუაციაში და ამგვარ პირობებში ერთადერთი სწორი გეგმა არ დაესახა ფეხბურთელებისათვის: შეტევა, შეტე-ვა და მხოლოდ შეტევა!

და... შეტევა დაიწყო! თუმცა მარ-ტო შეტევას ვერ ვუწოდებ მძვინვარე შტორმს, მოსკოველთა საჯარიმო მო-დანზე რომ დატრიალდა. ვინ შემოილო პირველმა ადგილების შეცვლის ტაქტი-კაზ? როგორ გეკადრებათ! განა ესე სწრაფად და იოლად წიაშალა მეხსიერე-ბიდან ეს მატჩი? ჯეჯელავა — პატაძე — ხარბედია, აი, ის სამეული, რომელმაც თავგზა აუბნია არმიერთა დაცვას.

მაშინ ფეხბურთელებს მაისურებზე ნომერი არ ეწერათ, ეს სიახლე ჩვენში 1946 წელს შემოვიდა. თამაშის დაწყე-ბისას ა. ხარბედიამ ცენტრში დაიკავა ადგილი, ხოლო ბ. პატაძე მარცხენა გა-რემარბის ადგილზე დადგა. არმიელებ-მა ამ საწყისი პოზიციის შესატყვისად გაინაწილეს ფეხბურთელები. მაგრამ თა-მაშის დაწყების შემდეგ ვინ გაარჩევდა, რომელი სად თამაშობდა! სად არ ნახავ-დით გ. ჯეჯელავს, სად არ გმირჩდებო-და ა. ხარბედია, ხოლო ბ. პატაძე კი... ის ჩვეულებრივად შეტევის ფორმისტზე იკავებდა ადგილს და იქ მოქმედებდა ხოლმე, ასე ვთქვათ, როგორც „რეალი-ზატორი“, მაგრამ თუ საჭიროება მოით-ხოვდა, ის მინდვრის სიღრმეში იხევდა და „რეალიზატორი“ სწრაფად ხდებო-

და შეტევების „კონსტრუქტორი“. მისი „კონსტრუქციები“ იმდენად უჩვეულო და მრავალნაირი აღმოჩნდა, რომ არმიელებს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ნეგატიური, „დამანგრეველი“ ფეხბურთისათვის მიემართათ. ერთერთი შეტევის დროს მოსკოველებმა აშკარად იუხეშეს და მსაჭმა დაუყოვნებლივ დაინიშნა პენალტი.

მ. ბერძენიშვილი კუნტრუშ-კუნტრუშით (მას ასეთი ჩვევა ჰქონდა) მივიღა ბურთან, გულმოლგინედ გაასწორა, შემდეგ უკან დაიხია... არ ვიცი, რად სჭირდებოდა ასეთი გრძელი გამორჩენი, მაგრამ ალბათ სჭირდებოდა, რადგან ამ ტრადიციისათვის მას ბოლომდე არ უღალატნია. ბურთი კარიდან ზუსტად 11 მეტრზე იდო. მ. ბერძენიშვილი კი დაახლოებით კიდევ ერთ ამდენს უკან იხევდა...

პატარა ლეონოვი ადგილზე გაირინდა, მოიკუნტა და კიდევ უფრო დაპატარავდა. ზაბიარასაცით მოიმართა მისი სხეული. მ. ბერძენიშვილმა უკვე დაიწყო თავისი გრძელი გამორჩენი. ნელა დარტყმა და მეკარის ნახტომი ერთდროული გახლდათ. ასეთი ელვისებური რეაგირება აღტაცების ღირსი იყო. ლეონოვი ჩიკორივით დაერჭო კარის მარჯვენა კუთხეში. ბურთს კი ჯერ ნახევარი მანძილიც არ ჰქონდა გავლილი. მეკარემ ზუსტად გამოიცნო მ. ბერძენიშვილის ფეხის მიმართულება დარტყმის დროს, გამოიცნო და განაბული უცდიდა, როდის მიგორდებოდა მასთან რატომლაც ძალზე სუსტად დარტყმული ბურთი. ბურთი მართლაც ძალზე ნელა მიგორავდა. ლეონოვს დროზე რომ ეაზრა, თუ რა მოხდა, წამოლგომას მოასწრებდა, კიდევ ერთ ნახტომს გააკეთებდა. მაგრამ ფინტი ფინტია. თამაშის დროსაც და პენალტის დარტყმის დროსაც იგი მოწინააღმდეგის მოტყუებას ვარაუდობს. ლეონოვმა მართლაც გამოიცნო მ. ბერძენიშვილის მოქნეული ფეხის მიმართულება და თავგანწირული ნახტომით სწორედ იმ კუთხეს ეძერა, მაგრამ ტექნიკური ილეთის მთელი ჰერთი და მარილი იმაში

მდგომარეობდა, რომ მოქნეული ფეხი სხვა მიმართულებას აჩვენებდა, იგუა ასე ვთქვათ, ურუ მოძრაობა იყო, ჭრულობა ნელა, მაგრამ აბსლუტური სიზუსტით მიგორავდა საწინააღმდეგო კუთხეში. როგორ აკეთებდა ამას მ. ბერძენიშვილი, დღემდე გამოცანაა. თუმცა ამაზე ბევრი დაიწერა, კინოგრამაც კი გამოქვეყნდა, სადაც სანტიმეტრების სიზუსტითა აღმცენილი დარტყმის თავისებურება და მოძრაობის თანმიმდევრობა. მას საგანგებოდ სწავლობდნენ და ნორჩ ფეხბურთელთა აღსაზრდელ სახელმძღვანელოდაც კი აღიარეს, მაგრამ „მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. როგორც ჩანს, მ. ბერძენიშვილის თავაუღებელ წვრთნას მისმა ბუნებამაც უშველა, თორემ აგერ უკაეოცი წელია აღარ გვინახავს ერთ კუთხეში უიმედოდ გაშებლართული მეკარე და მეორე კუთხეში ნელა მიგორებული ბურთი.

მ. ბერძენიშვილს რომ ერთხელ ან ორჯერ გაეტანა ასეთი ბურთი, მაშინ ამას შემთხვევითობას მივაწერდით, მაგრამ ასეთი სტატური დარტყმა მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ბელგრადის „პარტიზანის“ კარს იცავდა ამავე გუნდის მწვრთნელი და მექანი ფრანიო გლაზერი. სამწუხაროდ, ღინამოელებმა წააგეს ეს არც თუ ისე ცუდად ჩატარებული შეხვედრა, ანგარიშით 1 : 2, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფრანიო გლაზერმა ამ მატჩში ლეონოვის ბედი გაიზიარა იგი ისეთი გულმოლგინებით ეკვეთა კარის ერთ კუთხეს და გაზილებულმა ისეთი სასოწავეთილი სახე მიიღო, ნამდვილად შეგეცოდებდათ. თამაშის შემდეგ მან განაცხადა. რომ არასოდეს, მისი სიცოცხლის მანძილზე არ დაუფლებია უხერხელობისა და სირცევილის ისეთი გრძნობა, როგორც იმ დღეს.

ბევრი მეკარე ჩავარდნილა ფ. გლაზერის დღეში და ძალზე ცოტას უზემნია გამარჯვება მ. ბერძენიშვილთან ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის დროს, თუმცა ასეთებიც იყვნენ.

იმ დღეს კი...

სტალინი ოვაციაშ შეაზარდა... მაგრამ ტაში გატანილი პენალტის ავტორს ეკუთვნოდა. მასში ჯერ არ ისმოდა რწმენა იმისა, რომ შეიძლებოდა რაიმეს შეცვლა, თამაშში გარდატეხის შეტანა.

მე-14 წუთზე, პაიჭაძემ მარჯვენა ფრთაზე გაიღვა, ჯეჭელავამ მარცხნივ გაინავარდა, ხარბედია ცენტრში ამონდრავდა, შემდეგ ცელაფერი პირუკ შეტრიალდა. ძნელი დასადგენი იყო, საღდაიწყო ეს კომბინაცია და ვინ დააგვირგვინა იგი! თვითონ პაიჭაძემაც ვერ გაიგო, ბურთი ხარბედიამ გაიტანა თუ ჯორჯიყიამ. მეორე დღეს გაზრდები წერდნენ, ბურთი ასლან ხარბედიამ გაიტანა. ვენდოთ პრესას!

რამდენიმე წუთის შემდეგ ა. ხარბედიამ მიიღო თუ არა გ. ჯეჭელავას მოხდენილი, დაფარული გადაცემა, სწრაფად დაარტყა და ის პატარა ბეჭვის ხილიც გადაწყვიტა, არმიელ ფეხბურთელებს ხსნის ერთადერთ იმედად რომ შემორჩენილდათ.

4 : 4 — ეწერა სადემონსტრაციო დაუზე.

აღარიყის ეპარქებოდა ეჭვი, რომ გამარჯვება ახლოვდებოდა, რომ მისი მოპოვება, როგორც მოჭადრაკენი იტყვიან, უკვე „ტექნიკის საქმე“ იყო. დინამოელთა შორის ასეთი „ტექნიკოსიც“ უმაღლოდებნა. ჯეჭელავამ კვლავ პაიჭაძის ადგილზე გადაინაცვლა მოედნის ცენტრში, ვერცხლისწყალივით გაძერა ორ მცველს შუა; თოთქოს გაუხარდაო, მასავით ტანმორჩილ მექარესთან რომ დარჩა პირისპირ და მატჩის არითმეტიკა საბოლოო და სამარადუამო წესრიგში მოიყვანა — 5 : 4!

ნუ გამაშვალებთ ლიტერატურული მეტაფორების ამათ ძებნით, ამის აღწერას მაინც ვერ შევძლებ — თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა მაზინ სტალინზე!..

აქ შეიძლებოდა დამემთავრებინა საუბარი ამ საოცარ მატჩზე, ერთი მივიწყებული ეპიზოდის ამოტივტივება რომ არ მინდოდეს. ის, რაზედაც ზემოთ გე-

საუბრეთ, არა ერთხელ აღწერილი ჩემი მიერ მოთხოვბილი მოშენტები სხვაბ-საც გადმოუციათ. მაგრამ ცეკვებულებებს უკლის, ან უბრალოდ ავიზუდებათ, რომ ეს უკვე მოგებული მატჩი და განაღდებულ მეორე ადგილი უკანასკნელ წუთზე კინაღამ წყალს არ გავატანეთ.

თამაში უკვე მთავრდებოდა, როდესაც გამარჯვების სიახლოეთი თაგბრუდახვეულმა დინამოელებმა წამით დაივიწყეს გ. ფედოროვი და ამ უკანასკნელმა კიგრძნო რა წყალობასავით ნაბოძები უცარი თავისუფლება, შვებით ამოისუნთქა და ისეთი ძალით დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხში, რომ თბილისელთა კარის გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეეძლო. დამცელებისაგან დაფარულმა ა. დოროხოვმა ვერაზ მოასწრო რეაგირება, ბურთი ტყვიასავით მიექანებოდა კარისაკენ. და მაშინ თბილისელთა მექარემ ერთადერთი გამოსავალი იძოვნა. რაკი ნანტომი დაიგვიანა, აკრობატივით შლიფები გააკეთა, დაიძაბა, გაიჭიმა და ზედ კარის ხაზე მარჯვენა ფეხის წვერით მისწვდა ბურთს. მისწვდა და კარს ზევით, კუთხურზე გაგზავნა იგი. არ მიყვარს პროცენტების მშრალი ენით ფეხბურთის მოვლენათა გადმოცემა, მაგრამ იმ მომენტში ა. დოროხოვმა ასპროცენტიან გოლს გადაგვარჩინა. მთელმა სტადიონმა შეებით ამოისუნთქა, როდესაც არმიელთა მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი კვლავ ა. დოროხოვის ხედრი გახდა მსახმა ინიშენენომ ჰაერშივე შეაგება მას გამარჯვების მაუწყებელი სასტეპენის ხმა...

ცნობილია, რომ თავით თამაში ბ. პაიჭაძის „აქილევსის ქუსლი“ გახლდათ. მის უნაკლო, ფილიგრანულ ტექნიკას ეს ერთი, სპეციალისტების თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი ნაკლი გააჩნდა.

მართლაც საოცარი ფეხბურთელი იყო ბ. პაიჭაძე. ახლაც კი, როცა მინდა მის ნაკლიზე ვილაპარაკო, თვალწინ წარმომიდგა ერთი შეხედრა და...

ეს მოხდა 1950 წელს, თბილისში. ბ. პაიჭაძე უკვე 35 წლის იყო და თავის

უკანასკნელ სეზონს ატარებდა. ფეხბურთის გულშემატკივარნი დიდი გულის-ტკივილით ემშვიდობებოდნენ საყვარელ სპორტსმენს. ის უკვე ცველა თამაშში აღარ მონაწილეობდა. მწვრთნელს ა. სოკოლოვს გამობრძედილი მაესტრო მხლოდ აუცილებელ შემთხვევაში გაშობყავდა მოედანზე. ოფიციალურად არსად გამოცხადებულა, რომ ბ. პაიჭაძე მომავალი სეზონიდან აღარ ითამაშებდა, მაგრამ ეს უთქმელადაც იგრძნობოდა. გამუღმებულმა ტრავმებმა. რაც პასტე ვაუთავებელი „ნაღირობის“ შედეგი იყო, და ბოლოს წლებმა თავისი გიორგია, პირველი თაობის „უკანასკნელი მოჰკიანი“ სარბიელს ტოვებდა.

ბ. პაიჭაძის უღრუბლო სპორტულ კადანზე, ერთი ლაქადა შემოჩენილიყო. — არავის ენახა მის მიერ თავით დარტყმული ან თავით გადაცემული ბურთი. მაშინაც კი, ტოდესაც მისკენ მაღლალ ბურთს ვაგზავნიდნენ, აუცილებლად მოარიდებდა თავს, ან ქერდით მიიღებდა, ან გაატარებდა და შემდეგ თვითონ შეჰვებოდა, ან საერთოდ გაუშვებდა და პარტნიორებს დაუთმობდა. მის ტექნიკურ არსენალში იყო უამრავი ხერხი და შესაძლებლობა, შეევსო ეს ნაკლიდა, რაც მთავარია, შეუმჩნეველი გაეხადა იგი.

ვინც ბ. პაიჭაძის თამაშს პირველაუნახავდა, აზრადაც არ მოუკიდოდა, რომ ეს ბრწყინვალე ფეხბურთელი თავით საერთოდ არ თამაშობდა. იფიქრებდა, უველაფერი ისე აეწყო, რომ თავით თამაში, აღბათ, სპეირო არ იყოო.

ის დღეს დინამოელები რიგის „დაუგავასთან“ თამაშობდნენ. ყველასათვის ცნობილია, რომ სპორტულ ლატვიას ჭერ კალათბურთელებმა, შემდეგ კი უბადლო მიხეილ ტალმა უფრო გაუთქვეს სახელი, ვიდრე ფეხბურთელებმა. ხოლო „დაუგავას“ დროებითი სტუმრობა „ა“ კლასში, ფეხბურთის ფედერაციის აღმინისტრაციულმა ღონისძიებამ განაპირობა და არა გუნდის სპორტულმა მაჩვენებლებმა. აღბათ, ასევე ფიქრობდნენ დინამოელთა შწვრთნელებიც, როდესაც

ამ თამაშზე ბ. პაიჭაძის გარეშე გამოიდნენ და ტაიმის დასასრულისათვის უკვე ნანობდნენ უწყვეტისების იყო 2 : 1 რიგელთა სასარგებლოდ. და აი შესვედრის მეორე ნახევარში, ტრიბუნების მქუჩარე ოვაციის თანხლებით, გუნდი ბ. პაიჭაძემ გამოიყავა.

არაჩვეულებრივად ინდივიდუალური, სპეციფიური ტანის რხევით გამორბოდა მოედანზე თბილისელთა კაპიტანი. თითქოს კი არ მოჩბოდა, მოგოგმანებდა. როცა ჭაბუკი ბორისი ფოთიდან თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის მეორე გუნდში ითამაშა, მაყურებელთა ყურადღება სწორედ მისმა უჩვეულო სირბილმა მიიქცია. თითქოს ყოველი ნაბიჯის გადადგმის დროს ხელით მიწას ეხებათ, ისე ირხეოდა მისი მხრები მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ და ა. შ. მაყურებელმა მას გამოჩენისთანავე „ფოთელი“ შეარქვა;

— მიდი, ფოთელო!

— ყოჩალ, ფოთელო!

გაისმოდა ტრიბუნებზე. ცხადია, მაშინ არავინ იცოდა, რომ ამ „ფოთელს“ საოცრად მცირე ხანში თბილისის „დინამოს“ პირველი შემადგენლობის თავდასხმის ცენტრში იხილავდნენ. ახლა, როდესაც „ფეხბურთის მეფის“, ან როგორც მარჯვედ თქვა ერთმა უურნალისტმა „დედამიწის ყველაზე სიმპათიური მონარქის“ პელეს წიგნი „მე—ბელე“ — ყველამ წაიკითხა და ყველა გაოცდა მისი თავბრუდამსვევი კარიერით, — 17 წლის ჭაბუკი, რამდენიმე თვეში ბრაზილიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი გახდა, — არ შეიძლება არ გაიხსენო ბ. პაიჭაძის ასევე სწორაფი, თავბრუდამსვევი წინსვლა უცნობი ჭაბუკიდან სათაყვანებელ ფეხბურთელამდე.

აი, სწორედ ტანის ასეთი რხევით გამოუძღვა იმ დღეს გუნდს შესვედრის მეორე ნახევარში ბ. პაიჭაძე. გამოუძღვა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რიგელი ფეხბურთელები კარს მიეკუჭვნენ და უმისამართოდ იგერიებდნენ ბურ-

თებს. დიდებულად ხლართავდა ბ. პაიჭიძე მრავალსკლიან კომბინაციებს, ჭაბუქური ენერგიით ხან მარცხენა ფრთაზე გაიღვებდა, ხან ცენტრში გამოჩნდებოდა, ხან მოედნის სიღრმეში დაიხევდა და ნახევარმცველის ადგილიდან იწყებდა შეტევას. ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო გოლის გატანა. მაგრამ რამდენჯერ ამაოდ გვიცდია ამ წუთის მოლოდინში, რამდენჯერ წავსულვართ სტადიონიდან იმედგაცრუებული წინათაც და ახლაც. დრო იწურებოდა, ბურთი არ გადიოდა, ფეხბურთელების ნერვები მაქსიმალურად დაიძაბა, დაიჭიმა. ახლოვდებოდა წამი, როცა ასეთ მდგომარეობას უკურეაქცია შეცვლიდა, როცა ყველაფერი მოდუნდებოდა და მატჩის ბედის შემობრუნება შეუძლებელი გახდებოდა. ამას ჩინებულად გრძნობდა გუნდის კაპიტანი და მაშინ...

... და მაშინ ბორის პაიჭაძემ გააკეთა ის, რასაც არავინ არ მოელოდა, რისი წარმოდგენა მეოცნებესაც კი არ შეეძლო. შეტევა მარცხენა ფრთიდან ვითარდებოდა, ცენტრალური თავდამსხმელი ინტუიციით გრძნობდა, თუ სად უნდა გახსნილიყო ამ შეტევის კვანძი; სწრაფი ბიძგით შეიჭრა საჭარიმო მოედნის ცენტრში, ბურთი უკვე მოფრინავდა რიგელთა კარის გასწვრივ. ბ. პაიჭაძემ ოდნავ დაყოვნა, ოდნავ დააგვიანა. ბურთი გას-

ცდა ყველას და ალბათ მასაც გმშცდება, რადგან აქ არც ერთი სანტიმეტრის მაცევა ლება და წამის არც ერთი შეათელის მომატება არ შეიძლება. ყველაფერი აბსოლუტურად ზუსტად უნდა მოხდეს. ბურთი კი უკვე აგერაა, საცაა ორ-სამ მეტრში ჩაუქროლებს კიდეც. ვერც მკერდით მიწვდები და ვეღარც ფეხს მოახვედრება...

იმ ადგილიდან სადაც მე ვიზექი, ყველაფერი ასე გამოჩნდა: ბ. პაიჭაძის სხეული წამით წინ დაიხარა, შემდეგ ლარივით გასწორდა, გაიჭიმა და ასეთ ლამაზ ნახტომში ფეხბურთელის თავმა და ბურთმა ზუსტად გადაკვეთეს მოძრაობის მიმართულების ხაზები. ისინი ან არასოდეს შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ან თუ შეხვედრა ეწერათ, სწორედ აქ, ამ ადგილას, მხოლოდ ამ წამს უნდა შეხვედროდნენ. ეს მშვენიერი პაემანი შედგა. მან პაიჭაძის მიერ გატანილი ბურთების პირადი ანგარიში კიდევ ერთი უნიკალური ბურთით გაზარდა, ფეხბურთის გულშემატკივრებს კი ამ გატანილა გოლის ტკბილი მოგონება დაუტოვა.

აქილევს ისართ მაინც მისწვდა ვაბედით ქუსლში, ბ. პაიჭაძემ კი სარბიელიდან წასვლის უკანასკნელ წამს ერთადერთი ნაკლიც ჩამოიშორა და ულრუბლოდ, უნაკლოდ დატოვა მოედანი.



## გუცეჯანი

3030 ჯავახიშვილი — მცოდლილ პოეზიის განია . . . . .	3 88.
ირაკლი აჩაუძინა — პოეტის წარდავიჩა . . . . .	6 88.
ჯავახიშვარი დღესასწაული . . . . .	15 88.

### პროზა და პოეზია

ჩევახ ინანიშვილი — ციცვერი გორგალი (მოთხრობა) . . . . .	16 88.
დავით ჯავახიშვილი — ცეკვი დღე (მოთხრობა) . . . . .	60 88.
გოლიო კაჯალავა — გალაპტოონი (ლექსი) . . . . .	68 88.
უავიდი გელია — ლიკიული რეჟისურან (ლექსები) . . . . .	69 88.
იოსებ გამარჯვილი — თანამგზავრი (მოთხრობა) . . . . .	72 88.

### ფიქციები ხეამაღლება

ზორბეგი ქოგულია — ფარალი ჩვენი არსობისა . . . . .	85 88.
---	--------

### ლიტერატურული კრიტიკა

ოთია პაპარიძა — „ჩივი მეობგარი ნოდარი“ . . . . .	90 88.
კონა ივადავავილი — ზურდისა, სოსოია და თიბისურაზ გარამიცი . . . . .	100 88.
ააოლონ ზორდანია — საკუთარ ნიადაგზი . . . . .	109 88.

### ახალგაზრდა მეცნიერები „შისქარში“

რევაზ გიგვილაძე — არაკის სატირული უსრნალები . . . . .	114 88.
განანა გვერდაძე — რაზდონ გვეტაძის პოლისის თავისებურიგანი . . . . .	125 88.
ნატო გავარაშვილი — ვარსკვლავების სიცილი . . . . .	130 88.
გიორგი გალულარიძა — ჰაინრიქ გიორგი . . . . .	139 88.

### ი ს ი ნ დ ი

კორე გახარაძე — პირველი რეპორტაჟი უმიმროვონდ . . . . .	149 88.
--	---------



გარეკანი და ტიტული ელ. ამაშუკელისა, ქურნალი გააფორმეს თ. სამსონაძემ და გ. როინიშვილმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციაში ზემოსული გასაღები აპონოვებს არ დაუგრძელდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-85, პ/მ მდინარეს — 5-08-86, გაცემის გამარჯვების: პოვაზისა და პროცესის, პრინტისა და გიგანტისაზე — 5-08-85, პულტურისა და ხელოვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/X-66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 3481. უ. 03303. ქალალდის ზომა 70×108. ტირაჟი 11000.

საქ. კვ-ს გამომცემლობის პოლიგრაფომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14  
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 ლა.

6. 2/259  
საქონლი  
სამართლის

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

# «ЦИСКАРИ»

издательство  
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236